R215 978
3

ალექსიან ბერძენიშვილი

ანსანლები

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ენობრივი ნარკვევები

‹ მეცნიერება ›
1980

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

მაქსიმე ბერძნიშვილი

მ ა ს ა ლ ე ბ ი
XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის

I

ქართული საზოგადოებრიობა 1833—1844 წლებში

II

მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის
(ა—ე)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1980

301(ᲥᲐᲠᲗ)(09)

9 (C 41)
63.3 (2 Г)
9 (47.922)
ბ 574

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომი წარმოადგენს XIX საუკუნის I ნახევრის ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიულ ლექსიკონს. მასში შესულია იმ პირთა ბიოგრაფიული მასალა, რომლებიც მონაწილეობდნენ აღებული ხანის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მოძრაობებში. განსაკუთრებულადაა გამახვილებული ყურადღება 1832 წლის შეთქმულებაზე.

წიგნს წამძღვარებული აქვს შესავალი წერილი ქართველი საზოგადოებრიობის შესახებ, სადაც ასახულია ლექსიკონში წარმოდგენილი ეპოქა.

ბ $\frac{10604}{М\ 607(06)-80}$ 186—80 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 215.978
3 ბ.ფ.

რედაქციისაგან

განსვენებული მეცნიერის მაქსიმე ბერძნიშვილის პირად არქივში, სხვა გამოუქვეყნებელ მასალებს შორის, დიდი ადგილი უჭირავს XVIII—XIX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიებს. ბიოგრაფიული ლექსიკონის შექმნას მან მრავალი წელი მოანდომა. იგი საგანგებოდ დაინტერესებული იყო 1832 წლის შეთქმულებით, კერძოდ კი მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილის სოლომონ დოდაშვილის პიროვნებით. თავდაპირველად მეცნიერი აპირებდა პერსონალურად შეესწავლა სოლომონ დოდაშვილის მახლობლები, ნაცნობ-მეგობრები და საერთოდ ყველა ის პირი, ვინც 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში მოიხსენიება. თანდათანობით დაგროვდა მასალა აგრეთვე XIX საუკუნის I ნახევრის სხვა პოლიტიკური ეპიზოდების — მთიულეთის 1804 წლის აჯანყების, კახეთის 1812 წლის აჯანყებისა და იმერეთის 1820 წლის აჯანყების — მონაწილეთა შესახებაც. ლექსიკონში შევიდა აგრეთვე მასალა ზოგიერთ სხვა პირზე — XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევრიდან.

ბიოგრაფია ყველა ამ პირისა, რასაკვირველია, ერთნაირი სიზუსტითა და სისრულით არაა წარმოდგენილი. ზოგი მოცემულია მთლიანი ნარკვევით, ზოგი — რამდენიმე შტრიხით.

ამ სახითაც ბიოგრაფიული ლექსიკონის ეს მასალები, რომლის მხოლოდ დასაწყისი ნაწილი იბეჭდება პირველ წიგნში (აბაშიძე გიორგი — ექვთიმე გენათელი),

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეულ სარგებლობას მოუტანს მკითხველ საზოგადოებას.

ლექსიკონს წამძღვარებული აქვს მაქსიმე ბერძნიშვილის წერილი „ქართული საზოგადოებრიობა 1833 — 1844 წლებში“, დაწერილი 1947 წელს, რომელშიაც ყველაზე სრულად აისახა ლექსიკონში წარმოდგენილი ეპოქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული საზოგადოებრიობა 1833—1844 წლებში

1

მეტად ძნელია წარსული საუკუნის პირველი ნახევრის, კერძოდ ჩვენთვის საინტერესო დროის, ქართველი საზოგადოების ცხოვრების ისტორიის დაწერა. ამ ხანებში სრულიად არ გაგვაჩნდა პრესა, რომ შეგვძლებოდა მაშინდელი ქართველობის ნამდვილი სახის დანახვა, მის აზრ-ზრახვათა უცდომლად მიხვედრა. ამ დროითგან არ მოგვეპოვება აგრეთვე არც დღიურები, არც მემუარები, არც სხვა რაიმე ნაწერები, რომ მკვლევარს საიმედო მასალა ჰქონოდა და საზოგადო ცხოვრების სრული შეცნობა გაადვილებოდა. ამგვარი რამის წერას მაშინ ყველა ერიდებოდა, დღიური ინტერესით ცხოვრობდა და საქვეყნო აზრების აღძვრისას მხოლოდ ჩიოდა, ისიც მახლობელთა წრეში: „ან ის რაცა ვსთქვი, რადა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა, ვერა ვსთქვი“[1]. ამიტომ მცირეა მათი დანატოვარი: გვაქვს მხოლოდ შემთხვევით გადარჩენილი ორიოდე საბუთი, სადაც კაცმა შეიძლება ჰპოვოს „აზრი ნაცნობი გულისა“, თითქოს წამოცდენილი სიტყვები და ამით მიხვდება, რა ასულდგმულებდა, რა აწუხებდა იმდროინდელ თაობას, რა სწყუროდა და რისკენ მიილტვოდა იგი. და ეს მცირედი, თანაც მწირი მასალაც, ან გამოუქვეყნებელია ან, თუ ცნობილია, საჭიროებს კრიტიკულ შესწავლას, მრავალრიგად გამოწვლილვას, რომ გამოსადეგი იქნეს საისტორიო წყაროდ.

1833—1844 წწ., ჩვენ რომ ახლა გვაინტერესებს, ის დრო იყო, როცა 1832 წლის შეთქმულება ანუ, როგორც მას ხალხმა შეარქვა

---

[1] გრ. ორბელიანი, სადღეგრძელოს ეპილოგი.

მაშინ, „ყაზარმობა“ გამომჟღავნდა (რადგან შეთქმულნი გამოამ-
წყვდიეს არა ციხეში, არამედ პოკროვის ყაზარმებში, ციციანთ ალ-
მართის თავზე, ავლაბარ-ჩულურეთის მიჯნაზე). მასში გარეული სა-
სიცოცხლო ძალები ცარისტულმა მთავრობამ გააცამტვერა და მი-
მოფანტა შორეული რუსეთის ცივ ქვეყნებში, რის შედეგად ჩვენი
საზოგადო ცხოვრება, ისედაც მოდუნებული, უფრო მეტად მი-
ირულა, თითქმის ჩაკვდა. მაგრამ დეპრესიის (1833—1837 წწ.)
შემდეგ 1838 წლიდან კვლავ იწყება ერთგვარი აღმავლობა, წინა
წლებში დაუნჯებული ეროვნული ენერგია ისევ იწყებს მიმოქცე-
ვას და ახალგაზრდა ძალები, „სოფლისათვის ზრუნვის“ აზრით ამო-
ძრავებულნი, კალმით თუ საქმით ნიადაგს ამზადებენ შემდგომი
წინსვლისათვის.

მეტად საგულისხმოა: ამ პერიოდში ქართველობას არც თეატ-
რი გააჩნდა და არც ჟურნალი მოეპოვებოდა. ერთიც და მეორეც
დაფუძნდება მხოლოდ მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცვლობის
ჟამს: პირველი 1850 წ. იანვრიდან, მეორე კი — 1852 წ. დასაწყი-
სიდან. ამიტომაც ჩვენში დამკვიდრებული აზრი ქართული ეროვ-
ნული კულტურის აღორძინებას ამ ხელისუფალის ინიციატივას
მიაწერს. ნამდვილად კი, როგორც აქ წარმოდგენილ-აღნუსხული
მასალიდან ცხადად ჩანს, ამ „რენესანსს“ ნიადაგი უკვე შემზადე-
ბული ჰქონდა ვორონცოვის დანიშვნა-ჩამოსვლამდე და ქართვე-
ლობა კარგა ხნის ამოძრავებულია. ამის საილუსტრაციოდ მარტო
ორ ფაქტს გავიხსენებთ. იმერელი აზნაური ოქროპირ წერეთელი
თავის საკუთარ სოფელში 1845 წ. 1 აპრილს, ე. ი. ვორონცოვის
ჩამოსვლის ზედ სწორზე, წარმოადგენს თავის ორიგინალურსა და
რეალისტური შტრიხებით სავსე კომედიას, ხოლო ქართლის თა-
ვადაზნაურული ინტელიგენცია, წინა, 1844 წელს, მთავრობის ნე-
ბართვით, აპირებს 1845 წ. მაისიდან საკუთარი ჟურნალის გამო-
ცემას, რომელიც მოცულობითა და პროგრამით ბევრად აღემატე-
ბოდა ვორონცოვის მჭლე ნაშიერს — „ცისკარს“. აშკარაა, გიორგი
ერისთავის თეატრსა და ჟურნალს უკვე ჰყავდა წინამორბედნი და
მის თეატრალურ-ჟურნალისტურ ასპარეზზე გამოსვლასაც ნიადაგი
წინათვე ჰქონდა შემზადებული. სწორედ ამ და სხვა მსგავსმა ფაქ-
ტებმა მოგვცეს საბუთი ვორონცოვის წინა დროისთვის პირველი
აღმავლობის ხანა გვეწოდებინა.

ამასთან ერთად დროის მონაკვეთი, 1833 წლიდან მოკიდებული
ვიდრე თერგდალეულთა სამოქმედოდ გამოსვლამდე, ჩვენი საზო-

გადოებრიობის ისტორიაში რაღაც „ცარიელ ადგილად“ მოჩანს, თითქოს ილია ჭავჭავაძის თაობის გამოჩენა მართლაც მოულოდნელი და პოტენციურად მოუცემელი რამ ყოფილიყოს. აქ წარმოდგენილი მასალა კი ამ „სიცარიელეს“ ავსებს და თვალნათლივ გვიჩვენებს უწყვეტ იდეურ კავშირს, იდეურ ერთობლიობას ყაზარმობასა და სამოციანი წლების მოძრაობას შორის. გასაგები ხდება, როგორც სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი, ის მოვლენა, თუ რატომ ჩნდება სამოციან წლებში მთელი დასი ნიჭიერი და ენერგიით სავსე ახალგაზრდობისა, რომელიც სასიცოცხლო ძალას ჩაჰბერს მაშინდელი ქართველობის დაძაბუნებულ სხეულს, მის მოდუნებულ ყოფას და თამამად, მოურიდებლად წარმოსჩექს ისეთს ხმებსა და აზრებს, თუნდაც ლიტერატურული ნაწარმოებისა და არა პოლიტიკური ტრაქტატისა თუ პეტიციის სახით, რაც ქართველობის ყურს ცოტა არ იყოს ეხამუშებოდა, გარდასრულ დროთ აგონებდა, სევდიან გულს საამოდ უტოკებდა ,მიმკვდარ იმედებს ულვიძებდა, მარჯვენას სამოქმედოდ აღუმართავდა. ასეთი იყო ილიას მოხევის გულმტკივნეული თქმა: „ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ჭრდომილ-კრთომილ, წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესწყობაი“: „ადრიდა ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“-ო. მაგრამ ეს ხომ არ იყო ახალი, დამოუკიდებელი აზროვნების ნაყოფი! იგი ხომ მისივე გადამღერებაა, რასაც დღენიადაგ გაიძახოდნენ თავიანთ კრებებზე მამულის სიყვარულით აღგზნებული ყაზარმელები და რაც იშვიათი ექსპრესიით გამოთქმულია სოლომონ დოდაშვილის პროკლამაციაში:

„ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თვისნი სჯულნი... თვისი ჩვეულება და... არასოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს, მამული ესე ჩვენი. ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა, და მამაცობა... ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლულ იყო და დამხობილ მათგან, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა!.. რაისათვის არს ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი? ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიცა ჩვენს მამათა? მაშა რაისათვის ცოცხალვართ!“[2].

---

[2] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. 1, ტფ., 1935, გვ. 95. შემდეგში ყველგან მოკლედ: „1832 წ. შეთქმულება“ ან „გზლ“.

ილიას მოხევისა და დოდაშვილის პროკლამაციის აზრები სავსებით იდენტურია. ამიტომ თერგდალეულთა სულიერი ნათესაობა ყაზარმელებთან ნათელი და ურყევია. ცხადად ჩანს, რომ ილიას თაობა ნამდვილი მემკვიდრეა იმ იდეური საგანძურისა, რომელიც მან მიიღო ყაზარმობის მოსაგრეებისგან უშუალოდ ან მომდევნო თაობის მეშვეობით, 1832 წლის შემდეგ რომ მოქმედებდა.

წინამდებარე წერილის მიზანიც ის გახლავთ, რომ გამოვავლინოთ კონკრეტული ფაქტებით სწორედ აი ამ შუალედი თაობის საზოგადოებრივი საქმიანობა 1832 წ. შეთქმულთა რეპრესიების შემდგომ წლებში. მართალია, დასავლელი ქართველობის ამდროინდელი სულიერი ყოფა-ვითარების ფაქტები აქ თითქმის არაა მოცემული. მაგრამ კავშირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ოდითგანვე განუწყვეტელი, მეტად გაცხოველებული 1832 წ. მოძრაობის ხანებში (გავიხსენოთ შერვაშიძე, ნიკ. ჩიჯავაძე, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ჩახუნაშვილი), არც შემდეგ შენელებულა. ჩვენთვის — და ყველასთვისაც — უცილობელია, რომ საზოგადოებრივი შეგნებისა და გრძნობის განვითარება საქართველოს დასავლეთ ნახევარში აღმოსავლეთისაზე არანაკლები ინტენსივობით მიმდინარეობდა, თორემ სხვაფრივ ვერ აიხსნება ის მოვლენა, რომ 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძესთან ერთად საზოგადო ასპარეზზე ჩანან თანატოლი ნიჭისა და ენერგიის მოძმენი დასავლეთიდან: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, გერასიმე (გაბრიელ) ქიქოძე და მრავალი სხვანი. აშკარაა, რომ დასავლეთშიაც არ შემწყდარა საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა, უკეთ, დასავლეთიც იმავე იდეებით სულდგმულობს, რაც ასაზრდოებს აღმოსავლეთს: პოლიტიკურად გათიშული „საქართველონი“ ხომ წინათაც ყოველთვის ეწაფებოდნენ ერთს საერთო, საზიარო წყაროს კულტურისას. აზრი და სწრაფვა ყველას მუდამ ერთი ჰქონდა. ყველა „საქართველონი“ იყვნენ და იმიტომ. მით უფრო XIX საუკუნეში, როცა გათიშულობა მოისპო და საქართველო გაერთიანდა პოლიტიკურადაც. ამიტომ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, ჩვენი რწმენით, მთლიანობა-ერთობლიობის სახე ვერ დაეკარგება, თუნდაც რომელიმე კუთხე საქართველოსი სუსტად იყოს ან სრულიად არ იყოს წარმოდგენილი წინამდებარე მიმოხილვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმოხილვა დავიწყოთ 1832 წლის შეთქმულების ანუ „ყაზარმობის“ მარცხის მომენტიდან.

პირველ ყოვლისა რანი იყვნენ „ყაზარმელები“ სოციალურად? ამ მოძრაობაში გარეული იყო ზოგი მეტად, ზოგი კი ნაკლებად, სულ 145 კაცი. ხოლო 47 კაცის გამოკლებით, რომელნიც ხელისუფლებამ საეჭვოდ არ იცნო და უკანასკნელ (მეათე) კატეგორიას მიაკუთვნა, მაინც საკმაოდ დიდი რაოდენობა გვრჩება — 98. აქედან თითქმის ორი მესამედი (61 კაცი) თავადიშვილები და ბატონიშვილები იყვნენ (აზნაურების მიუთვლელად). ამრიგად შეთქმულთა სოციალური სახე მკაფიოდ წარმოგვიდგება: იგი არისტოკრატიულია.

ამის შემდეგ გასაგები და ადვილასახსნელია, თუ რატომ არ წამოჭრილა შეთქმულთა წრეში სოციალური საკითხები. ამ მხრივ რუსეთის დეკაბრისტთა მოძრაობას ჩვენი ყაზარმობა, რა თქმა უნდა, ვერ დაეტოლება. დაბალი სოციალური ფენის — გლეხობის — გასაჭირი, ბიუროკრატიული მმართველობის დამყარების მერე უფრო გამძაფრებული, შეთქმულთა შორის თუ ვისმეს აფიქრებს და აწუხებს ისევ „რაზნოჩინეცს“, გლეხისავე წოდებიდან გამოსულ მღვდლის შვილს სოლომონ დოდაშვილს და ესეც არა მტკივნეულსა და რადიკალურ საკითხზე ლაპარაკობს, როგორიც იყო ბატონყმობა, არამედ სასამართლოს გაჭიანურებულ წარმოებაზე, ადმინისტრაციის თავგასულობაზე და ამგვარი წვრილმანის შესახებ (V, 809—812). ისიც ნიშნობლივი და დამახასიათებელია, რომ ეს „რაზნოჩინეცი“, არისტოკრატთა შეთქმულებაში იდეურად გარეული, თუმცა მთელი თავით ყველაზე მაღლა დგას[3], მაინც მათ თვალში არაა მათი თანატოლი: იგივე ალექსანდრე ჩოლაყაშვილი სოლომონ დოდაშვილს ეძახის „კაზიონის“, ე. ი. სახასო, სახაზინო გლეხს[4], ხოლო ერეკლე მეფის ქალის ვაჟი ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი მას პირდაპირ გლეხის კაცად იხსენიებს[5]. ცხადია, რაკი მტკივნეული და ძირითადი სოციალური საკითხი ყაზარმელთათვის გადაუწყვეტელ-მოუგვარებელი რჩებოდა, მათ ვერც გლეხობა —

---

[3] ამას აღიარებს კერძო წერილში რიფსიმე ბატონიშვილის ვაჟი—ალექსანდრე ჩოლაყაშვილი, უწოდებს რა მას დიდროს, ფ. ОВД, საქ. 171, გვ. 256.

[4] საქ. ც. ა. საგამომძიებლო ფონდი, რვ. III, 1813.

[5] იქვე, რვ. XXV, 5050; 1832 წ. შეთქმულება, გვ. 38—29.

მაშინ ერთადერთი სოციალური საყრდენი ძალა—ეყოლებოდათ მიბირებული, ხოლო ეს უკვე წინდაწინვე განწირულად ხდიდა მათ წამოწყებას: იგი დამარცხდებოდა გაუცემლადაც[6].

თუმცა შეთქმულნი მეტწილად არისტოკრატები იყვნენ და არც სოციალური რიგის საკითხებს აყენებდნენ, მათი მოძრაობა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით, მაინც დადებით მოვლენას წარმოადგენდა. ეს იმიტომ, რომ „ყაზარმელთა“ ხელმძღვანელი ბატონიშვილებიც კი, არა თუ მათზე დაბალი რანგის მონაწილენი, მიზნად ისახავდნენ მაშინ არსებულზე უფრო პროგრესული პოლიტიკური წყობილების დამყარებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვახტანგ ორბელიანის ჩვენება. მისთვის სოლ. დოდაშვილს გადაუცია ოქროპირ ბატონიშვილის ნათქვამი: „მე მინდა საქართველოს თავისუფლება არა იმიტომ, რომ აქ ვინმე ბაგრატიონთაგანი გამეფდესო, არამედ რომ საქართველო რესპუბლიკის მსგავსი შეიქმნესო“[7]. დემოკრატიულად განწყობილი გვეხატება შეთქმულების მეორე მთავარი ინსპირატორი დიმიტრი ბატონიშვილი. დავით ჯორჯაძის სიტყვით, დიმიტრი მასთან მისულებს ხშირად უყვებოდა თავისუფლების ამბებს, უმარტავდა საფრანგეთის უფლებებს, მოსახლეობის თავისუფალ ცხოვრებას, მეფის შეზღუდულობას და იმას, თუ რა ხმა აქვს საფრანგეთის ყოველ მოქალაქეს მეფის არჩევნების დროს... ხანდახან, — განაგრძობს იგივე ჯორჯაძე, — დიმიტრი მსჯელობდა თავისუფალი ქალაქების — მაინის ფრანკფურტისა და კრაკოვის — მართვა-გამგებლობაზე და ალამაზებდა აქაურ მოქალაქეთა ბედნიერი ცხოვრების ამბებითო[8].

პირველი ღამის განკარგულებაც ცხადყოფს, რომ შეთქმულთა ერთ ნაწილს აზრად ჰქონია საქართველოში დაემყარებინა კონსტიტუციური მონარქია ორი პალატით ანუ სამმართველოთი — ზედა და ქვედათი[9]. ამგვარივე კონსტიტუციური მონარქია აქვს ნაგულისხმევი თვალსაჩინო ყაზარმელს ელიზბარ ერისთავს, რომელიც ტარასი ალექსი-მესხიშვილს მომავალ პოლიტიკურ წყობილებას ასე წარმოუდგენს: „საკუთარი მეფე გვეჯდებაო და პარლამენტი გვექნებაო და ყველანი იმათ დაემორჩილებიანო“[10].

---

[6] И. Джавахов. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб., 1906, с. 28.

[7] რვ. IX, 1567; 1832 წ. შეთქმულება, გვ. 92.

[8] რვ. XII, 2168; 1832 წ. შეთქმულება გვ. 62.

[9] რვ. 1, 3—12, 78—79. 1832 წ. შეთქმულება, გვ. 134, 92.

[10] რვ. VII, 1211.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქმულიდან ნათელი და უცილობელია, რომ შეთქმულთა აქტივი თუ რესპუბლიკურს არა, კონსტიტუციურ წყობილებას მაინც ეტრფის, ე. ი. ისეთს, როგორც მაშინდელ რუსეთში, თვითმპყრობელური მონარქიის რუსეთში არ ყოფილა. ამდენად, ცხადია, თვითონ ყაზარმობაც პროგრესულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მართლაც: სამშობლოს თავისუფლება, ავტოკრატიზმის ნაცვლად კონსტიტუციის დაწესება, მეზობელ ხალხებსა და სახელმწიფოებთან საერთო ენის გამონახვა—აი ყველა ეს აზრი, თუნდაც ილუზორული და უტოპისტური, რომელთაც გამოსთქვამდნენ ყაზარმელები, მაშინდელი რეალობის პირობებში რევოლუციურ განწყობილებას აღვივებდა, ყოველ შემთხვევაში საზოგადოებრივი შემეცნების აღმავლობას მაინც უწყობდა ხელს. ხოლო ისეთი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის იდეები, როგორიც იყო ბერების დაკრეჭვა და მათი გამოყენება როგორც სასარგებლო მუშახელისა ან კიდევ ბიუროკრატიზმის გაკილვა (მოხელეებს чернильные души-ს უწოდებდნენ. გზლ. 183), თუ მისთანა სხვა,—კრიტიციზმისა და თავისებური რადიკალიზმ-ნიჰილიზმის ნაკადს აძლიერებდნენ ჩვენი საზოგადოების აზროვნებაში.

ყაზარმელთა იდეათა ნიადაგზე აღმოცენდა და გაიზარდა ბარათაშვილის თაობა, ეს იდეები ცოცხლობენ და იფურჩქნებიან ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და წერეთლის პოეზიაში. უფრო მეტიც: რიგითი ქართველობის შემეცნებაშიც, აი თუნდაც „სინათლის“ გამოცემის თაოსანთა „გამოცხადებაში“ და ამის შემდეგაც. აი საამისო ფაქტიც:

1876 წ. თბილისში თავი მოიყარა ქართველმა ინტელიგენციამ თავისი პირველი გაზეთის „დროების“ არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავად. ამ ზეიმს დაესწრო 70-მდე კაცი, მათ შორის მოძმე მოწინავე სომხობაც (გრიგოლ არწრუნი, აბღარ იოანესიანი). დღესასწაულზე სიტყვა წარმოსთქვა „დროების“ რედაქტორმა სერგი მესხმა, რომელმაც სხვათა შორის სთქვა:

„ძალიან კარგად მესმის, რომ კერძოდ მე კი არ მიცხადებთ ამ თანაგრძნობასა, არამედ უცხადებთ იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ.

ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს ან რომელსამე მიმართულებას ანუ თაობას კი არ წარმოადგენს! ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა,— ეს არის დროშა ქართულის ლიტერატურისა“[11].

---

[11] ნაწერები სერგი მესხისა. ტ. 1, გამოცემა ს. ფირცხალავასი. ტფ. 1903, გვ. 345.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორის სიტყვას გამოეხმაურნენ ილია ჭავჭავაძე და კონსტანტინე მამაცაშვილი. მაგრამ ეს ამბავი ვალაპარაკოთ მაშინდელ რეპორტიორს:

„თ. ი. ჭავჭავაძემ, — ვკითხულობთ ზეიმის ანგარიშში, — გაიხსენა მონადიმეთა ადრინდელი მოღვაწენი ქართულის ჟურნალისტობისა: თ. გიორგი ერისთავი და სოლომონ დოდაევი და ჰსთქვა: ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეზღოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წარაწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობითა გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“.

უეჭველია, ილია ჩვენი ჟურნალისტიკის პიონერებზე უფრო ვრცლად ილაპარაკებდა, ვიდრე სიტყვაძვირი რეპორტიორი გადმოგვცემს. მაგრამ ეს ორიოდე ფრაზაც საკმაო სიცხადით გვიმჟღავნებს იმ იდეურ კავშირს, რომელიც ილიას გაგებით არსებობდა, ერთი მხრით, სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურო ნაწილთა“ და გიორგი ერისთავის „ცისკარსა“ და მაშინდელ „დროებას“ შორის მეორე მხრით, ერთობ შეთქმულთა თაობასა და ახალ თაობას შორის. ეს იმასაც გვიჩვენებს, რომ 1832 წლის შეთქმულნი და მათი იდეები ღრმად ცოცხლობდნენ მაშინდელი ქართველობის, კერძოდ კი ილიას, ხსოვნაში.

მართლაც: „ამის თაობაზე, — განაგრძობს რეპორტიორი, — უფ. კ. ქ. მამაცოვმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც მოიგონა ამ 40 წლის წინა საქართველოს დრო, როდესაც პირველი მოძრაობა იყო საქართველოში ახალგაზრდებისაო. თქვენ ბედნიერი ხართო ახლა, სთქვა პატივცემულმა მოხუცმა: ამდენს ახალგაზრდას, ამდენს მამულისშვილს გხედავთ ერთად შეკრებილთაო. ჩვენ კი მაშინ სამი-ოთხი თუ შეეერთდებოდით და კრძალვით ვიწყებდით საზოგადო საქმეებზე თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, — ისიც დიდ ბედნიერებადა და გაბედვად მიგვაჩნდაო. შემდეგ კ. ქ. მამაცოვმა გაიხსენა სოლ. დოდაევის, ნ. ბარათაშვილის, ეფრემ მღვდლისა და სხვა მაშინდელი მოღვაწეების დრო და თითო-ოროლა თანაგრძნობის სიტყვა ყველაზე სთქვა“, — დასძენს რეპორტიორი[12].

მეტად საგულისხმო და მრავალმეტყველია ეს ქრონიკალური ცნობა, აქ სრულად მოყვანილი. საკმარისი იყო ქართველობის ერ-

---

[12] „დროება“, 1876 წ. 7 მარტი, № 24, ;ვ. 2.

თად შეყრა და სიტყვის ჩამოგდება ლიტერატურაზე, რომ ხელათვე გაეხსენებინათ „ახალგაზრდობის პირველი მოძრაობის“ მონაწილენი: სოლომონ დოდაშვილი, ეს ნამდვილი მონუმენტური ფიგურა ჩვენს 1830-იან უკაცრიელ ცხოვრებაში, რომელსაც ნაადრევად გაეთხარა საფლავი ცივსა და შორეულ ვიატკაში; გიორგი დავითის ძე ერისთავი, „ცისკრის“ რედაქტორი და ქართული თეატრის ფუძემდებელი; ეფრემ ალექსი-მესხიშვილი, მწიგნობარი და ცენზორი, ავტორი პოპულარული ლექს-სიმღერისა და 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, და მათთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომლის მუზა, მათი გულისპასუხით ნაზარდი, ქართლის ბედს დასტრიალებდა. მოხუცი კონსტანტინე მამაცაშვილი გულთბილად იგონებს თავის ნამასწავლებარს დოდაშვილს და მასთან ერთად მის მოსაგრეებს გიორგი ერისთავსა და ეფრემ მესხიშვილს. მათი სახელებისა და ნაღვაწევის გახსენება ისეთს საზეიმო შეკრებილობაზე, როგორიც იყო „დროების“ 10 წლისთავის დღესასწაული, საუკეთესოდ გვიმტკიცებს, რომ ყაზარმობა და მისი იდეები, რომელთაც ეს მოძრაობა ამყღავნებდა, საკმაოდ ხანგრძლივად ცოცხლობენ მოწინავე ქართველობის მეხსიერებაში, ერთგვარად გავლენას ახდენენ მის ფსიქიკასა და საქმიანობაზე და აი თუნდაც მარტო ამიტომ ეს ფაქტი, ვიმეორებთ, უნდა მიჩნეულ იქნას თვალსაჩინო მოვლენად ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში.

3

1832 წლის შეთქმულების გამომყღავნებამ და ამის შედეგად მოწინავე ქართველობის მასობრივმა დაპატიმრებამ დარჩენილთაც შიშის ზარი დასცა, მეტადრე დაპატიმრებულებთან ასე თუ ისე დაკავშირებულთ. ამას ცხადჰყოფს ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის მოგონების შემდეგი საგულისხმო დეტალი.

დაპატიმრებული ქმრის სანახავად ყაზარმაში მისულ ცოლს პუპლია ეკითხება:

„— მე რომ წამიყვანეს, რა ამბავი მოხდა ჩვენ სახლში და ან როგორ იყავ შენა?. საცოდავად ამოიოხრა.

— ახ! სანდრო, რაღა მოხდა? მთელი ქალაქი შეძრწუნდა თქვენ დაჭერაზე და ფერი აღარავის აღარ ჰქონდათ, ასე ეგონათ, ჩვენც დაგვიჭერენო. ასეთი შიშის ზარი დასცეს ხალხსა. ჩვენთან ხომ ვეღარავინ ვეღარ მოდიოდა, ასე შეშინებული იყვნენ ყველანი. შენი მეგობრის თ. პავლე თუმანოვის, იმის ცოლის რიმსიმესი და

შენი მამიდაშვილის მაკას მეტი სხვა ველარავინ ველარ ბედავდა ჩვენთან სიარულს"[13].

პუპლიას მეუღლის, ეკატერინე დავით ბარათაშვილის ასულის, სიტყვები, რომელიც ქმრის საქმიანობაში არა თუ ჩახედული, არამედ გარეული იყო[14], „მთელი ქალაქი შეძრწუნდა თქვენ დაჭერაზე და ფერი აღარავის აღარ ჰქონდათ, ასე ეგონათ, ჩვენც დაგვიჭერენ", საუცხოოდ გვიჩვენებენ, თუ რა საშინელმა დეპრესიამ შეიპყრო მაშინდელი ქართველი საზოგადოება, ის ნაწილი მაინც, რომელიც საზოგადო საქმისათვის აღძრული იყო და თუნდაც მარტო სიტყვით, საპირადოსა და კერძოს გარდა, საერთოდ, საზიარო საქმეზეც ფიქრობდა.

ხოლო მეორე და დიდი ნაწილი, რომელიც შეთქმულებასთან არ ყოფილა დაკავშირებული, მოწინავე ქართველობის დაპატიმრებას გამოეხმაურა მითქმა-მოთქმით, სხვადასხვანაირი ხმის გავრცელებით. „განეფინა ყოველგან ხმა, რომელ რავდენნიმე თავადნი დაიჭირესო, ყოველი სული სურვილით კითხულობდა მიზეზსა" — უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას მოგვიანებით შეპყრობილი ბერი ფილადელფოს კიკნაძე[15]. ყველას ქართველი თავად-აზნაურობის დაჭერის ამბავი ეკერა პირზე, შეიქმნა ამის ირგვლივ „ხალხში განუსჯელი ხმების დაყრა", როგორც წერდა თავის გამოცხადებაში მთავარმართებელი ბარონი გ. ვ. როზენი. ამის ანარეკლს წარმოადგენს გარეკახეთში დაბანაკებული გომბორის სამხედრო ნაწილის უფროსის—პოლკოვნიკ ცებრიკოვის პატაკი. იგი 1832 წ. 21 დეკემბერს მოახსენებდა ბარონ როზენს:

„... ბომბარდირმა ვასილიევმა სოფ. ხაშმის წისქვილიდან დაბრუნებისას განმიცხადა შეთქმულების ამბავიო, რომ საქართველოს სოფლებს აზრად ჰქონდათ აჯანყებულიყვნენ, რათა რუსის ჯარი ნაწილობრივ ამოეჟლიტათ, ნაწილობრივ კი საქართველოდან გაეძევებინათო"[16].

---

[13] S 1659- ა, გვ. 146—147.

[14] პუპლიას სიტყვით, მას „ვალად დასდეს რევოლუციის ბაირახი შეეკერა" (1832 წ. შეთქმულება გვ. 84), ხოლო პეტრე უმიკაშვილის მოწმობით, ეკატერინე მოწინავე ქალი იყო და საზოგადო საქმეებში აქტიურად მონაწილეობდა შემდეგაც, ქმრის მხარდამხარ (ნეკროლოგი, „დროება„, 1873 წ. 14 დეკ., № 73). იგი დაასაფლავეს 11 დეკ. სიონში ქმრის გვერდით. ამრიგად მცდარია მარკოზ ტყემალაძის საეპიტაფიო ცნობა, თითქოს ეკატერინე გარდაცვლილიყოს 1870 წელს (Сионский собор, Тифл., 1904, с. 105, № 45), გარდაიცვალა კი 1873 წ. დეკემბერს.

[15] 1832 წ. შეთქმულება, გვ. 347.

[16] იქვე, გვ. 82-83.

ცებრიკოვის აღნიშნული ცნობა, რასაკვირველია, მოწმობს მარტო იმას, თუ თბილისის მახლობელ სოფლებში რა გამოძახილი ჰქონია ქართველობის დაპატიმრებას და არა „შეთქმულთა ფართე სამზადისს“, როგორც ფიქრობს პროფ. გ. გოზალიშვილი[17].

უეჭველია, სწორედ ამგვარი მითქმა-ძოთქმა, სინამდვილეს დაცილებული და გადაჭარბებული, როგორც ეს ჩვეულებრივაა ხოლმე, იყო იმის მიზეზი, რომ მთავარმართებელმა როზენმა 1833 წ. 17 იანვრის უწინარეს გამოსცა „განცხადება საყოველთაოდ საქართველოს შინა საცნობელად“, სადაც იგი აღიარებდა:

„საპყრობილესა ქვეშე დაჭერამ რაოდენთამე კაცთმან მისცა მიზეზი ხალხში განუსჯელი ხმების დაყრისა. ამგვართა ხმების დამყრელთა პირველად როგორსამე ეჭვში შეჰყავნდათ სუსტი გონების მქონენი. მე უკმაყოფილებით ვჰსცან უსიამოვნო მოქმედება მათზედ ამ ხმების დაყრისა“.

უკრძალავდა რა ხმების მოფენას, როზენი იმუქრებოდა: „უკეთუ კვალად გავრცელდება განუსჯელი ხმები, დამნაშავენი მიეცემიან სასტიკისა პატიჟისადმი“[18].

შეთქმულების გამომჟღავნებასა და შეთქმულთა დაპატიმრებას რეზონანსი ჰქონდა არა მარტო ქალაქსა და მის ახლო-მახლო სოფლებში, არამედ შორეულ რუსეთში გახიზნულ ქართველობაშიც. პუპლიას მეუღლის „შეძრწუნება“ შეიგრძნო პეტერბურგის ქართველმა კოლონიამაც. ამას მკაფიოდ გვიჩვენებს ბერი იონა ხელაშვილი, ერთ-ერთი მთავარი შეთქმულის — სოლომონ დოდაშვილის — მოამაგე და აღმზრდელი. აი ეს პირი თავის „რონინში“ 1833 წ. სექტემბერს, ე. ი. შეთქმულების გამომჟღავნების მეცხრემეათე თვეს, წერს სხვათა შორის:

„ჰვსტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს, რომელსა განუზრახავს ბოროტნი დიდნი... უფალო! ნამდვილ მოეკვეთების სახედ განხმელისა ხისა ხენეშისა განკვეთად ორგანვე ცხოვრებასა... ვჰსტირ და ვგოდებ ღამეთა შინა, უუმეტეს რომლისა სახელისა ხსენებაცა საძაგელ იქმნა წმიდა მმართებელთაგან... რომლისა ძველად მეცნავნი კნინლა და განვილიენით, რამეთუ საშინელ არს შევრდომა ცოდვილისა...“[19].

---

[17] იქვე, გვ. 82.

[18] ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. 1, თბ., 1941, გვ. 100, № 166. ეს „განცხადება“ გამოიცა 1833 წ. 17 იანვარზე ადრე, რადგან ამ დღეს როზენი სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს მოახსენებდა ამ „განცხადებათა“ გავრცელებას.

[19] ი. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, რონინი, გვ. 109, S —288, გვ. 96—97.

ავხსნათ ქარაგმები რიტორიკით დანისლულს იონა ბერის აზრს. იგი მეტად საგულისხმოა. იონა შეძრწუნებულია სოლ. დოდაშვილის დაპატიმრებით. მას განუზრახავს დიდი ბოროტი საქმე. და ამიტომ უეჭველად მოელის სიკვდილი სააქაოსაც და საიქიოსაც („ნამდვილ მოეკვეთების სახედ განხმელისა ხისა ხენეშისა განკვეთად ორგანვე ცხოვრებასა"), როგორც გამხმარსა და უვარგის ხეს ისე. უეჭველად, მოჰკვეთენ. მაგრამ ზემორე ფრაზაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია ორი რამ: ერთი ის, რომ დოდაშვილის სახელის გაგონებაც კი სძაგთ „წმიდა მმართებელთ", პირველ რიგში ალბათ იმპერატორს; მეორე კიდევ — და ამ ჯერობაზე ესაა მნიშვნელოვანი — ის, რომ დოდაშვილის ძველი ნაცნობნი თითქმის შიშით დავილიენითო („რომლისა ძველად მეცნავნი კნინღა და განვილიენით"), რადგან დიდი დანაშაულია მთავრობის წინაშე ბოროტმოქმედი ადამიანის შევრდომა, თავის დროზე მფარველობა, დახმარება, რომელსაც ვუწევდით მე, იონა, და სხვებიო... აშკარაა, პეტერბურგელი თვისტომნი თბილელი ქართველობის შეთქმულების გამომჟღავნებას საფუძვლიანად შეუფიქრიანებია, რეზონანსი არც იქ ჰქონია ნაკლები.

4

ხელაშვილის „რონინი" საინტერესო დოკუმენტია 1832 წ. შეთქმულების ისტორიის თვალსაზრისით. იგი თამამად შეიძლება დავუკავშიროთ ჩვენ თემას, რამდენადაც გვიხსნის შეთქმულების მომდევნო დროის ვითარებას, ქართველობის სულიერ განწყობილებას. იონამ უკვე იცის შეპყრობილთა მძიმე ხვედრი, მათი სულმოკლეობა და ეს მას გულს უწყლავს:

„ესერა მეათე თთვენი არიან[20] რომელნი კნინღა და დადგნენ... სასტიკთა ტანჯვათაგან ზარტეხილნი გონებაშერევნილ იქმნენ, მძაფრიად შესლბობილნი (არეულნი, დაბნეულნი.—მ. ბ.), რომელნიცა მსგავსად ჭურისა, ნახევარმკვდარნი გამოხმობენ მრავალთა მიმართ ცილისწამებასა... შინა განმცემელ იქმნებიან... გონებაშერევნილთა მათ პყრობილთა იწყეს შინა განცემა" — გვაუწყებს გულმტკივნეულად იონა[21].

---

[20] სწორედ ამ ინდიციის მიხედვით „რონინს" ვათარიღებთ 1833 წ. სექტემბერ-ოქტომბრით.

[21] ი. ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, რონინი, გვ. 111—112.

უეჭველია ეს სულმოკლეობის ფაქტი ჰქონდა მხედველობაში ჩვენს პოეტს ილია ჭავჭავაძეს, როცა თავის ლექსში „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ ულმობლად წერდა:

მერე როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყდიეს, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ფერმიხდილნი ბეზღობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით[22]

„შინა განცემასა“ და „ბეზღობაზე“ ლაპარაკი, რასაკვირველია, საფუძვლიანია. ეს უცილობელია ყველასთვის, ვინც იცნობს საგამომძიებლო მასალას, თუნდაც იმ ნაწილს, გ. გოზალიშვილმა რომ გამოაქვეყნა ცალკე წიგნად. კონკრეტულად კმარა დავასახელოთ ლუარსაბ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლისძმა. იგი პირში წაადგა თავის სიძეს და კომისიაში უმტკიცებდა — შენ „ბეზღობაზე“ ლაპარაკობდი და არა „ვოზმუშჩენნიეზეო“ და შემდეგაც, როცა ალ. ჭავჭავაძე ცდილობს ცოლისძმის მხილება გააქარწყლოს და იგი გულისხმაში ჩააგდოს, ლუარსაბ ორბელიანი მაინც აცხადებს: „...ღენერალ ჭავჭავაძეზედ არც ერთი სიტყვა ტყუილი არ არის და სწორეთაც მიჩვენებია კომისიისათვის და არც ჩემს სიძეს ტყუილს მოუგონებ და არც ვარ ტყუილის თქმას ჩვეული“[23]. მაგრამ უფრო საგულისხმო ისაა, რომ „შინა განცემის“ ფაქტს ვერ მალავს ერთ-ერთი მთავარი შეთქმულიც, პუპლია ორბელიანი. იგი, ორენბურგში გადასახლებისას, 1835 წელს იგონებს რა გარდასრულ დროთა ამბებს, სხვათა შორის წერს შემდეგ მნიშვნელოვან სიტყვებს, რაც მერე წაუშლია, ხოლო ჩვენ მიერ ამოკითხულია:

„მინამ ღენერალი ჩევკინი მოვიდა კომისიის პრედსედატელათ, მანამდისინ ნაჩალნიკ შტაბი ღენერალი ვალხოვსკი სულს მართმევდა და რასაც იასე ეუბნებოდა, ძალადატანებით იმას მაწერინებდა. მეტი ღონე არ იყო, მეც თავი დავისუსტე და რასაც მეუბნებოდა, მეც იმასა ვწერდი. როდისაც ღენერალი ჩევკინი მოვიდა, იმასთანაც შემასმინეს; ამანაც ძალა დამატანა და რაც უნდოდათ კიდევ

---

[22] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, „ქართული წიგნის“ გამოცემა, ტ. 1, 1925, გვ. 102.

[23] 1832 წ. შეთქმულება, გვ. 491.

K 215.978
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მათქმევინეს [ამაში მე ჩემთვისა ვთქვი „მეტი ღონე არ არის ვიტყვი, მაგრამ როდისაც ჩემზე ეს საშინელება დაწყნარდება, მაშინ მე ვიცი როგორც გავამართლებ ყველას და ან როგორ გამოვიხსნი“ რაღა უნდა ვთქო] (მაგრამ იპრიანა ღმერთმა... და რაც სულ რომ ამომჭურეს და აღარა იყო რა სათქმელი მაშინ ჩემკენ) რაც უნდოდათ მათქმევინეს, მასკვან ჩემს მხარეზე დატრიალდა ღენერალი ჩევკინი. ამისთვის რომ ყიზილბაშის პახოტში გავიცან და მახლობლად ვცნობდი. ღ´თ შეწევნით ამ საქმემ გასჭრა, და შდ´გ მე ვიდღესასწაულე იასე ფალავანდოვზე და ღვთის სამართლის ვაება დასცა იმის თავზე იასე ფალავანდოვს პრედსედატელმა ღენერალმა ჩევკინმა“[24].

ორბელიანის გულუბრყვილო წარმოდგენით, ვოლხოვსკი იასე ფალავანდიშვილის მხარეზეა, ჩევკინი კი მას ესარჩლება, მაშინ როდესაც ვოლხოვსკიც და ჩევკინიც ასეთი მოჩვენებითი მიდგომ-მოდგომით მხოლოდ არკვევდნენ შეთქმულების დეტალებს. ეს ფაქტია. მერე მიდგომა მას მერე, რაც ყველაფერი ათქმევინეს (მივაქციოთ ყურადღება წაშლილ სიტყვებს: „რაც სულ რომ ამომჭურეს და აღარა იყო რა სათქმელი“), მიდგომა იმიტომ, რომ პუპლიამ ჩევკინი ყიზილბაშის „პახოტში“ გაიცნო და მახლობლად სცნობდა, დიდი გულუბრყვილობაა ორბელიანის მხრივ! არანაკლები მეამიტობაა იმის თქმაც, ვოლხოვსკი რასაც მეუბნებოდა, მეც იმასა ვწერდიო, ან კიდევ: რაც უნდოდათ კიდევ მათქმევინესო. უფრო მეტი გულუბრყვილობა კი ისაა, რომ პუპლიას ყოველივე ეს ჩაუდენია იმ აზრით, რომ „როდესაც ჩემზე ეს საშინელება დაწყნარდება, მაშინ მე ვიცი როგორც გავამართლებ ყველას და ან როგორც გამოვიხსნიო“. ერთი სიტყვით, ზემორე ციტატიდან ცხადია, რომ ორი მთავარი შეთქმული „ბეზღობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა“, ილიას მოსწრებული თქმისა არ იყოს.

თუ კი ორენბურგში ყოფნისასაც მოგონებათა წერის ჟამს ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი ასე მსჯელობდა ჩევკინზე და მას თავის მომხრედ და კეთილმოსურნედ სახავდა, არავითარი საბუთი არა გვაქვს გულწრფელად და ალალმართლად არ მივიჩნიოთ მისივე დღემდე შემონახული, ქაღალდის ფარატინაზე ფანქრით დაწერილი, ერთი წერილი, თუმცა სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა

---

[24] S—1659 ა, გვ. 157. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აშიაზეა ჩამატებული, ხოლო მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული თვითონ პუპლიას გადახაზულია.

გვეფიქრა, რომ წერილი შინაურების გასამხნევებლადაა დაწერილი. დოკუმენტი მნიშვნელოვანია კვლავ მისი ავტორის გულუბრყვილობისა და პოლიტიკური უსუსურობის ცხადსაყოფად და ამიტომ თითქმის მთლად მოგვყავს:

„კატინო! — ხედავ სოფელს, აქამდისინ ერთი საათი ვერ გამეძლო უშენოთ, და დღეს ათი თვე შესრულდა, რომ ჩემს მხედველობას არ უნახავს ჩემი მაცოცხლებელი შენი თვალები, — ახლა ეს არის დედა ბატონიშვილის წიგნი მამივიდა, და ძალუა ბარბარესი, — კატინო, რათ აჩვენე ბატონიშვილს წიგნი, შე[ნ]მა გაზრდამ შეშაშინებლათ მოგწერე ვითომც წამიყვანენ მეთქი, შენ ნუ მამიკვდები, ჯერ კი არ მინდ[ოდ]ა მეთქო, მე ამ ექვსის თვის წინათ უფრო ადრე ვიცი რომ ჩვენ სამნი ძმანი აქ დავრჩებით, მე სხვებისას ვერას ვიტყვი. — ახლა ცხადათ ვხედავ რომ ღ˜თი დიდათ მწყალობს, გეთაყვა, შენც მას ესავდე. მე ღენერალს ჩევკინს მინამ ცოცხალი ვარ მე ის არ დამავიწყდება ან ჩვენ სამ ძმისთვის, და ან ჩვენის სრულის ოჯახისთვის მერწმუნე ის არ მოსულ[იყ]ო, ახლა, ასე ვიტყვი, სულ ოჯახიანათ დავიღუპებოდით. ღ˜თი როცა გამამიხსნის, მაშინ ჩემის პირით სცნობთ მის ჩევკინის ჩვენზე კეთილს...“[25].

თუ ორბელიანები (ლუარსაბ, პუპლია თუ ვახტანგი, რომელსაც აქ მხოლოდ აღვნიშნავთ) და სხვანი გულწრფელად აღიარებდნენ ნალაპარაკევსა, გაგონილსა და ჩადენილს, ანუ იონა ხელაშვილის მაგარი სიტყვით „შინა განმცემლობდნენ“, ვითარების სისრულისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ შეთქმულთა შორის იყვნენ მედგარნიც. ესენი არა თუ სხვისას არ აცხადებდნენ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, არამედ საკუთარ მოქმედებასაც უარჰყოფდნენ. ვილაპარაკოთ ფაქტებით. სოლომონ დოდაშვილს სხვა მამხილებელ საბუთებს შორის უპოვნეს ფილადელფოს კიკნაძის შეთხზული ნაწერი „აქტი გონივრული“. ამის გამო პირველ დაკითხვისას, 1833 წ. 2 იანვარს, ის კომისიას უჩვენებს: „აქტი მე არ წამიკითხავს, არავის იგი ჩემთვის არ მოუციაო“[26]. რა თქმა უნდა, დაუჯერებელი და წარმოუდგენელია არავითარი ინტერესი არ გამოეჩინა ამ „აქტი გონივრული“-სადმი ისეთს მწიგნობარსა და თანაც შეთქმულების

[25] ლიტ. მუზეუმის სახელნაწერო ფონდი, ინვ. № 565, რიგით № 171. ეს უთარიღო წერილი, როგორც ტექსტიდან ჩანს, დაწერილია დაპატიმრების 10 თვის თავზე ანუ 1833 წ. II—12 ოქტ. ე. ი. როცა გამოძიება დამთავრებული იყო და მთელი საქმე იმპერატორს გაეგზავნა უკვე.

[26] რვ. III, გვ. 330.

აქტიურ წევრს, როგორიც დოდაშვილი იყო, რომელიც მასპინძლობისას ვახშმის სამზადისშიაც კი წიგნს კითხულობდა სუფრაზე სტუმრებთან[27]. მერე: „აქტი“ არავის მიუცია, მის ბინაზე კი გაჩნდა! ორი დღის მერე, იანვრის 4-ს, გიორგი დავითის ძე ერისთავი უჩვენებს: „აქტი დოდაევმა მთხოვა და მას გადავეცი“[28]. ასე მხილებული სოლ. დოდაშვილი მაინც არ ტყდება: მართალია გამოვართვი, მაგრამ მარტო ერთი სიტყვა — წინასიტყვაობა — წავიკითხე და არც ვიცოდი რომ იგი ფილადელფოსის შეთხზულია და მას აქტი ეწოდებოდა ანდა რა შინაარსისაა[29]. მეორე ფაქტი დოდაშვილის სიმედგრისა: 1832 წ. 19 დეკემბერს იგი უჩვენებს კომისიას: „ელიზბარ ერისთავმა და ალექსანდრე ორბელიანმა ჩემთან მოსვლისას განმიცხადეს — გვინდა ხელმწიფეს ვთხოვოთ ვიყვნეთ წინანდებურად მანიფესტის თანახმადო, მე სრულიად არ წამიკითხავს მანიფესტი და დღემდე არც კი ვიცი, რა სწერია შიგ“[30]. დაუჯერებელია: ყველა შეთქმულს პირზე მანიფესტი აკერია, დიმიტრი ერისთავი შენიშვნებს წერს მასზე, ხოლო ტარასი მესხიშვილი სტუმრად მისულ ერისთავებს წიგნს გადმოუღებს, გამოარჩევს საჭირო საბუთს და ვითომ უმტკიცებს — გიორგი მეფემ თვითონ გადასცა საქართველო რუსეთსო[31], დოდაშვილს კი იგი არ წაუკითხავს, შინაარსიც კი მისთვის უცნობია! პუპლიას ჩვენება არკვევს საწინააღმდეგოს: „ელიზბარმა თქვა — მაშ ხელმწიფე თავის მანიფესტს რატო არ აღასრულებს 1801 წ.-სასაო. მასკვან სოლომონ წამოხტა და თქო — ეს რუსები უღმერთონი და შეუწყალობელნი არიანო, რას გვემართლებიან, რომ ჩვენ ასე დაჩაგრული ვყავართო“[32]. ამიტომაც იყო, რომ ხელისუფლებამ დოდაშვილი სცნო ყველაზე უფრო გულჩახვეულ და ფრთხილ ადამიანად[33], და ისიც მოახსენა პეტერბურგის მთავრობას, რომ დოდაშვილი სასამართლოს მოხერხებულად უჩვენებდა, თითქოს ის გაერია არა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში, არამედ დაწესებულებათა საწინააღმდეგო შეთქმულებაშიო[34].

---

[27] რვ. 1, გვ. 17—24, § 2, გ. გოზალიშვილის გამოცემით გვ. 146, „სუფრაზე“ გამოტოვებულია.

[28] 1832 წ. შეთქმულება, გვ. 248.

[29] რვ. III, 508-511.

[30] რვ. II, 158-163.

[31] რვ. VII, 1212.

[32] 1832 წ. შეთქმულება, გვ. 202.

[33] АКАК, VIII, с. 400.

[34] АКАК, VIII, с. 415—416.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დიდაშვილისა და კიდევ ორიოდე სხვის სიმედგრეს მდგომარეობას არ სცვლიდა[35]. დიდი უმრავლესობა, როგორც ვთქვით, „შინა განმცემლობდა“.

ასევე სრული უილაჯობის მეტყველია იონა ხელაშვილის პოზიცია ამ ხანებში. მისი ფარი და ხმალი მარტო ლოცვაა, ხოლო ხსნა და იმედი—იმპერატორის „სულგრძელება“. თავის „რონინში“ იგი წერს: „მეუფეო მეუფეთაო! მეფესა ჩვენსა იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძეს მოუვლინე სული შენი სახიერი მონიჭებად პირი ახალი და სიბრძნე, რათამცა მოუტეოს ბრალნი და სიცრუენი გლახაკთა ქართველთა და გამოიყვანოს ძისა შენისა დედისა წილხდომილნი ერნი იგი, შემწყვდეულნი საპყრობილეთა შინა“[36].

ასეთ პირობებში, როცა ქართველობამ ფარხმალი დაჰყარა და იგი შიშმა შეიპყრო, როცა მას იმედი მხოლოდ ჩევკინთა გულშემატკივრობასა და იმპერატორის სულგრძელობა-სიბრძნეზე ჰქონდა დამყარებული, სავსებით ბუნებრივი და გასაგები ხდება ის სრული პროსტრაცია, რამაც მოიცვა მაშინდელი მოწინავე ქართველობის ნება და ენერგია. შიშის ზარი ქრონიკული, მყოვარი გამოდგა. პოეტ აკაკი წერეთლის სიტყვით, 1832 წ. შეთქმულების მთავარი მონაწილეთაგანი — ალექსანდრე ორბელიანი „პოლიტიკაში ნამეტანი ფრთხილი იყო. ბევრი რამ ძველი თუ ახალი იცოდა, მაგრამ დღისით იმასაც არას ეტყოდა, ვისთანაც გულგახსნილად იყო; ღამე, როცა მარტოკა დარჩებოდა მეგობართან, მოჰყვებოდა ხოლმე ხმის კანკალით სხვადასხვა ამბებს, მაგრამ მაშინაც სიფრთხილით სანთლებს აქრობდა!.. „ბნელაში სჯობიაო“. ერთხელ აი რა სთქვა ჩემ გაკვირვებაზე: „ბნელაში საუბარი მიტომ სჯობს, რომ ველარავინ დაგვინახავს და ველარ შეგვიტყობსო!“[37]. აკაკი წერეთელი ალექსანდრე ორბელიანს გაეცნო 1862 წ. ივ. კერესელიძის ბინაზე შეხვედრისას (იხ. აკაკი, ორი შეხვედრა „კვალი“, 1893, № 2). პოეტის გადმონაცემი ნათლად გვიჩვენებს, რამდენად ზარდაცემული იყო ერთ-ერთი თვალსაჩინო შეთქმული 1860-იან წლებშიც კი (რა დროსაც ეკუთვნის წერილის ავტორის ნაცნობო-

---

[35] ასეთნი იყვნენ, მაგ., ივანე ელიზბარის ძე ერისთავი(изъявил упорное «запирательство») ალ. ჭავჭავაძე («явно запирается») ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილები («не сделали сознания»), АКАК, VIII, с. 410—411.

[36] რონინი, გვ. III.

[37] აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1925, გვ. 84.

ბა ალ. ორბელიანთან) და აქედან შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს ამ შეთქმულის და მისთანათა სულიერი ვითარება ოცი წლით ადრე, თუნდაც 1840-იან წლებში, როცა ყაზარმობის განცდანი უფრო ცხოველი და მოუშუშებელი ჰქონდათ და შეთქმულთა დიდი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა. ყაზარმობისას მიღებული ტრავმით აიხსნება ისიც, რომ არც ელიზბარ ერისთავს, არც ვახტანგ ორბელიანს არ ჰყვარებიათ შინაურობაშიც კი მისი გახსენება[38], ხოლო ტარასი არქიმანდრიტს ნიკონ ჯობინაშვილის თანხლებით ყაზარმის გვერდით გავლისას გულიანად გადაუფურთხებია[39]. ამავე ტრავმის შედეგია უთუოდ ისიც, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება ყაზარმელთა მოგონებანი ამ მნიშვნელოვანი მოძრაობის შესახებ, თუ არ ჩავთვლით მშრალად ნაწერს „ყაზარმობას“ დიმიტრი ყიფიანისას, რომელიც შესრულებულია ავტორის მიერ ჟურნალ „რუსკაია სტარინას“ დაკვეთით[40].

ამიტომ 1832 წ. 9—11 დეკემბერი, ჩვენი ყაზარმელების დაპატიმრების დღეები, უნდა მივიჩნიოთ პრივილეგირებული ფენის იმედის გაცრუების თარიღად. ამიერიდან ქართველი თავადაზნაურობის ზედა ფენა დაადგება რუსულ სამეფო ხელისუფლებასთან შეგუების გზას. მამულის სამსახური ან უკეთესი მერმისისათვის ფიქრი და საქმე, თუ კი სადმე გაიკიაფებს, პოლიტიკურ იერს მოკლებულია და აღარა სცილდება კულტურულსა და ნაწილობრივ ეკონომიკურ სფეროს, თანაც იმდენად ლოიალური, ხან კიდევ რეპტილური ფორმით მჟღავნდება, რომ ზოგიერთი ქართველის პროფილი დენაციონალიზაციისა და თითქმის რენეგაციის იერით წარმოესახება ადამიანს. გავიხსენოთ თუნდაც გიორგი მუხრან-ბატონი, ერეკლე II-ის ასულის ქეთევანის შვილი, სენატორი და ტაინი სოვეტნიკი,

---

[38] ელიზბარ ერისთავის ასულმა ელისაბედმა ეს ცნობა სიტყვიერად მოგვაწოდა რასაც მადლობით აღვნიშნავთ, ხოლო ვახტანგ ორბელიანის შესახებ ანალოგიური ყრუ თქმა მოიპოვება მისი ასულის, მარიამ ორბელიანის მოგონებებშიც, რომელნიც ლიტ. მუზეუმში ნაწილობრივად ცალკე ფურცლებზეა დაცული, ამიტომ გვერდს ვერ ვუთითებთ.

[39] კ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ისტორია ფარული საზოგადოებისა, ფილადელფოს ბიკნაძე, თბ., 1919.

[40] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, თბ., 1930, გვ. VI; აგრეთვე გვ. 116—136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც გარდუვალადაც კი დასახა დენაციონალიზაცია და რუსთავლის ენას „მკვდრის სუდარა გადააფარა“.

1832 წ. კატასტროფის შედეგად ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში ერთგვარ „სიცარიელეს“ ვხედავთ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ახალგაზრდა და ენერგიული ძალები გასამართლების შემდეგ მეფის ხელისუფლებამ მიმოფანტა ვრცელი რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. აქ, საქართველოში, დარჩენილი კი ახლა, რეპრესიის შემდეგ, სრულიად დაფრთხა, მით უფრო რომ რეპრესიის სუსხი შეეხო აქაურ არაქართველობასაც. ყველა არაკეთილსაიმედო ელემენტი, სახელდობრ, დეკაბრისტები და გადმოსახლებული პოლონელები გააძევეს თბილისიდან; მოსპეს თბილისში ერთადერთი პერიოდული გამოცემაც—«Тифлисские ведомости» თუმცა იგი არც შინაარსით და არც მიმართულებით არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა ცარიზმის რეჟიმს საქართველოში.

ამ „სიცალიერის“ საუკეთესო მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში 1838 წლამდე ქართულ ენაზე არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა, როგორც ამას გვიჩვენებს წიგნის პალატის მიერ გამოცემული რეგისტრი. რასაკვირველია, მდგომარეობას არ ცვლიდა 1836 წ. მოსკოვში (!) პეტრე კლაპიტანოვის რუსულიდან გადმოკეთებული „მოკლე კარაბადინის“ გამოცემა[41]. ამავე უკაცრიელობას ადასტურებს ისიც, რომ ცენტრიდან მომდინარე წინადადება — თბილისში გაეხსნათ საგუბერნიო ბიბლიოთეკა-სამკითხველო უშედეგოდ დარჩა. რა თქმა უნდა, ეს მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ გაცამტვერებული იყო ადგილობრივი ძალები, რომელნიც, როგორც რუსულ კულტურაზე აღზრდილნი, შეძლებდნენ აქ ბიბლიოთეკის დაარსებას და გაძღოლას. არა, ეს ნაწილობრივ იმასაც მიეწერება, რომ საქართველოს მოსახლეობის ზედა ფენაში, რომელიც უმთავრესად უნდა ყოფილიყო მომავალი ბიბლიოთეკის მკითხველი, რუსულ ენას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საკმაოდ ძირი გადგმული. სწორედ ამას იმიზეზებდა კიდეც მთავარმართებელი როზენი, როცა 1835 წ. 25 ივლისის წინადადებაზე უგზავნიდა პასუხს განათლების მინისტრს უვაროვს[42].

---

[41] ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია ტ. 1, თბ., 1941, გვ. 100, № 168.

[42] АКАК, ტ. VIII, с. 62—63, № 67; ჩვენი წერილი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის, „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941, № 2—3, გვ. 161 — 162.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყაზარმობით (ასე მოვიხსენიოთ 1832 წლის შეთქმულება) გამოწვეულმა პირველმა შიშმა გაიარა და ცარიზმის სუსხმაც თავისი სიმწვავე დაჰკარგა განსაკუთრებით იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასტიკი სასჯელი (მთავარ დამნაშავეთათვის შაყა უნდა ეკრათ) როზენმა შესარბილებლად დაინახა და იმპერატორმაც, მისი წარდგენის თანახმად, „ლმობიერება“ გამოიჩინა.

ქართველობა მადლობის გრძნობით შეგებებია ასეთს „ლმობიერებას“. პუპლია ორბელიანი ამას ასე გადმოგვცემს თავის მოგონებაში: „ამის მეორე დღეს განითქვა მთელს ქალაქში ეს ამბავი, რომლებიცა ყველანი მადლობას ამბობდნენ ხელმწიფე იმპერატორისა, რომ ასე სუბუქად დააბოლოვა ჩვენი საქმე და არაფრათ მიიღო“[43].

ეს „ლმობიერება“, რასაკვირველია, ნიკოლოზ I-ის სულგრძელობით როდი აიხსნება. მასზედ უდავოდ გავლენას ახდენდა მაშინდელი საერთაშორისო ვითარება, პირველ რიგში კი ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ალმაცერად უყურებდა რუსეთის ექსპანსიას მახლობელ აღმოსავლეთში, კერძოდ თურქეთის მიმართ. ამ აზრის საუკეთესო გამომხატველი იყო ცნობილი დავით ურკვარდი, რომელიც 1866 წელსაც კი ყაზარმობის გამო სასტიკად ჰკიცხავდა ცარიზმის მთავრობას, ხოლო ყაზარმელთა გასამართლების ხანებში თავის Portofulio-ს ფურცლებზე ანტირუსულ აზრებს მოურიდებლივ ავრცელებდა.

ნიკოლოზ I-ს ანგარიში უნდა გაეწია უმთავრესად ადგილობრივი, კავკასიაში არსებული, ვითარებისათვის: კავკასიის მთიელი ხალხები რელიგიურ ნიადაგზე ერთიანდებიან, რუსებს, რომელთაც ისინი გიაურებს უწოდებენ, საღვთო ომს („ჰაზავათს“) უცხადებენ, იმამს გაიჩენენ. ჯერ მოლა-მაჰომედი, მერე ყაზი-მოლა, გამზათ-ბეგი და, ბოლოს, შამილი საკმაოდ ურთულებენ მდგომარეობას მეფის ჯარებს, ბერჯეს სიტყვით, მიურიდიზმი საბოლოოდ იღებს პოლიტიკურ ხასიათს[44]. აშკარაა, ასეთს პირობებში ნიკოლოზ I „ლმობიერი“ უნდა ყოფილიყო ქართველი თავადაზნაურობისადმი, რომ მათი ხელით ნარი ეგლიჯა სა-

---

[43] S-1659 ა. გვ. 4.

[44] AKAK, VIII, C. V.

ჩაჩნო-დაღესტანში. ამას უკარნახებდა უბრალო კეთილგონიერება და მომენტი, ინგლის-საფრანგეთთან ურთიერთობით დამძიმებული. ამიტომაცაა, რომ ყაზარმობის საგამომძიებლო კომისიის მესვეური კუზიანი გენერალი კონსტანტინე ვლადიმერის ძე ჩევკინი (1802—1875), გამოძიების დამთავრების შემდეგ სამთამადნო ინჟინერთა კორპუსის შტაბის უფროსად დანიშნული, 1834 წ. დამდეგს ,იმავე წლის 2 თებერვალს გულნაკლულად სწერს თბილისში თავის მოსაგრეს (საგამომძიებლო კომისიის წევრს) გენერალ ვლადიმერ დიმიტრის ძე ვოლხოვსკის (1798—1841): „ჩვენი ძიების შესახებ ვერაფერს კარგს ვერ ვიტყვი. ის უკვე კარგა ხნის დავიწყებულია და, რაც უფრო სავალალოა, მასთან ერთად დავიწყებულია ის შრომაც, ამდენი ხალხი რომ ახმარდა ამ საქმეს..“[45].

ნიკოლოზ I, რომლის ცბიერმა ქცევა-სიტყვამ არა ერთ დეკაბრისტს გადააშლევინა გული მის წინაშე — ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია — ქართველ შეთქმულთა მიმართაც ოსტატურად იჩენს „ლმობიერებას“. ასე რომ თბილისში ხმებიც კი დაირხა, თითქოს შეთქმულთ სასტიკად და უსამართლოდ ადგილობრივი ხელისუფლება ეპყრობოდა და არა ცენტრისა. ეს ხმები, უნდა ითქვას, მთლად არ იყო საფუძველს მოკლებული ზოგიერთის მიმართ მაინც, აი თუნდაც თეკლე ბატონიშვილის მიმართ.

თეკლეს, ერეკლე მეფის საყვარელ ასულს და სამი შეთქმული ორბელიანის — ალექსანდრეს, დიმიტრის და ვახტანგის — დედას, რომელიც საგამომძიებლო კომისიის მიერ მეშვიდე ჯგუფის დამნაშავედ იყო ცნობილი („ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, ოღონდ არ იზიარებდა“), როზენმა გადაუწყვიტა ისეთივე სასჯელი, რაც გათვალისწინებული ჰქონდა მესამე ჯგუფის დამნაშავეს („ვინც აქტიურად მოქმედებდა შეთქმულებაში და აჯანყების თანახმა იყო“) — თამარ იულონის ასულს, თეკლეს ძმისწულს. ეს სასჯელი იყო გადასახლება. თანასწორი დასჯა მძიმე და ნაკლები დამნაშავისა, მეშვიდე და მესამე კატეგორიის დამნაშავეთა გათანაბრება ხალხის თვალში უკვე წარმოადგენდა სისასტიკესა და უსამართლობას. როზენის უსამართლობა თეკლეს მიმართ უფრო თვალსაჩინო შეიქნა მას მერე, როცა მესამე კატეგორიის დამნაშავე თამარ იულონის ასული თბილისშივე დასტოვა, რა თქმა უნდა, იმპერატორის დასტურით, მეშვიდე კატეგორიის დამნაშავე თეკლე ბატონიშვილი კი მაინც გადაასახლა, თუმცა მის დატოვე-

[45] ხელნაწერთა ინსტიტუტი, H 41, გვ. 91.

ბაზეც იყო იმპერატორის თანხმობა. ვერ უშველა თეკლეს ვერც იმან, რომ მისმა ქმარმა 1812 წ. აჯანყებულ კახელებს შეაკლა თავი, და ვერც დიდმა „საჩუქრებმა“, როზენის ცოლს რომ უგზავნიდა[46].

მაინც რატომ მოექცა როზენი ასე სასტიკად თეკლე ბატონიშვილს? — ეს კითხვა მთლად ნათელი არაა. რადგან იმპერატორმა მის შეხედულებაზე მიაგდო საქმე, ფორმალურად როზენს უფლება ჰქონდა თეკლე გადაესახლებინა ან დაეტოვებინა. მაგრამ მან გადასახლება ამჯობინა და მეფის წინაშე რომ ბრალეული არ დარჩენილიყო, ორი რამ მოიმიზეზა თავისი მოქმედების ასახსნელად. ერთი ის, რომ იმპერატორის ნებართვამ 2 აგვისტოსამ თეკლეს ვერ ჩამოუსწრო, რადგან 21 აგვისტოს უკვე გაემგზავრა კალუგაში აქედანო. როზენის მეორე რეზონი თეკლეს გადასახლებისთვის უფრო წრფელი და ნამდვილი გვეჩვენება: რომ დამეტოვებინა თეკლე, ხალხი მითქმა-მოთქმას დაიწყებდა ადგილობრივ ხელისუფლებაზეო. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ ნამდვილი მიზეზი თეკლეს გადასახლებისა. მართლაც, ჯერ თავისი ნებით ავადმყოფობის გამო თეკლე დასტოვა თბილისში, მერე კი მაინც გადაასახლა, ალარ დააცალა პასუხი — ავი თუ კარგი — მოსვლოდა თხოვნაზე. მაგრამ იქნებ როზენმა არ იცოდა თხოვნის გაგზავნის ამბავი? ეს შეუძლებელია. თხოვნის გაგზავნას თეკლე არ დაუმალავდა როზენს, რადგან ამას პირდაპირ მოითხოვდა მისი ინტერესი. ვთქვათ კიდეც, რომ თეკლემ არ გაუმხილა ეს. როზენი ამ ამბავს მაინც შეიტყობდა ცნობილ „რაამბავისტების“ წყალობით მაინც.

უნდა ითქვას, რომ წარსული საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ პრესა ძირს მოიდგამდა და ცნობისმოყვარე მოსახლეობა „გაზეთში ჩაგდებული“ ამბებით დაიწყებდა საზრდოობას, თბილისში „საზოგადოებრივი აზრი“ იქედებოდა ადრითგანვე ეგრეთწოდებულ „სალაყბოზე“, რომელიც მდებარეობდა ბატონის მოედანზე (შემდეგ 1828 წლიდან ამას ერქვა გუბერნატორის მოედანი, უფრო გვიან კი — ეგზარქოსისა, ხოლო ამჟამად მას ერეკლე II-ს სახელი აქვს შერქმეული). აქ განაგონ ხმებს ყურს მიუპყრობდნენ ხოლმე მომავალი ხელისუფალნი. ჯერ კიდევ 1800 წ. 4 აგვისტოს, როცა გიორგი XIII ისევ ცოცხალი იყო, რუსის ჯარის გენერალი ლაზარევი კნორინგს მოახსენებდა: „მე მხოლოდ შემი-

---

[46] ამას აღნიშნავს თავის მოგონებებში თეკლეს შვილიშვილი—მარიამ ვახტანგის ასული ორბელიანი.

ძლია გადმოგცეთ ის ხმები, ხალხში რომ დადის, რადგან მე საქმეებს ჩამოშორებული ვარ და თუ ვიცი რამე, ეს რამდენიმე ჩემი მომხრე ქართველისაგან"[47]. იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრიობის ამ დამახასიათებელ აქსესუარს საინტერესოდ გვამცნობს არნოლდ ლევის ძე ზისერმანი (1824—1897). ეს იყო ჯერ მოხელე, მერე ოფიცერი, რომელმაც კავკასიაში დაჰყო 25 წელიწადი (1842—1867), ისწავლა სხვათა შორის ქართულიც და დატოვა ორ ტომად თავისი მოგონებანი. სალაყბოზე, რომლის ადგილმდებარეობას რატომღაც ერევნის მოედანზე უჩვენებს, იგი შემდეგსა წერს:

„ადგილობრივ მკვიდრ მოხელეებთან მაშინ ჩვენ (ჩამოსულ რუსებს) არაფერი გვქონდა საერთო; იმათ თავიანთი ჩვეულები აქვთ, თავიანთი მოთხოვნილებანი, სწრაფვა-მიდრეკილებანი სხვათა შორის ახალ-ახალ ამბებისა და ჭორებისადმი. ორი ქართველი ერთმანეთს რომ შეხვდება, ყოველთვის პირველი კითხვაა: რა ამბავია? ორი სომხის შეხვედრისას: ინჩ ხაბარე? ორი თათრისას: ნა-ხაბარ? (რაა ახალი?) უამისოდ მასლაათი არ გაიბმება. ახალი მთავარმართებლის, გენერალ ნეიდჰარტის, დანიშვნა, მისი სასტიკი განკარგულებანი, ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ რომ იყო მიმართული, 1843 წ. ბედუკულმართი სამხედრო მოქმედება უხვ საზრდოს აძლევდა ყველა „ამბავისტს"; მათი საღამოობით თავმოყრის მუდმივი ადგილი — ერევნის მოედანზე ძელების გროვა — საღამოს 7—8 საათისათვის ნაირფეროვან სურათს წარმოადგენდა: ყველა მხრით ხედავ ჯგუფ-ჯგუფად მდგომებს, ჭრელ ტანისამოსში გამოწყობილთ, რომელნიც კრიალოსნებს მარცვლავენ და თანაც ნელი ხმით ახალ ამბებს ჰყვებიან. მათთვის საიდუმლოება არ არსებობდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, რა საქმეც არ წამოჭრილიყო, საკმარისი იყო მოედანზე გასულიყავ და, თუ ადგილობრივი ენა იცოდი, ყველაფრის გაგებას მოახერხებდი, რასაკვირველია, ხშირად დამახინჯებულს, გაზვიადებულს, გარნა მეტწილად ოდნავ მაინც მართალს. ამ ხაბარების გამო თბილისში გასართობ ანეგდოტებსაც ჰყვებოდნენ. ასე მაგალითად, შუათანა მდგომარეობის ერთ-ერთი მოხელე დიდხანს ელოდა დაპირებულ ადგილს და, როგორც იტყვიან, ნემსებზე ძლივს იჯდა. ერთ თავის ნაცნობ ძველ მკვიდრთან შეხვედრისას მან გაუმხილა თავისი არასასიამოვნო მდგომარეობა, ამან კი ხუმრობა გაშვებით ურჩია — სანდო კაცი გაგზავნე საღამოთი ერევნის

[47] АКАК, I, с 124, № 35.

მოედანზეო. და მართლაც: გაგზავნილი საღამოთი დაბრუნებამ-
ბით — მოედანზე ჰყვებოდნენო, რომ მავანმა და მავანმა ესა და
ეს ადგილი მიიღოო, ხოლო მეორე დღეს ოფიციალური ქაღალ-
დიც გაჩნდა. ასევე, გრაფ ჩერნიშოვის აქედან წასვლის მერე მალე.
ამბავისტები უკვე ლაყბობდნენ, რომ გენერალი გოლოვინი, კავ-
კასიის მთავარმართებელი, გადაყენებული იქნებაო; და მარ-
თლაც, ხუთ თვეზე მეტი არ იყო გასული, რომ ცნობილი შეიქნა
გენერალ ნეიდჰარტის დანიშვნა", — დასძენს ზისერმანი[48]. მსგავს
ფაქტს გადმოგვცემს გრიგოლ ორბელიანიც: „საკურველი იყო,
რომ მანამ სწორე ამბავი მოვიდა, მთელი ქალაქი ყვიროდა,
რომ ღრაბე ოტრიადით დაიკარგაო. ამ ამბავმა მოაღწია ნაჩალნიკ
შტაბამდის, რომელმანაცა ჯერ არ იცოდა რა"[49].

ასე რომ ჩვენ ეჭვის არა გვაქვს იმისი, რომ როზენმა ასე თუ ისე
უთუოდ იცოდა თეკლეს თხოვნის გაგზავნის ამბავი და მაინც პასუ-
ხის მიღებამდე იგი გადაასახლა, უეჭველია, მითქმა-მოთქმის რი-
დით. ეს ნათლად გამოსჭვივის მისი რელაციის მეორე ნაწილიდან,
სადაც იგი დაუფარავად, თუმც მორიდებით, ამჟღავნებს თავის ნა-
მდვილ გულისნადებს: „უკეთუ ხელმწიფე იმპერატორი ინებებს
ამ მეფის ასულს აღმოეჩინოს ნათხოვნი მოწყალება, ვფიქრობ,
უფრო შესაბამისი იქნება ამის შესრულება მაშინ, როცა ის უკვე
რამოდენიმე ხანს დაჰყოფს რუსეთში; ახლა კი მის მოულოდნელ
დაბრუნებას მიაწერენ არა ხელმწიფე იმპერატორის მოწყალებას,
არამედ ჩასთვლიან — მხოლოდ და მარტო სამართლიანობა მიეზღო
აქაური მთავრობის შეუსაბამო მოხსენების წყალობით უდანაშაუ-
ლოდ გადასახლებულსო — და, უეჭველია, მრავალი აქ ამ შემთხვე-
ვას ხელზე დაიხვევს და ხმას დაჰყრის — დანარჩენებიც, ვინც დაი-
საჯა, უდანაშაულონი არიანო, როგორც ეს მოხდა აქედან ტამბოვ-
ში საცხოვრებლად გადასახლებულ გენერალ-მაიორის თავ. ჭავჭა-
ვაძის ს.-პეტერბურგში ჩამოსვლის შემთხვევაში. მოვიდა თუ არა
ამის ცნობა, აქ გავრცელდა ხმები, რომ ეს გენერალი მისმა იმპე-
რატორობითმა უდიდებულესობამ განსაკუთრებული კეთილმო-
წყალებით მიიღო, მიიწვია საიმპერატორო სუფრაზე და ხელმწიფე
იმპერატორმა ისიც კი სთხოვა — ყოველივე წარსული დაივიწყეო.

---

[48] А. Л. Зиссерман, 25 лет на Кавказе, ч. 1-ая, 1842—1851, СПб., 1879, с. 19.

[49] გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. 1, აკ. გაწერელიას რედაქციით, გვ. 61—62; წერილი ზაქარია ორბელიანისადმი 1842 წ. 4 ივლისს თარიღით.

ამის შედეგად არა თუ ქართველებმა, რუსებმაც კი დაიწყეს ლაპარაკი, თითქოს თავ. შარვაშიძე აქედან უსამართლოდ იქმნა გაძევებული და ს.-პეტერბურგში თავისი საქმეების მოგვარების მერე თბილისში დაბრუნდებაო"[50].

როზენის ზემორე რელაცია, 1834 წ. 30 აგვისტოს თარიღით, არა მარტო გვიჩვენებს თეკლეს გადასახლების ნამდვილ მიზეზს, არამედ იმასაც გვიჩვენებს, რომ ცენტრალური მთავრობა ზოგიერთი შეთქმულის მიმართ მართლაც უფრო ლმობიერი იყო ვიდრე კავკასიისა. ა. ჭავჭავაძე, დიდგავლენიანი პირი საქართველოში, და კონსტანტინე შერვაშიძე, აფხაზეთის მთავრის ღვიძლი ძმა, პეტერბურგში არიან უკვე 1834 წ. აგვისტოში. არც თეკლე ბატონიშვილია დიდად შერისხული ხელმწიფისაგან. მისი შუათანა ვაჟი დიმიტრი, ადრევე გადასახლებული კალუგაში, საითკენაც მიემართებოდა მისი დედა თეკლე ბატონიშვილი უმცროსი ვაჟით ვახტანგითურთ, 3 ოქტომბერს უკვე საიმედო წერილს უგზავნის თავის ძმას ალექსანდრეს (პუპლიას) ორენბურგში: „17-ს სეკტ. აქ მობრძანდა ჯელმწიფე მოსკოვიდან თავის სვიტით. 18-ს მე ვიყავ გრაფ ბენკენდორფთანა და წერილით ვსთხოვე ყოველის ჩვენის სახლის შეწუხება, აგრეთვე ყაფლანიანთ გაყრის საქმე და ჩემის ცოლის ყმისა და მამულისა, რომ იმის მიზეზით ვერ წამოვიდა აქ მეთქი. აგრეთვე ბატონიშვილის ანბავი მკითხა და ძალიან მოწყალებით მიმიღო, დიდხანს მელაპარაკა, მარტო ვიყავით მე და გრაფი, ყველა უანბე, რაც მკითხა. მერმე დიდი იმედი მომცა და მითხრა — ამ წიგნს ეხლავ ჯელმწიფეს ვაჩვენებ და იყავ უეჭველიო, რომ ყოვლის კმაყოფილებას მიიღებო. ღ"თმა ქმნას, მაგრამ ნეტავი ბატონიშვილი აქ ბრძანებულიყო"[51]. ეს წერილი გვიჩვენებს ჟანდარმთა შეფის თავაზიანობა-ყურადღებას როგორც პირადად გადასახლებული დიმიტრი ორბელიანის, ისე მისი დედის — თეკლე ბატონიშვილის — მიმართ.

მართლაც თეკლე ბატონიშვილის წერილი თავის რძალ ეკატერინესადმი (პუპლიას მეუღლისადმი), 1835 წ. 21 თებერვლის თარიღით, გვამცნობს, რომ თეკლეს ნება მისცემია საქართველოში დაბრუნებისა 1834 წ. დამლევსვე. „შენი წიგნი, 3-ს იანვარს დაწერილი, — ესიტყვება რძალს ბატონიშვილი, — თებერვლის 18-ს მივიღე. ჩემის განთავისუფლებისა მოგელოცათ დიდის და მდიდარის

[50] AKAK, VIII, c. 422—423.
[51] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 606.

სიამოვნებით...[52]. ახლა ღ´ით ნულარაზედ იწუხებ. ღ´თი და ჯელმწიფე დიდი მოწყალენი არიან, ღ´ნ უმეტესად ადიდოს ჩვენის ჯელმწიფის სახელი, დიდათ კარგი ხმები მესმის და ბევრი. ღ´ისაგან ვსასოებ სისრულეც მისცეს"[53]. ხოლო ცოტა გვიან, გაზაფხულის დამდეგს, დედამთილი კვლავ სწერს იმავე რძალს: „აპრილი გავა, ღ´ით მეც წამოვალ"[54]. „ახლა კი იცოდე, — ახარებს კალუგელი დიმიტრი ორენბურგელ ძმას პუპლიას თებ. 6-ს, — რომ ბატონიშვილი დაითხოვეს საქართველოში, რომელსაც მოგილოცავ. ახლა ვიცი გიამება: ღთ´სა და ჯელმწიფის მოწყალება იქმნა ჩემზედაც და მეც დამითხოვეს დროებითად, რათა განვაცილო ბატონიშვილი ტფილისამდინ და მერმე უკანვე წამოვიდე აქავ კალუგაში"[55]. ამრიგად, თუმცა ცოტა დაგვიანებით, მაინც რეალობად იქცა ნიკოლოზის „მოწყალება" თეკლე ბატონიშვილზე: 1835 წ. გაზაფხულზე — მაისში — ის უკვე თბილისშია (Sd 2217).

თეკლეს კალუგაში გამგზავრებას, როგორც ნათლად ჩანს როზენის რელაციიდან, წინ უსწრებდა ალექსანდრე ჭავჭავაძის სამეფო კარზე დაბარება საექსორიო ქალაქ ტამბოვიდან.

ამასვე შეიძლება დაუკავშირდეს ერთი ყურადსაღები მომენტი ჩვენი პოეტის ბიოგრაფიიდან: მან პატაკთან ერთად იმპერატორს წარუდგინა 1834 წ. „საქართველოს მოკლე მიმოხილვა 1801-დან 1831 წლამდე", რომლის ქართული თარგმანი გამოსცა პროფ. მიხ. პოლიევქტოვმა[56]. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი ისტორიული ასპექტით ასახელებს იმ მიზეზებს, რომელნიც ასაზრდოებდნენ ქართველობის უკმაყოფილებას ცარიზმის რეჟიმით.

აღსანიშნავია, რომ, ალ. ჭავჭავაძის აზრით, მდგომარეობას გააუმჯობესებდა ვახტანგისეული კანონების ნაცვლად იმპერიის კანონთა შემოღება. ასეა თუ ისე, ჭავჭავაძის გაწვევას მეფესთან თბილისის „ამბავისტების" წრეში მითქმა-მოთქმა გამოუწვევია და გაზვიადებული ხმებიც კი გასულა საქართველოს გარეთ. ამ

---

[52] კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის ცნობა, რომ თეკლეს კალუგიდან საქართველოში დაბრუნების ნება 1835 წ. მიეცა (VIII, 412 გვ. შენიშვნა) არაა ზუსტი: 1835 წ. 3 იანვარს თბილისიდან უკვე ულოცავენ განთავისუფლებას.

[53] ლიტ. მუზეუმი, № 282.

[54] იგივე ფონდი, № 283.

[55] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 607.

[56] „ქართული მწერლობა", 1926 წ. №№ 3-4 და 5-6. მეორე მისი ცალი დაცულია კავკასიის კომიტეტის არქივში. Полиевктов, Русские архивные материалы по истории Грузии, თბ. სახ. უნ-ტის შრომები, ტ. V, 1936, გვ. 82.

მხრივ საგულისხმოა გრიგოლ ორბელიანის წერილი 1835 წ. 10 ივნისის თარიღით, ქ. რიგიდან ალექსანდრეს ცოლის — სალომეისადმი: „ამას წინათ ვნახე ლენ.-ლეიტ ბარონი როზენი, რომელიც იყო დივიზიონის კამანდირად საქართველოში[57], დიახ კარგად მიმიღო, გაუხარდა ჩემი მასთან მისვლა. — მიამბო თქვენი ანბავი, კნიაზისა, რომელიცა ენახა პეტერბურღში, და ბატონიშვილის მოსვლა საქართველოში — მე აქ შევიტყე, მითომც საქართველოში უნდა იყოს სენატი და არიან დანიშნულნი სენატორად სხუათა შორის კნიაზი ერისთავი და თქვენი კნიაზი. — მომწერეთ გეთაყვანე, სალომე, ეს მართალია თუ არა — ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგათ არის მიღებული პეტერბურღში"[58].

როგორც ვხედავთ, ალ. ჭავჭავაძის დედაქალაქში გაწვევას, სამეფო კარზე მიღებას, მოხსენების მირთმევას და თეკლე ბატონიშვილის დაბრუნებას, რაც მართალი იყო, გამოუწვევია ჭორიც, უდავოდ თბილელ „ამბავისტებისაგან" განაგონი და რუსეთში გატანილი ალბათ თვით რომან თევდორეს ძე როზენის მიერ. იქნებ ეს ერთ-ერთი ის „ხმა" იყო, რომელიც თეკლე ბატონიშვილს კალუგაშივე ესმა და თბილისში ჩატანამდე ყრუდ აცნობა თავის რძალს: „ღმერთმან უმეტესად ადიდოს ჩვენი ჯელმწიფის სახელი, დიდად კარგი ხმები მესმის და ბევრი ღვთისაგან ვსასოებ სისრულე მისცეს"[59]. ხოლო თბილისში ჩასვლის უმალ ამ ხმამ სენატის დაფუძნებისა და სენატორებად გიორგი იესეს ძის ერისთავისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის დანიშვნის კონკრეტული სახე მიიღო. ეს ჭორი იმ მხრივ არის საინტერესო, რომ პატარა და უმნიშვნელო ფაქტი — შეთქმულის კარგად მიღება ხელმწიფის მიერ — თბილისის „ამბავისტების", ე. ი. ჩვენი საზოგადოების, შემეცნებაში გარდატყდა როგორც შეთქმულთა ერთ-ერთი აზრის (ზედა პალატის დაფუძნების) განხორციელება.

თბილელ „ამბავისტებს" კი საზრდო მიეცათ ლაღად გაეშალათ თავიანთი ფანტაზიის ფრთები, იმიტომ რომ შეთქმულთა უფროს თაობას თან მოჰყვა უმცროსი თაობაც. 1836 წ. ივნისს ჩვენი ნაცნობი დიმიტრი ორბელიანი კალუგიდან სწერს თავის ძმას პუპლიას: „ბატონიშვილის წიგნი მოგვივიდა, საცა იწერება... იმასაც, რომ მამაცოვი დაუთხოვიათო და ძალიან მიხარიან — დაასკვნის

---

[57] ესაა რომან თედორეს ძე როზენი და არა მთავარმართებელი გრიგოლ როზენი.

[58] გრ. ორბელიანის წერილები, ტ. 1, გვ. 33.

[59] ლიტ. მუზეუმი, № 282.

დიმიტრი — ეგების ღ˘თმან ჩვენც მოგვხედოს საიდანმე"[60]. მართლაც იმავე 1836 წლის ივლისის 13-ს პუპლია ეხმაურება თავის ცოლს ეკატერინეს ასეთი სიტყვებით: „ანტონისას, მამუკასას და მამაცოვის მოსვლას იწერები და ავთანდილოვსაც მოელიანო. აკი ადრინდელს წიგნში გითხარით, რომ მოითმინეთ მეთქი, ამისთვის რომ ბარონს დიახ კეთილ კაცად იცნობენ ყველანი და კეთილი კაცი ყოველთვის მწუხარეთათვის ზრუნავს"[61].

როგორც ჩანს ამ წერილიდან, 1836 წ. პირველ ნახევარში დაუბრუნებიათ გადასახლებიდან ანტონ აფხაზი, მამუკა ორბელიანი, იოსებ მამაცაშვილი და ზაალ ავთანდილოვი. ამათზე ადრე დაბრუნდა საქართველოში პუპლიას მამიდაშვილი დავით ნათალოვი, რადგან 1836 წ. 4 თებერვალს პუპლია ავალებს თავის ცოლს: „დავით ნათალოვს თავის ცოლითურთ პირს ვაკოცებ"[62]. იმავე წლის 13 ნოემბერს სამი თვის შვებულებაში კალუგიდან წამოვიდა[63] და დეკემბრის 1-ს უკვე თბილისში იყო ვახტანგ ორბელიანიც[64]. მას მოჰყვნენ დიმიტრი ყოფიანი[65], დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი, რომელსაც 1837 წ. იანვარში ძმა ვახტანგსავით 3 თვის შვებულება მიეცა[66] და რომელიც ახერხებს საქართველოშივე დარჩენას, გრიგოლ ორბელიანი[67], გიორგი ერისთავი — გლუხარიჩი[68], გიორგი ერისთავი — ატამანი[69]. მოკლედ, როზენის მთავარმართებლობის ბოლო წლებში და მისი შემცვლელის—გენერალ გოლოვინის დროს თბილისში დაბრუნებულია ყოფილ ყაზარმელთა აქტივის ერთი ნაწილი.

უგულებელსაყოფი არაა, რომ ეს დაბრუნებული შეთქმულნი ან თავად გავლენიანები იყვნენ (თეკლე, ალ. ჭავჭავაძე) ან პრივილეგიურ წოდებას ეკუთვნოდნენ, რომელთა მომადლიერება მეფის მთავრობის თვალსაზრისით უდავოდ მიზანშეწონილ მოქმედებას

---

[60] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 613.

[61] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 623.

[62] იქვე, ინვ. № 591.

[63] იქვე, ინვ. № 617.

[64] იქვე, ინვ. № 619.

[65] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი. მემუარები, სიმ. ხუნდაძის რედაქციით, თბ., 1930, გვ. 14.

[66] ლიტ. მუზეუმის ფონდი, ინვ. № 619.

[67] გრ. ორბელიანის წერილები, ტ. 1, გვ. 242 შენ. 1.

[68] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი. მემუარები, ი. მეუნარგიას წინასიტყვაობა, გვ. XXXV.

[69] S-1659/გ, გვ. 146: „ჩემი დეიდაშვილი გიორგი ერისთავი არხანგელსკში გაგზავნეს, მგონია, 2 წელი იყო იქა".

წარმოადგენდა დაუპყრობელი კავკასიის პირობებში. რომ ეს სწორედ ასე იყო, ამას ნათელჰყოფს ის, რომ ნიკოლოზ I-ის „ლმობიერება“ თუ „წყალობა არც მაშინ და არც შემდეგ არ გავრცელებულა „რაზნოჩინეც“ შეთქმულებზე. ამისთვის კმარა გავიხსენოთ სოლომონ დოდაშვილი, „რომლის სახელისა ხსენებაცა — ეონა ხელაშვილის მოწმობით, — საძაგელ იქმნა წმიდა მმართებელთაგან“ და რომელსაც ამიტომ უარი ეთქვა პატიებაზე და ქ. ვიატკაში ამოხდა სული 1836 წ. 20 აგვისტოს; მოვიგონოთ აგრეთვე: სოლომონ რაზმაძე, რომელიც გადასახლებაშივე (ქ. პენზაში) გარდაიცვალა 1860 წ. 18 მარტს[70]; სემინარიელი გრიგოლ ტალიაშვილი, რომელიც ასევე რუსეთში ლევს სიცოცხლეს; მოლა ზამანა, რომელიც მხოლოდ მორჩილი და, შეიძლება ითქვას, ბრმა იარაღი იყო პუპლია ორბელიანის ხელში; ამ „რაზნოჩინეცთა“ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს დეკანოზ იოსებ მიქაძის ვაჟი, იასე ფალავანდიშვილი, რომელიც მოკლებული იყო გავლენიანი ძმის ნიკოლოზის (ჯერ თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, მერე კი მეფისნაცვლის საბჭოს წევრის) ზრუნვა-მფარველობას და მოკვდა უსტიცილმაში (არხანგელსკის გუბერნია).

6

იმ ხანებში, სანამ ყაზარმელების ერთი ნაწილი (ჩვენი ანგარიშით, ექსორიით ფაქტიურად დასჯილ იქნა მათი მესამედი: 98-დან 33 კაცი იყო გაძევებული სამშობლოდან) გადასახლებაში იმყოფებოდა და თანდათან უბრუნდებოდა თავის მშობლიურ კერას, აქ, საქართველოში, საზოგადოებრივი, მეტნაკლებად სასარგებლო, საქმიანობა მაინც მიმდინარეობდა, თუმცა წინანდელთან შედარებით საკმაოდ მოდუნებულად. ასე რომ, ყაზარმობის კატასტროფის შედეგად შექმნილი მდგომარეობის სიცარიელედ თუ უკაცრიელობად მონათვლა მხოლოდ პირობითად შეიძლება. რატომ? იმიტომ რომ ამ პერიოდში, 1833—1837 წწ. დაკვირვებული თვალი მაინც ხედავს ერთგვარ საზოგადო მნიშვნელობის მუშაობას, არიან ცალკეული პირნი, დღეს უჩინარნი და დავიწყებულნი, რომელთაც სა-

---

[70] ნ ო დ ა რ ა ლ ა ნ ი ა. სოლომონ რაზმაძე პენზაში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1957 წ. 26 აპრილი, № 17 (1031).

ერთო საქმისათვის გული ერჩით და ავად თუ კარგად რაღაცას ცოდვილობენ: ან თარგმნიან რასმეს რუსულიდან ან კიდევ ასეთ-ბულ მანუსკრიპტთა გადაწერით მკითხველთა მეტად ვიწრო (იქ-ნებ მარტო ოჯახით შემოფარგლული) წრის ინტელექტუალურ მო-თხოვნილებათ აკმაყოფილებენ.

ამ პირთა ნამუშაკევი, რაც განადგურებას გადაურჩა, კერძო ოჯახთა ხელშია ან ჩვენს მუზეუმებში არის დაცული. პირველი რიგის ნაწერები, რა თქმა უნდა, არაა გამოვლენილი სრულიად და მით უმე-ტეს შესწავლილი; მუზეუმებში დაცულიც ყველა როდია დათარი-ღებული და აღწერილი. მაგრამ დაახლოებითი წარმოდგენა რომ მაინც ვიქონიოთ იმდროინდელ (1833—1837 წ.წ) ვითარებაზე, შეი-ძლება მივმართოთ ორი სახელნაწერო ფონდის (A—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და S—საეკლესიო მუზეუმის) და-ბეჭდილ აღწერილობათ: დავ. კარიჭაშვილის წ. კ. გ. ს-ბის წიგნთსა-ცავის კატალოგს ორ წიგნად (1905 და 1911 წწ. გამოცემულთ) და თ. ჟორდანია—მ. ჯანაშვილის «Описание рукописей Тифлис-ского церковного музея», სამ წიგნად რომაა გამოცემული (წ. 1—1903 წ.წ., II—1902 წწ., III—1908 წ.). ექვთ. თაყაიშვილის ვრცელ აღწერილობას წ. კ. საზ-ბის ფონდისას ჩვენ აღარ მივმართეთ, რად-გან იქ მთელი ფონდი არაა წარმოდგენილი და მეორეც, ამის გამო-ყენებით სისრულე და სიზუსტე ნამდვილ სურათს მაინც ვერ მიე-ცემოდა. ჩვენი მიზნისთვის აღწერილობათა გამოყენებისას მხედვე-ლობაში მივიღეთ მხოლოდ დათარიღებული ხელნაწერები (ერთის გამოკლებით, რომელიც ზუსტად თარიღდება).

მიუხედავად ამისა მაინც საინტერესო სურათი გვაქვს:

		ორიგინა-ლური		ნათარ-გმნი		გადაწე-რილი		სულ	
1833	წელი	1,		2		2			5
1834	„	„	—	„	1	„	2	„	3
1835	„	„	—	„	1	„	4	„	5
1836	„	„	—	„	10	„	3	„	13
1837	„	„	1	„	5	„	7	„	13
		სულ	2		19		18		39

ორივე ორიგინალური შრომის ავტორი არის პეტერბურგში მცხოვრები ბერი იონა ხელაშვილი. ერთია მისი „რონინი“, ავტობი-ოგრაფიული ცნობებით უხვი (S.—288, კარიჭაშვილის „კატალოგით“ გვ. 209, № 81), უთარიღო, რომელსაც ჩვენ ვათარიღებთ 1833 წ.

სექტემბერ-ოქტომბრით[71]. მეორე კი—54 „ქადაგება“ (A—7, ჟორდანიას «Описание», გვ. 8)[72].

თარგმნილ ხელნაწერებში ყურადღებას იქცევს კლასიკური ლიტერატურა: ჰომეროსის „ილიადა“ (S—388, კ. 120/383), ჰეროდოტე (S—309, კ. 212/102), პლუტარქოსი (S—256, კ. 290/16; S—275, კ. 291/23), იოსებ ფლავიუსი (S—320, 321, 323, 324, 332, კ. 210/87, 88, 89, 90, 91, 92, 93), ანონიმური მითოლოგია (S—343, კ. 216/147). საერო ლიტერატურისავე ციკლს უნდა მიეკუთვნოს აბატ მილოტის „ყოვლად საზოგადო ისტორია„ ორ ცალად მოსული (S—282, S—313, კ. 217/148, 155), „ბალაკირევის ანეგდოტები“ (S—194. კ. 98/50) და მინას მკურნალიანის „გეოგრაფია“, სომხურიდან თარგმნილი (S—1290, კ. 217/157). სასულიერო მწერლობას მიეკუთვნება ნიკოლოზ I-თან სიონში შეხვედრისას ევგენი ეგზარქოსის სიტყვა, ორ ცალად მოსული (S—62, S—1443, კ. 132/582, 105/175); ასევეთივეა იოანე ოქროპირის „ლოცვა დაწოლის წინ“, თარგმნილი იონა ბერის მიერ (S—3647, კ. 27/307).

მთარგმნელთა შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია, ორი მღვდელი: იესე გარსევანიშვილი, გორის სასულიერო სასწავლებელში მოსამსახურე, რომელმაც თარგმნა ჰომეროსი, ჰეროდოტე, პლუტარქოსი და მილოტი, და დავით ინანიშვილი, რომელსაც მეტწილად ხორნაბუჯის მახლობლად უთარგმნია იგივე პლუტარქოსი და იოსებ ფლავიუსი.

საგულისხმოა, რომ თარგმნილ ლიტერატურაში სჭარბობს ინტერესი საეროსადმი, რაც ნაწილობრივად იმით აიხსნება, რომ მათი დამკვეთი ხშირად იყო ცნობილი ბიბლიოფილი დავით დადიანი, სამეგრელოს მთავარი. მისი „მინდობილობითაა“ თარგმნილი, მაგალითად, „მილოტის ისტორია“ (S—282) და „მითოლოგია“ (S—343), ხოლო პლუტარქოსის თარგმანი მღვ. იესე გარსევანოვს მისი რედაქციით შეუსრულებია (S—256). დადიანსვე შეუსწორებია რუსულის მიხედვით იოსებ ფლავიუსის ბერძნული თარგმანიც (S—315).

ახლა თვალი გადავავლოთ გადაწერილ ლიტერატურას. აშკარად ვხედავთ, რომ 1833—37 წწ. გუტენბერგის გამოგონება ქართველ მკითხველს სრულიად არ ემსახურება (შემდეგშიაც დრომდე ძალიან

---

[71] „რონინის“ დათარიღების საბუთი იხ. აქვე გვ. 16.

[72] ქვემოთ მიღებული შემოკლებანი აღნიშნავენ: კ. — კარიჭაშვილს, ხაზის წინა ციფრი—გვერდს, ხაზის მომდევნო ციფრი—რიგით ნომერს კატალოგში.

ნაკლებად) და ისიც, სულიერ საზრდოს მაძიებელი, ამ წყაროს გადაწერით იკლავს. ასე, მაგალითად, გადაწერილ პროდუქციაში გვხვდება ვახტანგის ნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ (S—4699/ე, კარიჭ, დამ. კატალ. 34/53). საერთოდ ამ გადანაწერშიც იგივე პრევალაცია ჩანს საერო ლიტერატურისა, აქ გვხვდება უკვე ცნობილი „მითოლოგია“ ორ ცალად (S—10, S—270, კ. 216/142, 144) და იოსებ ფლავიუსი (S—315, 332, კ. 211/97, 30/347 — შეცდომით გამეორებული 211/95), აგრეთვე ფენელონის „ტელემაქოსი“ (S—377, კ. 128/518). „ცხოვრება თეიმურაზ მეორისა და ირაკლი მეორისა“ (S—4997, კ. დამატ. კატალ. 83/55), „ვეფხის-ტყაოსნის“ მეორე ცალი (იქვე, კ. 33/50), საბას „სიბრძნე-სიცრუისა“, პეტერბურგში გადაწერილი გიორგი შარმადინოვის მიერ (S—173, კ. 120/191), „დავრიშიანი“ (A 990, ჯანაშვილი, 232) და კრებული-ანთოლოგია (S—1537, კ. 113/299). დანარჩენი 7 სასულიერო შინაარსისაა.

ცალკეა აღსანიშნავი იოსებ ფლავიუსის „არათანახმანი ადგილნი საღმრთოჲსა წერილისათანა,თარგმნილი ბერძნულით იოანე პეტრიწის მიერ“, რომელიც 1836 წ. გადაუწერია ჰღვ. დავით ინანიშვილს და გვიმჟღავნებს მშობლიურ ძველ აზროვნებისადმი სერიოზულ ინტერესს (S—332, კ. 30/347-211/95), თავის დროზე სოლ. დოდაშვილის მიერ აღძრულს („სალიტერატ. ნაწილნი თბილისის უწყებათანი“, 1832, №№ 1, 2).

გადამწერლებში უნდა დავასახელოთ ინანიშვილის გარდა დეკანოზი გაბრიელ მესხიევი, მღვდელი პეტრე ტაბლიაშვილი, მღვდელ-მონაზონი გრიგოლ ვაჩნაძე, ასლანიშვილი, ონანაშვილი, იოანე ლარაძე, ფილიპე შაქარაშვილი, გიორგი ტერტერაშვილი, მოსე ყორლანოვი, აბელ ბაშბეუქოვი, გიორგი შარმადინოვი და დიაკონი თადეოზ ტერ-გეურქოვი. ჩანს, რომ მაშინდელი სომხობაც ქართული პროდუქციით საზრდოობდა.

მთარგმნელ-გადამწერთა ზემორე გადახედვისას ვამჩნევთ, რომ სასულიერო წოდება წინანდებურად აქტივობს მწიგნობრობის საქმეში. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ჩვენი საზოგადო-მოღვაწის ნიკოლოზ ავალიშვილის (1844—1929) გამოუქვეყნებელ მემუარებში აღნიშნული შემდეგი ცნობა:

„მამაჩემი, — წერს ის, — კარგა ხანს ნავთლუხში რუსის ეკლესიის მღვდელი იყო, ხოლო 1844 წ. ქვემო ქვეყნებში გარნიზონის მღვდლად გაგზავნეს. მამაჩემი თბილისში სამსახურის და-

წყებიდანვე[73] წევრი შეიქმნა ქართული ხელნაწერი წიგნების გადამწერთა და გამავრცელებელთა ჯგუფისა, რომელიც არხიმანდრიტ ტარასისა და ანჩისხატის დეკანოზის იოანე ალექსისძე-მესხიშვილებისაგან იყო დაარსებული იმ აზრით, რომ რუსი მთავრობის მისწრაფებას — ქართული წიგნების მოსპობას — წინ დასდგომოდნენ; ამ ჯგუფის წევრი ყველა მღვდელი და არხიდიაკონი იყო. მამაჩემი ამ ჯგუფის თავდადებული მშრომელი იყო, თბილისს გარეთაც განაგრძობდა ამ შრომას, რაიცა ნახიჩევნიდგანვე კარგად მახსოვს"[74].

ეს ცნობა ვერაა ზუსტი: ა) ტარასი ალექსი-მესხიშვილი არქიმანდრიტად მოხსენიებული, ამ ხარისხში აყვანილ იქნა მხოლოდ 1855 წ. ბ) იოანე მესხიშვილი, გადამწერთა ჯგუფის ორგანიზატორად წარმოდგენილი, სრულიად არ ყოფილა ანჩისხატში არც დეკანოზად და არც მღვდლად; უეჭველია ავალიშვილს, მოხუცებულობაში მოგონებათა დამწერს (1924 წ.), ანჩისხატის დეკანოზი და მწიგნობრობით მართლა ცნობილი დიმიტრი მესხიშვილი, ტარასის ძმა, შეცდომით იოანედ მოუხსენებია; გ) მემუარისტი, სამწუხაროდ, პერსონალურად არ ასახელებს გადამწერთა ჯგუფის წევრებს, ეს კი ძვირფას მასალას შეგვძენდა.

მაგრამ ამის მიუხედავადაც არავითარი საბუთი არა გვაქვს დავეჭვდეთ მის მონათხრობში, რადგან მართლაც არაერთი ხელნაწერი მოგვეპოვება მესხიანთ წრის, კერძოდ ტარასისა და დიმიტრის, ხელიდან გამოსული. ჩვენთვის ამ გადმონაცემში მეტადრე ისაა მნიშვნელოვანი, რომ 1830—1844 წლებში ქართველ სამღვდელოებაში არის რაღაც წრე, რომელიც წიგნების გადაწერით უპირისპირდება რუსიფიკატორულ პოლიტიკას და ამით ქართულ საქმეს ემსახურება.

ანტირუსიფიკატორულ განხრასვე უნდა უჩვენებდეს აღნიშნულ დეკანოზ დიმიტრი მესხიშვილთან გაზრდილი დავით დადიანის (1813—1853) წერილი ძმა გრიგოლისადმი, 1836 წ. 20 აგვისტოს თარიღით: „ხშირად შევიყრებით ხოლმე: 1. მიმბაში. 2. დიმიტრი. 3. ნაზირი. 4. ეგნატე. 5. დეკანოზი. 6. მე და ვართ ერთ ბაასში და ყოფაში"[75]. აშკარაა, ხსენებულ დარბაისელ პირთა ხშირი

---

[73] დაიწყო კი, მემუარისტისავე სიტყვით, 1823 წელს.

[74] ნ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, ჩემი თავს გარდასავალი და განცდები, გვ. 26.

[75] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 137. მიმბაში ჩვენი ფიქრით, არის მიმბაში დავით თარხნიშვილი (გარდ. 1839 წ.), რომელსაც ცოლად ჰყავდა წერილის ავტორის — დავით დადიანის — დეიდა მაკრინე, ზურაბ წერეთლის ასული; დიმიტრი მისი ძმაა, გარდაცვლილი 1847 წ; მამა ეგნატე

შეყრა და ბაასი შეეხებოდა საქართველოს „გარდასრულ დროთაც“;

„უწინ მაინც ასე იყო. როდესაც ძუნლები შეიყრებოდნენ, სულ ძუნლს ამბავს უბნობდიან, ნამეტნავად მეფის ირაკლისასა“... გვიდასტურებს პუპლია ორბელიანიც ერთ-ერთს თავის ნაწარმოებში[76]. ულიმლამო აწმყოში ამგვარი „ბაასებით“ დავით დადიანისთანა და პუპლიასთანა ახალგაზრდების თანდასწრებით, მობაასეთა უნებურად შეუმჩნევლად იდებოდა ხიდი წარსულსა და მომავალს შორის და ახალი თაობის გულში აღიძვრებოდა ინტერესი წარსულისადმი და სურვილი სამშობლოს სამსახურისა.

7

განხილულ პერიოდზე რომ მოვათავოთ (1833—1837 წწ.) სიტყვა, საჭიროა კიდევ ერთი ფაქტის აღნიშვნა, რომელსაც, ჩვენი წარმოდგენით, უთუოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის მართვა-გამგებლობის ახალი კურსით წარმართვისათვის — სამხედრო რეჟიმის ნაცვლად სამოქალაქო სისტემის შემოღებისათვის. ეს იყო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლა თბილისს 1837 წ. 7 ოქტომბერს.

ქართველი თავადაზნაურობა გზებზე ეგებებოდა მეფეს. ამას, რა თქმა უნდა, თავისდათავად შეიძლება ფორმალობის ფასი დასდოს კაცმა, რადგან ეტიკეტი მოითხოვდა საპატიო სტუმრის შეხვედრას. მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი აქ ის იყო, რომ გუშინდელი შეთქმული საზოგადოება წრფელი გულით შეხვდა თავის მბრძანებელს და, რომ იტყვიან, ფიანდაზად გაეფინა ფეხ ქვეშ, მოუწყო რა ნადიმი ზუბალაშვილისეულ სახლში, სასახლისა და სამხედრო შტაბის მახლობლად (პუშკინისა და კეცხოველის ქუჩების კუთხეში, სადაც მერე 1909 წლამდე სასულიერო სემინარია არსებობდა). რამდენად გულთბილად შეხვედრია ქართველი „ბრწყინვალე“ წოდება იმპერატორს, ამას გვიჩვენებს თვით ნიკოლოზის შთაბეჭდილება, ჟანდარმთა შეფ ბენკენდორფთან საუბრი-

---

არის ოსელიანი (1766-1843), პლატონ ისტორიკოსის მამა, დეკანოზია დიმიტრი სოლომონის ძე ალექსიშვილი (1778-1862), ხოლო ნაზირი უნდა იყოს ნიკოლოზ ელიოზიშვილი კათალიკოს ანტონ II-ის ნაზირი, რომელიც პლატონ ოსელიანის სიტყვით, გარდაიცვალა 1857 წელს (მისი: ცხოვრება მეფე გიორგი მეათცამეტისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., 1895, გვ. 213, 312).

[76] აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში („მოამბე“, 1895, VIII, გვ. 164).

სას გაზიარებული: „მიღება, რომელიც მე გამიმართეს საქართველოში, შეიძლება შევუდარო მხოლოდ იმ შეხვედრებს, რომელთაც, აქ, მოსკოვში მიწყობენ ხოლმე“.

მაგრამ ჩვენთვის უფრო ყურადსაღებია მეორე მისი შთაბეჭდილება, აქაურ მართვა-გამგებლობის წესებისაგან მიღებული: „არ შეიძლება არ გვიკვირდეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს მხარე ასე დიდხანს იტანჯება უხეირო მმართველობით, მაინც მათში არ მოსპობილა მონარქისადმი ერთგულება“[77]. რასაკვირველია, ამის შემდეგ დიდხანს ვეღარ გაისაძლისებდა ჩვენში გაბატონებული სამხედრო მმართველობის წესი. ბიუროკრატულმა ხელისუფლებამ საბოლოოდ შეიგნო ის აზრი, პრინციპულად წინათვე მიღებული, რომ ამიერკავკასიის შერწყმა იმპერიასთან არანაკლები წარმატებით შეიძლებოდა მშვიდობიანი საშუალებებითაც, ქვეყნის კულტურისა და ნივთიერი კეთილდღეობის აღორძინების გზითაც და არა მარტო სამხედრო-საოკუპაციო ღონისძიებებით. მაგრამ არც ახალი — სამოქალაქო — სისტემა დამყარდა აქ სწრაფად: მისი მშობიარობა მძიმე იყო.

გაბრუნდა იმპერატორი საქართველოდან. მთავარმართებელი როზენი გადაყენებულ იქნა და მის ნაცვლად 1837 წ. 30 ნოემბერს დაინიშნა გოლოვინი, რომელსაც თითქმის ხუთი წლის თავზე (1842 წ. ოქტომბერში) შეენაცვლა ნეიდჰარდტი. გოლოვინისა და ნეიდჰარტის დროიდან იწყება ახალი ხანა კერძოდ საქართველოს ცხოვრებაში. იგი შეიძლება დავსახოთ სამხედრო რეჟიმიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლის ხანად, როცა ჯერ არაა მთლად აღმოფხვრილი ძველი ჩვევები და არც ახალია სავსებით გაბატონებული, რასაც სრული სახით ვხედავთ მხოლოდ მიხეილ ვორონცოვის დანიშვნის შემდეგ (1844 წ. 27 დეკემბერს, ფაქტიურად მართვა-გამგეობას შეუდგა ჩამოსვლის მერე, 1845 წ. 25 მარტს).

გოლოვინის დანიშვნის შემდეგ, რაკი მმართველობის სამხედრო სისტემას ბოლო მოეღო, ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებასაც გამოცოცხლება დაეტყო. ეს კარგად შეიგრძნო ქართველი თავადაზნაურობის ერთმა ნაწილმა, რომელმაც ყოველივე გოლოვინის პიროვნებაზე გადაიტანა. „ახ, ალექსანდრე! — სწერს 1838 წ. მარტ-აპრილში[78] დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი თავის გადა-

---

[77] М. Полиевктов, Николай I, М., 1918, с. 192.

[78] პუპლიას ეს წერილი მიუღია ივნისის 13-ს, დაიწერებოდა კი იმავე წლის 21 მარტის მერე, რადგან გოლოვინი ამ დღეს ჩამოვიდა (АКАК, IX, с. I)

სახლებულ ძმას პუპლიას სერგეევსკში — რა კაცია ჩვენი მთავარ-მართებელი და ან რა კეთილი აზრით მოსულა, არ შემიძლიან ავწერა საქებელად"[79].

პუპლია ორბელიანი, როგორც უკვე ვიცით, პოლიტიკაში გულუბრყვილოა, თითქმის უსუსურია. ჩევკინი მას კეთილ ანგელოზად მიაჩნია, თუმცა მთელი მისი ოჯახი, მოხუცი დედაც კი, საქართველოდან გააძევა. როცა 1836 წ. ცოლმა აცნობა აფხაზის, მამუკა ორბელიანისა და მამაცაშვილის დაბრუნება ექსორიიდან, პუპლიამ, თითქოს ნიშნის მოგებით, თანაც პროგნოზის უცდომელობით თავმომწონემ, ასე უპასუხა ცოლს: „აკი ადრინდელს წიგნში გითხარით, რომ მოითმინეთ მეთქი, ამისთვის რომ ბარონს დიახ კეთილ კაცად იცნობენ ყველანი და კეთილი კაცი ყოველთვის მწუხარეთათვის ზრუნავს"[80].

დიმიტრი კი, მისი ძმა, უფრო ფხიზელი კაცია და სინამდვილეზე საღად მსჯელობს. მაგალითად, იმავე 1836 წ. 29 აგვისტოს იგი აცნობებს პუპლიას: ჩემი ცოლი მოსკოვს გავაგზავნე განთავისუფლების თხოვნით, ბენკენდორფმა აღუთქვა თხოვნის ასრულება — და დასძენს: „ახლა დღითი დღე მოველი ჰელმწიფის წყალობას, თუ ჩემი უბედურება წინ არ აღუდგა ამ საქმეს და აგრეთვე ფალავანდოვი და როზენი"[81], ე. ი. დიმიტრი მიხვედრილია, რომ მისი ოჯახის გადასახლება საქართველოდან გუბერნატორისა და მთავარმართებლის საქმეა.

და აი, ასეთი ფხიზელი გონების კაციც კი ახლა აღტაცებაშია მოსული გოლოვინისაგან — მისი ქება არ შემიძლია ავწერო. ისიც კი ვერ გარკვეულა პოლიტიკის შეტრიალებაში. მას ვერ გაუგია, რომ გოლოვინი „კეთილი აზრით" მიტომაა მოსული, რომ ცენტრმა ახალი კურსი აიღო და რომ მართვა-გამგებლობის წესი არსებითად შეიცვალა, თუმცა, როგორც ვთქვი, „ნელნელა, თანდათან".

ახალი სისტემა მალე უკმაყოფილებას გამოიწვევს, როგორც ადგილობრივი პირობებისთვის სრულიად შეუფერებელი, და ამრიგად სამოქალაქო მმართველობის დადებითი მხარე საზოგადოებისათვის ერთბაშად ვერ შეიქნება საჩინო, მით უფრო რომ რეფორმას არაერთი მახინჯი მხარეც ჰქონდა. ქალალდზე მწყობრად

---

[79] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 621.
[80] იქვე. ინვ. № 623
[81] იქვე, ინვ. № 616.

წარმოდგენილი რეფორმები სინამდვილეში საღ იდეას ამახინჯებდა. მათი განხილვა-შეფასება ჩვენს ამოცანას არ შეადგენს, მართალია, მაგრამ მაინც მათი ფაქტიურ ვითარებასთან სრული შეუსაბამობის საილუსტრაციოდ ერთს წვრილმანს დავასახელებთ: მიყრუებულ სოფელში მცხოვრებ მოპასუხის დაბარება სასამართლოში უნდა გამოცხადებულიყო „პეტერბურგის“ და „მოსკოვის უწყებებში“[82]. რეფორმათა ავტორს, სენატორ განს აზრადაც არ მოსვლია: უბირი გლეხი წერა-კითხვის მცოდნე იყო თუ არა, ისიც რუსულისა, ან მიუწვდებოდა თუ არა მას ხელი ამ გაზეთებზე, ან დროზე წაიკითხავდა თუ არა საჭირო განცხადებას, კიდევაც რომ კითხვა სცოდნოდა და გაზეთიც ხელთ ჩავარდნოდა, ან რამდენად სწრაფად იქმოდა სამართალს ხელისუფლება...

სენატორი განი კი მოხერხებული კაცი იყო. ხელმწიფეს ყველაფერი წესსა და რიგზე დაანახვა, რეფორმათა სწრაფი განხორციელებით (1841 წ. 1 იანვრიდან) გული მოუგო, თავადაც ახალი წყალობა მიიღო და „მადლიერი საზოგადოების“ დელეგაციასაც[83] ჩინ-ორდენები მოუპოვა[81]. მ. ა. კორფის სიტყვით, პეტერბურგის წრეებში მალე ხმა მოეფინა, რომ თავად-აზნაურობას არავითარი დელეგაცია არ წარეგზავნა მეფესთან (ეს მის საკრებულოს აქტებში შეტანილი არ აღმოჩნდა) და რომ დელეგატთა შორის ბოქაულებიც კი იყვნენო[85].

მაგრამ მალე სეტყვასავით წამოვიდა საჩივრები, პროტესტები, სუსტმა გოლოვინმაც გაბედა ხმის ამოღება—უკმაყოფილების გამოთქმას აღარც ის ერიდებოდა. ამას ზედ დაერთო ფრანგი მოგზაურის გრაფ სიუზანეს (Suzannet) წერილები, რომელნიც საზღვარგარეთ იბეჭდებოდა: თვითმხილველი ყველას და ყველაფერს საქვეყნოდ ამათრახებდა და ბევრს ისეთს რამეს ამზეურებდა, რაც ფორმალური გზით ვერ გამოირკვეოდა. ამის შედეგად გამოგზავნილმა ახალმა კომისიამ, როზენისა და ჩერნიშოვისამ, განის რეფორმა, როგორც

---

[82] В. Н. Иваненко. Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901, с. 308; И. А. Джавахов, Политическое и социальное движение в XIX стол. в Грузии, с. 32-33.

[83] მათ შორის ქართლ-კახეთ-იმერეთის გუბერნიიდან შტ. კაპ. დავით აფხაზი, აზნ. სტეფანე ლორის-მელიქოვი, თბილისის მოქალაქენი მიხეილ სარაჯიშვილი და სოლომონ აბესალომოვი იყვნენ. АКАК, IX, с. 28.

[84] Из записок Барона М. А. Корфа. «Русская Старина», 1900, № 1, с. 39.

[85] იქვე. с. 48.

სრულიად შეუფერებელი, საბოლოოდ დაასამარა. თვალახელილმა ნიკოლოზმა განი სამსახურიდან გადააყენა და ზედ გოლოვინიც მიაყოლა. მის ნაცვლად საქართველოს მოევლინა სნეული და ხახელმწიფო საქმეებში გამოუცდელი ნეიდჰარდტი, გოლოვინსავით უხერხემლო და მთავარმართებლის თანამდებობაზე უფრო დღემოკლე.

8

ახლა მიმოვავლოთ თვალი ამ გარდამავალი დროის (1838—1844) ანუ, ჩვენი გაგებით, პირველი აღმავლობის ქართველ საზოგადოებას. რას წარმოადგენს იგი, როგორია მისი ინტერესები ან რა იდეალები ასაზრდოებენ მას?

აქ ჩვენ ვხედავთ რამდენიმე „ფენას". ერთია „მიმავალი, ფენა, მიმბაშ-ნაზირებისა", რომელიც ამ ხანებში აქტიურად უკვე ველარ მონაწილეობს მშობლიურ საქმეებში, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ იგი რიცხვმცირეა, უმთავრესად კი იმიტომ, რომ მისი იდეალი წარსულშია, თანაც მას მტკიცედ აქვს შეგნებული ამ „გარდასრულ დროთა" დაბრუნების სრული შეუძლებლობა და ამის შედეგად თავისი „დრომოჭმულობა", „ზედმეტობა". ახლა მას აღარაფერი ეკითხვის, იგი „ზედმეტია" აქ დამყარებული და მისთვის უცხო, გაუგებარი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში. იქნება ის პოლკოვნიკის პატივითაც იყოს მოსული და მაზრის თავადაზნაურობის მარშლადაც ირიცხებოდეს, როგორც, მაგალითად, ყოფილი მიმბაში დავით ზაზას ძე თარხნიშვილი, მაგრამ ის ფაქტიურად გარიყულია ცხოვრებიდან, რომელიც ახლა მიმდინარეობს, ვითარდება და იცვლება მის გარეშე, მის უკითხავად, ხშირად მის შეხედულებათა საწინააღმდეგოდაც. მიმბაშობის ჟამს ასეთს პირობებში მას ეგებ ბრძოლაც კი გამოეცხადებინა ამგვარი „გარიყვისათვის", ალბათ დასებსაც შეჰქმნიდა მოწინააღმდეგის ზრახვათა ჩასაფუშავად. მაგრამ ახლა დაუნდობელი რეპრესიებით ცარიზმის რეჟიმმა მას „ჭკუა ასწავლა", ის ფრთაშეკვეცილია და ამიტომ ლოიალურიცაა რუსეთის მონარქის მიმართ. ესეც უნდა ითქვას: ამ ფენიდან გვხვდება ექსპანსიური პირნიც, უფრო გაბედულნი, რომელნიც თითქოს კიდევ ვერ შერიგებიან შექმნილ ყოფას და თავისებური, ახირებული გზით ებრძვიან შემოღებულ წესებს. ასეთი ჩანს, მაგალითად, გორის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი დავით დიმიტრის ძე დიასამიძე. ის 1838 წ. 28 მარტს სასამართლოში მეტად დიდ შეურაცხყოფას მიაყენებს რუს მოხელეებს და დაემუქრება ადგილობრივ ხელისუფლებას—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადაზნაურობას ვეტყვი მას აღარ დაემორჩილოსო და სხვ. მაშინდელი ოფიციოზი «Закавказский Вестник»-ი ამ საგულისხმო ფაქტს მშრალად გადმოსცემს: „პოდპორუჩიკმა თავადმა დავით დიასამიძემ თავს ნება მისცა სასამართლოში აღშფოთებით გამოეთქვა საკმაოდ მავნე აზრები შესახებ რუსი ჩინოვნიკებისა, თანაც პირობას იძლეოდა,—თავად-აზნაურობას გავაფრთხილებ, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას აღარ დაემორჩილოსო". მთავარმართებელი მას ხელათვე „ჭკუას ასწავლის": დაითხოვს თანამდებობიდან და გამოძიებასაც დანიშნავს[86]. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ ეს დავით დიასამიძე „ერთადერთი კაცი იყო, რომელიც ირჩეოდა აუარება ბატონებისაგან და წარმოადგენდა ერთადერთს თეთრ ზოლს ძველი ცხოვრების შავბნელ ფარდაზე"[87]. რასაკვირველია, ამის და მსგავსი „ანგარიშის გასწორების" შემხედვარე თუ გამგონი ქართველი მიმბაშ-ნაზირები სწრაფადვე მიყუჩდებოდნენ და „წარსულ დროებაზე დარდს მოიკლავდნენ" მხოლოდ ბაასით, ამ დროთა ტკბილ-მწარე მოგონებით თავისიანებისავე ვიწრო წრეში, უკიდურეს შემთხვევაში, ნაშიერთა თანადასწრებით. სწორედ ამ ფენას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე, როცა წერდა: „დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროისთვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად, ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისის ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემცნია... დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში".[88]

ამ დრომოჭმული ფენის საქმიანობა არ ჩანს. ესეც კია: მათი „ბაასები" და გარდასრულ დროთა გახსენება ახალ თაობის თან-

---

[86] Зак. Вестник 1838 г. № 19, с. 78. Удаление от должности.

[87] სოფრომ მგალობლიშვილი. მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 17-19.

[88] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული. ტ. VI, თბ., 1927, გვ. 93-94; „ვის ნათესსა ვმკით?" (მიმოხილვა 1879 წლისა).

დასწრებით უდავოდ აღვივებდა ამ უკანასკნელში ეროვნულ გრძნობას და იქნებ თავისდაუნებურად ხელს უწყობდა ამ გზით მის გათვითცნობიერებას. ესეც უდავოდ საქმე იყო და ნიადაგს უმზადებდა სამოციანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების ეროვნულ აღმავლობას.

9

იყო კიდევ მეორე ფენა, რომელსაც შეიძლება „მწიგნობართა ფენა“ ვუწოდოთ. პირველთან შედარებით ეს უფრო ენერგიულია და ინიციატივიანი. ის არა სჯერდება ცარიელ „ბაასებს“, გარდასრულ დროთა მოგონებას. მას არა აქვს მიმბაშებსავით პირი მიქცეული მხოლოდ წარსულისაკენ. ის მომავალზედაც ფიქრობს და ზრუნავს, ოღონდ ეს ფიქრ-ზრუნვა გამოიხატება უმთავრესად წიგნების თხზვა-თარგმნა-გადაწერაში. მართალია ამ დროის (1838—1844) მათი პროდუქცია წინა წლებთან (1833—1837) შედარებით ნაკლებია: წინა პერიოდში საშუალოდ გვაქვს თითქმის 8 წიგნი წელიწადში, ახლა კი მხოლოდ 9,5... მაგრამ ეს მცირედიც სანუგეშო სურათს გვიშლის: 31 შრომიდან — (რაცაა დაცული მუზეუმებში) — ორიგინალური შრომა, თუნდაც მჭლე შინაარსისა, გვაქვს უკვე 5 (წინათ 2), 6 — თარგმნილი, ხოლო 20 — გადაწერილი.

მთავარი კი აქ ისაა, რომ წინა პერიოდისაგან განსხვავებით ამ-დროინდელ პროდუქციას შინაარსობლივ ემჩნევა ეროვნული ელემენტის სიჭარბე: ჰეროდოტე-ჰომიროს-პლუტარქოსის, აბატ მილოტისა და ბალაკირევის ანეგდოტების ნაცვლად გვხვდება ორიგინალური შრომები. ასეთებია: „ამბავი ეკატერინე ჩიჩუასი, გურიის უკანასკნელი მთავრის ასულისა“ (S—3468, კ. 202/4)[89], ილარიონ მღვდელმონაზონის შედგენილი „ათონის მონასტრის ქართული წიგნების ნუსხა“ (S—3677, კ. 365/I), თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტება ლექსთა ვეფხისტყაოსნისა შინა ხმარებულთა“ (S—3716, კ. 306/30), ტარასი ბერის—„ქვეყნიერი სამოთხე თელავი“ (S—1447, კ. 128/513) და „ქართლ-კახეთის მონასტერთა მოკლე აღწერილობა“ (A—475) თემატიკა, როგორც ვხედავთ, ქართულია და ამიტომ სანუგეშოც.

საგულისხმოა, რომ ოცი გადაწერილი შრომიდან მხოლოდ

---

[89] შდრ. ჟურნ. „მოგზაური“, 1902 წ., №№ 1 და 2.

ექვსია სასულიერო შინაარსისა, თოთხმეტი კი საერო დანიშნულებისაა და ისევ ეროვნული ელემენტის პრევალაციით: სიტყვაკაზმული („საამიანი", „დავრიშიანი" ორ ცალად, „დავით გურამიანი", „არჩილიანი", „სიბრძნე-სიცრუე", „ქილილა და დამანა"), ისტორიული („პლუტარქოსი", „მირიანი", „საქართველოს სიძველენი", „მოსვლისათვის ორბელიანთა", „დასტურლამალი") ან პრაქტიკული („სამთვარიო", ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნი", რომელიც ამ ხანებში კიდევ მოქმედებდა ნაწილობრივად).

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პროდუქციის მომცემი ხალხი ქართულ კულტურაზეა აღზრდილი. ესენი არიან: გიორგი ავალიშვილი, ანა ერისთავი. ბელგზად ბებუთოვი, სოფრონ არქიმანდრიტი, ტარასი ბერი, დეკანოზი დიმიტრი ალექსიძე, მღვდელი ანდრია წიწვიანიძე, დიაკონი სოლომონ ბულუჭოვი, ს. ბერძენოვი, გიორგი მაისურაძე, დავით ამირიძე, ნაყოფიერი იოსებ ნაზაროვი (4 წიგნის გადამწერი), გიგო ოღანესოვი, მიხეილ სტეფანოვი და იუსტინე ივანოვი. მოკლედ, სჭარბობენ სასულიერო პირნი და ე. წ. „რაზნოჩინეცები", რაც არ შეიძლება სიმპტომატურ მოვლენად არ მივიჩნიოთ.

ამ მხრივ მეტად ყურადსაღებ პიროვნებას წარმოადგენს ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი (1788—1847). მწიგნობარი მამის ოჯახშივე ქართულ კულტურაზე აღზრდილი ნ. ჩუბინაშვილი რუსულ კულტურასაც ეზიარა. 16 წლისა მიაბარეს ახლად დაარსებულ რუსულ სკოლაში— ე. წ. კეთილშობილთა სასწავლებელში. აქ მან რუსულში მალე ისეთი წარმატება გამოიჩინა, რომ 1805 წ. სამ სხვა ამხანაგთან ერთად (ესენი იყვნენ: ბებუთოვი, სარაჯიშვილი და ამბროსიშვილი). რუსულად თარგმნა ანტონ კათოლიკოსის „საქართველოს შემოკლებული ისტორია", რისთვისაც ოთხივე მოწაფე ოქროს საათებით დააჯილდოვა მთავრობამ[90]. 1807 წ. დამლევს ნ. ჩუბინაშვილი უკვე მასწავლებლობს: იმავე სასწავლებელში ასწავლის რუსულ ენას. 1815 წ. გადადის ახლად გახსნილ სასინოდო კანტორაში მდივნად. აქ ყოფნისას ადგენს და ბეჭდავს რუსულ-ქართული უბნობის ანუ „რაზლოვორის" წიგნს, რომელიც რამდენიმეჯერ გამოიცა და მაშინდელ მოზარდ ქართველობას სახელმძღვანელოდ ჰქონდა რუსული ენის დაუფლება-შესწავლისას. საზოგადოდ კი მანამდეც და მერეც 1825 წლამდე, სანამ რუსეთში წავიდოდა, ის სთარგმნის არაერთ სახელმძღვანელოს რუსულიდან ქართუ-

[90] АКАК, III, с. 24-25.

ლად და სხვათა შორის მონაწილეობს ვახტანგ მეფის კანონის რუსულად მთარგმნელ კომისიაში. 1825—1837 წწ. იგი პეტერბურგში ცხოვრებისას მუშაობს ქართულ ლექსიკოგრაფიაზე და გრამატიკაზე. მისი სალექსიკოგრაფიო მასალა შემდეგში გამოიყენა ცნობილმა ლექსიკოგრაფოსმა, პროფ. დავით იესეს ძე ჩუბინაშვილმა, მისმა ძმისწულმა[91]. 1837 წ. ნ. ჩუბინაშვილი ბრუნდება საქართველოში, მოაწყობს არქეოლოგიურ მოგზაურობას ახალციხის მხარესა, იმერეთსა და სამეგრელოში (1842 წ.), ხოლო 1845 წ. მიემგზავრება პალესტინაში, არაერთხელ ინახულებს ჯვარის მონასტერს, ქართველობის ძველი კულტურის კერას და ამის შედეგად დასტოვებს აქაურ სიძველე-ხელნაწერთა მოკლე აღწერილობას, რაც მერე გამოაქვეყნა მის ბიოგრაფიასთან და ზოგიერთ ნაწერთან ერთად პროფ. ალ. ცაგარელმა[92]. ვფიქრობთ, ამ საინტერესო პიროვნებისა და მისი ნამუშაკევის მონოგრაფიული შესწავლა უფრო ცხოვლად წარმოგვიდგენს მის ნაყოფიერ საქმიანობას და მაშინდელ ჩვენს საზოგადოებრიობას.

ასევე საინტერესო ფიგურად მოჩანს „მწიგნობართა ფენაში“ ტარასი ალექსი-მესხიშვილი (1793—1874)[93].

10

გარდა ორი დასახელებული ფენისა არის კიდევ ერთი ფენა, იმათზე უფრო მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო, ასე ვთქვათ, „ახალი თაობა“. ამ თაობას ეკუთვნიან ერთი მხრით, ყოფილი ყაზარმელები, რუსეთიდან რომ მობრუნდნენ, და, მეორე მხრით, ამათ იდეატრადიციებზე ნაზარდი ყმაწვილკაცობა, რომელიც ის-ის არის ცხოვრების ასპარეზზე გამოდის და მოქმედებს მეტი ენერგიითა და მონდომებით, ვიდრე ძველი ყაზარმელები, ცხოვრებისაგან თითქოს „გამობრძმედილნი“. მისი სულიერი განწყობილების მაჩვენე-

---

[91] ამ გამოყენების შესახებ იხ. ვ. ბ ე რ ი ძ ე, დ. ჩუბინაშვილი, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, გვ. 354-356; შდრ. А. Ц а г а р е л и, Сведения... т. II, вып. III, с. 32.

[92] Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. 3, СПб 1894, с. 44—54.

[93] იხ. აქვე, ალექსი-მესხიშვილი ტარასი (ბიოგრაფია); Н. Б е р д з е н о в. Грузинская литература, газ. «Кавказ», 1859 г., № 50; Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей церковного музея, кн. 1, с. 315-316.

ბელია დევიზი — „ზრუნვა სოფლისათვის“, რომელიც ამ დროის უნიჭიერესმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემდეგი სტრიქონებით გამოთქვა:

> არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს[95].

ამ ყმაწვილკაცობის ნაწილი აქვე, საქართველოშივეა, ზიარებული რუსულ კულტურას ან. კიდევ რუსეთშია განსწავლული. აქ ჩვენ ვხედავთ: დავით მაჩაბელს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, მიხეილ თუმანიშვილს, კონსტანტინე მამაცაშვილს, ლუკა ისარლიშვილს, ლევან მელიქიშვილს, იასე ანდრონიკაშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს, იაკინთე ალექსი-მესხიშვილს და, მეორე მხრით, სულხან ბარათაშვილს, ზაქარია ფალავანდიშვილს, ალექსანდრე სულხანიშვილს, ზაქარია ზუბალაშვილს, ლეონიდე ბარათაშვილს და სხვათ.

ახალ თაობიდან მცირედი ნაწილი რუსულ ენაში მოისუსტებს, უმეტესობა კი რუსულს უმარჯვებს იქაც კი, სადაც საამისოდ ძალას არავინ ატანს. ჩვენ არას ვიტყვით მოწაფეთა თაოსნობით გამოსულ «Цветок гимназии»-ს შესახებ, რადგან ამ ჟურნალის რუსულად გამოცემას კონტროლისათვის მოითხოვდა სკოლის ადმინისტრაცია. ვგულისხმობთ პირველ ყოვლისა ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკ. ბარათაშვილის ზოგიერთ წერილს, ნაწერს მთლად რუსულად ანდა რუსიციზმებით აჭრელებულს. გვაგონდება აგრეთვე ტარასი მესხიშვილი, რომელიც თავის ძველ ქართულად გამართულ წერილებში რუსულის გარევას სათაკილოდ არ მიიჩნევდა, ჩანს, რომ ქართველობაში რუსული ენა bon-ton-ად არის აღიარებული და ნელ-ნელა ძირს იდგამს. დამახასიათებელია ასევე ონომასტიკონის გარუსებაც. დიმიტრი ორბელიანის ცოლს მაიკოს ყველანი „მარია ივანოვნა“-ს სახელით იხსენიებდნენ. იგივე დიმიტრი თავის ქალს ელისაბედს, შემდეგში ფელდმარშალ ალ. ბარიატინსკის ცოლს, წერილებში ყველგან „ლიზას“ უწოდებს, ხოლო 1830 წ. 29 აპრილს თავის ძმას—პუპლიას ვაჟიანობის ამბავს ახარებს და იქვე „ნიკოლინკა“-ს ეძახის თავის ნაშიერს.[96]

ვთქვათ ეს წარუსულება წერილებში ანდა რუსული სახელების დარქმევა არაფერს გასაკიცხს არ წარმოადგენს. მაგრამ უეჭველად სიმპტომატურია ეპოქისათვის, როცა ჩვენი „ბრწყინვალე“

---

[95] ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“, დაწერილი 1837 წ.
[96] ლიტ. მუზეუმი, ინვ. № 611.

წოდების შვილნი პატარაობიდანვე წრფელი ლოიალობის განხრით იზრდებიან. მაგალითად, სულხან ბარათაშვილი, მომავალი ისტორიკოსი, 14 თვე ხატავს ნიკოლოზ I-ის სურათს, რითაც მოიქცევს დიდი მთავრის მიხეილ პავლეს ძისა და თვით იმპერატორის ყურადღებას. ოქროს ჩარჩოში ჩასმული ეს სურათი კორპუსში გამოჰკიდეს ნიკოლოზის წარწერით: „ინახებოდეს კადეტთა კორპუსში მოსწავლე ბარათაშვილის სახსოვრად“[97]. ან კიდევ: იგივე სულხანი დღიურს აწარმოებს რუსულად[98]. რუსულადვე წერს თავის „საქართველოს ისტორიას“, რომელსაც განსახილველად მიართმევს მთავარმართებელს[99]. მოკლედ, რუსული ენა და კულტურა ძირს იდგამს და ფართოდ ვრცელდება ჩვენს თავადაზნაურულ ახალგაზრდობაში.

მაგრამ საერთოდ, ამ წვრილმანების მიუხედავად, „ახალი თაობა“ სწორედ ის ფენაა, რომელიც გვიჩვენებს სიცოცხლის ნიშანწყალს, საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის ამოძრავებას, ყაზარმობასთან მის იდეურ კავშირს. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა გვმართებს შევჩერდეთ ზემოხსენებულ „გიმნაზიის ყვავილზე“. საგულისხმოა მოწაფეთა ჟურნალში მოთავსებული ზოგიერთი წერილის ტონი, პატრიოტულად აჟღერებული. მაგალითად, იასე ანდრონიკაშვილის „წერილები კახეთზე“, სადაც ავტორი გადმოგვცემს ერეკლე მეფის სასახლის ნახვით აღძრულ ფიქრ-შთაბეჭდილებათ. უფრო ყურადსაღები კი ისაა, რომ ამ ჟურნალში მოთავსებულია სოლომონ დოდაშვილის ორი ნაწარმოები: ერეკლე მეორის მეფობა (№ 3, 1835 წ. სექტ.-ოქტ.) და ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა (№ 5, 1836 წ. იანვ.-თებ.)[100], რომელნიც თავის დროზე დაიბეჭდა ჟურნალში „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისისა უწყებათანი“[101]. მათი მოთავსება გიმნაზიის ჟურნალში ნათლად მოწმობს იდეურ სოლიდარობას მადლიერ მოწაფეობასა და ღირსეულ ნამასწავლებარს შორის, ამ ხანებში მომაკვდინებელ

---

[97] ვ. სახოკია, ს. ქ. ბარათაშვილი, ჟურნ. „მოამბე“, 1896, VII, გვ. 8.

[98] იქვე, გვ. 2.

[99] ზ. ფალავანდიშვილის წერილი ბროსესადმი 1843 წ. 18 ივნისის თარიღით.

[100] მ. ხელთუბნელი, სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსულიდან, თბ., 1938, გვ. 35, 36—37.

[101] პირველი დაიბეჭდა № 3-4, გვ. 49-58, 73-80; მეორე კი № 1-2, გვ. 17-24, 25-34.

სენს რომ ებრძოდა ცივ ვიატკაში და გვიდასტურებს იმას, რომ ყაზარმელთა ფიქრ-ზრახვანი კვალწმინდად არ წარხოცილა მოზარდი თაობის გულში. აშკარად ჩანს, რომ სოლომონის სახე და საქმე მტკიცედ აღბეჭდილა მოწაფეობის ხსოვნაში. მართლაც, მისი გავლენა დიდი უნდა ყოფილიყო, თუ გავიხსენებთ მის იდეურობას სწავლების პროცესში. სოლომონი მასწავლებლის პროფესიას ირჩევს არა მარტო იმიტომ, რომ ეს საქმე უყვარს, არამედ უპირატესად იმიტომ, რომ ამ გზით მეტი უეჭველობით დანერგავდა ახალგაზრდობაში მამულის სიყვარულის გრძნობებს, აღაგზნებდა სამშობლოს სასიკეთოდ მოქმედებისათვის. ახლად დანიშნული მასწავლებლად იგი 1827 წ. 10 სექტემბერს სწერს თავის ალმზრდელს იონა ხელაშვილს: „ვაძლევ სიბრძნეთა მემამულეთა ჩვენთა სასოებითა მით, რომელ იგინი თვისსა დროსა აღვლენან ხარისხსა ზედა განათლებისასა, სადაცა მე მაქვს სახესა შინა სიყვარული მამულისა“[102]. ხოლო ოთხი წლის თავზე, 1831 წ. 18 სექტემბერს ოქროპირ ბატონიშვილს აცნობებს: „მაქვს გულსა შინა დამარხული წინადადებანი თქვენნი ყოვლისა დროსა შინა სწავლათა გარდაცემისასა“[103]. და აი საბუთიც, რომ დოდაშვილის ამაგს უქმად არ ჩაუვლია: ახალგაზრდობა ეხმაურება მის მამულიშვილურ აზრ-გრძნობებს, საზრდოობს მისი ნაკალმარით, მისი იდეებით აღგზნებული აპირებს ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას.

რა თქმა უნდა, ინტერესი წარსულისადმი, სიყვარული მშობლიური ისტორიისა და მწერლობისადმი, „ყვავილის“ წრეს რომ ახასიათებს, არ შეიძლება მარტო ს. დოდაშვილის გავლენას მიეწეროს. მთელი მაშინდელი გარემო ეროვნული გრძნობით იყო გაჟღენთილი. ქართველობის ბედკრული სინამდვილე ყველას და ყველგან ამ გრძნობას ძალაუნებურად უცხოველებდა. ყოველ მაშინდელ ოჯახში იყო მიმავალი თაობის წარმომადგენელი, შემსწრე იმ დროისა, როცა „მამულსა ჩვენსა აქვნდა თვისი საკუთარი მდგომარეობა“, დოდაშვილის პროკლამაციისამებრ; ეს მიმავალი, ხნოვანების გამო, ბუნებრივად წარსულით ცხოვრობდა, „ის მოუთხრობდა, ეს ყრმა უსმენდა, გამოუცდელი—მოხუცებულსა“[104]. თუ ვით ივერნი, ლომგულნი გმირნი ჰბრძოდნენ, ჰცხოვრობდნენ დროსა წარსულსა, უსმენდა და თვითეულ სიტყვას, ფაქტს,

---

[102] H—2226, გვ. 397.

[103] ლენინგრადის ფონდი, რვ. XXVI, გვ. 5272.

[104] გ. ორბელიანი, ლექსი „იარალის“.

მისგან გადმონაცემს, მოწყურებით ითვისებდა, უკვალოდა და შეუმჩნევლად არ რჩებოდა ყრმა მსმენელს მომთხრობის შუბლის გახსნა თუ მოღუშვა, მარჯვენის ენერგიული აღმართვა თუ უიმედოდ მისი ჩაქნევა ან მწარე ამოოხვრა. ყოველივე ეს დაღავდა მის სათუთ გულს და ჩვენ ვიცით:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააწნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“[105] ეს არაა ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი, არა, ესაა მაშინდელი დროის რემინისცენცია მხოლოდ. აი თვით ამ ლექს-აფორიზმის ავტორი, ნ. ბარათაშვილი, რასა სწერს ეგნატე იოსელიანის სიკვდილის გამო გრიგოლ ორბელიანს: „მამა ეგნატი... ერთი თვეა, რაც გარდაიცვალა საწყალი! Минувшее проходило перед ним, волнуяся как море—океан“[106].

ეგნატე იოსელიანი, რასაკვირველია, ერთი არ იყო. მისთანავენი იყვნენ სხვადასხვა მიმბაშ-ნაზირები. მაგრამ მათ სიტყვას, შინაურობაში კერძოდ თქმულს თუ მონათხრობს, ცხადია, მარტო ინდივიდუალური გამოხმაურება ექნებოდა და არა ისეთი მასობრივი რეზონანსი, როგორიც ს. დოდაშვილის მიერ საჯაროდ, მოწაფეთა კოლექტივისა და გარეშე საზოგადოების წინაშე, გულის სიღრმიდან ამოფრქვეულ გრძნობებსა თუ ნააზრევს. ამის ილუსტრაციად გამოგვადგება მისი „შესხმა... დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებილებასა შინა წელსა 1828-ს ივნისის 6-სა დღესა“[107].

ძველი საქართველო იდეალიზებულია დოდაშვილის „შესხმაში“: იგი „ჰბრწყინვიდა ოდესმე მაგალითთა შინა განსხვავებულთა კაცთასა სიბრძნითა, კეთილმოქმედებითა, შაირათ მთხზველობითა და მხნეობითა“. თამარის შემდგომი დრო „ექვსი ბნელი საუკუნეა“. ორატორი სწუხს დამოუკიდებლობის დაკარგვას და ამიტომ გაკვრით, ფრთხილად, ყრუდ ჰკილავს გიორგი მეფის საგარეო პოლიტიკას: „უკანასკნელ ერთ კერძო განუჰვრეტელობამ რომელთამე გამგებელთამან და ერთ კერძო შევიწროებამან ძლიერთა ერთამან მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესევითარ ხარისხამდე დამდაბლებისა“.

მაგრამ ამასთან ერთად დოდაშვილის „შესხმა“ აღბეჭდილია პირწმინდა ოპტიმიზმით, აღსავსეა უკეთესი მომავლის მტკიცე

---

[105] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, თბ., 1922, გვ. 70.

[106] იქვე გვ. 105.

[107] S-388, გვ. 20-22; აქა-იქ შეცდომებით და მცირე ლაკუნებით დაიბეჭდა „ივერიაში“, 1887 წ. № 227.

რწმენით: „ძალგვიძს ჩვენ დაიმედება თავთა თვისთა სასოებითა აღდგომად სწავლათა შინა და დადგომად არა თუ ოდენ ხარისხსა ზედა პირველსა ღირსებისა ჩვენისასა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხსა ზედა ევროპელთა ერთასა“. დოდაშვილის რწმენით, ქართველობა სწავლა-განათლების მეოხებით არა თუ უწინდელს მდგომარეობას მიაღწევს, არამედ ევროპელ ხალხებსაც კი გაუთანასწორდება. ამის ნიშანია სკოლათა სიმრავლე: „ახალნერგნი ესე სწავლათანი, განფენილნი ყოველით კერძო, არა წინასწარ გვაუწყებენა, რომელ მამული ესე ჩვენი მოისთვლის ოდესმე ნაყოფსა კეთილდღეობისა და დიდებისა თვისისასა?“ და თუ, — განაგრძობს დოდაშვილი, — დღეს უკვირთ რუსთა სიმკვირცხლე სწავლაში („დაუჭირველი მკვირცხლმოსწრაფება როსიელთა სწავლათა შინა“), ნუ გაგაოცებთ ისიც („გარნა საცვიფრო იქნებისა“), „რომელ განჰკვირდებოდენ ოდესმე ქართველთა ზედაცა!“ ვინაიდან, — დაასკვნის ის, — „გონება კაცისა არა დასცხრების ზეაღწევად“, გონება მუდამ წინ მიდის და ვითარდება.

დოდაშვილის „შესხმაზე“ ჩვენ განზრახ შევყოვნდით. ერთი იმიტომ, რომ ნათელი იყოს, თუ რას და როგორ ილაპარაკებდა იგი გაკვეთილების დროს, თუ კი „საზოგადოსა შეკრებილებასა შინა“ ასე თამამად გამოსთქვამდა თავის აზრებს, თუნდაც მონარქიული ფრაზეოლოგიით დაბურულს, და ამგვარი პროპაგანდის შედეგად რა გრძნობა-ფიქრებს აღუძრავდა მოწაფეობას ქვეყნის საკეთილდღეოდ. მერე შევჩერდით კიდევ იმიტომ, რომ ადვილად წარმოვიდგინოთ ის დიდი, შეიძლება ითქვას, აუნაზღაურებელი დანაკლისი, რაიც განიცადა ჩვენმა საზოგადოებრიობამ მისი სიკვდილით 1836 წ. 20 აგვისტოს, ჩვენთვის საინტერესო დროის მანძილზე.

სოლომონ დოდაშვილი უდავოდ იმპოზანტური ფიგურაა ჩვენი XIX საუკუნის ისტორიაში. თავისი ძალუმი ინტელექტით, უშრეტი ენერგიით, მამულიშვილური გრძნობით და სამშობლოს საკეთილდღეოდ წარმართული უტეხი ნებით იგი ჩრდილავს ყველა თავის დროის ჩვენს მოღვაწეს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის მემატიანეს იგი ეხატება მთელი ამ დროის მანძილზე 60-იან წლებამდე, როგორც მაღლად აზიდული ფართოტოტებიანი და ძირმაგარი მუხა ტრიალ მინდორში. დოდაშვილი მასწავლებლობს როგორც ნამდვილი ენთუზიასტი საქმისა, კათედრაზე ის თავს გრძნობს უფრო იდეით აღგზნებულ ტრიბუნად, ვიდრე პედაგოგად. „მემამულეთა ჩვენთადა სიბრძნეთა“ მიცემისას მას „სახეში

აქვს სიყვარული მამულისა". და ეს ლიტონი თქმა არ იყო. ზემორე „შესხმაც" სწორედ ამას გვიჩვენებს. წლიურ საზეიმო აქტებზე ის პოლიტიკურად წვრთნის მოწაფეობას, მათ მშობლებს, დამსწრე საზოგადოებას, მოაგონებს რა საქართველოს ბრწყინვალე წარსულს, მის მდიდარსა და მაღალ კულტურას და მოუწოდებს იქითკენ, რომ ქართველობამ დაიკავოს ევროპელ ხალხთა თანატოლი ადგილი. ის თარგმნის წიგნებს, თხზავს საკუთარ ნაწარმოებთ, გამართავს სტამბას, ბეჭდავს, აგროვებს საისტორიო მასალებს, აარსებს ჟურნალს, თავს უყრის ლიტერატურულ ძალებს, ზრდის საამისო კადრებს (გიორგი ერისთავს, დავით მაჩაბელს), ურჩევს ფულიან იონა ბერს თბილისის ცენტრში მიწების შეძენას მესაკუთრე ქართველთა მოსამრავლებლად, იქ დუქნების გამართვის და აქედან ამოღებული შემოსავლით საზოგადო საქმიანობის გაფართოებას, კერძოდ ქართული წიგნების დასტამბვას. მოკლედ, ენერგიით აღსავსე დოდაშვილი ბევრ რამეს აკეთებს საერთოს, საზოგადოს, სასარგებლოს, საჭიროს. და შეთქმულება რომ არა, ან ხხვებსავით შინ დაბრუნება და დღეგრძელი ცხოვრება რომ ღირსებოდა, მისი კვალი ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიაში ბევრად უფრო ნაყოფიერი და ეფექტური იქნებოდა.

სოლომონ დოდაშვილის უჟამო სიკვდილი (იგი გარდაიცვალა 31 წლისა) მეტად დიდი დანაკლისი იყო მაშინდელი საზოგადოებრიობისათვის არა მარტო იმიტომ, რომ მისი უდავოდ დიდი ნიჭი და განათლება მთელი პოტენციით ვერ გამოვლინდა, არამედ იმიტომ უფრო, რომ ის იყო, ჩვენი ფიქრით, ერთადერთი ენთუზიასტი მამულიშვილი, რომელიც სურვილის გარდა (ეს უთუოდ ხხვებსაც ნაკლები არ გააჩნდათ) ჩქეფდა ენერგიით, თავს უყრიდა ყველას, აკავშირებდა საერთო იდეით და შეძლებდა კიდეც საზიარო საქმის გაძღოლას, ვინაიდან პირველ რიგში სრულიად უანგაროდ მას საერთო კეთილდღეობა ამოძრავებდა და არა პირადი. ამის სადასტუროდ რამდენიმე მითითება მოგვეპოვება. აი თუნდაც მისი სიტყვები, რომელთაც სწერდა იონა ბერს რუსეთშივე ყოფნისას 1826 წ. 14 ნოემბერს: „არა თავისა თვისისათვის მხოლოდ გინა ბედნიერებისათვის ვმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა"[108]. და ჩვენც ვხედავთ, რომ მთელი მისი შემდგომი საქმიანობა, pro publico bono წარმართული, ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს: იგი გამუდმებით მუშაკობს საქართველოშიც და გადასახლებაშიც, „სანთელსა-

[108] H-2226, გვ. 141.

ვით თვით იწვის და სხვას კი გზას უნათებს". აქ ჭლექმორეული, სიკვდილის პირას მისული, ეკონომიურად გაჭირვებული, სამსახურის საქმეებით დატვირთული მაინც კალამს არ უშვებს ხელიდან და წერს ექვსტომიან ფილოსოფიას.[109]

დოდაშვილისავე უანგარო თავდადებულობას მოწმობს თავისდაუნებურად ლუკა ისარლიშვილის მიერ მოცემული ნეგატიური შეფასება თავისი ნამასწავლებარისა: „მეორე ამის ნაცნობმა (ლ. ის.) კი ვერაფრით აქო, — გვაუწყებს ზ. ჭიჭინაძე დოდაშვილის შესახებ, — ვინ იყო ისაო, არაფერი, გადარეული იყოვო. ბევრჯერ უთხრეს მას: ბიჭო, ნელა, თორემ თავს იქით გიკრამენო. „ჩემ ფეხებს თუ მიკრავენო, ძალიან დარდი, მზე და მთვარე იქაც არისო"[110]. ამასვე ადასტურებს პუპლია ორბელიანი, რომელიც თავის შეწყალებით თხოვნაში რატომღაც წერდა: „უფლის სოლ. დოდაევის საქმენი განმაკვირვებდნენ ესრეთ, რომ დოდაევი იყო გლეხი კაცი და ახლა მთავრობის მიერ აჰყვავებულ იქმნა და ამა ბოროტსა განზრახვასა ზედა ვითარ ფიცხლად იქნებოდა, რომელ განმაშტერებდნენ მისნი ესრეთნი საქმენი"[111]. ოღონდაც რომ პუპლიას გონებისათვის მიუწვდომელი იყო მთავრობისაგან აღზევებული გლეხი კაცის უანგარო, იდეური, ყოველგვარ ქვენა ანგარიშის გარეშე, მონაწილეობა შეთქმულებაში, „ბოროტსა განზრახვაში", სოლომონი ხომ თავიდანვე არა პირადი „ბედნიერებისათვის მუშაკობდა, არამედ სიყვარულისათვის მამულისა".

აი ასეთი თავგანწირული მოღვაწე, ღირსი ილია ბერისაგან ნაწინასწარმეტყველევი ხვედრისა,[112] ნაადრევად მოკვდება შორეულ

---

[109] ეს ექვს ტომად დაწერილი ფილოსოფია ინახებოდა თბილისის სასულიერო სემინარიის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში და 1876 წელსაც მოწაფეებს მას იყენებდნენ თხზულებათა წერისას (იხ. ხატიაშვილი, სოლომონ დოდაშვილი გაზ. „საქართველო", 1916 წ. № 205). შემდეგ მისი კვალი დაიკარგა, თუ ის არ აღმოჩნდა საეკლესიო მუზეუმის ფონდში, სადაც გადავიდა სემინარიის მრავალი ხელნაწერი.

[110] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1893, გვ. 10. წიგნაკი სავსეა მცდარი ფაქტებით, მაგრამ ლ. ის. [არლიშვილის] სიტყვების შეთხზვა ზ. ჭიჭინაძის მიერ ძნელდასაშვებია, რადგან ეს ბროშურა, 1892 წ. 27 ნოემბრის საცენზურო ვიზით, გამოვიდა ისარლიშვილის სიცოცხლეშივე: იგი გარდაიცვალა 1893 წ. 11 სექტემბერს.

[111] XXV, 5050; „1832 წ. შეთქმულება". გვ. 28-29.

[112] „სახელი შენი აღიწერების წიგნსა შინა ცხოველისა ცათა შინა, ხოლო სამარხოსა შენსა ზედა აღიმართვიან ძეგლნი, მქადაგებელნი შენისა სიბრძნისა და ღვაწლებისა და ბიბლიოტიკოებსა შინა ივერიისასა ყოველგან სახელი შენი შთაიბერებიან აღბაძვებად სიბრძნის მოყვარეთა".—სწერდა ილია ბერი დოდაშვილს (S-2753).

ვიატკაში. მაგრამ მისი იდეები, ყაზარმელთა იდეები, კვლავ ცოცხლობენ და დროგამოშვებით, თითქოს ანაზდეულად, გაიელვებენ ხოლმე ქართველობის ნაკალმარში. პირველ რიგში, ეს ვნახეთ მის მოწაფეთა 1835—1836 წწ. ჟურნალში—«Цветок гимназии». ცოტა გვიან, 1844 წ. მასვე ვხვდებით ქართლის თავადაზნაურობის „გამოცხადებაში", რომელიც, თუ გნებავთ, თავისებურ დეკლარაციადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ ამაზე შემდეგ.

11

1838—1844 წლებში, დროის იმ მონაკვეთზე, ჩვენ რომ ამჟამად გვაინტერესებს, „ახალ თაობაში" ყურადღებას იქცევს პლატონ იოსელიანი, რომელიც თითქოს აგრძელებს ს. დოდაშვილის მიერ წამოწყებულსა და უდროოდ წარკვეთილ საქმიანობას, ისიც ერთს უბანზე მხოლოდ და ნაკლები მასშტაბითაც.

პლატონ იოსელიანი (1809—1875) შვილია საქართველოს უკანასკნელი ,მეფის გიორგი XIII-ის მოძღვრის ეგნატესი, ცნობილი მწიგნობრისა. იგი ს. დოდაშვილთან ერთად სწავლობს თბილისის სასულიერო სემინარიაში, თუმცა წარმატების მხრივ მას ჩამოუვარდება[113]. აქ სწავლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს განათლებას მიიღებს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში (1831—1835), ე. ი., რომ იტყვიან, მდინარებას გაჰყვება. საგულისხმოა პარალელი: დოდაშვილი, სოფლელი მღვდლის შვილი, სემინარიის მოწაფეობიდან სწავლის დამთავრებამდე მასწავლებლად იგზავნება სიღნაღში, მასწავლებლობას მიატოვებს და წავა პეტერბურგის უნივერსიტეტში. აშკარად ჩანს მისი უტეხი ნება და სწრაფვა. იოსელიანი კი სოლომონსავით დაბრკოლებათ არ ლახავს, იგი უბრძოლველად მისდევს ცხოვრების დინებას. აკადემიადამთავრებული იოსელიანი მობრუნდება სამშობლოში და შეუდგება მასწავლებლობას თბილისის სემინარიაში. ფრთხილი და ზომიერი პლატონი სრულიად არ ჩანს ყაზარმელთა წრეში. ამათი პოლიტიკური მისწრაფებანი და იდეალები მისთვის უცხოა და მიუღებელი. მაგრამ კულტურულ-საზოგადოებრივი მიზნები, ამ წრეს, მეტადრე დო-

---

113 „დიდი მაჩვენებელი" „უბნობის" დასწავლაში... ჰქონდა პლ. იოსელიანს 30-35, ს. დოდაშვილს—30-50" (ი. ბაკურაძე, ტფ. სასულ. სემინარია 1817-1835 წლებში, კრებული: სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. თბ., 1937, გვ. 116-117).

დაშვილს რომ ჰქონდა, მისთვისაც მშობლიურია და მახლობელი, ოღონდ მას არა აქვს ის გაქანება და ენერგია, დოდაშვილს რომ ახასიათებდა. იოსელიანი უფრო მოდუნებული და ნაკლებწადიერია. მისი ეს მოშვებულობა მკაფიოდ გამოსჭვივის მის შემდეგს მინაწერ ფრაზაში აკად. მ. ბროსეადმი: „მინდა თვისსა დროსა პანსიონის გახსნა, სტამბისა გამართვა, ჟურნალისა ბეჭდვა და სხვ., თუ ღმერთი დააგვირგვინებს ჰაზრთა ჩემთა“[114]. გავამახვილოთ ყურადღება ამ კუპიურის სიტყვებზე: „მინდა თვისსა დროსა“, „თუ ღმერთი დააგვირგვინებს ჰაზრთა ჩემთაო“ და ნათელი გახდება იოსელიანის მოდუნებული წადიერება. დოდაშვილი კი დაბრკოლებათ არა ხედავს, ხელათვე გამართავს ქართულ სტამბას ოსტატ არარატოვის ძალ-ღონით[115] და ოფიციალურ ქართულ „თბილისის უწყებებთან“ ერთად ბეჭდავს თავის ჟურნალს — „სალიტერატურო ნაწილთ“. ცხადია, იოსელიანს დოდაშვილისთანა გაქანება და ენერგია არა აქვს.

მაგრამ, ამის მიუხედავად, იოსელიანი მაინც პირველია, რომელიც შეძლებს აამოძრაოს მიყუჩებული ქართული საქმე, ბეჭდავს რა სამ წიგნს ზედიზედ 1838 წელს, ექვსი წლის მანძილზე ქართული სტამბის უმოქმედობის შემდეგ. ესენი იყო: ა) „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ახალ-მოსწავლეთა ყრმათა“, ბ) შავთელის „თამარ მეფისა და მეუღლისა მისის დავით მეფისა თქმული ლექსად აბდულ-მესია“, დაბეჭდილი სასწრაფოდ[116] და გ) ჩახრუხაძის „შესხმა“.

თუ ანბანის გამოცემით იოსელიანი მოზარდ თაობას უწევდა სამსახურს, ორი უკანასკნელი გამოცემით, შავთელითა და ჩახრუ-

---

[114] S-4797, წერილი 1840 წ. 29 თებ. თარიღით.

[115] «Мастер Араратов, возбужденный сим чувством (рвения к общеполезному) при первом учреждении в Тифлисе издательского Комитета, из единственного усердия, предложил безвозмездно свои услуги, и в самое короткое время устроил грузинскую типографию» — ვკითხულობთ 1828 წ. «Тифлисские Ведомости»-ს № 24-ში (უკანასკ. გვ.). მაგრამ არარატოვის „ბეზვოზმეზდნო“-ბას ანუ უსასყიდლობას გამორიცხავს სოლ. დოდაშვილი, რომელიც იმავე 1828 წ. 4 აგვ. სწერს ონას: „კომიტეტსა შინა სამხედრო გუბერნატორმა და მზრუნველმან კომიტეტისმან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა... დიდად ვსწუხვარ, რომ გიორგი პაიჭაძე აქ არ იმყოფებოდა ამ შემთხვევაში ტიპოგრაფიისათვის, რომელიცა კომიტეტსა შინა საჭირო იყო, ერთი სომეხი განაწესეს და მიცა 30 თუმანი თეთრი ღუბერნატორმან“ (H-2226, გვ. 535).

[116] П. И о с е л и а н и, Путевые записки от Тифлиса до Мцхета. 1871, с. 28-29.

ხაძით, ის მთელ ქართველ მკითხველ საზოგადოებას უღვიძებდა ინტერესს მშობლიური მწერლობისადმი და თუ ეროვნულ სიამაყეს არა, კმაყოფილების გრძნობას მაინც უნერგავდა მას, მით უფრო რომ 1712 წლის შემდეგ ამ დრომდე თბილისში არც ერთხელ არ დაბეჭდილა ქართული ძველი საერო მწერლობის ძეგლი. მომდევნო წლებში ამ გამოცემათ მოჰყვა პლ. იოსელიანისავე „პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამატიკისა“ (1840), შემდეგში რამდენიმე გამოცემად დაბეჭდილი, „კალენდარი ანუ თთუეთა-რიცხუაობა“ (1840), მისივე თარგმნილი „დარიგება მოყუანისათვის ამერიკულის თამბაქოსი“ (1841) და „ენდროს მოყუანისათვის“ (1841). ამრიგად ნავსი გატყდა და ქართული წიგნის ბეჭდვას თბილისში სასიცოცხლო პირი დააჩნდა, თანაც სოციალური გეზი მართებულად იქნა აღებული: ეს გამოცემანი დაბალი, ფართო ფენებისათვის იყო განკუთვნილი და არა წინანდებურად მაღალი წოდების ვიწრო წრისათვის.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე შევეხებით 1838—1844 წწ. ქართულ ბეჭდვით პროდუქციას, რომელიც ერთობ უმნიშვნელოა შინაარსის მხრივაც და რიცხვითაც (სულ ზემორე გამოცემებითურთ 21 სახელწოდება). გამონაკლისს შეადგენს ალ. სულხანიშვილის „მეტოდური ლექსიკონი ქართულ-ფრანციულ-რუსული“ (1839), დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანციული ლექსიკონი“ (1840), შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“, გამოცემული ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ (1841), და ვახუშტის „ღეოღრაფიული აღწერა საქართველოისა“ (1842), ოთხივე დაბეჭდილი პეტერბურგში, სადაც ბროსეს ჩასვლისთანავე გაჩნდა ქართული კულტურის მეორე კერა, თბილისისაზე უფრო ნაყოფიერი, ეფექტური და, მისგან განსხვავებით, ნამდვილმეცნიერული.

ქართულ ბეჭდვით პროდუქციასთან დაკავშირებით ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ხანებში თბილისში ჩნდება მეტნაკლებად მოწესრიგებული პოლიგრაფიული ბაზაც ძმათა არზანოვების სტამბის სახით. ერთ-ერთი ამათგანი, დავით არზანოვი, ჩანს, განათლებული და მიღებული კაცი ყოფილა, რამდენადაც იგი იყო თბილისის კერძო ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი: 30 კაცში ისიც აწერს ხელს. არზანოვების სტამბა მთავრობისაზე უკეთესად იყო მოწყობილი, ასე რომ 1843 წ. დამლევს მთავარმართებელმა ნეიდჰარდტ-

მა იგი სამთავრობოდ შეიძინა და მისთვის დამატებით გამოიწერა 20 ფუთი ქართული შრიფტი[117].

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ქართული შრიფტის გაუმჯობესება-გალამაზების საკითხიც. ისტორიული ტრადიცია ჩვენი შრიფტის, ეგრეთწოდებული აკადემიური შრიფტის, გაუმჯობესების ინიციატივას მიაწერს აკად. მ. ბროსეს და პროფ. დ. ჩუბინაშვილს. „აკადემიური ასოები ჯერ ისევ 1840 წლამდე ულამაზო იყო, — ვკითხულობთ ერთს პატარა მიმოხილვაში,— ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს აკად. მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა. შეალამაზეს, ხასიათი შეუცვალეს და სამეცნიერო აკადემიას გადასცეს შესაძენად. ამ დღიდან მოკიდებული უცვლელად იხმარება".[118] ეგების ამ საქმის თაოსნობა მართლაც ხსენებულ მეცნიერთ ეკუთვნოდეს, ოღონდ საკითხის საბოლოოდ გამორკვევამდე საჭიროდ ვცნობთ აღვნიშნოთ, რომ 1840 წლამდე არსებული ქართული სტამბური ასოების გაუმჯობესება-გალამაზების აზრი, პეტერბურგისაგან დამოუკიდებლად, მოსვლია თბილისში პლატონ იოსელიანსაც. 1840 წ. 29 თებერვალს იგი სწერს ბროსეს: „აკადემიისათვის მაქუს საჩუქარი კარგი: ჰაზრი ჯერეთ ახალი, არავისაგან ქმნილი, სრულებით свежий როგორც ახალი თევზი. თქვენ მოიწონებთ. მაგრამ ჯერ არ შესრულებულა და ამისათვის არ გეტყვით. ესე იყოს თქუენთვის საიდუმლოდ!—ერთს თთუეს შემდეგ გაცნობებთ და გავჰგზავნიცა. ეს იქნება

არც ქაღალდი, არცა წიგნი
არცა ჩემი, არცა შენი
ყოველთათვის საჭირონი
სამუდამოდ დასაშუენი.
— გამოიცანით რა?[119]

ცოტა გვიან, 1840 წ. 1 აგვისტოს იგივე იოსელიანი სწერს ბროსეს: „გამოცანად მოწერილი ამბავი მალე განცხადდება და მოგართმევთ — ორს კვირას შემდგომად"[120]. მაგრამ გამოცანა იოსელიანმა ბროსეს ამოუხსნა უფრო გვიან. მარტისათვის შეპირებული

---

[117] სტამბის გამგის — ნირკოვის წერილი Кавказский Календарь на 1857 г., с. 210.

[118] გაზ. „სახალხო გაზეთი", 1913 წ. № 1152; ციტირებული ზ. ჭიჭინაძის წიგნით: ქართული სტამბები 1627-1916 წ. თბ., გვ. 33.

[119] S-4797. № 31. პ. იოსელიანს ტაეპისათვის ჩაყოლებაზე მიუწერია: „№ 13,—არა ეძიოთ ამა ლექსებში პოეზია",

[120] S-4797, № 24.

პლატონმა შეასრულა ნახევარი წლის დაგვიანებით. 1840 წ. 5 სექტემბერს იგი აუწყებდა ბროსეს: „ამასთან ერთად გამოვისტუმრე მძიმეს ფოჩტით ადრევე სიმვოლიკად აღთქმული საჩუქარი. ესე არის ქართული ახალი შრიფტი ნუსხური. გთხოვ აკადემიას მიართოთ ჩემ მიერ. რაც შეიძლება კარგი არიან პირველ შემთხუევისათვის, და საჭიროცა იქმნება აკადემიის ტიპოგრაფიისათვის. თქუენ იცით რომ ჯერეთ ნუსხური არა გვქონია ქართულად სტამბათა შ [ინ]ა ხმარებული. ეს ასოები ამანათად გამოსტუმრებული და ეს წერილი ერთად მოვლენ. ამანათზედ აწერია თქუენი სახელი, მაგრამ მეშინიან გზაზედ არ იყოს წაბღალული. ამისათვის გთხოვთ თვით თქუენ მოიკითხოთ ფოჩტაში посылка с тяжелою почтою от 26 августа, в белой коже , весом 2 фунта. ასოებისა მარცვალთათანა ჰპოებთ ნუსხისათვის სახმართა ქარაგმთაცა. მაგალითად, მცირე დაბეჭდილი კუპლეტი აქავე მდებარებს ამა წერილთან. პ [ირვე]ლ შემთხუევაზედ არ არიან ასოები დასაწუნებელნი“.[121] ბროსეს წერილთან ერთად შეუნახავს ნიმუშად გაგზავნილი „მცირე დაბეჭდილი კუპლეტიც“. იგი გვიჩვენებს, რომ „ნუსხური“ მხედრული ასოები ყოფილა და მეორე მხრით „დაბეჭდილიც“ ნასტამბავის შთაბეჭდილებას არ სტოვებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე მაინც.

1840 წ. 5 სექტემბრის წერილიდან ირკვევა, რომ 29 თებერვალს აკადემიისათვის აღთქმული საჩუქარი სინამდვილეში ყოფილა „ქართული ახალი შრიფტი ნუსხური“ ანუ მხედრული, აკადემიის „ტიპოგრაფიისათვის“ განკუთვნილი. ჩანს ისიც, რომ ასოები იოსელიანს თბილისში ჩამოუსხმევინებია. ამიტომაც სწერს 29 თებერვალსვე „ჯერ არ შესრულებულა“, „ერთს თთუეს შემდეგ გაცნობებთ და გავჰგზავნიცა“ აკადემიაშიო, ხოლო 5 სექტემბერს აუწყებს „გამოვისტუმრე მძიმე ფოჩტით“, «с тяжелою почтою, в белой коже, весом 2 фунта», „მეშინიან გზაზედ არ იყოს წაბღალული“. თუ ჩამოსხმული არა, ისე რატომ უნდა გაეგზავნა იოსელიანს მჩატე რამ მძიმე ფოჩტით, ტყავში, წონით ორგირვანქიანი, და რატომ უნდა ჰქონოდა შიში—გზაზე არ წაიბღალოსო?

სხვა საკითხია: სწორედ პლატონ იოსელიანის მატრიცები იქნა შემდეგში გამოყენებული აკადემიის სტამბაში, თუ ბროსემ და ჩუბინაშვილმა ისარგებლეს მისი იდეით და იგი გააუმჯობესეს, გაალამაზეს ანდა იოსელიანისგან დამოუკიდებლად იმათ ცალკე,

---

[121] S-4797, № 25. ხაზი ჩვენია. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ამოხსნილი ქარაგმებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისით აღეძრათ ეს აზრი ახალი შრიფტის შემოღებისა? ეს საკითხი ჯერ გამოსარკვევია და შესწავლას საჭიროებს, თუმცა ქართული სტამბის ისტორიაზე არაერთი სქელტანიანი წიგნი მოგვეპოვება და იქ იგი საკითხი სრულიად არ აღძრულა.

ასეა თუ ისე, ამ ეგრეთწოდებული აკადემიური შრიფტით ქართული ბეჭდვის საქმე წინ წავიდა გაუმჯობესების მხრივ და ეს შრიფტი მალე გაბატონდა ჩვენს სტამბებში, სანამ გაჩნდებოდა უკეთესი — ეგრეთწოდებული ვენური. დამახასიათებელია მაშინდელი ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ ქართულ ნაბეჭდ წიგნს მაინცდამაინც დიდი გასავალი არ ჰქონდა. ეს უეჭველია მისი გონებრივი ინერტულობისა და, თუ გნებავთ, ერთგვარი ეროვნული ინდიფერენტიზმის მაჩვენებელიცაა. ზაქარია ფალავანდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ თანაგამომცემელი, თავდაპირველად დარწმუნებული იყო, რომ ეს წიგნი თბილისში სწრაფად გაიყიდებოდა. „ტარიელის, — ასე უწოდებს ის შოთას ნაწარმოებს, — დაბეჭდვის ამბავმა სრული კმაყოფილება გამოიწვია,“ — წერდა ზაქარია ბროსეს[122], მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა: წიგნი ათეულობით გაიყიდა მხოლოდ თბილისში[123]. მეტი წილი კი, ქართლ-კახეთში დაგზავნილი სამოქალაქო გუბერნატორის ალექსანდრე სკალონის დახმარებით, მძიმედ საღდებოდა[124], ზოგი უკან დააბრუნეს კიდეც. ასე რომ გუბერნატორმა ფალავანდიშვილს მერე უარი უთხრა წიგნების გურიასა და იმერეთშიც გაგზავნაზე[125]. თვით თბილისშიაც მეწიგნე სომეხმა ერთს წელიწადში 15 ცალიდან მარტო 7-ის გაყიდვა შეძლო[126].

წიგნის ასეთი ნელი გასაღების მიზეზი, რა თქმა უნდა, მარტო ეროვნული გულგრილობა და გონებრივი ინერტულობა როდი იყო. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ შოთას ქმნილება ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ხელნაწერებითაც საკმაოდ მოეპოვებოდა.

ასევე ნელი ტემპით იყიდებოდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონიც. პლატონ იოსელიანმა 1841 წ. იანვარში ეს წიგნი მხოლოდ 25

---

[122] S-4797, 1841 წ. 8 იანვრის წერილი.

[123] იქვე, 1842 წ. 4 მაისის წერილი.

[124] იქვე, 1843 წ. 26 მარტის წერილი: „ჩვენი ტარიელი მთლად დავიწყებულია სამოქალაქო გუბერნატორმა ორჯელ გაუმეორა თავის განკარგულება მაზრის უფროსებს“.

[125] იქვე, 1844 წ. 3 მარტის წერილი.

[126] იქვე, 1843 წ. 18 ივნისის წერილი.

ცალად დაიბარა და მისი გაყიდვის შემდეგ სექტემბერში კიდევ 25 ცალი მოითხოვა[127].

ალსანიშნავია აგრეთვე მაშინდელ თბილისში სამკაზმავო საქმის ვითარება. „ყდა ყველა წიგნს დასჭირდება, იმიტომ რომ თბილისში მკაზმავები არ არიანო“, — სწერს ზაქარია ფალავანდიშვილი ბროსეს 1841 წ. 26 სექტემბერს[128]. პლატონ იოსელიანი ოდნავ ანელებს სურათს: „ლექსიკონები... რომ შეკრული გამოგზავნოთ, უკეთესი იქმნება“[129], „აქ წიგნის შეკურა ძვირი არის“[130].

12

იღბლად ჩვენამდე შენახული წერილები პლატონ იოსელიანისა ბროსესთან ცხოვლად წარმოგვიდგენენ პლატონის ნაყოფიერ საქმიანობას ანუ, მისი სიტყვით, „შეწევნასა ჩემის ქვეყნისა კეთილდღეობისათვის“[131]. ის წერს საკუთარ შრომებს. მაგალითად, მის ამდროინდელ კალამს ეკუთვნის „ისტორიებრი და ღეოლრაფიული აღწერა ძველისა საქართველოისა“, რომელიც სარეცენზიოდ გადაეცა ბროსეს და უსტრიალოვს და, რაკი არ ეღირსა თავის დროზე დაბეჭდვას, 1867 წელს უკან გამოითხოვა ავტორმა აკადემიიდან. ასეთივეა — „საქართველოს ეკლესიის ისტორია“, რომლის მოწონებისათვის ავტორი დიდად მეცადინეობდა, და სხვანი, რიცხვით თორმეტი, რომელთა ნუსხა იოსელიანს მოცემული აქვს 1838 წ. 1 სექტემბრის წერილში. გარეშე ამისა აგროვებს ძველ ხელნაწერებს ანუ, როგორც თვითონვე სწერს, არის „დიდად მეძიებელი ქართულთა წიგნთასა, არცა იშურვის ფულთა მოსყიდვად მათ და მიმოვლასა საქართველოდ ჟამთა თავისუფალთა თანამდებობისაგან“[132]. მის მიერ მოძიებულ წიგნებს შორის შეიძლება მოვიხსენიოთ „ცხოვრება ქართველთა მეფის ძისა პეტრესი, რომელიც იყო ძე ვარზბაქარ მეფისა, აღწერილი მოწაფისა მიერ თვით პეტრესა რომლისაღაცა ზაქარიასა“[133], „ცხოვრება წმიდისა ნინასი სხუად

---

[127] 1841 წ. 5 იანვარისა და 12 სექტემბრის წერილები (S-4797, პლ. იოსელიანის წერილთა სერია.).

[128] S-4797; à Tiflis on n'a pas de relleurs.

[129] S-4797, წერილი № 31, 1841 წ. 14 მარტის თარიღით.

[130] იქვე, წერილი № 32, 1841 წ. 12 სექტემბრის თარიღით.

[131] წერილი № 28, 1840 წ. 14 დეკემბრის თარიღით.

[132] წერილი № 2, 1838 წ. 14 აპრილის თარიღით.

[133] იქვე.

აღწერილი“, „კრებისა ამბავი, რომელიცა იქმნა საქართველოსა შინა მეფობისა დავით მეფისა“, „ეფრემ მცირისაგან აღწერილნი სამთაბახზედ მოხსენება ქართველთა მოქცევისათვის, საფუძველსა ზედა ბერძენთა მწერალთასა“[134] და სხვ. იოსელიანს კარგად აქვს შეგნებული სიგელ-გუჯართა მნიშვნელობა ისტორიისათვის და ამიტომაც აღძრავს ბროსესთან საკითხს — „დიდად და მრავლად სასარგებლოდ იქმნება მოვჰკრიფოთ ეკკლესიათა და მონასტერთა გუჯარნი, რომელნიცა სინოდისა კანტორსა აქ ტფილისში მოსახმარად თვისსა აქუსთ. აქა იპოებიან ძველთა მეფეთა შეწირულებათა სიგელნი და სხვ. სრულებით გამოტანა მათი არა შესაძლებელია, და კოპიოთა შოვნა ადვილია. მაგრამ ესეც არ მოიქმედება, რომელსა ზედაცა დამოეკიდების კანტორა ესე. მაშინ შრომა ჩუენი იქმნების მჰსგავსი შრომისა, რომელიცა ჰქმნა უფ. აკადემიკმან სტროევმან რუსეთსა შინა“[135]

როგორც ვიცით თვით იოსელიანის მომდევნო წერილებით, ბროსე სრული თანაგრძნობით გამოეხმაურა ამ სასარგებლო აზრს, იძლია ფორმალური დაბრკოლებანი და იწყეს სიგელ-გუჯართა გადმოწერა, შეჯერება და გზავნა რუსეთის სამეცნიერო აკადემიაში. იოსელიანსვე შრომა აქვს გაწეული წარწერათა (თბილისის სიონის, მცხეთის ტაძრის), ეპიტაფიათა გადმოწერაში, და რაც მთავარია, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მოხატულობის გადმოღებაში, რაც შეასრულა მისი ხელმძღვანელობით იტალიელმა მხატვარმა როციმ. არას ვამბობთ ძველი ქართული ფულების შეგროვებასა და ბროსესთან გაგზავნაზე, რასაც — აქვე ვიტყვით — იოსელიანი ხანდახან ეწეოდა ნუმიზმატ მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევისგან დამალვით. „მოგართვი ერთი თეიმურაზისა დიდისა ფული, არა მეორისა, რომელიც თქუენ არა გაქუსთ. ესეცა იდუმალ, რათა არა ეცნა უფ. ბარატაევს, თორემ კოპიოსა მანდ გამოგზავნიდა და ნამდვილს თვით მიიღებდა. თუ დაჰსწერთ მისათვის რაიმეს, მოახსენეთ რომ არა ეხლა, არამედ ადრევე გამოგიგზავნეთ მე თქუენ იგი“ — სწერს იოსელიანი ბროსეს[136].

საერთოდ იოსელიანის ამდროინდელი საქმიანობის სრული მიმოხილვა, თუნდაც მარტო მისი წერილების მიხედვით, ძალიან შორს წაგვიყვანდა და მოითხოვდა მეტ ადგილსა და დროს. მაგ-

---

[134] წერილი № 14, 1839 წ. 25 მაისის თარიღით.
[135] წერილი № 3, 1838 წ. 12 მაისის თარიღით.
[136] წერილი № 19, 1839 წ. 30 ნოემბრის თარიღით.

რამ თქმულიდანაც ნათელი უნდა იყოს ის საჭირო და სასარგებლო მოღვაწეობა, რასაც ჩვენი ისტორიკოსი მაშინ ეწეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონ იოსელიანის საქმიანობა თქმულით არ ამოიწურება. მომდევნო წლებში, მეტადრე 1843—1844 წლებში, როცა ის პეტერბურგს მიდის და სინოდში მსახურობს, იგი ბეჭდავს საისტორიო შინაარსის შრომებსაც რუსულ ენაზე[137].

რასაკვირველია, ეს შრომები, რაგინდა დილეტანტურად ყოფილიყო შინაარსით, რუს საზოგადოებას ავად თუ კარგად აცნობდა საქართველოს მდიდარსა და მაღალ კულტურას და მასში უეჭველად აღძრავდა თუ პატივისცემას არა, ერთგვარ რიდს მაინც ქართველობის წინაშე, ხოლო უკანასკნელი ასე თუ ისე მხნევდებოდა და თავმომწონებდა, თორემ ის ერთობ გულგატეხილი, შეიძლება ითქვას, სულით დაცემულიც კი იყო. ამგვარ დეპრესიულ განწყობილებას ამჟღავნებს ზაქარია ფალავანდიშვილი, რომელიც სენკოვსკის წერილით[138] აღშფოთებული შემდეგს ნაღვლიან სტრიქონებს სწერს ბროსეს: „ჰისტორია საქართველოისა, როგორც მე ვგონებ, ამით არას ჰკარგავს, თუ არას იგებს, ამისთვის რომ სახელი მაინც იხსენება საქართველოისა რუსეთში და რუსულს ენაზედ“[139]. იოსელიანის ზემორე წერილები პირველ რიგში სწორედ იმით იყო გასამხნევებელი მაშინდელი ჩაგრული ქართველობისათვს, რომ მათი სამშობლოს სახელი „იხსენებოდა რუსეთში და რუსულ ენაზე“.

13

იმ დროს, როცა თბილისში ქართულ საქმეს სასიცოცხლო პირი დააჩნდა პირველ რიგში პლ. იოსელიანის მონაწილეობით, პეტერბურგშიაც ერთს მეტად სასიამოვნო მოვლენას ვხედავთ. იქ პარიზიდან ჩავა ახალგაზრდა მეცნიერი ფრანგი მარი-ფელისიტე ბროსე, რომელსაც იქაური გავლენიანი ქართველობის, მეტად-

---

[137] Михетский храм в Грузии (ЖМНП, 1842, 36); Краткая история грузинской церкви (СПб. 1843); Города, существовавшие и существующие в Грузии (ЖМВД, 1844, 1); Различные наименования грузинов (ЖМНП, 1844, 6)

[138] Некоторые сомнения касательно истории грузинов. «Библиотека для чтения», 1838, том 30.

[139] S—4797, ზ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, № 2, 1838 წ. 28 ოქტომბერი.

რე თეიმურაზ ბატონიშვილის, მეცადინეობით მეფის მთავრობა მოიწვევს ქართველოლოგიაში მეცნიერული საქმიანობის გასაშლელად. მისი ჩასვლის უმალ დაიბეჭდება თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილ ხელნაწერთა კატალოგი (1838 წ.), გამოიცემა ალექსანდრე სულხანიშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი (1839 წ.)[140], მას მოჰყვება დავით ჩუბინაშვილის ამგვარივე ლექსიკონი (1840 წ.), შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემა (მ. ბროსეს, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის რედაქციით, 1841 წ.), ვახუშტის „გეოგრაფია“ (1842 წ.). თვით ბროსე იწყებს ლექციათა კითხვას საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურაში ჯერ მეცნიერებათა აკადემიაში (1839—1841 წწ.) და მერე უნივერსიტეტშიც, პარალელურად ბეჭდავს თავის შრომებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე აკადემიის გამოცემებში. ყოველივე ამით მყარი საძირკველი ეყრება ჩვენი წარსულისა და მწერლობის მეცნიერულ შესწავლას, ამას კი უდავო მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობისათვის.

უდავოა, რომ პეტერბურგში ქართული კულტურის კერის გაღვივება, ბროსეს იქ ჩასვლას რომ მოჰყვა, ქართველობას იქაც და მით უფრო აქაც, საქართველოში, სულიერად გაამხნევებდა: „განიღვიძა — იოსელიანის სიტყვები რომ ვიხმაროთ — საუკუნოობითი დუმილისაგან საქართველოს ძველმა და პირველჟამითმა დიდებამ“; უდავოა, ისიც, რომ ქართველობა პატივისცემით მოეკიდებოდა ამ კერის გამღვიძებელს ბროსეს: ყველას მისი სახელი პირზე ეკერებოდა; არც ის იწვევს ეჭვს, რომ არაერთს აღეძვროდა სურვილი თავისი ეროვნული „მე“-ს შესწავლისა ან, თუ ადრევე ჰქონდა, ეს წადილი უფრო გაუძლიერდებოდა ახლა. მაგრამ არც ის უნდა იყოს საცილობელი, რომ ბროსეს ნიადაგი უკვე შემზადებული ჰქონდა ქართველობაში ამგვარი გრძნობა-აზრების აღძვრისათვის. სხვა არა იყოს რა, ბროსეს სარბიელზე გამოსვლის ჟამს, ასევე ახლად გამოდიოდნენ ცხოვრების ასპარეზზე სამოქმედოდ ს. დოდაშვილის მოწაფენი, რომელთაც თავიანთ „გიმნაზიის ყვავილში“ იდეური სოლიდარობა თავის ყოფილ მასწავლებელთან უკვე გვიჩვენეს ჯერ კიდევ 1835—1836 წლებში, როცა ბროსე არ იყო ჩამოსული რუსეთს, გვიჩვენეს სულიერი ერთობლიობა სწო-

---

[140] საქართველოს წიგნის პალატის რეგისტრში—„ქართულ წიგნში“ თარიღად შეცდომით ნაჩვენებია 1830 წელი (გვ. 99, № 161); დ. კარიჭაშვილის კატალოგი გვ. 308, № 21.

რედ მასთან, ვინც მამულის სიყვარულით აღძრული მუშაკობდა იმ აზრით, „რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“, ე. ი., იოსელიანის სიტყვები რომ მოვიმარჯვოთ, ეძიებდა „ყოველსა მას, რაიცა ადიდებს სახელსა ესრეთ ძველისა ერისა, ვითარცა არს ქართველი“.

ვიმეორებთ — ნიადაგი ეროვნული აღმავლობისათვის მზად დახვდა ბროსეს, ვინაიდან, როგორც წინათაც ვთქვით, მთელი იმდროინდელი გარემო ეროვნული გრძნობით იყო გაჟღენთილი. ამაში თავისი წვლილი შეიტანეს მიმავალმა „მიმბაშ-ნაზირების თაობამაც“ და „მწიგნობართა თაობამაც“, რომ არა კთქვათ რა დოდაშვილზე და ერთობ ყაზარმელებზე. ყაზარმობა ხომ არც ისე შორეული ფაქტი იყო მაშინ.

ამიტომ ბუნებრივად გვეჩვენება ის ცხოველი ინტერესი, რომელსაც მაშინდელი ახალგაზრდობა იჩენდა საერთოდ თავისი ჩაგრული მამულის წარსულისადმი, კერძოდ კი ბროსეს მოღვაწეობის მიმართ. საამისო მითითება არაერთი მოიპოვება. მაგალითად, კონსტანტინე ქაიხოსროს ძე მამაცაშვილი (1815—1900), ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფისი და სიყრმის ამხანაგი, იგონებს მეტად საგულისხმო მომენტს პოეტის ცხოვრებიდან და ამით საიმედო გასაღებს გვაძლევს ბარათაშვილის პოეზიის თაიგულის — „ბედი ქართლისას“ — გენეზისის შეცნობისათვის. „მახსოვს, — წერს ის, — ერთს ივლისის ღამეს 1838 წ. მე და ტატო წავედით სასეირნოდ... ტატო ძალიან მხიარულად იყო... მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზეც და ტრაგიულს დასასრულზედ 18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის ტფილისის წახდენაზედ 1795 წ.... და სხვა. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა: „ჩვენმა უხეიროობამ დაგვღუპა!“ და ოხვრით დაუმატა: „ვაი ჩვენო ქართლის ბედო!“[141].

ჩვენთვის გარკვეულია ის საკითხებიც, პოეტის თაობას რომ აღელვებდნენ, და ისიც, თუ როგორ შეფასებას აძლევდა მათ პოეტის თანამედროვეთა ერთი ნაწილი. ამისთვის კმარა გავიხსენოთ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, დაწერილი 1839 წ. და მისივე

---

[141] გაზ. „დროება“, 1881 წ. 4 ოქტომბერი. ციტირებულია 1922 წ. გამოცემით, გვ. XLIII

„საფლავი მეფის ირაკლისა“, 1842 წ. მიძღვნილი თანამოგვარე ნუმიზმატ ბარათაევისადმი.

აქ აღსანიშნავია ერთი მხრით ახალზ რეჟიმის მიუღებლობა:

ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იდუმალთ!
ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ [142].

მეორე მხრით — დამყარებული წყობილების სრული შეწყნარება:

თაყვანს ვჰსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს;
...აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!
... აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა ჰსცემს შენსა საფლავს ცრემლით აღნაგსა! [143].

საგულისხმოა, რომ ქართლის ბედის პრობლემა მარტო ბარათაშვილს არ აღელვებს. ამ თემით დაინტერესებულია მეორე პოეტიც, დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, სოლ. დოდაშვილის ნამოწაფარი, რომელიც 1842 წელს წერს ვრცელ პოემას „მთიულის“ სახელწოდებით [144].

ინტერესს წარსულისადმი, ბარათაშვილის თაობას რომ ახასიათებდა, მოწმობს ისიც, რომ პოეტის წრეს განუზრახავს „საქართველოს რიგიანი ისტორიის შედგენა“ [145].

ისტორიკოს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილის ბიოგრაფიაში აღსანიშნავია მისი შეხედულება, თუ რატომ უნდა იცოდეს კაცმა თავისი ისტორია — „ეს ყველას წმიდა მოვალეობაა და ამიტომ მოვკიდე ხელი მასალათა შეკრებასო“ [146].

---

[142] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, გვ. 76-77.

[143] იქვე, გვ. 44.

[144] პოემის ხელნაწერი ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში (F15 Br 68). იხ. მ. ჩიქოვანის „ახალი მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის“. ამ ცნობის მოწოდებისათვის ვმადლობთ მ. ჩიქოვანს.

[145] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა, 1922 წლის გამოცემა, გვ. 62.

[146] თ ე დ ო ს ა ხ ო კ ი ა, ს. გ. ბარათაშვილი, „მოამბე“, 1896, VII. გვ. 26.

ამ ისტორიკოსის დღიური, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი შეიქნა მხოლოდ თ. სახოკიას ციტაციით (რადგან დღიური არსად ჩანს), გვიჩვენებს, თუ როგორ აღეძრა მას ინტერესი მშობლიური ისტორიისადმი. კადეტთა კორპუსის მასწავლებელმა გაკვეთილზე დიოკლეტიანეს შესახებ ლაპარაკისას გაკვრით ახსენა: საქართველოს სპარსეთთან დაზავების შემდეგ რომმა ხელთ ჩაიგდო უფლება ქართველ მეფეებისათვის სამეფო ინვესტიტურის მიცემისაო"; ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სულხანს მშობელი ქვეყნის წარსულისადმი ინტერესი გაღვიძებოდა. მასწავლებლები ცნობისმოყვარე მოწაფეს ხელს შეუწყობენ და წერილით გაგზავნიან პროფ. ონაცევიჩთან. ის სენკოვსკიზე მიუთითებს, ეს აკად. მიურალტთან წარმართავს, უკანასკნელი კი — ბროსესთან. ბროსე დარიგებას მისცემს ენთუზიასტ-კადეტს და წერილს გაატანს მოსკოვში მარიამ დედოფლის მოძღვართან — დეკ. პარმენ წინამძღვრიშვილთან, ხოლო უკანასკნელი, დედოფლის მითითებით, მღვდელ-მონაზონ ვიქტორს მიაწერინებს წერილს საქართველოში თავის ძმასთან, მაშინდელ ეგზარქოს ევგენისთან.

ჭაბუკი ენთუზიასტის სულიერი განწყობილების დამახასიათებელია ერთი დეტალი, რომელიც მას თავის დღიურში შეუტანია: მიველ დედოფალთან (გიორგი (XII-ის მეუღლესთან) გამოსამშვიდობებლად, ხელზე ვეამბორე, ცოტაოდენი ფული მიბოძა, ჯვარი გადამსახა, გზა დამილოცა და მითხრა: „თუ ცოცხალი არა, მკვდარი მაინც ვეღირსებოდე ჩემს საქართველოს ნახვასო"[147]. ჩანს, 20 წლის სულხანს გულს მოხვედრია რეპრესირებული დედოფლის ეს ნაღვლიანი და უმწეო სიტყვები, რაკი თავის დღიურში შეუტანია. აქედან ისიც მისახვედრია, რა გრძნობებით დაბრუნდებოდა სამშობლოში 20 წლის ჭაბუკი ბარათაშვილი: გონების თვალით შეადარებდა დედოფლის უმწეო აწმყოს მისთვის სანატრელ წარსულთან, გაიხსენებდა გენერალ ლაზარევის მოკვლას, ძალადობას და დამცირებას ამ დედოფლისას, მის ექსორიას ბელგოროდში, მერე მოსკოვში... მარიამ დედოფალი ხომ ცოცხალი ისტორია იყო ახლო წარსულისა. ცხადია, ინტერესი და, შეიძლება ითქვას, მამულის სიყვარული უფრო გაუძლიერდებოდა.

ანალოგიურივე მოწყლული ეროვნული გრძნობით არის ნაკარნახევი ის წერილიც, რომელსაც სწერს მოსკოვიდან ბროსეს მეორე ქართველი ჭაბუკი — ზაქარია ფალავანდიშვილი:

---

[147] იქვე, გვ. 29.

„სენკოვსკის კიდევ ხმა ამოუღია და დრო არს დაჩუმდეს; მაგრამ ჰისტორია საქართველოისა, როგორც მე ვგონებ, ამით არას ჰკარგავს, თუ არას იგებს, იმისთვის რომ სახელი მაინც იხსენება საქართველოისა რუსეთში და რუსულ ენაზედ, და მეორედ — ჰისტორია უკრიტიკოდ, როგორც ცნობილ არს, არ არს შესაძლებელ და შესაწყნარებელ"[148].

ამის შემდეგ ადვილმისახვედრია, რა კმაყოფილებას იგრძნობდა ახალგაზრდა ქართველობა, როცა ისტორიულ პირუთვნელობას მოსარჩლე მოევლინა ბროსეს სახით. იგივე ზაქარია ფალავანდიშვილი 1838 წ. 21 დეკემბერს სწერს ბროსეს: „დიდად დამავალებთ თუ მიბოძებთ კრიტიკას სენკოვსკიზედ" და იქვე: „ჩვენ ყოველთა ივერთა გვძევსთ თქვენი ვალი, ვგრძნობთ ამას, მაგრამ არ ვიცით, როგორ გადავსწყვეტთ"[149]. ამგვარივე მადლობის გრძნობა ჩანს პლატონ იოსელიანის წერილშიც: „განვლო დუმილმა საუკუნეთა, — სწერს იგი თავის ჩვეულებისამებრ აღზევებული სტილით 1838 წ. 14 აპრილს, — და გონებათა განიღვიძეს. დასაბამად ამა დიდისა ეპოხისა, ვიტყვი პირუთვნელად, გამოსჩნდით თქვენ. — რასა იქმოდინ ქართველნი, ვისა განაკვირვებდნენ მწერლობასა თვისსა და რომელთა ნაყოფთა მწერლობისათა ბერძენთა და რომაელთა შორის შეაფარდებდნენ თვისთა წერილთა, უკეთუ არა გამოსჩნდებოდა ღირსებისა მათისა აღმწონი თვით ევროპასა შინა? — აქა არს პირველი სიქადული ქართველთა და იმედი შემდგომადისა ყურადღებისაცა, რომელსაცა მიიღებს განათლებული კერძო ქვეყანისა"[150]. ერთი ფაქტიც ბროსესადმი ქართველთა გრძნობის საილუსტრაციოდ. „აღდგომის კვირას, — ვკითხულობთ ზ. ფალავანდიშვილის ერთს წერილში ბროსესთან, — პლატონმა გამართა სადილი ახალგაზრდა ქართველ მოსამსახურეთა მონაწილეობით, რომელთა შორის მეც ვიყავ. ლაპარაკი ჩამოვარდა თქვენზე და იმ ღვაწლზე, თქვენ რომ საქართველოს და ამით მეცნიერებას გაუწიეთ. სადილის ბოლოს პლატონმა შამპანური შესვა ჩვენს პატარა წრეში და გაისმა „ვაშა!" ბროსეს სადღეგრძელოდ. ერწმუნეთ ქართველების წრფელ ერთგულებას, ვისაც კი რამე ესმის"[151].

---

[148] S-4797 ზ. ფალავანდიშვილის წერილი 1838 წ. 29 ოქტ. თარიღით.
[149] S-4797, ზ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, წერილი № 3.
[150] S-4797, პლ. იოსელიანის წერილთა სერია, წერილი № 2.
[151] S-4797, ზ. ფალავანდიშვილის წერილი 1842 წ. 4 მაისის თარიღით.

მართლაც ბროსეს ღვაწლი ქართველოლოგიაში დიდია და სპეციალური კვლევის საგანს შეადგენს. ის არა მარტო თვითონ მუშაობდა, არამედ არაერთ ქართველსაც ახალისებდა საამისოდ და რაზმავდა ქართულ საისტორიო წყაროთა (ხელნაწერთა, წარწერათა, ძეგლების) შეკრება-შესწავლისათვის. ასეთნი იყვნენ: პლატონ იოსელიანი, ზაქარია ფალავანდიშვილი, სულხან ბარათაშვილი, პეტრე ქებაძე, დავით მაჩაბელი, ალექსანდრე სულხანიშვილი, იოსებ წილოსანი, ჯანდიერი და თვით ნუმიზმატი ბარათაევი. არ ვიხსენიებთ შემდგომი დროის მის თანამშრომლებს, რომელთა რიცხვი გაიზარდა განსაკუთრებით მას მერე, როცა ის ჩვენში ჩამოვიდა და საქართველო მიმოიხილა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქართველი ახალგაზრდობა ბროსეს ლექციებს არ ეტანებოდა. „ჩივით ქართუელებზედ, რომ ყურს არ უგდებენ თქუენს ლექციებს“ — სწერს იოსელიანი ფრანგ მეცნიერს, — თქუენ ვერ იცნობებთ ამა საყუარელთა ჩემთა მონათესავეთა. მე ასრე ვჰგონებ ესრეთ ყოფილან მარადის... ნახეთ იგინი აქა და ჰსცნობთ უფრო მეტსა. აქა გუეჭირება მოთმინება“. — თავისებურად „ანუგეშებს“ პლატონი ბროსეს[152].

თუ პეტერბურგის ქართველ ახალგაზრდობას მართლაც არ ეპატიებოდა ამგვარი შეუწყნარებელი გულგრილობა ბროსეს ლექციებისადმი, მეორე მხრით, საყვედურს ვერ ვეტყვით საქართველოში მყოფ ახალ თაობას, რომელიც უსახსრობის გამო ამის საშუალებას მოკლებული იყო. ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილი ფაქტია, რომ მას სწადდა სამხედრო სამსახურში თუ არა, უნივერსიტეტში მაინც შესვლა, მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობამ ორივე გზა დაუხშო. „განათლებული ქართველი, ვისაც უნდა რაიმე გააკეთოს სამშობლოსათვის, ბევრია, — აუწყებდა ზ. ფალავანდიშვილი ბროსეს, — მაგრამ მათ პური არსობისა არ გააჩნიათ და რომ იგი მოიპოვონ, ისინი თავის დროსა და ნიჭს ანდომებენ სახელმწიფო სამსახურს, რაიც ანიჭებს მათ საიმედო სახსარს“[153]. ამიტომაცაა, რომ ნ. ბარათაშვილი და სხვანი თავიანთ „თავს ხელმწიფობას და საზოგადოობას შეჰსძღვნიან“[154] და ბროსეს აუდიტორიას ვერ უქმნიან.

---

[152] წერილი № 21, 1840 წ. 29 თებერვლის თარიღით.

[153] წერილი № 13, 1842 წ. 8 იანვ. თარიღით. (ზაქ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია).

[154] ნ. ბარათაშვილის წერილი მაიკო ორბელიანისადმი, 1845 წ. 9 თებ. ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, წერილები, 1922 წ. გამოცემა, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მათგანი საქვეყნო საქმესაც არ ივიწყებს. „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, — სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, 1841 წ. 18 ოქტომბერს — დღედადღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულ ენას, რაოდენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთა არა ჰსძინავთ გონებით!«[155].

მართლაც საშუალება გვაქვს ფაქტებით დავადასტუროთ, რომ ამდროინდელ ქართველობას გონებით არ ეძინა და აღვადგინოთ ზოგიერთი მაშინდელი ყმაწვილი კაცის საქმიანობა „სამსახურითგან მოცლით, მყუდროებასა და მარტოობაში“ წარმოებული.

ასეთია პირველ რიგში თვით ნ. ბარათაშვილის პოეტური შემოქმედება, გაფურჩქვნილი სწორედ ამ ხანებში, და გარდა ამისა მის მიერვე აღნიშნული ლიტერატურული ფაქტი: „ჩვენმა ლიტერატურამ — სწერს იგი იმავე გრიგოლ ორბელიანს — ორი კარგი თარგმანი იშოვა: ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრაგედია, და მე ვთარგმნე „იული ტარენტელი“, ტრაგედია ლეიზევიცისა“[156].

ამგვარივე კატეგორიის ცნობა მოიპოვება ლუკა ისარლიშვილის წერილში გ. თუმანიშვილისადმი, 1841 წ. 15 დეკემბრის თარიღით, საიდანაც ჩანს, რომ თბილისში თუმანიშვილის ჯგუფს დაუპირებია ლიტერატურული ალმანახის გამოცემა და ამ აზრით მასალაც უგროვებია. „შენ მწერდი, რომ მე რამე ლიტერატურული შემეტანა ალმანახში. მე ვერ მოვასწარი მთლიანად გადამეწერა ბესტუჟევი, თუმცა კი მზადა მაქვს. სამაგიეროდ გადავეცი ორი ლექსი დიმიტრი ივანეს ძეს“ (იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი)[157].

აღსანიშნავია აგრეთვე ამდროინდელი ქართველი ახალგაზრდობის ლიტერატურული საქმიანობა რუსულ ენაზე. ამას ჩვენ უკვე ვიცნობთ პლატონ იოსელიანის საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგრამ იოსელიანი ერთი არ იყო. მასთან ერთად შეიძლება დავასახელოთ ზაქარია ფალავანდიშვილი, რომელმაც იწყო რუსულად

---

155 იქვე, გვ. 95, წერილი IV.

156 იქვე, გვ. 94, წერილი III.

157 სალიტერატურო საზოგადოების წარსულიდან, თბ., გვ. 147.

თარგმნა ვახუშტის „გეოგრაფიისა“, რასაც იგი აცნობებს ბროსეს 1842 წ. 25 სექტემბერს შემდეგი სიტყვებით: „მივიღე თქვენი დიდი შრომა ვახუშტის გეოგრაფიისა, ეხლა მე მას ვკითხულობ და დავიწყე მისი თარგმნა რუსულად“[158].

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ამავე ფალავანდიშვილის რეცენზია დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონზე, ადრევე დაბეჭდილი განათლების სამინისტროს ჟურნალში და ხელმოწერილი მისი ინიციალით მხოლოდ «Князь П.» ზაქარიას ავტორობის ამოხსნა ალბათ გაძნელდებოდა, რომ ბროსეს ნაწერთა ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შემდგენელს, ბროსეს შვილს, არ ამოეშიფრა П-ს ინიციალის ქვეშ ამოფარებული ავტორის ვინაობა.[159] ამ პატარა, მაგრამ შინაარსიან რეცენზიაში 22 წლის ფალავანდიშვილი გვაძლევს არა მარტო საფუძვლიან შენიშვნებს ჩუბინაშვილის ლექსიკონის ზოგიერთი სიტყვის უხერხულ განმარტებებზე, არამედ ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიასაც: იგი ახსენებს პაულინისა და ირბახის 1629 წ. ლექსიკონს, საბას დროს უკვე დაკარგულ „სიტყვის კონას“ და თვით საბას ლექსიკონს. უკანასკნელი მას განხილული აქვს საბას ბიოგრაფიასა და სამწერლო მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ეს პატარა ნაწარმოები ფალავანდიშვილს წარმოგვიდგენს როგორც სერიოზულსა და კარგად მომზადებულ პიროვნებას.

ვსარგებლობთ შემთხვევით და მის ბიოგრაფიაზე ცოტა ხანს შევჩერდებით. ზაქარია ფალავანდიშვილი (1818—1845) შვილი იყო მიხეილისა, ცნობილი თარჯიმანისა; მაშასადამე, ალალი ძმისწული თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის ნიკოლოზისა და ბედკრული იესე ფალავანდიშვილებისა. სწავლობდა მოსკოვს ლაზარაანთ პანსიონში (მერე აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტი), რომელიც მაშინ, 1835 წლამდე, არავითარი უფლება-უპირატესობით არ სარგებლობდა. ზაქარია აქ სწავლობდა წარმატებით, რადგან მისი სახელი და გვარი ოქროს დაფაზე იყო წარწერილი. შემდეგ მას ვხედავთ მოსკოვის უნივერსიტეტში 1839 წლამდე. 1840 წელს ის პეტერბურგშია, ხოლო 1841 წ. 1 იანვარს ჩამოვა თბილისს და აქ იწყებს სამსახურს. გარდაცვალების წელს (1845) ფალავანდიშვილი უძღვებოდა „კავ-

---

[158] S-4797. ზ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია.

[159] Bibliographic analitique des ouvrages de M. M. F. Brosset. S.- Peterburg, 1887. 150, 667.

კასიისა მხარეთა უწყებანი"-ს გამოცემას: ეს იყო «Закавказский вестник»—ის ქართული დუბლეტი.[160]

ჩვენი საზოგადოებრიობის ისტორიის თვალსაზრისით საგულისხმოა ერთი ფაქტიც, რომელსაც აღნიშნავენ პლატონ იოსელიანი და ზაქარია ფალავანდიშვილი. ამ ფაქტს იოსელიანი აუწყებს ბროსეს შემდეგი სიტყვებით: „ვამზადებ торжественную речь при открытии Института девиц, სადაც ვარ მასწავლებლად ქართულისა ენისა დანიშნული. ამისა კოპიოსა მალე გამოვჰგზავნი"[161]. ხოლო ზ. ფალავანდიშვილი სიტყვის დედაარსსაც აცნობებდა იმავე ბროსეს: „ქალთა ინსტიტუტისათვის ქართული ენის მასწავლებელი პლატონ იოსელიანი ამზადებს სიტყვას საქართველოს უწინდელი ვითარების შესახებ, სიტყვას პოლიტიკურს, მეცნიერულს, ისტორიულს და ყოველნაირს. ჩვენს ფილოსოფოსს სწადია ჯოჯოხეთური ხმაური გამოიწვიოს, რომ ცნობილი შეიქმნას"[162]—დასძენს ცოტა არ იყოს პატარა ირონიით ფალავანდიშვილი. აღნიშნულ ფაქტში მთავარი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ ლოიალური და ეგების რეპტილური ფრაზეოლოგიით დატვირთულ სიტყვაში თემად მაინც საქართველოა და მისი წარსული; დაე ნუ იქნებოდა კრინტი დაძრული აწმყოზე; წარსულის გახსენება მსმენელს უეჭველად აღუძრავდა აზრს აწმყოს შესახებაც და მისი გონება უნებურად ამოძრავდებოდა უკეთესი მერმისის მოახლოვების გეზით. ესეც საქმე იყო მიყუჩებული ეროვნული გრძნობის გაღვიძებისათვის.

აღნუსხვის ღირსია იმავე ფალავანდიშვილის შემდეგი ცნობაც: „სულხან ბარათოვმა გენერალ-ანშეფს (ე. ი. მთავარმართებელს) მიართვა საქართველოს ისტორია ოფიციალური (ვფიქრობ), დაწერილი რუსულად; ეხლა იგი ხელთა აქვს შტაბის პოლკოვნიკს, რომელიც მას სინჯავს"[163].

ინტერესს არც ისაა მოკლებული, რომ 1839—1841 წლებში, აქ საბაჟო ოლქის უფროსად ყოფნისას, მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი აგროვებს მასალებს და 1844 წ. პეტერბურგში გამოაქვეყ-

---

[160] ამ პიროვნების შესახებ დამზადებული გვაქვს ვრცელი წერილი. რომელიც მოხსენების სახით წაკითხულ იქმნა ისტორიის ინ-ტის ისტორიის განყოფილების სხდომაზე 1945 წ. 31 დეკ.

[161] S-4797, პლ. იოსელიანის წერილთა სერია, № 33 წერილი 1841 წ. 21 ნოემბრის თარიღით.

[162] S-4797, ზ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, № 13 წერილი 1842 წ. 8 იანვრის თარიღით.

[163] S-4797, იგივე სერია, 1843 წ. 18 ივნისის თარიღით.

ნებს კიდეც ამ მუშაობის შედეგად თავის მონუმენტურ შრომას: Нумизматические факты грузинского царства. ამის ეჭვი აღებული აქვს ზ. ფალავანდიშვილს, რომელიც ბროსეს სწერს: „თ-დი ბარათაევი მოგზაურობს იმერეთსა, სამეგრელოსა, გურიასა და ქართლში, მან მრავალი წარწერა შეჰკრიფა როგორც ძველი, ისე ახალი და მე დარწმუნებული ვარ იგი მათ გამოაქვეყნებს დიდი შრომის სახით მონეტების შესახებ ან საერთოდ საქართველოს შესახებ; ის ამას არასდროს არ ლაპარაკობს, მაგრამ ვამჩნევ, რომ ესა აქვს მას განზრახული“.[164] ბარათაევის ნაყოფიერ საქმიანობას აღნიშნავს ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავის უთარიღო წერილში: „აი ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათოვს ალბომში ჩაუწერე, მისი თხოვნით,—ისიც ამ ორ დღეს უკან მიდის პეტერბურგში с большим запасом сведений об исторической Грузий»[165].

მეტად საგულისხმოა და მრავალმეტყველი ერთი ფაქტიც: აზნაური ოქროპირ წერეთელი წერს და სცენაზედაც წარმოადგენს თავის ორიგინალურ კომედიას „ქორწილი იმერეთის თავადისა“; ეს პიესა, შინაარსით რეალისტური, ცოცხალი ქართული ენით და იმერული გამოთქმებით ასახავს იმერელი თავადიშვილის დამოყვრებას ქართლელის ოჯახთან. იგი წარმოდგენილი იყო სცენაზე ავტორისავე სოფელში 1845 წ. 1 აპრილს, ე. ი. მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის ჩამოსვლის ზედ სწორზე. ეს ფაქტი მრავალრიგ არის ყურადსაღები. პირველ ყოვლისა იგი მნიშვნელოვანია ქრონოლოგიურად: თუ „კომედია, ქმნილი აზნაურის ოქროპირ წერეთლისაგან, წარმოდგენილ“ იქმნა მის საკუთარ სოფელში 1 აპრილს 1845-სა წელსა“, როგორც მას აწერია თავზე[166], ჩანს, ავტორს ის უნდა დაეწერა ადრევე, რომ ორიოდე რეპეტიცია მაინც ჩაეტარებინა წარმოდგენამდე, ე. ი. 1 აპრილამდე; ეს კი იმას მოწმობს, რომ სა-

---

[164] S-4797, ზ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, წერილი № 11. 1841 წ. 16 ივნისის თარიღით.

[165] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წლის გამოცემა ს. ფირცხალავას რედაქციით, გვ. 120, წერილი XV.

[166] H-232. დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, გამორჩენილი („ლიტ. გაზეთი“, 1935 წ. №5). ოქროპირ წერეთლის ვინაობა შეუსწავლელია. ამიტომ არც შეიძლება გადაჭრით ითქვას —პიესის ავტორი ხომ არაა ის ოქროპირ წერეთელი, რომელზედაც ვკითხულობთ: «Представитель дворянской Фамилии Церетели, Благочинный Сачхерского участка Окропир (Златоуст) пользуется большим влиянием на крестьян всего округа, уважением князей и дворян». Н. Дункель-Веллинг, Местечко Сачхери, Кавказ, 1854 г. 25 авг. № 66, с. 262.

ქართველოში, ისიც სოფლად, სათეატრო ხელოვნების გაჩენა-წარმატებისთვის ნიადაგი შემზადებული ყოფილა ჯერ კიდევ ვორონცოვამდე, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა მხოლოდ 1845 წ. 25 მარტს. ამრიგად ფაქტიურად არ იქნება სწორი, თუ ჩვენში თეატრის აღორძინება დაუკავშირდება ამ მეფის ნაცვალს. შემდეგ მნიშვნელოვანია ის ცოცხალი სალაპარაკო ენა, რომლითაც დაწერილია აღნიშნული პიესა: მწიგნობრულმა მეტყველებამ დრო მოსჭამა და ახალი, ცოცხალი ენა, მდაბიო ენა სცენიდან იკვლევს გზას მწერლობაშიც. და ბოლოს, ბევრის მთქმელია ის ფაქტიც, რომ ორიგინალურ პიესას სდგამენ არა საქართველოს ცენტრში, თბილისში, არამედ სოფლად, თუნდაც საჩხერეში. ეს ნათლად გვიჩვენებს, რამდენად იყო შებორკილი ქართული ინტელექტუალური ძალები საყოველთაოდ საქართველოში, კერძოდ კი დედაქალაქში, როცა ამ ძალებს შესწევდა უნარი თავის გამოვლენისა საჩხერესავით შედარებით მივარდნილ პუნქტშიც კი.

15

მართალია, ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვით, „საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა“ და „შეწევნა მამეულ ენისა“ „მყუდროებაში და მარტოობაში“ წარმოებდა. მაგრამ ეს აზრი არაა ზუსტი, ყოველ შემთხვევაში, 1841 წ. 18 ოქტომბრის შემდგომი დროის მიმართ მაინც. მართლაც არსებული ფაქტები გვაფიქრებინებენ, რომ თვით ნ. ბარათაშვილის დროსვე ჩნდება პატარ-პატარა უჯრედები, რომელნიც ახერხებენ უკვე ერთგვარს, თუნდაც სუსტს, კოორდინაციას „ყმაწვილ კაცთა“ საქმიანობისას. „წრე, რომელშიაც ნიკ. ბარათაშვილი ტრიალებდა, — სწერს რუსულად დიმიტრი ყიფიანი 1865 წ. 5 აპრილს თავის ცნობისმოყვარე შვილს კოკუნის (ნიკოლოზს) პეტერბურგში, — თუ გამოვაკლებთ ხერხეულიძეს[167] და პლატონს[168], მთლად პოეტებისგან შესდგებოდა; მაგრამ მათი ნაწარმოებნი არ შენახულა ან გადარჩა ერთადერთ წიგნაკში, რომელშიაც ჩაწერეს ეს ნაწარმოებნი და უძღვნეს კრებულის სახით მანანა ორბელიანს. იგი მათ გულთბილად იღებდა და როგორც პატივცემული მანდილოსანი, ამგვარ საქმეებზე ახალისებდა. წრე

---

[167] ესაა ისტორიკოს ომან ხერხეულიძის ვაჟი ანდრია, ცნობილი მსახიობის ბარბარე ავალიშვილი-ხერხეულიძის მამა.

[168] იგულისხმება პლატონ ოსელიანი.

ტატოს სიკვდილის გამო დაიშალა და ყველა ეს პოეტი საქმის კაცად იქცა"[169]. ლუკა ისარლიშვილის ჩვენებით კი, მანანა ორბელიანის სალონი ტატოს მერეც არსებობდა, რამდენადაც აქ მიეცა დასაწყისი „ცისკრის" გამოცემას და ქართულ თეატრს[170].

ერთგვარი წილი ახალგაზრდობის შეკავშირებაში უძევს ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანსაც. ივანე კერესელიძის ჩვენებით, რომელიც ზაქ. ჭიჭინაძეს ანაქრონისტულად აქვს გადმოცემული, ალ. ორბელიანი მოწაფეებს აგროვებდა და მწიგნობრობის სიყვარულს უქადაგებდა[171]. ეს იქნებოდა არა 1835-იან წლებში, არამედ 1840 წლის შემდეგ, როცა პუპლია გადასახლებიდან დაბრუნდა და ივ. კერესელიძე თავისი ტოლებით ამგვარი აგიტაციისათვის შესაფერ ასაკში უფრო იყო: 11—12 წლისა.

მაგრამ პუპლიასეული უჯრედი საეჭვოდაც რომ მივიჩნიოთ, მაინც მოგვეპოვება უტყუარი ცნობა ამ ხანებში ორი წრის არსებობისა. ჯერ მოვისაუბროთ პირველ წრეზე. მისი არსებობა ცნობილია დ. ყიფიანის მემუარებიდან. ხსენებული წრის საქმიანობა გამოიხატა თბილისში კერძო საჯარო ბიბლიოთეკის დაარსებაში. მემუარების მიხედვით ინიციატორად ჩანს მარტო დ. ყიფიანი: ის მარჯვე დროს გაუმჟღავნებს გოლოვინს ტოლ-ამხანაგების სათანადო სურვილს და იგივე მეორე შემთხვევის დროს დაამტკიცებინებს ამავე გოლოვინს წესდების პროექტს[172]. ეგების ფორმალურად ბიბლიოთეკის დაფუძნების საქმე ისე იყო როგორც წარმოგვიდგენს ყიფიანი, ოღონდ ჩვენ გვაქვს საშუალება შევავსოთ ვითარების ნამდვილი სურათი ახალი ცნობებით. კერძო ბიბლიოთეკას ჰყავდა სამი დირექტორი და ამ სამში ერთ-ერთი იყო ჩვენი ნაცნობი ზაქარია ფალავანდიშვილი, რომლის წერილითაც ვიცით ეს გარემოება. მიხეილ თუმანიშვილი განაგებს საზიარო თანხას ბიბლიოთეკის დამფუძნებლებისას, ზაქარია კი ადგენს შესაძენ წიგნების სიას, იწერს პეტერბურგიდან ბროსეს დახმარებით წიგნებს და ერთობ ენერგიულად მუშაობს ბიბლიოთეკის ირგვლივ. ასე რომ ამ კერძო ბიბლიოთეკის დაფუძნებაში ყიფიანს გარდა წილი უთუოდ უნდა დაედოს ფალავანდიშვილსაც. ხოლო რადგან ეს უკანასკნელი სამს

---

[169] გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ნიკ. ბარათაშვილის გარშემო შენიშვნები, ლიტ. მატიანე წ. 1-2, თბ., 1940, გვ. 409.

[170] ლიტ. მატიანე, წ. 1-2 გვ. 387.

[171] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ივანე კერესელიძე, 1829 1893, გვ. 6.

[172] დ. ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედაქციით, თბ., გვ. 105.

დირექტორს ასახელებს, და არა ორს, მესამე დირექტორად უნდა ვარაუდით ვიგულოთ მიხეილ თუმანიშვილი. ზაქარია ერისთავიც ახლოს იყო ბიბლიოთეკის საქმესთან. ის განათლებული პირი იყო და შეეძლო ბიბლიოთეკისავე ბედში აქტიური მონაწილეობა მიეღო. სენატორ გიორგი იესეს ძე ერისთავისა და გიორგი მეფის ასულის გაიანეს შვილი — ზაქარია ერისთავი აღიზარდა პაჟთა კორპუსში, ფლობდა რუსულს გარდა ფრანგულსაც, დიდხანს ცხოვრობდა პეტერბურგში, ხოლო თბილისში მობრუნებული ევროპულ ყაიდაზე გააწყობს თავის ცხოვრებას. იგი მოკლეს ყაჩაღებმა ზაქათალასა და მუღანლოს შუა, 1850 წ. 4 აგვისტოს.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის დაარსების მიზანი იყო ბრძოლა თბილისის ფუქსავატურ ცხოვრებასთან. ზაქარია ფალავანდიშვილი, აცნობებს რა პეტერბურგში თავის მეგობარს გიორგი ახვერდოვს ბიბლიოთეკის გახსნის ამბავს 1842 წ. 26 ოქტომბერს, დასძენს: «Авось будет менее картежных столов»[173].

გავიხსენოთ ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით ისიც, რომ მას შეეძლო შეეძინა ქართული ხელნაწერები შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად, როგორც აცნობებდა ფალავანდიშვილი ბროსეს[174], და გარდა ამისა „იქნება პატარა ჟურნალიც გავიჩინოთ“, — აუწყებდა იქვე ფალავანდიშვილი[175].

ამრიგად ამ ფაქტით ჩვენ ვხედავთ, რომ თბილისის ქართველი ახალგაზრდობა მეტნაკლებად შეკავშირებულია კულტურული საქმიანობის ნიადაგზე და იგი ცდილობს მეტი ნაყოფიერება და სიცხოველე შეიტანოს საზოგადოებაში ქართული ხელნაწერების შესწავლა-გამოცემით და პატარა ჟურნალის გაჩენით. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების აღმავლობა 1842 წ. სექტემბერს, როცა გოლოვინმა დაამტკიცა ბიბლიოთეკის წესდება, უდავოა.

16

საგულისხმოა, რომ საბიბლიოთეკო წრის გარდა, თბილისში რომ ვხედავთ, ქართლშიაც შექმნილია მეორე წრე. ამ წრეს განუზრახავს ჟურნალ „სინათლის“ გამოცემა და მიუღია კიდეც მთავრო-

---

[173] წერილი გაგვაცნო ი.ენიკოლოფოვმა, რომელსაც ამისათვის მადლობას ვუცხადებთ.

[174] S-4979, ზაქ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, წერილი № 33.

[175] იქვე. ა. ბიბლიოთეკის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი წერილი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორიისათვის („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, 1941 წ. № 2-3, გვ. 159-166).

ბისაგან სათანადო ნებართვა. ამას ცხადჰყოფს მისი „გამოცხადება“, პირველად დაბეჭდილი ჟურნალ „კვალში“[176]. დოკუმენტის უალრესი მნიშვნელობა გვავალებს მასზე შეყოვნებას. იგი უთარიღოა, მაგრამ მისი დათარიღება მაინც ხერხდება პირველ რიგში დასაწყისი სიტყვების მეოხებით: „აწინდელი საქართველო-იმერეთის ღუბერნია ოდესმე ყვავილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა“,—ვკითხულობთ აქ. მაშასადამე, იგი ეკუთვნის იმ ხანას, როცა არსებობდა «Грузино-Имеретинская губерния»: მან მოქმედება დაიწყო 1841 წ. 1 იანვრიდან და გაისაძლისა 1846 წ. 14 დეკემბრამდე, როცა ამიერკავკასია გაიყო ჯერ 4, მერე კი 5 გუბერნიად [177]. ასე ათარიღებდა მას ჟურნ. „კვალი“ დოკუმენტის გამოქვეყნებისას, ხოლო ბოლო ხანებში პ. გუგუშვილი რატომღაც 50-იანი წლებით ათარიღებს,[178] როცა ამ გუბერნიის ხსენება აღარსად იყო. ფალავანდიშვილის წერილებში მოიპოვება ერთი რეალია, რომელიც საშუალებას იძლევა „სინათლის“ თარიღი უფრო დავაზუსტოთ. 1844 წ. 30 ივნისს იგი სწერს აკად. ბროსეს: „მთავარმართებელი ბევრს ცდილობს ცხოვრების ყოველგვარად გაუმჯობესებისათვის. ამ წლის ბოლოს ან მომდევნო წლის დასაწყისში ჩვენ გვექნება გაზეთი პოლიტიკური და ლიტერატურული რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე; მთავრობა ამაზე მუშაობს. ლაპარაკობენ, გორში სურთ იქონიონ ქართული ჟურნალი“.[179] ამავე დროს ზემოხსენებულ „გამოცხადებაში“ ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „ჟურნალსა ამას ეწოდების სინათლე: გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდგან მომავლის წლისასა“. აქედან ირკვევა ერთი მხრით ის, რომ 1844 წ. 30 ივნისს გორში მხოლოდ სურთ ქართული ჟურნალის გამოცემა, მეორე მხრით კი ის, რომ „სინათლის“ გამოცემას აპირებენ მომავალის წლის 1 მაისიდან. რომელია ეს მომავალი წელი? რასაკვირველია, 1845 წ. რადგან 1844 წ. 1 მაისი, რა დროიდანაც გორელები აპირებდნენ ჟურნალის გამოცემას, ფალავანდიშვილის წერილის დაწერის ჟამს (1844 წ. 30 ივნისი) უკვე გასული იყო: ამ ხანებში გორელებს მარტო სურვილი ჰქონდათ გამოცემისა. შეიძლება ისიც იფიქროს კაცმა, რომ გორელების ქართული ჟურნალი ერთი იყო და „სინათლე“ მეორე. მა-

---

[176] 1896 წ. № 35. Sd 724.

[177] А. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, Тифл. 1901, с. 297, 302, 376.

[178] პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, თბ., 1929, გვ. 109.

[179] S-4797, ზაქ. ფალავანდიშვილის წერილთა სერია, წერილი 1844 წ. 30 ივნისის თარიღით.

გრამ მაშინდელ პირობებში ერთსა და იმავე ადგილას ორი ჟურნალის გამოცემის განზრახვა ძნელი საფიქრებელია და ამიტომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ფალავანდიშვილი ლაპარაკობს სწორედ იმ „სინათლეზე“, რომელიც მომავალი წლის 1 მაისიდან უნდა გამოსულიყო. ამრიგად „სინათლის“, უკეთ, „გამოცხადების“ დრო ზუსტად თარიღდება: იგი დაწერილია 1844 წლის მეორე ნახევარში.

როგორც ვთქვით, „გამოცხადება“ მეტად ძვირფასი დოკუმენტია. პირველ ყოვლისა მისი ღირებულება იმაშია, რომ ნეიდჰარდტის მთავარმართებლობის დროსავე ქართველობას განუზრახავს პერიოდული ორგანოს გამოცემა და საამისო ნებართვა მიუღია კიდეც. მაშასადამე, ქართული პერიოდიკის აღორძინებაში პრიორიტეტი ველარ მიეკუთვნება მიხეილ ვორონცოვს, როგორც ამას დღემდე ფიქრობდნენ და წერდნენ. სურვილი საკუთარი ორგანოს გაჩენისა, ისიც „ცისკარზე“ არანაკლები პროგრამით (ამას ქვემოთ დავინახავთ), ქართველ საზოგადოებაში უკვე არსებობდა ვორონცოვამდე; ამან კი ეს მომწიფებული მოთხოვნილება საზოგადოებას განუხორციელა 7 წლის დაგვიანებით, მხოლოდ 1852 წ., ისიც შეკვეცილად.

მაგრამ „გამოცხადება“ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, როგორც თავისებური, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური დეკლარაცია. ქართლის თავადაზნაურობა აქ ხაზს უსვამს ქართველობის უუფლებობას სხვა ერებთან შედარებით. აი ამის როგორ დასაბუთებას ვკითხულობთ ამ საგულისხმო დოკუმენტში: „თვით ამ ღუბერნიაშიც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან დარჩენილნი. სომეხნი გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კათოლიკნი მოურულებელად მეცადინეობენ სწავლითა. პირველთ აქვსთ საკუთარი სასწავლებელი, სადაცა ყოველნივე საგანნი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქვსთ საკუთარი კონსისტორია, საპატრიარქო საყდარი და აქვთ განვითარებული ვაჭრობა. ხოლო უკანასკნელი არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა. აქვსთ გალობანი იტალიანურს ნოტზე — ფსალმუნნი, შეწყობილნი მათს ორღანოზედ, მათთა ყრმათა მიერ გრგვინვენ ღვთისადმი... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა“.

„გამოცხადებაში“, როგორც ვხედავთ, მისი ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ თავიანთი ხალხის უუფლებო ყოფა-ვითარებას: სომხებს ჩვენს სამშობლოშიაც კი („თვით ამ ღუბერნიაშიაც“) შე-

უძლიანთ იმეცადინონ თავიანთ მშობლიურ ენაზე, აქვთ თავიანთი სასწავლებელი, სადაც ყველა საგანს დედაენაზე სწავლობენ, აქვთ თავიანთი საეკლესიო მმართველობა („კონსისტორია და საპატრიარხო საყდარი"), ჰყავთ საკუთარი სასულიერო მესვეურნი—კათალიკოსი, აქვთ ნივთიერი სახსარი („განვითარებული ვაჭრობა"), ხოლო ქართველები ყოველივე ამას მოკლებულნი ვართო. საჟურნალო ანონსისათვის, რასაც წარმოადგენს „გამოცხადება", ამგვარი მოტივაცია, რა თქმა უნდა, არაა ჩვეულებრივი. მაგრამ მას თუ ვხვდებით აქ, ვხვდებით სწორედ იმიტომ, რომ ქართველობას აწუხებს, სჩაგრავს თავისი ასეთი უუფლებო მდგომარეობა და ისიც, სარგებლობს რა შემთხვევით, სჩივის, მოსთქვამს თავის მწარე ყოფაზე, მარტო ის რად ღირს, რომ „გამომცხადებელნი" ბედავენ თქმას: თვით ჩვენს სამშობლოში სომხები ,უცხო ხალხი, სარგებლობენ „ყოველივე აღმკობილებით და სასარგებლო შემეცნებით", სხვებიც ასევე, „მხოლოდ ქართველნი ვართ ამას მოკლებულნი". ეს მოტივაცია მით უფრო მიტომაა ყურადსაღები და საგულისხმო, რომ მას შემდეგშიაც, XX ს. დამდეგსაც კი, არა ერთხელ ვხვდებით ქართულ პრესაში და ცალკეულ ჯგუფთა პოლიტიკურ გამოსვლებში.

პოლიტიკური დაქვეითების შედეგად საქართველოს კულტურული დაკნინების ჰანგი მკვეთრად გაისმის „გამოცხადების" შესავალ ნაწილში, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „ღვაწლი დიდებულთა აქაურთა ავქსონთა ხმამაღლა ყღერდა კეთილგონიერებასა და გარდაიცემოდა საუკუნიდგან საუკუნეთა შინა, ჰსდევნიდა სიბნელესა უმეცრებისასა. საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა ქართველთა ჰქონდათა თავისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა და შეუპრყვილებელი უწმიდესი რელიღია. აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწივნენ. ევროპამან შეიმოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა, — ყოველნი ველურნი ერნი წარემატნენ სწავლათა შინა. ხოლო საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამთა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა... აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი გინა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი? სადღა ისმის ტკბილ-ხმოვანება ბესიკისა? სადა გარდმოიცემიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მოჰფარა და სიბრძნეცა ქართველ-

თა, ვითა აჩრდილნი მათთანავე წარხდნენ, დაუტევეს მხოლოდ კვალი ჩვენსა მეხსიერებასა შინა მათისა მყოფობისა...".

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მიხვედრილობა არაა საჭირო, რომ კაცმა აქ სიტყვასა და სიტყვას შუა ამოიცნოს „აზრი ,ნაცნობი გულისა", გაიგოს, რა აწუხებს „გამომცხადებელთ", რა სწყურიათ და რისკენ მიილტვიან ისინი. აქ თითოეული სიტყვა ხაზგასასმელია. აქ მოცემულია წარსულის გაიდეალებაც („ღვაწლი დიდებულთა ავქსონთა... ჰსდევნიდა სიბნელესა უმეცრებისასა") და მოთქმაც, რომ იგი, „ვითა აჩრდილი წარხდა"; ჩანს აწმყოს უხარბიელობის კონსტატაციაც და მისი განქიქებაც („საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამთა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა"). თანაც ყოველი ფრაზა, არქაულად გამართული, ღრმა აზრითაა მოსილი და მოწყლული გრძნობით გამთბარი. მოკლედ, მკაფიოდ და მკვეთრად ყველაფერია თქმული: დიდებულ ქართველ მწერალთა ნაღვაწევი მოწმობდა ერის „კეთილგონიერებასა", საუკუნიდან საუკუნეში გადადიოდა და არღვევდა უმეცრების წყვდიადს. ბარბაროსთა მძვინვარების პირობებშიც კი ქართველებს ჰქონდათ დამოუკიდებლობა, საკუთარი პოლიტიკა („თვის მოქალაქეობა"), ჰყავდათ საკუთარი ჯარი („სამხედრო განწყობა"), გააჩნდათ შეუბღალავი სარწმუნოება („შეუპრყვილებელი უწმიდესი რელიღია"), რატომ წერენ და იგონებენ ყოველსავე ამას „სინათლელები"? აწუხებთ ყოველივე ამის დაკარგვა, სწყურიათ „მოქალაქეობაც", „სამხედრო განწყობაც", „შეუპრყვილებელი რელიღიაც" და მიტომ „აზრი, ნაცნობი გულისა", ნათელია.

გავყვეთ „სინათლელების" აზრთ ასვლას. „აწ განათლებულნი საუკუნენი მოიწივნენ", ე. ი. დადგა განათლებული დრო, ევროპა უმაღლესი განვითარებით მოსილია და მისი შუქი მსოფლიოს ყველა კუთხეს ანათებს („ევროპამან შეიმოსა შვენიერი მეწამული უმაღლესისა განვითარებისა და მიუჩრდილებელნი სხივნი განუტევნა ყოველთა კიდეთა სოფლისათა"), ველური ხალხიც კი განათლდაო („ველურნი ერთი წარემატნენ სწავლათა შინა"). მაშასადამე, სწორედ ახლა, განათლებულ საუკუნეში, ქართველობას უნდა ჰქონოდა „თვისი მოქალაქეობაც", „სამხედრო განწყობაც" და „შეუპრყვილებელი რელიღიაც". ასეთი უნდა ყოფილიყო აზრთა ლოგიკური დინება. მაგრამ „სინათლელები" წერტილს სვამენ. აზრს სწყვეტენ, ლოგიკურ დასკვნას არ იძლევიან თქმულისას. გასაგებიცაა: ამას ვერა ბედავენ, ამას იტყვის ოციოდე წლის მერე

ილიას მოხევე მხოლოდ. ესეც არ იყოს, ისინი ხომ მარტო ჟურნალის „გამომცხადებელნი“ არიან, ამიტომ არც შორდებიან თავის სფეროს და „გამოცხადების“ თემატიკის ვიწრე ჩარჩოებში მოქცეულნი მხოლოდ იმის თქმას ბედავენ, რომ „საქართველო-იმერეთი... ჰსდგას კვალად მისვე განათლების ხარისხსა ზედა, ვითარსაცა იპოვებოდა ჟამთა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა“, სხვაგვარად: საქართველო უფრო დაბალ საფეხურზეა დღეს, ვიდრე იყო მტრებისაგან შევიწროების ჟამსო! უდავოდ გადაჭარბებული თქმაა, მაგრამ ამავე დროს სასურველ იდეალთანაც დიდად დაცილებული თქმაც, დუხჭირი სინამდვილით ნაკარნახევი. ესეც იმ დროის კვალობაზე დიდი სითამამე იყო „სინათლელების“ მხრივ, თუ გნებავთ, ნეგატიური შეფასებაც „რუსობაში“ მონაპოვარი განათლება-კულტურისა.

მართლაც გავიხსენოთ შედარების აზრით, რა შეფასებას აძლევს ამ მონაპოვარს მაშინდელი ქართველობის „მესაიდუმლე“ — ნ. ბარათაშვილი. მან თავის მოგვარე ნუმიზმატს ალბომში შემდეგი სიტყვები ჩაუწერა:

...შენ შვილთ...
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო.
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად[180].

მეორე მაშინდელივე პოეტიც ალექსანდრე ჭავჭავაძე მსგავსადვე დადებითად აფასებს ამ ერთ-ერთ მონაპოვარს „რუსობის“ ჟამს თავის ლექსში: „კავკასია“.

განიხსნა ჴზა და ეშვა ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება[181].

„სინათლელები“ კი ამ განათლების „ძვირფას თესლსაც“ იწუნებენ, აფოლებენ: „იგიცა ნეშტი განათლებისა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველსა ზედა“, — წერენ ისინი თავიანთ „გამოცხადებაში“. მათი მსჯელობა ასეთია: ცარიზმის პირობებში ყველაფერს მოკლებულთ განათლების მიღება მაინც შეუძლიათ, მაგრამ ისიც სოფიზმის საფუძველზე აგებულიო... ესეც, ვიმეორებთ, გამბედაობაა და ნეგატიური შეფასება მონაპოვარისა.

---

180 ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. საფლავი მეფის ირაკლისა, 1922 წლის გამოცემა, გვ. 44.

181 ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ. 1940, გვ. 78.

„გამოცხადება“ საინტერესო დოკუმენტია იმ მხრივაც, რომ ახლო წარსულსაც, 1832 წლის შეთქმულებასაც, იგონებს (რა თქმა უნდა, ყრუდ) და ამით ამჟღავნებს მის ავტორთა თუ ხელისმომწერთა სულიერ კავშირს, იდეურ ნათესაობას ამ ღირსსახსოვარ მოვლენასთან, თუმცა ბოდიშებით და ლოიალური ფრაზებით ნისლავს ამ კავშირ-ნათესაობას. „აწინდელი ელვარე დრო ესე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა, სიბნელისა ფარდა გვიმრუდებს მხედველობასა და შეცდომა ჩვენი, უმეტეს უნებლიეთი, ვიდრე ნებსითი, ყოველსავე მფარველობასა უავღუსტესისა ჩვენისა ერთმთავრისასა გვიხშავს“, — ვკითხულობთ აქ. რა შეცდომაა ეს? შეცდომა, უფრო უნებლიეთი, ვიდრე ნებისმიერი, რომელიც უხშავს იმპერატორის მფარველობას „სინათლელებს“? ცხადია, 1832 წ. შეთქმულება! ცოტა ქვემოთ ამავე დოკუმენტში ვხვდებით: „განათლებულთა ქართველთაგან რომელთამე გვამთა ამას წინათ დაუწყვიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა და უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება“[182]. სრული უეჭველობით ჩანს, რომ „უბედურ შემთხვევად“ აქ ნაგულისხმევია იგივე 1832 წლის ამბავი და ამასთან დაკავშირებით გახსენებულია სოლომონ დოდაშვილიც თავისი მოსაგრეებით („განათლებულთა ქართველთაგან რომელნიმე გვამნი“) და მისი ჟურნალიც, რომელიც—ამასაც უნდა გაესვას ხაზი—შეფასებულია სავსებით დადებითად: „გამოცხადების“ ავტორთა თვალში იგი არის „სასარგებლო და საქები მაღალი განზრახვა“. გავიხსენოთ ისიც, რომ ეს ქართელი კულტურტრეგერები შოთასთან და სხვებთან ერთად იგონებენ პეტრიწსაც და ანტონსაც, სწორედ იმათ, ვისზედაც თავის კალამს ამახვილებდა 12 წლის წინათ სოლ. დოდაშვილი „ლიტერატურის მიმოხილვაში“. საზოგადოდაც საკმარისია გავეცნოთ დოდაშვილის ამ ნაწარმოებს, რომ ნათელი შეიქნეს იდეური კავშირი მასსა და „სინათლის“ ინიციატორთა შორის: ესენი თავიანთ „გამოცხადებაში“ გაკვრით იმეორებენ იმავე აზრებს, რანიც უფრო ვრცლად გამოსთქვა დოდაშვილმა თავის ზემორე თხზულებაში. ამიტომაც ვთქვით თავში და ახლაც ვამბობთ, რომ იდეოლოგიური ნათესაობა „სინათლელებისა“ ყაზარმელებთან უეჭველი და უდავოა.

---

[182] საგულისხმოა, ამ ფრაზაში წითელი ფანქრით წაშლილია სიტყვები: „უბედურთა შემთხვევათა გამო სასარგებლოსა და საქებსა მაღალსა განზრახვასა ამას“ შდრ. ხელნაწ. ინსტიტუტი, Sd-724.

ამის თქმის ნებას უფრო ის გვაძლევს, რომ 27 კაციდან, ვინც ამ „გამოცხადებას“ აწერს ხელს, ხუთი 1832 წლის ამბის მონაწილეა. ესენი არიან: ელიზბარ ერისთავი (შეთქმულების მთავარი მონაწილე), მისი ძმა დიმიტრი (აგრეთვე აქტიური ყაზარმელი, საქანიფესტო შენიშვნების ავტორი), გიორგი ერისთავი (გლუხარიჩი, დოდაშვილის ჟურნალის თანამშრომელი)[183], გივი ამილახვარი, დიმიტრი მაღალაშვილი. ამათ უნდა მიემატოს დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი, დოდაშვილისავე თანამშრომელი პოეტი, მაშინ მოწაფე, რომელსაც შეთქმულნი უნივერსიტეტში გაგზავნას უპირებდნენ და რომელიც ეგების იყოს თვით ამ „გამოცხადების“ ტექსტის ავტორიც[184]. არც ისაა უგულებელსაყოფი, რომ 27-თაგან პირველი, ვინც ამ ტექსტს ხელს აწერს, არის „კეთილშობილთ წინამძღვანელი პარუჩიკი თ. ალექსანდრე ერისთავი“, ე. ი. სამი ყაზარმელის (იასეს, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავთა) ღვიძლი ძმა (გარდაიცვალა 1883 წ. აპრილს)[185].

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ „სინათლეს“. მისი ინიციატორები, აღნიშნავენ რა იმას, რომ დოდაშვილის ჟურნალს „უბედურთა შემთხვევათა გამო არ ჰქონდა წარმატება“, ენერგიულად აცხადებენ: „წარვიდა მან დრომან“ (sic) მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი თქმაა: წარვიდა იგი დროო! ეს იგივეა, რაც 14 წლის მერე ჭაბუკმა ილია ჭავჭავაძემ პოეტურად გაიმეორა:

მას ნულარ ვსტირით რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროს ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს[186].

---

[183] „გამოცხადებას“ მისი ხელწერა ასეთი აქვს: „შტაბს კაპიტანი გიორგი ერისთავი“. მაშინ რამდენიმე გიორგი ერისთავი იყო. მაგრამ გლუხარიჩმა 1841 წ. სამსახურს თავი გაანება სწორედ შტაბს-კაპიტანის ჩინით (პ. გუგუშვილი, ქართულ ჟურნალისტიკა, გვ. 115. ამიტომ გიორგი ერისთავად ეს გლუხარიჩი მივიჩნიეთ. ხელიც ხელწერაში მისას წააგავს. საქ. ხელნაწ. ინსტ. Sd-724, გვ. 3.

[184] ასეთს აზრს, მისი პოეტობისა და ჟურნალში წერის ნაცადობის გარდა, გვიძლიერებს ერთი გარემოებაც: „სინათლე“ საკმაო ადგილს უთმობს მუსიკას, მუსიკის საკითხები კი დ. მაჩაბელს აინტერესებდა: 1864 წ. „ცისკრის“ №-5-ში იგი ბეჭდავს ვრცელ წერილს - „ქართველთა ზნეობა. 1. გალობა“. რომელიც განხილული აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილს ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“ თბ., 1938.

[185] 1845 წ. ივლისში მას მისცეს გიორგის ჯვარი, რაც წინამძღოლებს ჰქონდათ ხოლმე. Г а з е т т и. О георгиевских кавалерах, 1901, с. 80.

[186] ი. ჭ а ვ ჭ а ვ а ძ ე, თხზულებანი, ტ. 1. თბ. 1925 გვ. 8.

„სინათლელებს“ თავიანთი „ვარსკვლავი“ ასე ესახებათ: „ახალსა მოქალაქეობასა განსანათლებლად გულისა და გონებისა ესაჭირონების ახალი აზნაურებითი საქმიანობა სწავლათა და ხელოვნებათა შინა. ჟურნალი ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანისა. ამისათვის აწცა სურსთ რომელთამე გონიერთა ქართველთა გამოსცენ ესევითარი ჟურნალი“.

„გამოცხადების“ ეს კუპიურიც მეტად საგულისხმოა. მის ავტორებს კარგად აქვთ შეგნებული პრესის ძალა და მნიშვნელობა, მიხვედრილნი არიან, რომ პრესა არა მარტო აგიტაციის ორგანოა, არამედ ორგანიზატორიცაა. ისინი თითქოს ოცნებობენ ყოველდღიურ გამოცემაზე და იქნებ ამიტომაც აწარმოებენ ჟურნალის მნიშვნელობას სიტყვა-სიტყვით ფრანგულ jour-იდან, „დღე“-დან. ამგვარი გამოცემა, მათი გაგებით, არის საშუალება ქართველობის განვითარებისა, გამდიდრებისა, მისი ცხოვრების კეთილმდგომარეობაში მოყვანისათვის. მათ კარგად ესმით, რომ ახალ ცხოვრებას ესაჭიროება ახალი თავისუფალი („აზნაურებითი“[187]) საქმიანობა სწავლა-ხელოვნებაში... მრავალწერტილიც, „სინათლელებს“ რომ ეკუთვნის, ყურადღებას იპყრობს. ხომ არ სურდათ მეტის თქმა, რომ ახალ ცხოვრებას თავისუფალი საქმიანობა, სწავლა-ხელოვნების გარდა, სხვა დარგშიაც (თუნდაც სოციალურში) ესაჭიროებოდა? მაგრამ მოვერიდოთ გულთმისნობას. ერთი ცხადია — „სინათლელების“ წადიერება და იმედი მცირე არ არის: ჟურნალი საზოგადოებას შესძენდა გონებრივსა და ნივთიერ წარმატებას.

პროგრამაც დროისა და პირობათა კვალობაზე „სინათლელებს“ ფართოდ აქვთ ნავარაუდევი. „ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების სინათლე თვეში გამოვა თვითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი[188] ყოველთა საგანთათვის, ე. ი. სამხედროთა და სამოქალაქოთა ზნეთათვის, წყაროებისათვის გამდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყმათა და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელნიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქმნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი და თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებილნი ნაწყვეტნი და ქართული ლი-

---

[187] სიტყვა „აზნაურებითი“-ს გამო ჟურნ. „კვალის“ რედაქცია დაეჭვებულია და ამიტომ ფრჩხილებში კითხვითი ნიშნით მიუწერია: „კეთილშობილური?“.

[188] ჩვენი გაგებით— სტატიები, წერილები.

ტერატურა (აღმკობილი პროზა), სტიხნი და ღარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიო საგალობელთა. მეთოდა (მოძღვრება)სხვადასხვა სწავლათა და ხელოვნებათა, ზეგარდავლით რაოდენნიმე ცნობანი ევროპიულთ სხვადასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა, მხატვრობათა, მხაზველობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა".

როგორც ამ ანონსიდან ჩანს ,ჟურნალში ნავარაუდევი იყო შემდეგი განყოფილებანი: 1) პოლიტიკურ-ეკონომიკური; 2) ეთნოგრაფიული; 3) ისტორიულ-ლიტერატურული; 4) სამუსიკო; 5) მეთოდური და 6) ნარევი. პროგრამა საკმაოდ ფართოდ წარმოგვიდგება და ჟურნალისტთა კალამიც არა ერთს აქტუალურ საკითხს უნდა შეხებოდა, მაგალითად, სამოქალაქოს, ყმა-მამულთა მმართველობას, ევროპული ქვეყნების სამხედრო ხელოვნებას, განათლებას, კულტურას. ჩანს ისიც, რომ საჟურნალო პროდუქციის დიდი ნაწილი თარგმნილი უნდა ყოფილიყო რუსულიდან და უცხო ენებიდან. მაშასადამე, საამისო კადრიც ჰყოლია რედაქციას დაგულებული, მით უფრო რომ ჟურნალის წევრებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „სწავლულნი მცოდნენი ევროპიულთა ენათა ან ბუნებითისა ენისანი".

ხაზი უნდა გაესვას „სინათლის" დიაპაზონს „ცისკართან" შედარებით. მაშინ როდესაც გ. ერისთავის „ცისკარი" შეიცავდა სამ განყოფილებას: ლიტერატურულს, სწავლა-ხელოვნებისას და „სოფლური სახლისპატრონობისას" და ამ უკანასკნელში იბეჭდებოდა „დამარილება ხორცთა", „ღორის გაკეთება", „ბატი ძმრით" და სხვა ამგვარი, „სინათლე" ანალოგიური განყოფილებისათვის ვარაუდობდა უკვე ხელოვნების (მუსიკის, მხატვრობის, მოქანდაკეობის) შესახებ „რაოდენიმე ცნობათ", ამას გარდა კიდევ — სულ ცოტა — ოთხ განყოფილებას. როგორც ვხედავთ, სხვაობა საკმაოა და უპირატესობის სასწორი „სინათლისკენ" იხრება.

დამახასიათებელია ერთი დეტალიც. ხელისმომწერნი ორი კატეგორიისა უნდა ჰყოლოდათ „სინათლეს": წევრნი და შემთხვევითნი. წევრი უნდა ყოფილიყო „მხოლოდ ოთხასამდე — სწავლულნი მცოდნენი ევროპიულთ ენათა ან ბუნებითისა ენისანი". მათ შეეძლოთ ჟურნალის ნომერთა დაბარება-გასაღება და, რაც მთავარია, მიეცათ „თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის", წარეგზავნათ „საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმნილნი ყოველსავე საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავად" — და ჰქონდათ „მოვალეო-

ბაცა შემწეობისა“. შემთხვევით ხელისმომწერთა ვალი კი პატარა იყო: ეყიდნათ, წაეკითხათ და „შინ შეენახათ საუნჯედ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციას აგენტურის საკითხიც მოუგვარებია: ხელისმოსაწერ ფულს 14 მანეთს მიიღებდა და ქვითარს გასცემდა „ადგილობრივი მთავრობა ანუ კეთილშობილი წინამძღომელი“.

სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო „სინათლე“ აღარ გამოსულა „მაისის პირველიდან მომავალი (1845) წლისა“ და ამიტომ არც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რამდენად შესწევდათ მის „ინიციატორებს „ძალი ქადილისა“. მაგრამ ეს „ქადილიც“, ზემორე „გამოცხადებაში“ გამოვლენილი, ბევრის მეტყველი ფაქტია. არა თუ მთელს საქართველოში, გინდ მის დედაქალაქში, არამედ მარტო ერთს ქართლში წარსული საუკუნის 40-იან წლებში არის საკმაოდ მრავალრიცხოვანი (27 კაცი) კულტურული ბირთვი, რომელიც სმა-ჭამაზე კი არ ფიქრობს, არამედ საერთო, საზოგადო საქმეს დასტრიალებს გონებით, მოწადინებულია მის წარმატებას, ეჭვის თვალით, ნაწილობრივ ათვალწუნებით, უყურებს „რუსობის ჟამს“ მონაპოვარს, ეტრფის — ასე გასინჯეთ — „საშუალ ბარბაროსთა მძვინვარებისა“ დროსაც კი მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ „ქართველთა ჰქონდათ თვისი მოქალაქეობა, სამხედრო განწყობა, შეუპრყვილებელი რელიგია“, გულიც სტკივა, რომ „საქართველო-იმერეთი... ჰსდგას“ იმაზე უადრეს საფეხურზე, ვიდრე „იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა“. დაე ის ნუ იქნება ამაში მთლად მართალი — ამის განსჯას არ შევუდგებით, — ერთი რამ ცხადია: ქართველ თავადაზნაურულ ინტელიგენციას არ სძინავს, ის ალმავლობის გზას ადგია და მიისწრაფვის უკეთესი მომავლისკენ, ცდილობს რა გამოსცეს ჟურნალი, რომელიც, მისი წარმოდგენით, არის „ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მოყვანისა“. ეს — ვიმეორებთ — ბევრის მღაღადებელი ფაქტია, ვორონცოვზე ადრინდელი დროით დათარიღებული.

* * *

ამრიგად: განხილული წლების (1833—1844) მანძილზე და მერეც, 1850—52 წლებამდე, ჩვენ ვერ ვხედავთ საქართველოში ვერც თეატრს, ვერც ჟურნალს ან მსგავს სხვა საზოგადოებრივ ორგანოს, რომ მის ირგვლივ ქართველობას თავი მოეყარა და ჩვენ-

თვის ნათლად დაენახვებინა თავისი სახე ან გაეზიარებინა საკუთარი გულისნადები. ამ ხანებში, ვიაზემსკის სიტყვები რომ მოვიმარჯვოთ, ჩვენში „არ არის საზოგადოება, არის მხოლოდ მოსახლეობა“. ამ დროის, უფრო კი, მაშინდელი თაობის მომსწრე ილია ჭავჭავაძე ასე გვიხასიათებს თავის მამათა სულიერ ყოფას მიშლეს გადასხვაფერებით: „40-იან და 50-იანი წლების ქართველისთვის რომ გეკითხათ, რას ფიქრობთ, რა გსურთო, სიცოცხლეზედ ვფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. — მაგას გარდა კიდევაო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო, გეტყოდნენ[189]. — რას ეძახი სიცოცხლეს, როგორ თუ სიცოცხლეო? — ისეო, გეტყოდნენ, რომ გავლა-გამოვლა შეგვეძლოს, სუნთქვაო, ცით და მთვარით დატკბობა, მზის ცქერაო და ჩვენი ჭიის გახარებაო. გვინდა ვგრძნობდეთ, რომ თავი ისევ მხრებზედ გვაბიაო, რომ ჩვენის თავისთვის გვეთქვა, ფიქრი არა გაქვს, ისევ ცოცხალი ხარ, ჯერ არ მომკვდარხარო. ერთი სიტყვით, — დასძენს ილია, — ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზე ჰფიქრობდა, რომ უნდა გავფრთხილდე, თორემ სულს ხომ ალარ ვჩივი, ხორცითაც არ დავიღუპოვო“[190].

ასეთი მოჭარბებული ფიზიოლოგიური ცხოვრების ფონზე კმაყოფილებით აღინიშნება ბროსეს მიერ შექმნილი კერა ქართული კულტურისა და მეცნიერებისა, პეტერბურგში რომ იწყო ნელი ღვივილი, და აქ ორიოდე ენთუზიასტის უჩინარი საქმიანობა, რის შედეგად მოკლე ხნით გაჩნდა თბილისის კერძო საჯარო ბიბლიოთეკა, განზრახვებით მდიდარი, ოღონდ საშოშივე ჩამკვდარი, და ან კიდევ ქართლელთა „სინათლე“, რომელიც განცხადების უმალვე შთანთქა დუხჭირი სინამდვილის წყვდიადმა. „სამი-ოთხი თუ შეეერთდებოდით და კრძალვით ვიწყებდით საზოგადო საქმეებზე თუ ლიტერატურაზე ლაპარაკს, — ისიც დიდ ბედნიერებად და გაბედვად მიგვაჩნდაო“, — იგონებდა თავისი ცხოვრების სამხარზე კონსტანტინე მამაცაშვილი და ამით თავისდაუნებურად მარჯვედ დაგვიხასიათა ჩვენთვის საინტერესო დროის საზოგადოებრიობა, მისი ვითარება და საქმიანობა[191].

---

[189] რარიგ მოგვაგონებენ ეს სიტყვები სოლ. დოდაშვილის მოკვეთილ თქმას: „ვერცა ერთსა იხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისა, მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ დღიურად“.

[190] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. VII, „ქართული წიგნის“ გამოცემა, 1925. გვ. 8.

[191] გაზ. „დროება“, 1876 წ. № 24, გვ. 2.

მაინც მოიპოვებოდა ამ დროს თითო-ოროლა კაცი, ვისაც გული ერჩოდა საზოგადო საქმისთვის და შესწევდა ღონე რამე გაეკეთებინა მომავლის სასიკეთოდ. ზოგიერთ მათგანს ჩვენ ზემოთ გავეცანით: რიგს მეტად, რიგს ნაკლებად, ზოგი კი დაგვრჩა გამოუვლინებელი, მაგალითად, თუნდაც „სინათლის“ ინიციატორთა დიდი ნაწილი — ერისთავები, მაჩაბლები, აბაშიძენი, ამილახვარნი და სხვანი. მაგრამ არ არსებობდა პირობები, რომ ამ უჩინარ ხალხს საერთო საქმე გაეკეთებინა, სურვილისამებრ დაეგვირგვინა, საშვილიშვილოდ დაეტოვებინა, სხვანიც აღეძრა საამისოდ და ამით საზოგადოებრივი წინსვლისთვის ეფექტურად ხელი შეეწყო. მაგალითად, ქართლის ინტელიგენციამ სასარგებლო საქმე წამოიწყო, ჟურნალის გამოცემა განიზრახა მაგრამ განზრახვა განზრახადვე დარჩა და, თუ არ შემთხვევით გადარჩენილი მისი „გამოცხადება“, არც ამისი გვეცოდინებოდა რამე. დანამდვილებით არ ვიცით, მიხვედრით კი ვხვდებით ამ ქართველი ჟურნალისტების ინერტულობის მიზეზს.

1838 წ. პლ. იოსელიანმა გამოსცა სამი წიგნაკი: ჩახრუხაძე, შავთელი და ანბანი. მაგრამ ცენზურის ნებადაურთველად არ შეეძლო ბაზარში მათი გატანა გასაყიდად, ხალხში დასარიგებლად. 1839 წ. 6 მარტს. იგი სთხოვს ბროსეს: „პოემათა ბილეთი დამიგვიანა ცენზურამანა, და გთხოვთ კიდევაც განუმეოროთ (უფ. პოროშინს), თუ ჟამი გაქუნდესთ“.[192] 25 მაისს სწერს: „დიდად ვჰსწუხ, რომ დამიგვიანდა პასუხი ცენზურიდამ პოემათა და ანბანისა... აწ განსრული მოთმინებიდამ გთხოვთ დარწმუნებით ჩემის გულისთვის მიიღოთ შრომა და ნამდვილი შემიტყოთ[193]“. 7 თვის მერე (პირველი წერილიდან) 1839 წ. 5 ოქტომბერს ისევ ემუდარება ბროსეს იოსელიანი: „ცენზორიდამ არცა ანბანისა, არცა ორთა პოემათა ბილეთები на выпуск в свет ჯერეთ არ მიმიღია. გთხოვთ კვალად მიიღოთ შრომა და შემიტყოთ...“[194]. კომენტარები ზედმეტია: წელიწადია, რაც წიგნაკები დაიბეჭდა, ცენზურის ნებართვა კი ოქტომბერშიც არ ჰქონდა იოსელიანს. უკეთეს ფაქტს დავასახელებთ კიდევ, თუმცა მოგვიანო დროისას. 1846 წ. 13 იანვარს ნიკოლოზ I-მა მიხ. ვორონცოვს ნება დართო თბილისში გამოეცა გაზეთი «Кавказ» ოღონდ «с должным присмотром»[195] ამის შემდეგ ადვილწარმოსადგენია, რა პირობები

---

[192] S 4797, პლ. იოსელიანის წერილთა სერია, წერილი № 13.

[193] იქვე, წერილი № 14.

[194] იქვე, წერილი, „17.

[195] Русский архив, 1895, № 5. с. 28.

შეექნებოდა ქართულ კერძო გამოცემას „სინათლეს“, რომლის თანსნებად გვევლინებიან ყოფილი ყაზარმელები და მათი ნათესავები და არა მეფის ნაცვალი ვორონცოვი. არა თუ ბეჭდვა, თავისთვისაც კი წერა და თქმა უჭირდა მაშინდელ ქართველობას.

ან ეს რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვსთქვი?
და ვერ ვსთქვი რაცა, ის წყლულად გულს დამშთა და მით ვიტანჯვი!..
მაგრამ თუ ვინმემ აქ ჰპოვა აზრი, ნაცნობი გულისა,
ვივიწყებ შხამსა რაცა ვსვი ეკლიანს გზაზე სოფლისა!...

ამ სიტყვებით უზიარებს გრიგოლ ორბელიანი თავის სულიერ ტრაგედიას პუპლია ორბელიანს[196]. ამიტომ არც გვმართებს გაკვირვება და კიჟინი, თუ მსგავს პირობებში ჩაყენებულმა ქართველობამ არა დაგვიტოვა-რა „ხვავიანი“ წერილობითი საბუთი თავისი სულიერი ვითარებისა ვრცელ მოგონებათა თუ დღიურთა სახით. დანატოვარ და შესწავლილ მემკვიდრეობაშიც არის შესაძლებლობა კაცმა „ჰპოვოს აზრი, ნაცნობი გულისა“, და შიგ ამოიკითხოს ის „ვერ თქმულიც“, „რაც წყლულად გულს დაშთა“ თქმად მოიწადინეს.

ვფიქრობთ, არ შევცოდავთ ისტორიულ სინამდვილის წინაშე, თუ დეპრესიისა და პირველი აღმავლობის დროის (1833—1844 წწ.) ქართველ ინტელიგენციაზე ვიტყვით მასვე, რაც იმავე ხანებში დაწერა თავის დღიურში ალ. ვერცენმა თავის დროის თაობაზე: „მომავალი თაობა განა გაიგებს, განა დააფასებს ჩვენი არსებობის მთელს საშინელებას, მთელ ტრაგედიას? ამავე დროს კი ჩვენი ტანჯვა-იწროებანი ის კვირტია, რომლისგანაც მათი ბედნიერება გაიფურჩქნება. განა გაიგებენ ისინი, რატომა ვართ ზარმაცები, რატომ დავეძებთ ყოველნაირ სიამტკბილობას, ვეძალებით ღვინოს და სხვ.? რატომ შევსჭიდებივართ დიდ საქმეს? რატომ ალტაცების ჟამსაც კი არ გვტოვებს სევდა? ოჰ, დაე შეჩერდნენ ისინი ფიქრმორეულნი და სევდიანნი იმ ლოდებს წინ, რომელთა ქვეშეც ჩვენ განვისვენებთ: ჩვენ დავიმსახურეთ მათი სევდა!“[197].

დიახ, მძიმე იყო იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ბედი და ყოფა, ტრაგიკული იყო მისი სულიერი ვითარება, როცა „სიტყვასა მართალს გულში ჰკლავდა“ და ღენიადაგ ნანობდა: „ან ის რაცა ვსთქვი, რათა ვსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა

---

[196] გრ. ორბელიანი, ლექსები, 1928. გვ. 102-103.
[197] ა. გერცენი, თხზულებანი, ტ. VII, გვ. 148.

ესთქვიო"; დიახ, გერცენისა არ იყოს, ის ღირსია სევდით მოგონებისა, რადგან მართლაც მისი ტანჯვა-იწროებანი იმ კვირტს წარმოადგენენ, საიდანაც მერე გაიფურჩქნა მომდევნო თაობათა ბედნიერება, უკეთესი მერმისი მაინც.

გავიხსენოთ შეჯამების აზრით 1833—1844 წწ. მანძილზე ჩვენი საზოგადოებრივი ძალების ნაღვაწევი, რომელიც ნაწილობრივ მაინც იქმნა გამოვლენილი წინამდებარე მიმოხილვაში. მშობლიურ ისტორიისა და მწერლობისადმი ინტერესი, საქვეყნო საქმის გაკეთების წადიერება, პროდუქცია ქართული თუ რუსული, ეროვნული იდეით გამოტანილი წიგნის ქულბაქზე, ქართული შრიფტის გაუმჯობესება, პეტერბურგში მკვიდრი სამეცნიერო კერის შექმნა და მისი პროდუქციის გამოვლენა, თბილისში ახალგაზრდობის ლიტერატურული საქმიანობა თარგმნით თუ ორიგინალურ ნაწარმოებთა შეთხზვით, ხელნაწერად დარჩენილ ანდა გადაწერილ პროდუქციაში ეროვნული ინტერესის სიჭარბე, საქართველოს წარსულზე პოლიტიკურ-ისტორიული სიტყვის გამზადება, კულტურული ბირთვების ჩამოყალიბება, ლიტერატურული ალმანახის გამოცემის სურვილი, პუპლია ორბელიანის პროპაგანდა მოწაფეებში, კერძო ბიბლიოთეკის დაარსება ქართველ ინტელიგენტთა თაოსნობით, ორიგინალური და რეალისტური პიესის წარმოდგენა იმერეთის სოფელში და, ბოლოს, „სინათლის" გამოცემის განზრახვა ქართლის თავადაზნაურობის ინიციატივით — ყოველივე ეს ნათლად მოწმობს, რომ 1832 წლის შეთქმულების მომდევნო დეპრესიის შემდეგ 1838—1844 წწ. მანძილზე ერთგვარი აღმავლობაა: ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში კვლავ გროვდება ეროვნული ენერგია, წარმოიქმნება ახალი ღირებულებანი პოეზიასა და მეცნიერებაში, გაისმის ენერგიული შეძახილი „წარვიდა იგი დრო!" და საზოგადოების მხნე ნაწილი, გამონახავს რა რეალობასთან შეგუების მოდუსს, შეუდგება „სოფლისათვის ზრუნვას", იმედმოცემული შეეჭიდება ბედს, თავის შეგნებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, უკეთესი მერმისის შესაქმნელად და თუნდა იმისთვის, რომ მომავალ თაობას ჩააბაროს გარდასრულ დროთა ტრადიცია და 1832 წ. შეთქმულთა ხორცშეუსხმელი ზრახვა. იგი სოლომონ დოდაშვილის პროკლამაციაში მარჯვედაა ფორმულირებული: „არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არც მონა... მამული ესე ჩვენი"[198], ხოლო

[198] 1832. შეთქმულება, გვ. 45.

ილიას მოხევემ გაიმეორა მოკვეთილად: „ადრიდა ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“-ო[199]. ან კიდევ: „სადაც თავისუფლება არაა, იქ არც სიცოცხლეაო“, ამბობენ ყაზარმელები[200], ნ. ბარათაშვილი მას იმეორებს 1839 წელს:

ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება[201]

ხოლო გვიან ილიას მოხევე იმავე აზრს ასე ჩამოჰქნის: „ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“[202]. ასე გაიდება 40-იან წლებში იდეური ერთობლიობის ხიდი 1832 წ. შეთქმულთაგან ილიას დრომდე.

---

199 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. II, 1925 გვ. 27.
200 1832 წ. შეთქმულება, გვ. 222.
201 ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები, 1922, გვ. 84.
202 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის

(ა — ე)

აბაშიძე გიორგი. იმერეთის სარდლის ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთლის სიმამრი. იმერლებს უბიძგებდა რუსეთის ერთგულებისაკენ. ციციანოვის წარდგინებით ებოძა პოლკოვნიკობა და 700 მ. პენსია წელიწადში. მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა, დარჩა ქვრივი 8 ქალით და 3 ვაჟით.

1810 წ. აპრილს მისი ქვრივი (ანა ამილახორის ასული) სთხოვს ტორმასოვს დახმარებას, იგი აცხადებს, რომ გაათხოვა 7 ასული და სიღარიბეში ჩავარდა.

აბაშიძე გიორგის ხელით იულონ ბატონიშვილმა გაუგზავნა წერილი ციციანოვს. ციციანოვი იხმარდა მას იმერეთის საქმეებში. („აქტები", II, 165).

აბაშიძე დავით ლუარსაბის ძე, „ნადვორნი სოვეტნიკი". დაიბადა 1744 წ. ცოლად ჰყავდა სალომე, მუხრან-ბატონის ასული. ამათი ქალი თამარ იყო ცოლი მირმანოზ ერისთავისა და დედა ცნობილი მანანა ორბელიანისა (თამაბ აბაშიძე-ერისთავი გარდაიცვალა 1809 წ. 15. III-ს 19 წლისა).

აბაშიძე დ. 1761 წლიდან იყო ერეკლეს ქეშიკჩიბაში, იგივე თანამდებობა ეკავა გიორგი მეფის დროსაც.

1808 წლის 8 მაისიდან „სოვეტნიკი უგალოვნი ექსპედიციისა".

1805 წლის 25 ივნისიდან სახაზინო ექსპედიციის სოვეტნიკი.

მეფეებთან სამსახურის სამაგიეროდ ებოძა „ნადვორნი სოვეტნიკობა" და 200 მან. პენსია.

აბაშიძე დარეჯან სოლომონ I-ის ასული (1756—1827). ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე, სოლომონ I-ის ქალი და ივანე აბაშიძის (იხ.) დედა. მისი საშუალებით XIX ს. პირველ ხანებში წარ-

მოებდა ქართლ-კახეთის ორივე დედოფლისა (დარეჯანისა და მარიამის) და დავით ბატონიშვილის წერილების გადაცემა იმერეთში.

იმერეთის აჯანყების დროს (1819—1820) მეფის მთავრობამ დარეჯანი შეიპყრო და თავისი მცირეწლოვანი შვილით, გაქცეული ივანეს ვაჟით გიორგით, გადაასახლა რუსეთს, ჯერ ქ. პენზას, შემდეგ მოსკოვში („1810 წ. 16 ნოემბერს მოიყვანეს თბილისს, დეკემბრის 19-ს გაისტუმრეს ვარონიშ"-ს. A — 1580. 100v. აღწ. V, გვ. 111). გარდაიცვალა მოსკოვს 1827 წ. 25 იანვარს, დასაფლავებულია იონას სახელობის ეკლესიაში.

აკაკი წერეთლის სიტყვით, სოლომონ I-ის ქალს დარეჯან ბატონიშვილს უწერია ლექსები, მაგალითად, ძილისპირები და საგალობლები ლექსად. ჩვენამდე მოსულა მისი „ანბანთქება" და „ღვთისმშობლის შესხმა", მასვე მიაწერენ მრისხანე სატირას თეოფილაქტეზე „გახსენება" („კვალი", № 14).

მოსკოვს, პოკროვის მონასტერში, ძირის საყდარში იონა მიტროპოლიტისა და პაფნუტი არქიეპისკოპოსის საფლავთა მახლობლად, არის დარეჯანის საფლავი. ტარას ალექსი-მესხიშვილის გადმონაწერით იკითხვის:

„სახსოვარსა ამას ქვეშე განისვენებს მტვერი ასულისა იმერთა მეფისა სოლომონ დიდისა, საქართუჭლოს თავადისა ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლისა დ ა რ ი ა ს ი ჩღნვ-სა წელსა შობილისა. ჩყკზ-სა წელსა იანვრის კდ-სა დღესა აღსრულებულისა რ˜ა ყ˜ლნ აღმომკითხუჭლმან ძეგლწერილისა ამის შევედროს უფალსა ღ˜ისა მიტევებისათვის განსვენებულისა ყ˜თა შეცოდებათა მისთა".

მ. ბროსეს სიტყვით „დარია სოლომონის ასული, ასული სოლომონ დიდისა, დაიბ. 1756, მეუღლე ქაიხოსრო აბაშიძისა, ქართლის (sic) თავადისა, გარდ. 24 იანვარს 1827. საფლავი იმყოფება მოსკოვს, „პოკროვის (ღვთისმშობლის საფარვლის) მონასტერში" (Brosset, Rapports... XI. 38).

აბაშიძე ევგენი (გეგენა). ხეფინისხევის ბატონი. უარყოფითად ეკიდებოდა რუსის ჯარის შემოსვლას. ს. ბეკამიდან მიწერ-მოწერას მართავდა (1830 წ.) იმერეთში გაქცეულ ბატონიშვილებსა და ლეკის ჯარის მეთაურებთან. მასთან ცხოვრობს მისი ქალი, ომარ ხან ავარიელის ქვრივი, რომელსაც ემსახურება ორი ლეკი:

აბაშიძე ელენე ევგენის ასული — ჯავაირ ხანუმი, როდესაც 1783 წ. ომარ ხან ავარიელი თავს დაესხა ევგენი (გეგენა) აბაში-

ძის ვახანის ციხეს, ევგენი აბაშიძის ორი ქალი ტყვედ წაიყვანა. ერთი (მაია) შეირთო თვით ომარ ხანმა, მეორე — ელენე მიათხოვა თავის სიძეს იბრაჰიმ ხანს — ყარაბაღის (შუშის) ხანს.

ჯავაირ-ხანუმმა ციციანოვის წინადადებით ურჩია თავის ქმარს იბრაჰიმ ხანს რუსეთის მფარველობა მიეღო.

იბრაჰიმ ხან ყარაბაღელი მოკლეს შუშის ციხის აღების დროს, მასთან ერთად მოკლეს მისი და აბაშიძე ელენეს — ჯავაირ ხანუმის შვილი 11 წლის აბასყული.

1807 წ. ე. აბაშიძე ჰპირდება იმპერატორს, რომ თავისი ქალი გოუხარ-ნისასთან (ჯაფარ-ყული ხან — შექელის ცოლთან) ერთად პეტერბურგს ჩავიდოდა და ქრისტიანობას მიიღებდა, თუ ის იხსნიდა მას და მის ქალს „უცხო ხალხისგან“.

ჯავაირ-ხანუმი ცხოვრობს შუშაში, როგორც ხანის ქვრივი, იგი ინარჩუნებდა ხანის შესაფერ დიდებას. იყო მაჰმადიანი, მაგრამ ბოლომდე გულგრილად ვერ ისმენდა ეკლესიის ზარის ხმას. მხლებლების დიდი ამალით იყო თბილისში, ვორონცოვის მეუღლესთან სტუმრად (А. М. Фадеев, Воспоминания. т. III, Одесса, 1897, გვ. 97).

აბაშიძე ზაალ. ძმა 1812 წ. აჯანყების მონაწილე დავით და ნიკოლოზ აბაშიძეებისა, რომლებიც გადაასახლეს. 1812 წ. აჯანყებაში თვითონ მონაწილეობას არ იღებდა.

საქ. ცენ. ა. ფ. 16 /152. საქმე 1478, ფ. 135.

აბაშიძე იოანე ზაალის ძე. ქეშიკჩიბაში ერეკლე II-სი. ერეკლე II-ის ცოლის ძმა. „მეფემან ირაკლი მეორემან აბაშიძისა ზაალის ასული ანნა მოითხოვა რა ცოლად, მაშინ გარდმოიყვანა სიმამრიცა თავისი ზაალ და ცოლისძმანი თვისნივე ძენი ზაალისანი იოანე და სვიმონ და მიუბოძა კახეთს მამულნი და ყმანი ამოწყვეტილის ენდრონიკაშვილის ჯანოს შვილისანი“ (დავით ციციშვილი, „შემოკლებითი მოთხრობა საქართუჭლოს თავადთა და ანზაურთა“, ИВАН, А —560. გვ. 29).

1769 წ. 9. III-ის საბუთით ერეკლე II-მ უბოძა ხეფინისხევი ზაალ აბაშიძეს და მის შვილებს — იოანეს და სვიმონს (Hd 2189).

1774 წ. საბუთით ერეკლე II უბოძებს იოანე ქეშიკთუხუცესს ანდრონიკაშვილის ნაქონ მამულს (Hd 2383).

1776 წ. 18 მაისის საბუთით იოანე აბაშიძეს მამულები აქვს ნეკრესის სამწყსოში (საქ. ცენ. ა. ფ. 226, № 489).

ენდრონიკაანთ მამულის იოანე აბაშიძისათვის მიცემის შესახებ იხ. 1793 წ. 28. IV-ის საბუთი (Hd 3867). დაბეჭდილია „მასალებში საქ. ეკ. ისტ“. III. № 175.

1784 წ. 22 მარტს ქეშიკჩიბაში იოანე (ამოვარდნილი ჯანო ანდრონიკაშვილის მემკვიდრე), ზაალ ანდრონიკაშვილი (ზურაბიშვილთა წარმომადგენელი) და ერასტიშვილები მამულს იყოფენ. ერეკლე ამტკიცებს ამ გაყოფის წიგნს 1784 წ. 24 მარტს (ხელნაწერთა აღწერილობა, A. IV. 1380, გვ. 465—466).

ანდრონიკაშვილთა ჩამომავალი — ზურაბიშვილი 1864 წ. სექტემბერში მიართმევს თხოვნას ალექსანდრე I-ს. იგი ითხოვს რომ ამოვარდნილი ჯანო ანდრონიკაშვილის მამული (სამკვდრო ყმა-მამული 80 კომლამდე, რომელიც ერეკლე II-მ იოანე აბაშიძეს უბოძა) დაუბრუნდეს ჯანო ანდრონიკაშვილის ძმების ჩამომავლებს (Hd 11109). „მწყემსი“, 1893. 14. V. № 9. მ[ელიტონ] კელ[ენჯერი] ძე, საისტორიო მასალა.

მღ. პ. ვარძელაშვილს „ივერიის“ 1890 წ. 1 ნოემბრის № 232-ში დაბეჭდილი აქვს „ისტორიული მასალა მეფე ირაკლის ცხოვრებისა“, რომელშიაც ის ახსენებს აბაშიძეების საბუთებს:

„ირაკლის საკუთარი ხელით დაწერილი და ბეჭედ სმულნი. სწერს იოანე აბაშიძეს ქეშიკჩიბაშს, რომლის მემკვიდრენი დღეს ცხოვრობენ სოფ. ვეჯინსა და გურჯაანში. 21 წერილი“.

იოანე აბაშიძეს ახსენებს ნ. ბარათაშვილი ლექსში „ბედი ქართლისა“. თამაზ ენისელთ მოურავის ძე და იოანე კახთ აბაშიძე, განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა“.

თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ „1795 წელს დაიღუპა თ. ივანე აბაშიძე“. მაგრამ ქეშიკჩიბაში იოანე 1795 წ. მხოლოდ დაიჭრა. „აბაშიძე იოანეს, ცოლისძმას მეფისას, მოსწყვიტეს თითნი ლეკთა მათ ხმლითა“ (მასალები დავ. ბატონიშვილისა და სხვათა, გვ. 21).

ი. აბაშიძე ცოცხალია 1799 წ. ამ წლის 12 მაისს მას წერილს სწერს გიორგი XII (ბიძა ჩვენს ქეშიკჩიბაშ ბორჩალოს მოურავს — აბაშიძეს იოანეს) (საქ. ცუ. ა. ფ. 226, № 642).

აბაშიძე იოანე ქაიხოსროს ძე (? — 1822). იმერეთის 1820 წ. აჯანყების მეთაური და იმერეთის მეფედ დასახელებული კანდიდატი. დედით სოლომონ I-ის შვილიშვილი. როდესაც იმერეთის აჯან-

ყების ჩახშობის შემდეგ იმერეთის მღვდელმთავრები დოსითეოსი, ექვთიმე და სხვები რუსეთში გადაასახლეს, მთავარმართებელ გენ. ერმოლოვის ბრძანებით უნდა დაეჭირათ იოანე აბაშიძეც, მაგრამ იგი გაიქცა გურიაში თავის ცოლისძმა გიორგი გურიელთან. იმერეთის ახლად დანიშნული მმართველი პოლკოვნიკი ი. ო. პუზირევსკი, ცნობილი თავის დაუნდობლობით და ხალხის სიძულვილით, დაედევნა, მას შესაპყრობად. მეამბოხეთა შესაპყრობად გურიაში ჩასული პუზირევსკი იოანე აბაშიძემ, ნიკოლოზ აბაშიძემ და ქაიხოსრო გურიელმა შეიპყრეს ს. შემოქმედთან და თავი მოჰკვეთეს („მასალები საქართველოს ისტორიისათვის", გვ. 148—149; „ივერია", 1877, № 14; ნიკო დადიანი, მასალა ჩვენი ისტორიისათვის. Описание. т. I, გვ. 48). 1820 წ. ი. აბაშიძე მეფედ აირჩიეს.

ი. აბაშიძე მალე, როცა გურიაშიც აჯანყებამ იფეთქა და რუსის მთავრობა მას აქრობდა, იძულებული შეიქნა ახალციხეს გადახიზნულიყო (Описание, т. I. вып. I. გვ. 50), აქედან სტამბოლში, ხონთქართან აპირებდა გადასვლას. ვახტანგ ბაგრატოვანის (ეს იყო შვილი დავით მეფის უკანონო შვილის, როსტომ ბუშისა) მიგზავნილმა კაცებმა მოკლეს ი. აბაშიძე, ახალციხეში, 1822 წელს („ივერია", 1877 № 18).

ი. აბაშიძის ოჯახი — დედა დარეჯანი, უმცროსი ძმა, მეუღლე ელისაბედი (მამია გურიელის და) და ასული ეკა 1820 წელსავე გადაასახლეს რუსეთს. გურიელის თხოვნით მეუღლე და ასული გზიდან დააბრუნეს და გურიელთან დაასახლეს, სხვები კი დაასახლეს ქ. პენზას („მასალები", გვ. 152).

1838 წ. აღწერით, ივ. აბაშიძის მეუღლე ელისაბედი ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ქალი ეკა კი შორაპნის ოკრუგში და იღებს 1000 მ. პენსიას ასიგნაციებით.

ივ. აბაშიძის ასული ეკა იყო აკაკი წერეთლის დედა (იხ. აკაკის „ჩემი თავგადასავალი", რჩეული ნაწერები, 1925 წ. გამოც., ტ. I, გვ. 17).

აბაშიძე ლევან. ქართლის თავადი. ალექსანდრე ბატონიშვილი, გაქცეული, წერილობით სთხოვს ხელს ლევან აბაშიძის ძმის დიმიტრის ქალს. ეს წერილი ლ. აბაშიძემ მთავრობაში მიიტანა. ერმოლოვი 1819 წ. 15 იანვარს წერილით მადლობას უხდის ლ. აბაშიძეს და მოითხოვს მისგან ხელი შეუშალოს ამ ქორწინებას.

აბაშიძე მაია გეგენას ასული. როდესაც 1783 წ. ომარ ხანმა აიღო ვახანი, ტყვედ ჩაიგდო გეგენა, იგივე ევგენი, აბაშიძის ორი ასული — ელენე და მაია. ელენე (იხ.) მიათხოვა იბრეიმ-ხან შუშელს, მაია კი თვითონ შეირთო 1785 წელს. „ომარ ხან მოვიდა, აბასთუმანი საცალა არის, იქ დადგა, გეგენა აბაშიძის ქალი შეირთო მაია“ (იესე ოსეს ძის თავგადასავალი, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 136—137).

გრიგოლ ორბელიანი იგონებს ამ მაიას შესახებ: „მე, როდესაც ვიყავ ავარიის მმართველად, ვდეგ იმ სახლში, სადაცა ჰსცხოვრებდა მაია, ომარხანის ცოლი, ბებიის ჩემის და. ზოგნიერთნი მაიას მსახურნი იყვნენ ისევ ცოცხალნი და მე მემსახურებოდნენ“ (გრ. ორბელიანის შენიშვნა პლ. იოსელიანის „ცხოვრება გიორგი XIII-სა“-ს 127 თავზე. აკ. გაწერელიას გამოც. გვ. 286). სინამდვილეში მაია იყო გრიგოლ ორბელიანის ბებიის—თამარ პაატა აბაშიძის ასულის—ბიძაშვილი და არა და. გრიგოლის მამა ზურაბი იყო შვილი ნიკოლოზ რევაზის ძე ორბელიანისა და თამარ პაატას ასულ აბაშიძისა. ეს თამარი დაიბადა 1740 წლის 15 თებერვალს და გარდაიცვალა 1804 წლის 4 მარტს, დასაფლავებულია თბილისის სიონში (ბ. ბროსე, Rapports, V, გვ. 39).

„ომარ-ხან დამარცხდა 1801 წ. მცირედის ჯარით მივიდა ზაქათალას და იქ მოკვდა დიდი მწუხარებით. ავარიიდამ მოვიდა აქა მაია სიცილითა ქმრის საფლავსა ზედა და აქედამ საქართველოსა“ (გრ. ორბელიანი, მოგონებები, გვ. 286).

1803 წ. მაია ცხოვრობდა თავის მამასთან გეგენა აბაშიძესთან სოფ. ბეკამში (აქტები, II. 1803 წ. 7 VI-ის მოხსენება მაინოვისა ციციანოვისადმი). 1803 წ. 23 VII-ს მაია აბაშიძეს ომარ ხანის ქვრივს, იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით დაენიშნა პენსია 500 მ. რაოდენობით (აქტები, II. 768).

1818 წ. მაია მისთხოვდა იმერეთის თავადს მერაბ გიორგის ძე წულუკიძეს. ამასთან დაკავშირებით შეუწყვიტეს პენსიის მიცემა 1819 წ. 1 იანვრიდან. 1820 წ. 20 თებერვალს მაია აბაშიძე-წულუკიძე წერს თხოვნას პენსიის განახლების შესახებ. პენსია მას აღუდგინეს (საქ. ც. ა. ფ. 2/8, საქმე 734 ფ. 15).

მაიას მეორე, მეუღლე მერაბ წულუკიძე „გარდამავლობისათვის რჯულთა მთავრობისა მიერ წარიგზავნა ციმბირს“. მერაბის ცოლის და ,მაიას უმცროსი და თინათინ, წერეთლის კნეინა 1835 წ. 10 ნოემბერს სთხოვს იმერეთის მმართებლის თანამდებობის

ალმასრულებელს პოლკოვნიკ სტეფანე ვასილის ძე ჯიხირევს დაუბრუნონ მას მერაბ წულუკიძის გარდაცვლილი მეუღლის ქონება (საქ. ც. ა. ფ. 226, № 7422). ე. ი. მაია აბაშიძე-წულუკიძე გარდაცვლილა 1835 წელს.

აბაშიძე ნიკოლოზ როსტომის ძე, ფინეზიშვილი. შორაპნის მაზრის მემამულე. 1819—1820 წწ. აჯანყებაში იღებდა ცხოველ მონაწილეობას. ცხოვრობდა თავის მამულში — მოლითსა და სურამის საგუშაგოთა შორის, ამ ადგილებს სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს. მეტად უკმაყოფილო იყო რუსეთის მმართველობისა საქართველოში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მას ჩამოართვეს დასახელებული სოფლები, რომლებიც ვერას გზით უკან ვერ დაიბრუნა. ჰქონდა კავშირი ახალციხესა და ალექსანდრე ბატონიშვილთან, რომელიც მას სწადდა იმერეთში მეფედ გამოეცხადებინათ. 1819 წ. სექტემბერში ა. ფარულად გაემგზავრა ახალციხის ფაშასთან იმერეთისათვის სამხედრო ძალებით დახმარების სათხოვნელად. იმავე წლის ნოემბერში მან იქიდან ჩამოიტანა 6 საპალნე ტყვიაწამალი მეამბოხეთათვის დასარიგებლად. იგი, ივანე და დავით აბაშიძეებთან ერთად, საიდუმლო მიწერ-მოწერას ეწეოდა ოსმალეთის მთავრობასთან. 1820 წ. ა. იყო იმ თერთმეტი პირის რიცხვში, რომელთა ანაზღეულ დაპატიმრებასა და რუსეთს გადასახლებას აპირებდა რუსეთის მთავრობა. მაგრამ ა. დაუსხლტა ხელიდან და თავი შეაფარა გურიაში. აქ მონაწილეობა მიიღო პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობაში, რის შემდეგ გაიხიზნა ახალციხეს.

ერმოლოვის ბრძანებით ა. გამოაცხადეს სახლმწიფო მოღალატედ, მამული ჩამოართვეს, ოჯახი დაუპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს. მისი მცირეწლოვანი შვილები დავით და როსტომ აღსაზრდელად გაგზავნეს რუსეთს. შემდეგში ისინი ერევნის გრენადერთა ლეგიონში მსახურობდნენ და ორივენი სამსახურიდან გამოვიდნენ გენერალ-მაიორის ჩინით. დავით გარდაიცვალა 14 დეკემბერს 1899 წ. ტფილისში. ორივე ძმის ისტორია ბელეტრისტული ფორმით გადმოცემულია AB-ეს სტატიაში «История бедствий одной семьи. Из воспоминаний старого Кавказца». «Исторический вестник», 1903, XII, გვ. 865—884.

აბაშიძე ქაიხოსრო (? — 1810). იყო სიძე იმერეთის მეფის სოლომონ I-ისა: ცოლად ჰყავდა მისი შვილი დარეჯან (იხ. აბაშიძე დარეჯან). 1789 წ., როგორც ა-მ განუცხადა მთავარმართებელ

ციციანოვს, რატომღაც დაიმსახურა სოლომონ II-ის რისხვა, რომელმაც მას ჩამოართვა მამაპაპეული მამული. ამის გამო ა. იმერეთიდან გაიხიზნა ოსმალეთში, სადაც მას სულთანმა მუსტაფამ, ხოლო შემდეგ სულთანმა ჰამიდმა დაუნიშნეს პენსია. შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, ვინაიდან იმერეთის მეფემ სოლომონ მეორემ აღუთქვა მას ყველაფრის უკან დაბრუნება. 1810 წელს ა. მეთაურობდა რუსეთის საწინააღმდეგო მოძრაობას. მისი მამული — ზემო საქარა — წარმოადგენდა მეამბოხეთა თავშესაფარს. ა.-მ შეკრიბა 2 ათასამდე კაცი მდ. ყვირილის ხეობაში, თავისი ჯარებით დაიჭირა აქ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილები და ამით გადაჭრა გზა თბილისსა და ქუთაისს შორის, რაც მეტად დიდ ხიფათს უქმნიდა დას. საქართველოში მყოფ რუსის ჯარებს. ჰქონდა ა-ს რამდენიმე შეტაკება რუსის ჯართან, ერთ-ერთი ასეთი შებრძოლების დროს 1810 წ. 26 ივლისს ა. მოკლეს ცხრაწყაროს ეკლესიის ნანგრევების მახლობლად. ამ ბრძოლაში დაიღუპა მისი სამი ვაჟი როსტომ, გიორგი და სიმონი.

აბაშიძე ქაიხოსრო ლევანის ძე (? — 1804). „ქაიხოსრო აბაშიძე რომ არის ლევანის შვილი, ისიც რომ აღარ იყოს იქ იმერეთში, ისი სჯობს, თუ ენდობით. და თუ ვერ ენდობით, უნდო კაცი შორსა სჯობს, ვინემ ახლოს ყოფნას“.

გარსევან ჭავჭავაძე — ირაკლის. საისტორიო მოამბე, 1925, I, გვ. 235—36.

აბაშიძე ქაიხოსრო — ძე ლევანისა, სახელოვნად აღმოჩნდა ყიზილბაშებთან ბრძოლაში და მოკლეს 1804 წ. ივნისში.

(H — 1185. ხელნაწერთა აღწერილობა, H. III, გვ. 143, შენ. 3).

აბუთურაბ ნასიროვი. რუსულად თარგმნა ერეკლე II-ისა და დარეჯანის წყალობის წიგნი 1794 წ. 6 მარტისა, ბოძებული ბატონიშვილ მირიანისადმი. (ფ. 2. საქმე 105. 1800 წლისა, ფურც. 515).

იმავე მირზა აბუთურაბ ნასიროვმა თარგმნა კიდევ სხვა დოკუმენტი (იქვე, ფ. 518).

აბითურაბა იხსენიება „კალმასობაში“, როგორც თარგმანის მცოდნე (ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 314).

მირზა აბითურაბის შვილები იხსენიებიან 1766 წ. ნასყიდობის წიგნში (საქ. ც. ა. ფონდი 1450, დავთ. 15, საბ. № 19).

1794 წ. 19 ივლისს და მასზე ადრე უკვე მსახურობდა საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთარგმნელად (საქმე 454 გ ფურც. 25).

აგაჯანოვი (ალაუანოვი) მირზა-აფრასიობი (1744—1814) ჰქონდა მდივნის წოდება, ამას გარდა ასრულებდა სხვადასხვა საგანგებო დავალებებს. მთავარმმართებელი რტიშჩევი აძლევდა მას თვეში ათ მანეთს, აპირებდა ეშუამდგომლა, რათა მისთვის დაენიშნათ წელიწადში ორასი მან. პენსია, მაგრამ ა. გარდაიცვალა 1814 წ. ნოემბერში (ფ. 2/8, საქმე 368, ფურ. 31).

„აფრასიობის ქალი მოვიდა აქა და მანდ რომ ამოევლო, ღვდლები ჩიოდნენ: ბატონიშვილისათვის (ვახტანგ-ალმასხანისათვის) გვაწირვინეს და ფასი კი არ მოგვცესო. ასე მოიტანა ამბავი".

(გლახა ჭილაძე — ი. შერვაშიძეს. XI. I. Sd 5472).

ავალიშვილი ბარსანოფე, არქიმანდრიტი. ბატონიშვილი დავით 1801 წ. 30 მაისს წერს მის შესახებ: „არქიმანდრიტ ბარსანოფეს, ეხლა რომ ექვთიმე ხაშმის არქიმანდრიტთან იმყოფება, მთელ კახეთში დაჰქონდა ჩემი ბიძების წერილები, რომლებითაც ის აღლვებდა კახელებს და ღალატისაკენ უბიძგებდა" (აქტები, I, № 406).

„მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებას არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი ნათლისმცემლისა უდაბნოსა შინა მყოფი".

პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XIII-ისა. აკ. გაწერელიას გამოც. გვ. 222.

ამის დაპატიმრებას პლ. იოსელიანი უკავშირებს კელმეჩურის მუჯალამას.

ავალიშვილი ზაქარია ივანეს ძე — ზირაქ-ევლოგი. დაიბადა 1766 წ. 14 დეკემბერს. ათი წლიდან იმყოფებოდა დავით გარეჯის მონასტერში, ბერად აღიკვეცა 1783 წ. 13. II-ს და მიიღო სახელი ზირაქ. სქემით იკურთხა 1792 წ. 29. II-ს. იმავე წლის 20 მარტიდან მღვდელმონაზონია, 6 დეკემბრიდან — არქიმანდრიტი. 1795 წლის 30 მაისს კათალიკოსმა ანტონიმ ჭერემის ეპისკოპოსად აკურთხა და სახელად ევლოგი უწოდა.

ზირაქი, ჭერემელი ეპისკოპოსი, იყო გარსევან ჭავჭავაძის ცოლისძმა. ა. 1795 წ. 18 ივლისს ჩავიდა მოზდოკს, თან ჰქონდა ერეკლე II-ის წერილი გარსევან ჭავჭავაძისადმი. აპირებდა მოზდოკიდან

პეტერბურგს ჩასვლას დის სანახავად (А. Цагарели, грамоты, II—II, გვ. 113). 1797 წ. 9. VII-ს ჩავიდა მოსკოვში. ცხოვრობდა ჯვართ-ამაღლების მონასტერში, გარდაიცვალა 1809 წ. 7 თებერვალს, დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვსკის მონასტერში «გარე ეკლესიისა, წინაშე მარჯვენეჲსა სამწირველოჲსა».

მის გარდაცვალებაზე იონა ხელაშვილს უთქვამს სიტყვა (იხ. სარჩევი იონას წიგნებისა — H 2226. გვ. 1. თვითონ სიტყვა — A—7. გვ. 105—122).

თვითონ უთარგმნია ქართულად პლატონ მიტროპოლიტის „შესხმა ალექსანდრე I-სა“ (S — 50; დ. კარიჭაშვილის კატალოგი, 123).

გიორგი ჩუბინაშვილს მოყვანილი აქვს ლექსი ავალოვისა (Пещерные монастыри Давид-Гареджи, გვ. 114.) შეიძლება ეს ავალოვი იყოს არა გიორგი ავალიშვილი, როგორც ფიქრობს გ. ჩუბინაშვილი, არამედ მისი ძმა ზირაქი.

ავალიშვილი პეტრე. 1812 წ. კახეთის აჯანყების მონაწილე. გადასახლებულ იქნა ციმბირს, ირკუტსკის გუბერნიაში. 1820 წელს ბრუნდება გადასახლებიდან, ერმოლოვი მას მიუჩენს ფარულ მეთვალყურეთ, იგი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა (საქ. ც. ა. ფ. 8, საქმე № 2527, ფურც. 2). 1820 წლის ივლისში ავალიშვილი ცხოვრობს გორის მაზრაში, მის საკუთარ სოფელ ბრეთში. მასზე დაწესებულია მეთვალყურეობა, რასაც მოახსენებს ერმოლოვს თბილისის პოლიცმეისტერი კახაენოვი (იქვე, № 2527).

ავთანდილოვი გევორქ. თელაველი სომხის მღვდელი. სამხედრო სასამართლოს 1820 წ. განაჩენით მიჩნეულ იქნა დამნაშავედ იმაში, რომ მან ძმასთან — ანასტას ავთანდილოვთან ერთად თვითნებურად დასტოვა საქართველო და გადასახლდა ანდრეევოში, საიდანაც მას მიწერ-მოწერა ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. ხოლო მისი ძმა კახეთის 1812 წ. აჯანყების დროს იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის რაზმში. ნერსეს კათალიკოსთან შეთანხმებით გევორქს ჩამოართვეს მღვდლობა, ხოლო ანასტასი, რაკი მას დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 1814 წ. მანიფესტის გამოცხადებამდე, პატიებულ იქმნა. ორივე ძმა გაათავისუფლეს პატიმრობიდან და მიეცათ ნება საქართველოში დასახლებისა. ორივე დასახლდა თბილისში.

მათი მამა პეტრუს ავთანდილოვი იყო თავად ორბელიანების

აზნაური და ცხოვრობდა ორბელიანთა სოფელ ვარდისუბანში. შემდეგში მიიღო მღვდლობა და გადასახლდა თელავში. ორივე შვილი იქ ეყოლა. ისინი ცხოვრობდნენ თელავში 20 წელზე მეტს, 1812 წ. აჯანყების დროს გადასახლდნენ ანდრეევოში და ცხოვრობდნენ იქ, სანამ არ დააპატიმრებდნენ.

(ანდრეევო — სოფელი თერგის ოლქის ხასან-იურტევის ოკრუგში).

ავთანდილოვი ზაალ სტეფანეს ძე (1811—1868 წწ. ახლოს). 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე. ზაალ (შემდეგში ზაქარია) ავთანდილაშვილმა ანუ ავთანდილოვმა დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, 1829 წ. დაიწყო სამსახური კანცელარიის ჩინოვნიკად კავკასიის კორპუსის პროვიანტის კომისიაში. 1831 წ. — „სტოლონაჩალნიკია". მასწავლებლად მუშაობს თბილისის სამაზრო სასწავლებელსა და თბილისის გიმნაზიაში. 1832 წ. პასუხისგებაში იქნა მიცემული როგორც შეთქმულების მონაწილე. ბარონ როზენის განკარგულებით იგი, როგორც ახალგაზრდა, რომელმაც დანაშაული მოინანია გულწრფელად, სასამართლოს არ გადაეცა. გადაწყდა მისი შიდა გუბერნიებში გაგზავნა, სამოქალაქო სამსახურში დასასაქმებლად. 1833 წ. 1 სექტემბრიდან დანიშნულია ქ. პერმში სამოქალაქო სამსახურში, მე-12 კლასის ჩინოვნიკად. 1834 წ. ჩაირიცხა პერმის საგუბერნიო მმართველობის შტატში, 1835 წ. — „სტოლონაჩალნიკად"; 1836 წელს გათავისუფლდა სამსახურიდან, დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიის „სტოლონაჩალნიკად". 1837 წლიდან თბილისის გუბერნატორის ტიპოგრაფიის უფროსის მოადგილეა. 1840 წელს დაინიშნა საქართველო-იმერეთის სახაზინო პალატის ეკონომიკური განყოფილების მმართველად, 1849 წელს — მეფის ნაცვლის კანცელარიის განყოფილების უფროსად, 1865 წელს — მეფის ნაცვლის საბჭოს საქმეთა მმართველად „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის" ჩინით (ავთანდილოვის ნამსახურობის სრული სია იხ. აქტებში, ტ. XII). 1869 წ. კავკასიის კალენდარში ის აღარ იხსენიება, სამსახურიდან გადადგა ამ დროისათვის თუ გარდაიცვალა, ამას ვერ მივაკვლიეთ.

ზაალ ავთანდილოვი თბილისის გიმნაზიის მასწავლებლად იყო, როცა ის 1832 წ. II დეკემბერს სხვა მთავარ შეთქმულებთან ერთად დააპატიმრეს. მაშინ ის, მისი საკუთარი ჩვენების მიხედვით, 20 წლის იყო (საგამომძიებლო საქმე, რვ. VI, 1119), თუმცა აქტებში

ის 21 წლისად იხსენიება (ტ. VIII, 402). ავთანდილოვი მოწაფეობისას ამხანაგობდა კეთილშობილთა სასწავლებელში ვახტანგ ორბელიანს, სანამ უკანასკნელს გაგზავნიდნენ პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად. ზაალი იმავე დროს ამხანაგი და მეგობარი იყო დიმიტრი ყიფიანისა. დიმიტრის შვილის — ნიკოლოზის მოწმობით ზაალსა და დიმიტრის მეგობრობა სიკვდილამდე არ შეუწყვეტიათ. ავთანდილოვი ყიფიანსა და მამაცაშვილსავით აზნაური იყო. ამ გვარის პირნი ორბელიანთ მოურავები იყვნენ, ზაალის მამა სტეფანე იყო თუ არა ორბელიანთ მოურავი, ეს ვერ გამოვარკვიეთ.

ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს თავადთა და აზნაურთა გვარების წარმოშობის ნუსხას, ავთანდილოვის შვილები ეკუთვნოდნენ სამეფო აზნაურის ლორის მელიქის შვილის ერთ-ერთ შტოს. აქ ვკითხულობთ: „ესე ძველათვე არიან მელიქისშვილის სახლთა კაცთაგანი და არიან აქ მოსახლენი რომელნიმე ლორის ხეობაშია, რომელნიმე ტფილისს და რომელნიმე რუსეთსა შინა. ამათნი გვარნი რომელნიმე იწოდებიან პაპა მუშრიბის შვილებად, მელიქ ჯანას შვილებად, ავთანდილის შვილებად, გოგიაშვილებად და სხვანი ხელოქაანად, და სხვანი და ესე მელიქის შვილებიც არიან მოხსენებული ტრაქტატში“ (S — 3729).

ზაალის მამა და დედა ბინადრობდნენ თბილისში და ბორჩალოს დისტანციაში ფლობდნენ ორ თუ სამ სოფელს. ჰყავდათ ხუთი თუ ექვსი კომლი გლეხი (საგამომძიებლო საქმე, რვ. VI, 1119, მ. 4).

მაშინ როცა ყიფიანი, მამაცაშვილი, ალექსი-მესხიშვილი ტარასი ყაზარმობის შემდეგ საზოგადო ასპარეზზე ჩანან, ზაალ ავთანდილოვს ვხედავთ მარტო მოხელედ, რომელიც თანდათან წინაურდება, იღებს ორდენებს და ბოლოს მიაღწევს გენერლის ანუ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინს (1857 წლიდან).

ჩვენთვის ავთანდილოვი საინტერესოა, რასაკვირველია, როგორც ყაზარმელი და არა როგორც მოხელე.

ავთანდილოვი ყიფიანსავით მეოთხე კატეგორიის დამნაშავედ იქნა ძიების შედეგად მიჩნეული. შეთქმულებაში ავთანდილოვი ჩაება თავის მეგობარ ყიფიანზე ადრე. იგი მეგობრობდა რუსეთიდან ავადმყოფობის გამო დაბრუნებულ თავის ძველ ნაამხანაგარ ვახტანგ ორბელიანს, ამისი მეშვეობით გაეცნო სხვა შეთქმულებსაც, მერე კი თვითონ ზაალმა ამ საქმეში ჩააბა თავისი მეგობარი და კოლეგა გიმნაზიის მასწავლებელი დიმიტრი ყიფიანი.

ზაალიც, როგორც ორი სხვა აზნაური — დიმიტრი ყიფიანი და იოსებ მამაცაშვილი, აზნაურის პოზიციაზე დგას, ესეც ემიჯნება

სხვა შეთქმულ თავადიშვილებს და იმათსავით უპირისპირდება მათ. საგულისხმოა და ამიტომ აღსანიშნავიც ზაალის განმარტება კომი-სიის წინაშე: შეთქმულთა წრეს შევრჩი და ვერ ჩამოვცილდი იმიტომ, რომ თავადებისა მეშინოდაო. იმათ თავიანთი გავლენით ყოველთვის შეეძლოთ ჩემთვის ვნება მოეყენებინათ და ჩემზე შური ეძიათო.

საინტერესოა მის თავის მართლებაში ერთი მომენტი. ეს თავის მართლება ავთანდილოვისა დაცულია მის პირველ ჩვენებაში, სწორედ იმ ჩვენებაში, რომელიც დაბეჭდილი აქვს გ. გოზალიშვილს, ოღონდ იქ ეს მნიშვნელოვანი ადგილი (რვ. I, 56—58) რატომღაც გამოტოვებულია (იხ. გოზალიშვილის გამოც., გვ. 163). თავის მართლებაში ავთანდილოვი სხვათა შორის ხაზს უსვამს ნაციონალურ მომენტს, რაც ჩვენის ფიქრით, უდავოდ მნიშვნელოვანია. ის წერს: „თავადი ანტონი აფხაზი, რომელსაც მე შევხვდი ალექსანდრე ორბელიანთან, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, რაც მან დაჰყო ორბელიანთან, სრულიად არ ფარავდა თავის ანტიპატიას სომხების მიმართ და ამ დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ჩემს იქ ყოფნას“.

ყაზარმობის რაობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია ავთანდილოვის ჩვენებიდან შემდეგი სიტყვები: „ვაპირებდით ღამე თავს დავსხმოდით რუსებს, სალდათების განიარაღებას, ხაზინის ხელში ჩაგდებას, არსენალის და მაღაზიების დაკავებას და მეორე დღეს საბჭოს დაარსებას; სანამ მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა უნდა ჩაგვებარებინა გამოჩენილი თავადებისათვის“ (1, 54). ამის ვარიანტს წარმოადგენს 1833 წ. 6 თებერვლის ჩვენებაში მე-12 მუხლის ბოლო: „აჯანყების მეორე დღესვე ვაპირებდით დაგვეარსებინა სეიმი და სანამ მეფეს აირჩევდნენ, ხელისუფლება ჩაგვებარებინა სეიმის ხელისუფალთათვის“ (რვ. VI, 1122).

ერთს ჩვენებაში საბჭოა დასახელებული, მეორეში სეიმი; პირველში მართვა-გამგეობა მეფის არჩევამდე ბარდება გამოჩენილ თავადების ,მეორეთი—სეიმის ხელისუფალთ. მაგრამ ორივე ჩვენებით მეფესაც ირჩევენ და საბჭოსაც. სეიმი იქნებოდა თუ საბჭო, სახელწოდებას მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელოვანია აქ არჩევითი პრინციპი მეფის მიმართაც და სეიმ-საბჭოს მიმართაც.

სოლომონ დოდაშვილის ერთ ჩვენებაში ნათქვამია: „ყიფიანსა და ავთანდილოვს ვურჩევდი ჩამოშორებოდნენ ამ შეთქმულებას, მათ კი ეს ამბავი თავადებს გაანდეს“ (რვ. VI, 984). ავთანდილოვი

ამაზე პასუხობდა, რომ მან „შეთქმის ამბავი გაანდო ვახტანგ ორ-ბელიანს ამ შეთქმის გაძლიერების მიზნით“ (XV, 2884—2887).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავნათალოვი იაკობ ნიკიტას (მიკირტუმას) ძე. მხატვარ მიკირტუმ ავნათალოვის ვაჟი. მხატვარი. სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. მოხატა თბილისის ანჩისხატის ეკლესიის კედლები (Brosset; Voyage, II, Rapports, V. 28). იყო მხატვრად შაჰის კარზე. თავრიზში ავსტრიისა და პრუსიის ელჩების დავალებით დახატა შაჰის პორტრეტი, რაშიაც მიიღო წმ. იოსების მე-3 ხარისხის ორდენი და პრუსიის წითელი ჯვრის ორდენი მე-4 ხარისხისა. 1863 წლის მაისში თბილისში თხოულობდა ნებას ეტარებინა ეს ორდენები. ორდენების ტარების ნება მიეცა იმავე წლის 3 აგვისტოს.

1850 წ. კავკასიის კალენდრით ი. ნ. ავნათალოვი, მხატვარი, სამხატვრო კლასის წამყვანი, ცხოვრობს ციციანოვის ქუჩაზე საკუთარ სახლში.

გაზ. „კავკაზ“-ის 1846 წლის № 16-ში დაბეჭდილია წერილი მხატვარ ი. ა. ავნათალოვზე.

ავნათალოვი მიკირტუმ. თბილისელი მხატვარი. ოსეთის სასულიერო კომისიისათვის უნდა დაეხატა ათი კანკელი 400 მანეთად. 1803 წ. აღწერით „თბილისის პირველ ჩასტში ცხოვრობს სომეხი სახასო ონატან ავნატინო“ (საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 38).

ათანასე არქიმანდრიტი (1774—1832). ალექსი პეტრიაშვილი. რუსულ საბუთებში პეტრიევი, დეკანოზი. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პირველი დირექტორი (1803—1810). კახელი აზნაურთაგანი, დაიბადა ყიზლარში 1774. 28 IX. სწავლა დაამთავრა ასტრახანის სასულიერო სემინარიაში სტუდენტის ხარისხით. 1796 წელს ეკურთხა ყიზლარის ტაძრის მღვდლად, ხოლო 1798 წ. გადაყვანილ იქნა მუშკეტერთა პოლკში, სამხედრო მღვდლად. პ. ციციანოვის საქ-ოს მთავარმმართებლად დანიშვნისთანავე ა. დეკანოზის ხარისხით 1803 წ. გადმოყვანილ იქნა მასთან სამსახურში როგორც განათლებული პირი და რუსულისა და ქართულის საუკეთესო მცოდნე 1803 წელს დაინიშნა ახლად დაარსებული კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორად და ამავე დროს თარჯიმნად. ა-მ დიდად იღვაწა როგორც სასწავლებლის წარმატებისა და მისი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისათვის, ისე თბილისში სტამბის მოწყობის საქმეზე. ა. მეტად მიღებული იყო რუს მმარ-

თველ წრეებშიაც და ქართველ საზოგადოებაშიაც, საკმაოდ გავ-
ლენა ჰქონდა საქ-ოს ეკლესიის საქმეებზე. ადრევე დაქვრივებულს
1803 წელსვე ნება მიეცა ბერად აღკვეცისა, რის მოწოდება მას
თავიდანვე ჰქონდა, მაგრამ კარგი ხანს თავისი სურვილი ვერ შეი-
სრულა. 1810 წ. თხოვნისამებრ ა. გაათავისუფლეს სასწავლებლის
დირექტორის მოვალეობისაგან, შემდეგ ბერად შეიმოსა ათანასეს
სახელით და დანიშნულ იქნა ქართლში პირველი მონასტრის — ქვა-
თახევის — წინამძღვრად, არქიმანდრიტის პატივის მინიჭებით.

თბილისში 1814 წელს ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური
კანტორის დაარსებისთანავე ა. დანიშნულ იქნა მის წევრად. კანტო-
რის საზეიმო გახსნისას წარმოსთქვა რუსულად შესაბამისი შინაარ-
სის სიტყვა.

ეგზარქოს თეოფილაქტეს დავალებით 1819 წ. ა. მივლინებულ
იქნა სამეგრელოში იქაური საეკლესიო ყმებისა, საერთოდ შემოსა-
ვალისა და სასულიერო პირთა რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობე-
ბის შესაკრებად და, საერთოდ, რუსეთის საეკლესიო წყობის შე-
მოსაღებად.

ქვათახევის მონასტრის გაუქმების შემდეგ ა. ერთხანად იყო
ახლად დაარსებული თბილისის ფერისცვალების (ე. წ. დარიის) მო-
ნასტრის არქიმანდრიტად, ხოლო აქედან მიდის რუსეთში ჯერ მა-
კარის მონასტრის წინამძღვრად, ხოლო შემდეგ კი მოსკოვში დო-
ნის მონასტრის არქიმანდრიტად. გარდაიცვალა 1832 წ. 17 ოქ-
ტომბერს და იქვეა დასაფლავებული.

ათანასე არქიმანდრიტი იყო ნათლია გრიგოლ ორბელიანისა.

ათანასე ტფილელი (მიტროპოლიტი 1711—1774). შვილი ავ-
თანდილ ამილახვრისა. დიპლომატი და მოსკოვში ქართული სტამ-
ბის გამმართველი. პირველად რუსეთში თან ახლდა მეფე ვახტანგ
VI-ს. არქიმანდრიტად აკურთხეს ქ. ასტრახანში, ხოლო 1733 წ.
ხელდასმულ იქნა მროველ ეპისკოპოსად. 1740 წ. 8 მაისს, საკუ-
თარი თხოვნის თანახმად, კათალიკოსმა დომენტიმ აკურთხა მი-
ტროპოლიტად, თვით რუისის საყდარი კი (ე. ი. მროველის კა-
თედრა) სამიტროპოლიტოდ გახადა. იმავე 1740 წ. 7 ივლისს ა.
უკვე ტფილელის კათედრაზე იქნა გადმოყვანილი, სადაც იღვ-
წოდა განუწყვეტლივ 12 წელიწადს. ტფილელად ყოფნისას მან
თავი გამოიჩინა სიონის ტაძრის ეკონომიური მოღონიერებით, გამ-
შვენიერება-გაწყობით, წინათ დაგირავებული მამულ-ქონების გამო-
სყიდვით და ახლის მოპოვებით, რის ცხოველ სურათს იძლევა სი-

ონის ერთი უთარიღო სიგელი, — იგი წარმოადგენს ა-ს ტფილელობისას ნალვაწის თავმოყრილ ნუსხას და ერთგვარ memento-ს მის მომდევნო ტფილელებისათვის. დაწერილი უნდა იყოს მისი რუსეთს გამგზავრების (1752 წ.) წინ.

ერეკლე II-მ ტფილელობის დროს ა. დესპანად გაგზავნა იესე მეფის ძესთან — ბატონიშვილ აბდულაბეგთან, რომელიც ერეკლეს ქართლის სამეფოს ეცილებოდა ლეკის ჯარით დაიმედებული.

1752 წ. 30 მაისს თეიმურაზმა და ერეკლემ ა. სიმონ მაყაშვილთან ერთად გაგზავნეს რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულთან საქართველოსთვის დახმარების სათხოვნელად.

ავადმყოფობისა და სიბერის მომიზეზებით, ა-მ თავი აარიდა საქართველოში დაბრუნებას, თუმცა წასვლის წინ თავის მოადგილეს მროველ ქრისტოფორეს სწერდა: „თუ სიკვდილი არ მეწია, წამოუსვლელი არ დავდგები“. და როცა 1755 წ. თეიმურაზმა და ერეკლემ მოითხოვეს მისი უკან გამოგზავნა, ა.-მ მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა და სამუდამოდ დარჩა მოსკოვში, ჯვართამაღლების მონასტერში.

უფრო მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა ქართული წიგნის გამომცემლობის დარგში. 1761—62 წწ. უწმ. სინოდის ნებართვით ა.-მ გახსნა მოსკოვში ქართული სტამბა, სადაც დაიბეჭდა არაერთი საეკლესიო წიგნი (სამოციქულო, დავითნი — ორჯერ, ქამნი, ლოცვანი და სხვ.). მანვე პირველმა დაიწყო ნაბეჭდ წიგნებზე ტირაჟის აღნიშვნა.

კათალიკოს ანტონ I-ს თხოვნით ა.-მ 1769 წ. მოსკოვიდან გამოგზავნა მირონი, რაიც საქართველოს ეკლესიას წინათ საბერძნეთიდან მოსდიოდა.

გარდაიცვალა მოსკოვს 1774 წ. 9. VI. დასაფლავებულია დონის მონასტერში.

ათანასეს ძმები იყვნენ ვახტანგ, გივი, ამირინდო ამილახვრები (ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. V, 24).

ეკატერინე II-ის ტახტზე ასვლის თვითმხილველის ამბავს შეიცავს უცნობი ქართველი მღვდელმთავრის წერილი—A—563, რომელსაც თ. ჟორდანია მიაწერს ათანასეს (Описание, II, გვ. 88). მისი რუსული თარგმანი შეცდომებით დაბეჭდილი აქვს 1900 წელს ა. ხახანოვს.

აკიმოვი ივანე. თათულა ექიმის შვილი, მირზაჯანას მეგობარი (პუპლია ორბელიანი) (S — 1659/ გ. გვ. 46).

აკიმოვი თათულა — ექიმი. თათულას პრაქტიკის ნება მოეცა გუდოვიჩის დროს (აქტები, VI. 277). თათულა ექიმი უკვე მიცვალებულია 1812 წ.

„თათულა აქიმის გარდაცვალების გამო სამძიმრის წიგნი მის უფროს ვაჟს სოლომან აკიმოვთან გლახა ჭილაძისა 1812 წ. 6 VI-ს პეტერბურგით“ (Sd — 5405. S — 427/ბ).

გიორგი XIII-ის კარის ექიმი იყო ექიმ-აღა. მის შთამომავლობას დაერქვა გვარად ექიმ აღას შვილები ანუ ექიმიანები. შემდეგ რუსეთის მთავრობის დამკვიდრებისა საქართველოში ეს გვარი გადასხვაფერდა აკიმოვად. ექიმ აღა იყო დედის მხრით პაპის მამა თბილისის ქალაქის თავის პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვისა. (გ. წერეთელი, პ. ა. იზმაილოვი, „კვალი“, 1895 № 12, გვ. 2).

1794 წლის საბუთში იხსენიებიან „ექიმი ოსეფას შვილი ექიმი თათულა და მისი შვილები — სოლომანა, იოვანე და იოსები (Hd 13758).

თათულა აქიმი — საქ. სიძვ. III. გვ. 397.

ალექსანდრე ბატონიშვილი (1771—1844). ერეკლე II-ისა და დარეჯანის მეხუთე ვაჟი. საქართველოში რუსეთის რეჟიმის დამყარების შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

ალექსანდრეს აღზრდაში ქართველ აღმზრდელთა გარდა მონაწილეობას იღებდა საქსონიელი დოქტორი ი. რეინექსი.

1800 წლის ივნისში ალექსანდრე შულავერიდან ყარსში გადავიდა, იქიდან არაქსს გაღმა სპარსეთის ბანაკში, დაჰყო იქ 2—3 კვირა და გაემგზავრა შუშას, იბრეიმ-ხანთან, იქიდან ომარ-ხანთან ალაზანზე (აქტები, V, გვ. VIII).

სპარსეთის მხარდაჭერით ა. აღვივებდა საქართველოში მეფის რუსეთის საწინააღმდეგო გამოსვლებს, პროკლამაციებით თესდა სიძულვილს და იმხრობდა რუსეთის ცარიზმით უკმაყოფილოებს. ის მომხრე იყო საქართველო-რუსეთის ერთობისა, მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. რაკი ეს ტრაქტატი დაირღვა, ცდილობდა მიეღწია საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და საამისოდ დახმარებისათვის მიმართავდა სპარსეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნებს გარდა საფრანგეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც.

ალექსანდრეს ჰქონდა მახვილი გონება და ვაჟკაცობა, რაც გამოავლინა მან 1804 წ. ყარაკლისთან, როდესაც გაჟლიტა მონტრეზორის ძლიერი რაზმი (აქტები, VI, 324. V, გვ. VIII).

1819 წ. ალექსანდრემ წერილით სთხოვა დიმიტრი აბაშიძეს

მისი ქალის ხელი. დიმიტრის ძმამ ლევანმა ეს წერილი ერმოლოვს აჩვენა. ერმოლოვი 1819 წ. 15 იანვარს წერილობით სთხოვდა დიბაშიძეს, ხელი შეუშალოს ამ ქორწინებას. საქართველოს თავადებს, ჩანს, უკრძალავდნენ ალექსანდრესთან დამოყვრებას.

ალექსანდრემ ცოლად შეირთო ერევნელი მელიქის საჰაკ ალაბაბოვის ქალი მარიამ, რომელმაც სუსტად იცოდა ქართული. ამათი ვაჟი ირაკლი (დაბადებული 1827 წ.), ვასილ ოსიპის ძე ბებუთოვის სიტყვით, 1833 წელს ლაპარაკობდა მხოლოდ სომხურად (ბებუთოვი იყო სომხეთის ოლქის მმართველი). იმპერატორის ბრძანებით ირაკლი რუსეთს უნდა გაეგზავნათ სასწავლებლად. 1832 წლის ნოემბერ-დეკემბერში უნდოდათ ამაზე დედის დაყოლიება როზენის წინადადებით, მაგრამ იგი არ ანებებდა — ბავშვს მოვკლავ და რუსეთში არ გავუშვებო. 1833 წ. 20 აგვისტოს იგი მაინც დათანხმდა, ჩამოვიდა ერევნიდან და ბავშვიც თან ჩამოიყვანა. როზენმა იმდენად მოხიბლა მარიამი, რომ ქმართანაც კი მიაწერინა წერილი, შენც წამოდი, იმპერატორი მოწყალეა, გაპატიებსო. 1834 წ. მარიამი თავისი ვაჟით წავიდა პეტერბურგს, საიდანაც მერე როზენს მადლობასა სწერდა (აქტები, VIII).

1806 წ. ალექსანდრე იწერებოდა: „ჩემი უკანასკნელი სიტყვა ეს არის. რომელიც ხელმწიფე ჩემს მშობელს ქვეყანაში მამყოფებს, მე იმისი თანამდები მონა და მოსამსახურე ვიქნები — ვიდრე სისხლის წვეთამდე. მე ყოვლად მოწყალე ხელმწიფეზედა არცარა დანაშაული მაქვს და არც კისერზედ ავიღებ, ამისთვის, რომ ჩემს მშობელს მამულში მინდა ცხოვრება მეცა და ჩემთან მყოფ თავადებსაც, აზნაურთაც და სხვათაც“ (აქტები, III, № 126).

ალექსანდრე გარდაიცვალა თეირანში 1844 წელს და დასაფლავებულია შახ-აბდულ-აზიმის უბანში.

ალექსანდრე ეპისკოპოსი (1824—1907). ერისკაცობაში ალექსი დავითის ძე ოქროპირიძე, სიძველეთა რესტავრატორი, გამომცემელი და ფილანტროპი. დაიბადა ქართლში, სოფ. დისევს. როგორც სასულიერო პირის შვილმა მიიღო სასულიერო განათლება: სწავლობდა ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრებისთანავე (1845 წ.) აღიკვეცა ბერად თბილისის ფერისცვალების (დარიის) მონასტრის ძმობაში გამწესებით. 1846 წ. ა. იეროდიაკონის ხარისხით შემოსილი მიდის უმაღლესი სასულიერო განათლების მისაღებად ყაზანის აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1850 წ. უკვე

მღვდელმონაზონმა, ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით, და სადაც, პროფ. ზნამენსკის სიტყვით, ქოლერის საშინელი მძვინვარების დროს თავი ისახელა ქოლერიანთა დაურიდებელი და თავგამეტებული მოვლით. საქართველოში დაბრუნებისას ა. დაიწყო პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობა ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც სამხედრო ოპერაციათა გამო გაუქმდა 1854 წლიდან, და პარალელურად ქუთაისის სას. სასწავლებელში. 1855 წ. 30 XI-ს ა-მ მიიღო იღუმნობა, ხოლო 1856 წ. 26. II-ს იგი აკურთხეს არქიმანდრიტად, 1862 წ. 4 მარტს თბილისის სიონში ხელდასმული იქმნა აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრის ეპისკოპოსად. 1869—82 წლებში ა. იყო გორის ქორეპისკოპოსად, 1882—86 წლებში დროებით განაგებდა გურიის ეპარქიას, 1886—98 წლებში ის კვლავ ქართლ-კახეთის ეპარქიას უბრუნდება, ისევ გორის ქორეპისკოპოსად, ხოლო 1898—1903 წლებში მას ძლივს ეღირსა გურია-სამეგრელოს ეპარქიის მეტნაკლებად დამოუკიდებელი (საქართველოს ეგზარქოსისაგან) მმართველობა. ამ თანამდებობაზე ყოფნისას ა-მ თავი ისახელა ცნობილი რუსიფიკატორის — დეკანოს იოანე ვოსტორგოვის სამეგრელოს სამრევლო სკოლებში წარმოებულ პოლიტიკის წინააღმდეგობით. უფრო ამ მიზეზით, თუმცა ოფიციალურ საბაბად მოხუცებულობა იყო გამოყენებული, ა. 1903 წ. გაათავისუფლეს ეპარქიის მართვა-გამგეობისაგან და იგიც დაუბრუნდა თავის ნაამაგდარ შიომღვიმის უდაბნოს, სადაც გარდაიცვალა კიდეც 1907 წ. 9 ნოემბერს, იქვეა დასაფლავებული.

ა.-ს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს საეკლესიო სიძველეთა განახლების საქმეში: მან გაამშვენიერა გაუქმებული შიომღვიმე, ნივთიერად უზრუნველჰყო მისი კრებული ჯამაგირით და აგრეთვე შენობა-სადგომებით და მამულებით. შეაკეთა თავისი ხარჯით იოანე ზედაზნელის მონასტერი, აგრეთვე ჯვარის საყდარი და სხვ. ა. მზრუნველობით ეკიდებოდა ქართული მწერლობის ძეგლთა დაბეჭდვასაც და ხარჯს არ ერიდებოდა მათი ღირსეულად გამოქვეყნებისათვის. მისი სახსრებით დაიბეჭდა ს.-ს ორბელიანის ცნობილი ლექსიკონი რაფიელ ერისთავის რედაქციით (1884 წ.), ანტონ I-ის „მზამეტყველება“ (1892 წ.), ამბროსი ნეკრესელის „სიტყვანი და მოძღვრებანი“ (1881 წ.), „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა“ (1896 წ.), „ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები“ (ფოთი, 1903 წ.); მისი შეწირული ფულით საეკლესიო მუზეუმმა 1901 წ.

გამოსცა „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპებით“. მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვის მიერ ნოტებზე გადალებული ქართული წირვის საგალობლები და სხვ.

კერძო ცხოვრებაში მეტად ზომიერი და ასკეტი, ა. უშურველი სიუხვით ეხმარებოდა ყოველ კეთილსა და საქვეყნო საქმეს, როგორიც იყო, სიძველეთა რესტავრაციისა და დაბეჭდვის გარდა, ღარიბ მოწაფეთა შემწეობა. მისი ხარჯით და დახმარებით არაერთ ახალგაზრდას მიუღია განათლება. თავიდანვე საღი აზროვნების ადამიანი ა. დიდი თანაგრძნობით შეხვდა ახალგაზრდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობას (იხ. გაზ. „კავკაზ“ 1869. № 83; „დროება“, 1869 წ., № 32), იცავდა ქართულ ენას სასულიერო სასწავლებლებსა და სამრევლო სკოლებში და მოურიდებელი პირდაპირობით საჯაროდ ჰკილავდა ყველა იმ ქართველ „დიდ გვამებს“, რომელთაც თავისი გავლენა და ცხოვრება სამშობლოსა და მისი ხალხის კეთილდღეობისათვის არ წარმართეს. ასეთი პირდაპირობა და ულმობელი განსჯა დიდგვარიანებისა იმდროინდელ ქართველობაში იწვევდა ა-ს მიმართ გულწრფელ პატივისცემას და ხელს უწყობდა მის პოპულარობას.

ალექსი-მესხიშვილი არონ||ჰარონ, დეკანოსი. ახლდა ანტონ II-ს.

მისი გადაწერილი უნდა იყოს დ. კარიჭაშვილის კატალოგში VIII გვ-ზე № 22 და № 23-ად მოთავსებული ხელნაწერები. 1825 წელს ლისკოვოში — სამოელ რუბინ იუდიანი, „ოქროს აღნაქვსი“ (ხელნაწ. ინსტ. S — 326 ა).

1817 წ. 17 მარტს მასვე გადაუწერია ლისკოვოში ხელნაწერი „ანტექრისტეს მოსულისა და ამ სოფლის აღსრულებისა“ (A — 1581). ამ ხელნაწერს აქვს არონ დეკანოზის შვილიშვილის შვილის ა. დ. მაჩაბლის მინაწერი: „ეს ჰარონ ალექსი-მესხიშვილი იყო სიმამრი პაპიჩემისა ალხაზისა (დიმიტრი). რომელიც ალხაზი 16 წლისა მამასთან, დავითთან (დათუასთან) ერთად რუსების წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდნენ და მთელი ოჯახით გადასახლებულ იყო სელო ლისკოვოში, ნიჟნიგოროდის გუბერნიაში და იქ ჰარონ ალექსი მესხიშვილის ქალი ნინო შეერთო ალხაზს“.

ხელნაწერ S — 303-ის 158 გვ-ზე მოთავსებულია დიმიტრი ბაგრატიონის სამძიმრის წერილი ჰარონ ნიკოლაოსის ძე ალექსი-მესხიშვილისადმი შვილის გარდაცვალების გამო. წერილიდან ირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვევა, რომ ჰარონის შვილი, რომელიც „გორნის ექსპედიციაში იყო განწესებული ბაქუს და იქ მომკვდარაო“.

ჰარონ მღვდელი ალექსიშვილი იხსენიება „კალმასობაში“ („კალმასობა“, კ. კეკელიძის გამოც. ტ. I, 268).

ირონის ბიოგრაფიული ცნობები იხ. პ. კარბელაშვილი, ანჩისხატის ტაძარი. გვ. 48, 2.

ალექსი-მესხიშვილი დავით ალექსის ძე, რექტორი (1749—1824). „ბიძაჩემი დავით რექტორი გარდაიცვალა ნოემბრის 1 დღესა, 1824. იყო წლისა 75, დამარხულ არს მთაწმინდაში“ (ტარასის ჩანაწერი A — 1448. აღწ. A IV. გვ. 551).

პლ. იოსელიანი უჩვენებს გარდაცვალების თარიღად 1825 წ. (ცხოვრება გიორგი XIII-სა, 319).

1794 წ. 9 მარტს იქმნა „სრულად კახეთისა სამეფოსა რექტორად“ (S — 105. 13r).

გულიაკოვი სწერს ლაზარევს 1802 წ. 24. VII-ს: „დღეს კიდევ დავაპატიმრე ისინი, ვინც ჩვენს საწინააღმდეგოდ იკრიბებოდნენ — აზნაური დავით ალექსეევი, თავადი სიმონ ქობულოვის ძე თამაზი და დეკანოზი ხელაშვილი და სომეხი ყაზარა“ (აქტები, I, № 472).

1798 წლის 22 თებერვალს დავით რექტორი თელავში წერს გიორგი მეფის „შესხმასა მილოცვისა მეფობისასა“ H — 2744 შეადარ. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა. ზ. ჭიჭინაძის გამოც.; გვ. 195).

დავით ალექსის ძე მონათლა „ნაიბის ქალმა ბეგუმ“ (S—105. 111v).

ანტონ II-ის ბრძანებით დაინიშნა ერეკლე II-ის დაკრძალვის ცერემონმეისტრად (S — 105. 26).

მუსტაზადი, თქმული დავით რექტორისა ალექსის ძისაგან. „გრგვინვით ციურნო, მოით მზიურნო, რა არს სმინება“ (S — 1512. გვ. 1286—87).

ეს მუსტაზადი დაიბეჭდა ჟ. „ცისკარში“ 1857 წ. № 4. გვ. 3—4. სათაურით: „გლოვა არშიკისა“.

რედაქციას ვერ გაუგია ამ მუსტაზადის ფარული აზრი. ვერ გაიგო იგი ვერც ნიკოლოზ ბერძენოვმა, რომელმაც გამოსთქვა თავის წერილში: Грузинская литература: Восемь книжек (с марта по октябрь) журнала «Заря» («Кавказ», 1857, № 88). ტრ. რუხაძემ იგი მიაკუთვნა სატრფიალო ლექსების რიგს (ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან. თბ., 1954. გვ. 28).

ლექსის ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს მუსტაზადი სატრფიალო კი არა, სამგლოვიარო ლექსია. ამ ლექსის გლოვის ობიექტი არის რუსეთს გადასახლებული დავით ბატონიშვილი.

1877 წ. „ივერიაში“ დაიბეჭდა დავით რექტორის ორი წერილი მღვდელ იოანესადმი. ერთი 1802 წლის 8 აგვისტოს, ხოლო მეორე 1820 წლის 20 თებერვლის თარიღით.

ამ წერილებით ვიგებთ ბიოგრაფიულ ცნობებს დავით რექტორისას.

„სამართლის მოქმედთ რუსთ სკოლა წარმართვეს“ (თელავში).

ა-ს ციებცხელებით მოუკვდა ჯერ შვილი (?) კაცია 1800 წ., მერე 1801 წ. — მეუღლე მარიამი.

1801 წ. ა. თბილისში გადმოსახლდა, ანჩისხატის კარიბჭის ოთახში დგას.

ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი სოლომონის ძე (1779—1862). ენქეროსანი დეკანოზი. მწიგნობარი, სწავლა მიიღო თავის განსწავლული მამის—დეკანოზ სოლომონის ხელმძღვანელობით ანჩისხატის სკოლაში. 1793 წ. აკურთხეს იპოდიაკონად, 1795 წ. თბილისის აოხრების დროს მამასთან ერთად მთაში გახიზნა ეკლესიის სამკაულები. მათ შორის ტაძრის სიწმინდე—პირი ღვთისას ხატი. ნივთების წაღებისას მტერმა დაჭრა. 1796 წ. დაინიშნა კათალიკოსის დიკასტერიის მდივნად («მწერალთუხუცესად»). 1803 წ. ხელდასმულ იქნა ანჩისხატის მეორე მღვდლად, ხოლო 1808 წ. მამის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა იმავე ტაძრის დეკანოზად და დიკასტერიის წევრად. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსების შემდეგ დიდხანს იყო მის წევრადაც. 1818—1852 წ. მონაწილეობდა სინოდალურ კანტორაში თავმოყრილი ძველი საბუთების კომისიაში, რომელიც დაარსდა რუსი ეგზარქოსის—თეოფილაქტეს განკარგულებით. მის მიერ გარჩეული და აღწერილია არაერთი სიგელ-გუჯარი. ა-ს ამ დარგში ნამუშევარზე სათანადო შენიშვნები აქვს მ. ბროსეს «Rapport à S. E. le prince Vorontsof sur les chartrs géorgiennes (1848. გვ. 235—236) იხ. ნეკროლოგი «ცისკარი». 1862. № 12. გვ. 320.

ალექსი-მესხიშვილი ეფრემ იოსების ძე — (1793—1861). მღვდელი, მწიგნობარი და ცენზორი. დაიბადა 1793 წელს (1833 წ. 6 თებერვალს მიცემულ ჩვენებაში წერს — 40 წლისა ვარო),

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა 1861 წ. („ცისკარი", 1861 წ. აგვ. №., გვ. 369) 20 V-ისა და 20. VIII-ის შუალედში*.

სწავლობდა ანჩისხატის სასწავლებელში, მერე მცირე ხანს — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1810 წ. მაისში აკურთხა მთავრად ათანასე ნიქოზელმა. იყო პროტოდიაკონად ვარლამ ეგზარქოსთან 1816 წლამდე. 1816 წ. 6 იანვარს აკურთხეს მღვდლად იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და მალე დაინიშნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართული ენისა და საღვთო სჯულის მასწავლებლად (დეკანოზ ნიკოლოზ ხელაშვილის ადგილას, ნ. ხელაშვილი.კი გადაყვანილ იქნა იოანე ქართველოვის ადგილზე). აქ მსახურობდა 1830 წლამდე. შემდეგ იყო იერუსალიმის (ჯვარისმამის) ეკლესიის მღვდლად. 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იყო პასუხისმგებლობაში და დატოვებულ იქნა პოლიციის საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ. იყო ცენზორად სიკვდილამდე.

ეფრემს ეკუთვნის პლ. იოსელიანისაგან ჩაწერილი ორი ლექსი — შაირი „ღვინის ჭურჭელთათვის": „ბახუსმა რანიც მოგვცა სასმური, ეს არს აწ ნახე ლიტლიტად ჭური", სადაც ზმით მოცემულია ოცი სხვადასხვა ჭურჭლის სახელი, აქ მოტანილის — მარანის, საწნახელის—მსგავსად და რომელსაც თბილისის მოსახლეობა მღეროდა ქუჩებში 40—50-იან წლებში.

1853 წ. ჟურნ. «ცისკარის» № 11 და № 12-ში დაიბეჭდა გ. ერისთავის სახელით პიესა «ყვარყვარე ათაბაგი». ამ პიესის ავტორად ვ. გუნია ასახელებს ეფრემ ალექსი-მესხიშვილს. „ეს პიესა დაიბეჭდა გ. ერისთავისაგან, ეს იმ მოსაზრებით მომხდარა თურმე, რომ როგორც ცენზორს, მას (—ეფრემს) ერიდებოდა თვითვე ბეჭდვა თავის სახელით" („საქართველოს კალენდარი», 1895 წ. გვ .488). პ. უმიკაშვილს გაუგონია ალ. ორბელიანისაგან, რომ „ყვარყვარე ათაბაგი" ეკუთვნის ეფრემ ალექსიევს (ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ონა მეუნარგიას არქივი). ამ პიესის შესახებ ა. ხახანოვი ამბობს, რომ ის „რა თქმა უნდა, ეკუთვნის ჩვენს ავტორს (გ. ერისთავს). შეადარე დ. გ. ერისთავის წერილი 1867 წ. № 32-ში „დროებისას" (А. Хаханов, Очерки... вып. IV, გვ. 90, შენიშვნა).

თბილისის მეტეხის ეკლესიის მღვდელი ეფრემ ალექსიევი ავ-

* ეფრემი იყო „ცისკრის" ცენზორი. "ცისკრის„ 1861 წლის აგვისტოს ნომერს გვ. 369-ზე აქვს ცენზორის ვიზა 20 მაისის თარიღით და ალექსიევის ხელწერით, ხოლო სექტემბრის ნომერს აქვს ვიზა 20 აგვისტოს თარიღით და ყაითმაზოვის ხელწერით.

ლაბარში, დარიის მონასტრის ახლოს, საკუთარ სახლში ცხოვრობს. მასთან იყიდება საქართველოს ისტორია, ჩუბინაშვილის ქრესტომათია და ვეფხისტყაოსანი. — სამეცნიერო აკადემიის გამგეობის კომიტეტის განცხადება („კავკაზ", 1851. 13. VII. № 53. გვ. 220).

მეტეხის მახლობლად ეფრემის ცხოვრებაზე მიუთითებს ტარასი ალექსი-მესხიშვილის წერილი ივანე ლუარსაბის ძე თარხნიშვილისადმი „წიგნების გამოგზავნა მოგეწერა, თუ გამოგზავნო, ეფრემ მღვდლის ალექსიევის სახელზედ გამოგზავნე, აქ, ჩემს მეზობლათა დგას, მონასტრის გვერდზედ, ავლაბარში" (1850. 2. III. ტარასის წერილები, № 39, გვ. 4).

ეფრემის შესახებ 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში ნათქვამია, რომ ეფრემს დოდაევმა შესთავაზა საერთო აჯანყების დროს ხალხის წინაშე ხატით გამოსულიყო (ეგზარქოსის კანცელარიის ფონდი, 488/139. საქმე 3209, ფურც. 4).

ეფრემი დააპატიმრეს 1833 წ. 8 იანვარს, საპატიმროში მჯდარა ნათალიშვილსა და ფილადელფოსთან ერთად.

1833 წ. 12. I-ს ეფრემი პირში წააყენეს სოლ. დოდაშვილთან. სოლომონი ამხილებდა შენ იცოდი აჯანყების ამბავიო. ეფრემი უარობდა. სოლომონი ახსენებდა. ის მაინც უარზე იყო, თუმცა ვერაფრით ამტკიცებდა ეფრემიო — დასძენს კომისია.

ეფრემი შეთქმულებაში იხსენიება როგორც „კარაპეტა მღვდელი" (გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, გვ. 11). გ. გოზალიშვილს აღნიშნული აქვს, რომ კარაპეტა მღვდლად „ვინ იგულისხმება, ვერ გამოვარკვიეთ" (გვ. 11).

ეფრემი როზენის განკარგულებით გაათავისუფლეს 1833 წ. 9 ივლისს. 9 აგვისტოს როზენი წერდა: „შესაძლებლად მიმაჩნია დაშვებულ იქნეს მღვდელი ეფრემ ალექსეევი სამღვდელო თანამდებობაზე" (საქ. ც. ა. ფ. 488/139 საქმე 3209, ფურც. 13). ეფრემის საქმეზე ეგზარქოს მოსეს აქვს ასეთი განკარგულება: „ვავალებ დეკანოზ ავალიანოვს თვალყური ადევნოს ამ მღვდელს და ყოველ კვირა მაცნობებდეს მის ამბავს, ხოლო თუ რაიმე საგანგებოს შეამჩნევს, დაუყოვნებლივ მაცნობოს" (იქვე, ფ. 12).

საგამომძიებლო საქმეში ჩართულია ეფრემის განცხადება ქართულად, 21 ივლისის თარიღით: ჩემს ოჯახს პენსია ნახევარიღა ეძლეოდაო: დაკავებული ნახევარიც მომეცით, კვლავაც მთლიანად მომეცეს და სამსახურიც დამიბრუნდესო (იქვე, ფურც. 473).

ვარლამ ეგზარქოსის «Свидетельство» ეფრემ ალექსიევის საქმიანობის დახასიათება 1816 წ. 19 მარტს (16/152, 1874).

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (1805—1878). 1821 წ. შეასრულა კურსი თბილისის სემინარიაში და იმავე წელს დაინიშნა იმავე სემინარიის I კლასის მომსვლელი მოწაფეების მასწავლებლად. 1822 წ. გადაიყვანეს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად. 1825 წ. მსახურობს თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. 1831 წლიდან „კოლეგიის სეკრეტარია", 1834 წ. — „ტიტულარნი სოვეტნიკია". 1839 წ. თავად-აზნაურობამ აირჩია „სუდა ი რასპრავის" ექსპედიციის მრჩევლად. 1840 წ. ახალციხის მაზრის უფროსია; 1841 წ. ქუთაისის მაზრის უფროსია. 1842 წ. გადმოყავთ თელავის მაზრის უფროსად. სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის შემდეგ 1860 წ. ინიშნება თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველად და 1862 წელს ხდება „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი". 1864 წელს სამსახურიდან გადადგება.

ა.-მ 1847 წ. 23 ოქტომბერს 300 მ. თეთრი შესწირა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის („დროება", 1884. 14. IV, № 80. გვ. 2).

გარდაიცვალა 1878 წ. 20 სექტემბერს. დასაფლავებულია სამთავისის ტაძარში.

სამგლოვიარო განცხადება იაკინთე ალექსი-მესხიშვილის გარდაცვალების გამო („დროება", 1878, 20. IX, № 189. გვ. 4. „გაზეთის ბიბლიოგრაფია", II, 1217 თ.).

„ივერიის" 1892 წ. № 162-ის მე-4 გვერდზე მოთავსებულია სამგლოვიარო განცხადება: „ეკატერინე იაკინთეს ასული, ლევან და ნიკოლოზ გიორგის ძენი ბაგრატიონ-მუხრანსკები იუწყებიან ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის უეცრად გარდაცვალებას 30. VII". მაშასადამე, იაკინთეს ქალი ეკატერინე ყოფილა გათხოვილი ალექსანდრე გიორგის ძე მუხრანსკიზე.

ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ იაკინთეს ძე (1840—1908). სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში; პეტერბურგის ქართველმა სტუდენტებმა ჩაიბარეს 1860 წ. 29 აგვისტოს გარდაცვლილი სალომე ფარნაოზ ბატონიშვილის ასულის ნაქონი წიგნები. ამ წიგნების მიღების ხელწერილზე № 9 ხელწერა არის ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილისა, № 14 — ილია ჭავჭავაძისა.

III კურსის სტუდენტი ნ. ა.-მ. 1861 წ. მონაწილეობდა პეტერბურგის სტუდენტთა მოძრაობაში, რისთვისაც 12 ოქტომბრიდან 6 დეკემბრამდე პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეებში იჯდა.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გარიცხეს უნივერსიტეტიდან და საქ-ში გადმოასახლეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ცდილობდა ავადმყოფობის მომიზეზებით სამკურნალოდ უცხოეთში წასვლას. საზღვარგარეთ მის გაშვებას შუამდგომლობდა კავკასიის მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელი გენ.-ადიუტ. გრ. ორბელიანი. ჟანდარმთა შეფის — პოლიციის III განყოფილების უფროსისა და შინაგან საქმეთა მინისტრის დოლგორუკოვის ხელმოწერით ა.-მ.-მა უარი მიიღო თხოვნაზე, ხოლო გრ. ორბელიანმა — საყვედური ამგვარი თხოვნის შუამდგომლობისათვის (ვ. სიფრაშვილი, რატომ დაიმსახურა გ. ორბელიანმა საყვედური. „თბილისი“, 3. X, 1960, № 235).

1869 წ. ის არის დუშეთის მაზრის მეორე განყოფილების „მიროვოი პოსრედნიკი“ (Кавказский календарь, 1869, გვ. 24).

1879 წ. იგი ახალციხის მაზრის უფროსია, 1900 წ. დუშეთის მაზრის უფროსი. 1905 წ. სიღნაღის მაზრის უფროსია.

„კვალის“ რედაქტორ-გამომცემელია 1903 წ. 22 მარტიდან 1904 წ. 1 თებერვლამდე, როცა გამოვიდა მისი უკანასკნელი ნომერი (№ 5). (გ. ბაქრაძე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, № 31, გვ. 13—14).

ქართულ პერიოდულ პრესაში ბეჭდავდა სტატიებს სხვადასხვა საკითხებზე; „ქართული წარმოდგენა ტფილისში“ („დროება“, 1867, VI. 30. № 26. გვ. 1—3; VII, 7, № 27, გვ. 1—3).

„წლევანდელის მეტად აბასთუმანში (ოცხეს)“, „ავადმყოფობა და კურორტის მნიშვნელობა“ („დროება“, 1876. VII. 18. № 74, გვ. 1—2), „წერილი რედაქტორთან“ (იტალიელი მხატვარი პრემატო აბასთუმანში: ვარძიის, საფარის და სხვ. შესანიშნავი ადგილების დახატვა მის მიერ. ნ. ალექსი-მესხიშვილის დახმარება მგზავრობის დროს) („დროება“, 1876. VIII. 6. № 82, გვ. 2).

„დროების“ 1880 წ. 13. IX-ის № 193-ში, გვ. 3-ზე მოთავსებულია წერილი „ა. მ. ახალციხე, 7 სექტემბერს“ (ქალთა სკოლის მდგომარეობა) — ავტორის ვინაობის შესახებ იხ. „დროება“, 1880. № 267. გვ. 3.

„ბ-ნო „კვალის“ რედაქტორო!“ (შეკითხვა კორესპონდენტს ქისტ ჩაფრებისაგან ფშაველების დარბევის შესახებ). „კვალი“, 1895. № 53. გვ. 5—6.

„წერილი რედაქციის მიმართ“ ქალაქის არჩევნების მონაწილეობის შესახებ. „კვალი“, 1902. № 42. გვ. 684.

„ისტორიული პიესის წარმოდგენის გამო (ისტორიულ-კულ-

ტურული მიმოხილვა)“ — ჩაცმა-დახურვა, იარაღი, ჩვეულებანი და სხვ. „ივერია“, 1904. №№ 63, 66, 70, 80, 96, 103. ნ. ალექსი-მესხიშვილმა 1902 წ. რუსულად თარგმნა ი. ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადი“. ა.-მ. სამთავროს იღუმენიას ნინოს იუბილეზე სიტყვით მიმართა (ბროშურა „იღუმენია ნინო“, 1905. გვ. 36).

„1879 წ. ნიკომ ითამაშა პეპოს როლი უბადლოდ“ (ავქ. ცაგარელი, მოგონებანი, ი. გრიშაშვილის გამოც., 1936, გვ. 399—402). ნიკოლოზს ცოლად ჰყავდა გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის და.

1847 წ 23 ოქტომბერს პოდპოლკოვნიკმა მაკარი (მამუკა) ორბელიანმა ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლისათვის იაკინთე ალექსი მესხიშვილისაგან მიიღო 300 თეთრი. ამ ბარათის პირი იაკინთეს შვილმა ნიკოლოზმა 1884 წ. 6 აპრილს გაუგზავნა „დროების“ რედაქტორს ივანე მაჩაბელს. ამანაც მამუკას ხელწერილი დაბეჭდა „დროების“ 1884 წ. 14 აპრილის № 80-ში (გვ. 2).

1903 წელს ა. ხატისოვმა დაბეჭდა წერილი «К инциденту в обществе вспомоществования студентам» («Новое обозрение», 1903, № 6336), რაზედაც ნ. ა. მ-მა გამოაქვეყნა პასუხი «Ответ А. Хатисову»(«Новое обозрение», 1903, № 6348). ნ. ალექსი-მესხიშვილი დასაფლავებულია სამთავისის გალავანში, აქვს წარწერა: „ნიკოლოზ იაკინთეს ძე ალექსი-მესხიშვილი, დაიბადა 20 ოქტომბერს 1840 წ. გარდაიცვალა 27 მაისს 1908 წ.“.

ალექსი-მესხიშვილი სოლომონ ალექსის ძე (1748—1808). თბილისის ანჩისხატის დეკანოზი, კალიგრაფოსი, მხატვარი და მწიგნობარი. მამა ტარასი არქიმანდრიტისა და ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრისა; დავით რექტორის ძმა. კათალიკოს ანტონ I-ის ნიჭიერი მოწაფე. 1773 წ. რუსეთშია. საფიქრებელია ,იგი გაჰყვა იქ კათალიკოს ანტონ I-სა და ლევან ბატონიშვილს, რომლებიც ეკატერინე II-თან გაგზავნა ერეკლე მეფემ. 1789 წ. 29 ოქტომბერს სოლომონმა ხოტბით მიმართა დავით ბატონიშვილს (ეს სიტყვა დაბეჭდა მ. ჯანაშვილმა „ივერიაში“ 1900 წ.), შემდეგში საქართველოს სამეფოს მემკვიდრესა და რეგენტს, აგარიანებზე მისი გამარჯვების გამო (საეკლ. მუზეუმის ფონდი № 355, წ. კ. საზ-ბის ფ. № 3282). ეს ხოტბა პროფ. ალ. ხახანაშვილმა შეცდომით ერეკლე მეფის ხოტბად მიიჩნია. იგი სქოლასტიკურ წესზე აგებული სიტყვის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მის კალამს ეკუთვნის ლექსი „ეტრფის მთებსა“, ამ ლექსს ერთხანად შეცდომით ბესიკ გაბაშვილს მიაწერდნენ (ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 28—29).

1795 წ. აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრებისას ა-მა თავის შვილ დიმიტრისთან ერთად გამოიჩინა დიდი გულადობა, ისეთ, რომ ანჩისხატი, პირიღვთისად წოდებული, და ტაძრის დიდ და ძველ სიწმიდეთ მიჩნეული, საკმაოდ მოზრდილი და მძიმე, თბილისიდან მთებში წაიღო თავისი ზურგით სწორედ იმ წუთებში, როცა აღა-მაჰმად ხანის ჯარებმა თბილისში დაიწყეს მძვინვარება. მთებში მისვლამდე გზა და გზა განაგრძობდა წიგნების გადაწერას, რაზედაც მეტყველებენ მის მიერ გადაწერილ ხელნაწერთა მინაწერები „ეს სძლის პირი ჭირისაგან რომ ავიყარენით, მაშინ ვსწერე აქა იქ სოფლებში და თელავს“ (A — 356). მისი ხელით გადაწერილია ანტონ კათალიკოსის „ლოგიკა“ (A — 15). იგი იყო მხატვარიც. მისი მხატვრობის ნიმუშს წარმოადგენს ანჩისხატის ტაძარში დაცული წმ. ბარბარეს ხატი.

1802 წ. ა-ს ებოძა ოქროს გულის ჯვარი, კამილავკა და 400 მან. პენსია სიკვდილამდე. ამბობენ, რომ კამილავკა მას მის მერე აღარ დაუხურავს, რაც რუსის ჯარისკაცების ჩაყენებისას ეს ჯილდო თუმცა უჩვენა, უფროსებმა არავითარი ფასი არ დასდეს. გაზ. „კავკაზში“ (1846. № 33. გვ. 132) დასტამბულია ცნობა, რომ როცა გიორგი მეფის დროს ქალაქში ჩაყენებულმა ლეკის ჯარისკაცებმა ქუჩაში ზეხვედრისას ა-ს ქუდი მოხადეს და შეურაცხყოფა მიაყენეს, შევიდა მეფესთან და მოურიდებლად განუცხადა — ურჯულონი ხალხსა და ქრისტეს მსახურთ თავს წამოგვასვიო. ა. გარდაიცვალა 1808 წ. და დასაფლავებულია ანჩისხატის ტაძარში.

1803 წ. 27 იანვარს იოანე სამთავნელ-წილკნელისათვის ანდერძის აგებისას სოლომონ დეკანოზს (ანჩისხატისას) და სიონის დეკანოზს მოუხდათ ცილობა — თავს რომელი დასდგომოდა. არსენი ტფილელმა მიტროპოლიტმა მხარი მისცა თავის დეკანოზს და მოხდა მასა და სოლომონს შორის წაკინკლავება, რის შედეგადაც სოლომონმა დასტოვა ტაძარი (აქტები, II, 263).

ალექსი-მესხიშვილი ტარასი სოლომონის ძე (1793—1874). ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფოსი და სასულიერო მოღვაწე — ანჩისხატის დეკანოზის სოლომონის (იხ.) შვილი. აღიზარდა ტფილისში, თავის მამასთან, რომელიც განთქმული იყო აგრეთვე როგორც კალიგრაფოსი და მწიგნობარი. 15 წლისა კათალიკოსმა ანტონ II-მ, გადმოცემით მისმა მიმრქმელმა ანუ ნათლიამ, 1808 წელს აღკვეცა ბერად. იყო მისი იპოდიაკონი და მოლარე („რიზნიჩი“). 1817 წ. სექტემბერს გაჰყვა პეტერბურგში საქართველოს პირ-

ველ ეგზარქოსს — მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს. იყო მასთან 1817—1826 წლებში, მერე, 1826—1830 წლებში — თეიმურაზ ბატონიშვილთან როგორც მისი კარის ეკლესიის მოძღვარი.

განათლების მინისტრ გოლიცინისაგან მას დაევალა ნ. დ. ჩუბინაშვილთან ერთად 1820 წლებში ბიბლიურ საზოგადოების თანხმობით ათონის ივერიის მონასტერში გამგზავრება და იქ ძველი ხელნაწერიდან ქართული დაბადების გადმოწერა, შემდეგში მისი დაბეჭდვის მიზნით, რასაც საზოგადოება კისრულობდა. ეს დავალება ვერ შესრულდა თურქეთში მომხდარი არეულობის გამო. 1830 წ. სექტემბერში ტარასი დაბრუნდა საქ-ში თბილისის დარიის მონასტერში განწესებით. 1832 წ. შეთქმულებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს.

საგამომძიებლო კომისიამ იგი მეშვიდე კატეგორიის დამნაშავეთ მიაკუთვნა ე. ი. იმათ, ვინც იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ არ იზიარებდა. ამ კატეგორიაში სულ 17 კაცი მოხვდა, ამათ შორის: თეკლე ბატონიშვილი, სალომე ბატონიშვილი (ფარნაოზის ას.), ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი. თეკლე, ა. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი მთავრობამ გადაასახლა საქართველოდან, დანარჩენები კი ამ კატეგორიისა — არა. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა ტარასიც, რომელიც გამოძიების დამთავრების შემდეგ დატოვეს თბილისში, ოღონდ პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

გამოძიებისას პოკროვსკის ყაზარმებში ჯდომისას ტარასისა და ფილადელფოს კიკნაძეს, როგორც ბერებს, უთხოვნიათ ხელისუფლებისათვის — ნება მოგვეცით ხმამაღლა ვილოცოთ და ვიკითხოთ სახარებაო. ყაზარმების ადმინისტრაციას ეს თხოვნა შეუწყნარებია. ამათაც დაუწყიათ ხმამაღლა ლოცვა და სახარების კითხვა, შიგადაშიგ, საეკლესიო კილოთი, ცალკე ოთახებში გამომწყვდეულ შეთქმულთა გასაფრთხილებლად ამბობდნენ გამომძიებელმა რა ჰკითხა, რა უპასუხეს და შემდეგში ვინ როგორი ჩვენება მისცესო.

საგამომძიებლო კომისია დაინტერესებული იყო გამოეკვლია თუ რა ურთიერთობაში იყო ტარასი პეტერბურგში ბატონიშვილებთან. ტარასი ყველაფერს ამარტივებდა, კომისიას არწმუნებდა, ბატონიშვილებთან სიტყვაში შებმის მეტი იქ არა ყოფილა რაო. (იხ. ლენინგრადის ფონდი, VII რვეული, გვ. 1136).

სწორედ ასეთი ოსტატური ქცევის შედეგი იყო ის, რომ ტარასი შედარებით მშრალად გამოვიდა შეთქმულთა ისტორიიდან, იგი

გაათავისუფლეს პატიმრობიდან და დატოვეს თბილისში პოლიციის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი XII-ის ქალის — სოფიოს — შვილის ივანე ლუარსაბის ძე თარხან-მოურავის საფასით ქართლში (1845—1855 წწ.) განახლდა უკაცრიელი ქვათახევის მონასტერი. ამ მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტის ხარისხით იყო ტარასი 1855—1874 წწ. აქვე გარდაიცვალა. დასაფლავებულია ქვათახევის მონასტერში, ჩრდილოეთის კედელთან. კედელზე არის ასეთი წარწერა: „მოიხსენე უფალო მონა შენი არხიმანდრიტი ტარასი. ამან დაუცხრომელმან მშრომელმან ცნობილმან მაღლითა მონოზონებითითა მოღვაწებითა, მკაცრითა ზნეობითა და კრძალულებითა განვლო რა მონოზონებასა შინა 66 წელი, განისვენა 1874 წ. მაისის 2-ს, შობითგან 81-ის წლისამან. დიდმშვენიერი განახლება ქვათახევის მონასტრისა, შინაგანი მომართულობა მისი და სიმრავლე გარემო მისისა მიუცილებელთა ახალთა შენობათა არს ნაყოფი ტარასის წინამძღვრობისა მის მონასტერსა შინა 1854—1874 წ“.

საფლავი ჩრდ. კედლის ძირსაა და მას აქვს ასეთი ეპიტაფია:

„ლოდი ესე ფარავს მტვერსა არხიმანდრიტის ტარასისა რომელი გარდაიცვალა ჩყოდს წელსა მაისის ბსა დღესა მექონე შობიდგან პა წლისა“.

ტარასი ალექსი-მესხიშვილს აქვს მრავალი ძვირფასი წიგნი იშვიათი კალიგრაფული ხელოვნებით შესრულებული, აგრეთვე არაერთი, ნაწილობრივ დაბეჭდილი, თარგმანი, უმთავრესად სასულიერო შინაარსისა. „ლეოლრაფიული ლექსიკონი ახალის აღთქმისა“ (სპბ. 1824.), „ვრცელი კატეხიზმო“ (1827), „სიტყვა მღვდლობისათვის“ (1845), „თანამდებობათათვის სამრევლოთა მღვდელთასა“ (სპბ. 1861), და საკუთარი გადმოკეთებული ნაწარმოებები, როგორიცაა „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა, ხუცურისა და მხედრულის წერილისა“ (მოსკოვი, 1825), ლითოგრაფიულად დაბეჭდილია მისი „ქართული საწერი დედანი“, ხოლო მისი ნახატი ასოები გამოსცა ქსილოგრაფოსმა ტატიშვილმა თავის „ქართული ანბანის თაიგულში“ (1902).

40-იან წლებში ტარასიმ დაწერა „მოკლე აღნუსხვა ქართლ-კახეთის მონასტერთა“, ყურადსაღები დოკუმენტი, როგორც საქართველოს სიძველეთა იმ დროის მდგომარეობის მაფიქსირებელი. („საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ნოემბრის ნომრები; „მწყემსი“, 1888. № 16, 17).

ეპიგრაფიკული მასალა აკად. მ. ბროსეს ჩაწერილი აქვს ნაწილობრივ ტარასის წაკითხვით. იგი იყო საუკეთესო მცოდნე საეკლესიო კითხვა-გალობისა და ნიჭიერი საუსულიერო ორატორი. დიდი ინტიმური ექსპრესიით წარმოთქმული მისი სიტყვა-გოდება ქვათახევის რესტავრატორის ივანე თარხან-მოურავის დაკრძალვაზე (ჟურნ. „ცისკარი", 1858. წიგნი XI ნოემბერი) წარმოადგენს საუსულიერო მჭევრმეტყველების კლასიკურ ნიმუშს. აქვს ნახატებიც და ლექსებიც.

ალექსიძე იოელ სოლომონის ძე (1779—1825). ტარასი და დიმიტრი ალექსი-მესხიშვილების უმცროსი ძმა. „კოლეჟსკი რეგისტრატორი". 1821 წ. 8 ივლისს ბაგრატ ბატონიშვილმა იოელ ალექსიძისაგან პეტერბურგში იყიდა მისი გადაწერილი „დასტურლამალი" (Е. Такайшвили. Описание, II, 698).

იოველ ალექსიძისგან 1821 წ. გადაწერილ „დასტურლამალს" ეყრდნობა პ. უმიკაშვილის გამოცემა (იხ. დასტურლამალი პ. უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფ. 1886. გვ. V). მან გადაწერა რამდენიმე ხელნაწერი: საეკლესიო მუზეუმის № 29 1820 წ. გადაწერილი და № 41 — 1822 წ. გადაწერილი: ანდრია კესარია-კაპადუკიელის თარგმანება გამოცხადებისა იოანე ღვთისმეტყველისა და მზამეტყველება. მისი დაწერილია А-592 (Ф. Жордания, Описание.. II, 101).

1822 წ. 14 აგვისტოს მას გადაუწერია დავთარი გერმანოზიშვილების ოთარის, გერმანოზის, ნიკოლოზის და იესეს გაყრისა („საქ. სიძვ." I, № 330). 1805 წ. ის სამართალში იყო მიცემული სისხლის სამართლის საქმეზე.

1803 წ. იოანე საბთავრელ-წილკნელისათვის ანდერძის აგებისას იოელის მამას სოლომონ ანჩისხატის დეკანოზსა და სიონის დეკანოზს მოუხდათ ცილობა — რომელი მათგანი დასდგომოდა თავს მიცვალებულს. ეს ცილობა შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა. ამ ცილობაში არსენი ტფილელ მიტროპოლიტს სიონის დეკანოზის მხარე ეჭირა. როდესაც არსენი მიტროპოლიტი ეკლესიიდან ბრუნდებოდა, მას ყაჩაღურად თავს დაესხნენ და დაჭრეს. თავდამსხმელთა შორის მიტროპოლიტმა იცნო სოლომონ დეკანოზის შვილები. ერთი მათგანი, რომელსაც ხელში მახვილი ეჭირა, კომენდანტმა დააკავა და საპატიმროში ჩასვა (აქტები, II. 509). ეს დაპატიმრებული შვილი დეკანოზისა არის იოელი.

იოელ ალექსიძეს ამ დანაშაულისათვის—მიტროპოლიტსა და მის მსახურებზე თავდასხმისათვის — ორი წლით პატიმრობა მოსა-ჯა (Архив Государственного Совета, т. III, ч. II, Спб., 1878 გვ. 1021).

იოელის ობოლი ქალი ბარბარე იულონ ბატონიშვილის ასულმა თამარმა წაიყვანა პეტერბურგს ბიძასთან — ტარასი ალექსი-მესხიშვილთან. ტარასიმ ეს ქალი ბატონიშვილ ფარნაოზს მიჰგვარა და სთხოვა სასწავლებელში სადმე გაეზარდა. იგი „ჯერ პანსიონში მიაბარეს და მერმე სთხოვეს ხელმწიფეს არზითაც. ხელმწიფემ... ეკატერინის ინსტიტუტში ინება და ბრძანა მისი მიღება, რომელიც დღესაც იქ იზრდება“. ტარასის წერილი (IV, 663 ფ. ლენინგრადის ფონდი, 1832 წ.).

ალმასხან (ვახტანგ) ბატონიშვილი (1762—1814), ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და მისი მესამე მეუღლის დარეჯან დედოფლის შვილი. ვახტანგ უწოდეს მას ერეკლეს პირმშო შვილის ვახტანგ კარგის (1744—1760) ხსოვნის აღსანიშნავად, თანახმად უკანასკნელის ქვრივის ქეთევანის (კონსტანტინე მუხრან-ბატონის ქალის) თხოვნისა და გარდაცვლილი ძმისაგან განსასხვავებლად ზედმეტ სახელად შეარქვეს „ალმასხან“.

ალმასხანმა 1781 წ. ცოლად შეირთო დავით ანდრონიკაშვილის ქალი მარიამი, რომელზედაც შემდეგ გულაყრილი ყოფილა. 1782 წ. ერეკლემ მას საუფლისწულოდ გადასცა და მიანდო მთიულეთისა და არაგვის საერისთავოს განმგებლობა, რომლებსაც ის მართავს გიორგი XII-ის მეფობაშიც. 1795 წ. აღა-მაჰმადხანის შემოსევის დღეებში ა. თავისი მცირერიცხოვანი რაზმით (ისტორიაში ეს რაზმი ცნობილია 300 არაგველის სახელით) თავგამეტებით იბრძოდა და ბრძოლის დასასრულს იოანე ბატონიშვილსა და ივანე მუხრან-ბატონთან ერთად ძალით გამოიყვანა მამა განწირული ქალაქიდან.

1799 წ. რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ა. საკმაო ერთგულებას უჩვენებს რუსეთის მმართველობას, ხელს უწყობდა რუსის ჯარის კაიშაურზე დაუბრკოლებლივ გადმოსვლას ტფილისში დასაბანაკებლად და სურსათითაც ამარაგებდა მას, რის სანაცვლოდაც რუსეთის მთავრობამ უბოძა მას ანას I ხარისხის ორდენი, სიგელი კი შეცდომით — ალექსანდრე ნეველის ორდენისა. შეცდომის გამოსწორების შემდგომმა განზრახვამ და ორდენების შეცვლამ ა.—ნში აღძრა იჭვი და გულისწყრომა რუსეთის მთავრობისადმი. იგი მიემხრო თავის ძმებს — იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს და

მათთან ერთად მოსახლეობაში უკმაყოფილების თესლს აბნევდა. გიორგი XII-ის წინაალმდეგ, ალმასხან ბატონიშვილი 1800 წ. 24 აგვისტოს ჯარით დაიძრა თბილისისაკენ ავჭალაში ქალაქიდან თავის დედის გასაპარებლად. შემდეგ კი როცა სამეფო გაუქმდა, იგი უკვე ცეცხლს აღვივებდა, განსაკუთრებით მთაში. რუსის ჯარისაგან დევნილი ა. გაიქცა თავისი რეზიდენციიდან — დუშეთიდან, რამდენიმე ხანს იმალებოდა ხეობებში, მაგრამ მერე იძულებული შეიქნა მინდობოდა ჯარის უფროსის ტუჩკოვის პატიოსან სიტყვას. მაგრამ ტუჩკოვმა იგი მაინც დააპატიმრა და ყარაულქვეშ ჩამოიყვანა თბილისში. მამული კი ჩამოართვა და ხაზინას გადასცა. მთავარმართებელმა ციციანოვმა წინადადება მისცა რუსეთში გადასახლებულიყო, რაზედაც ა.-მა უარით უპასუხა: „მირჩევნია საქართველოში მიწა ვთხარო, ვიდრე რუსეთში წავიდეო“. ა. ფეხთ ჩაუვარდა ციციანოვს და შეწყალებას სთხოვდა; მაინც ა ყარაულ ქვეშ გაიგზავნა, 1803 წ. 9 თებერვალს დავით ბატონიშვილთან და თავის აღმზრდელ ქეთევან (ვახტანგ კარგის ქვრივთან) ბატონიშვილთან პეტერბურგში. ასეთმა ძალადობამ იულონსა და ფარნაოზს საბაბი მისცა მიეწერათ ციციანოვისათვის: „ძმათა ჩვენთა ვახტანგ და დავით დასდვეს თავი თვისი ერთგულებასა ზედა იმპერატორებისა მათისასა, რომელთაცა მიიღეს სასყიდლად გარდაჭედილი კიდობანი (—იგულისხმება დახურული კარეტა) და დიდებად გვარისა თვისისა პატივისცემა დამნაშავისა მუჟიკისა“.

ა. გარდაიცვალა 1814 წ. ოქტომბერს, დასაფლავებულია ლენინგრადის ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიის შესასვლელთან, ხელმარცხნივ. მარმარილოს ძეგლზე, თითბრის ფიცარზე, გამოსახულია მისი სურათი წელზევით. შენახულია აგრეთვე ბერ იონა ხელაშვილის რიტორიკულ-სქოლასტიკური სიტყვა, წარმოთქმული ალმასხანის დასაფლავებაზე (A — 7. გვ. 123—140).

ალმასხან ბატონიშვილს წილი უძევს მწერლობაშიც. მას შედგენილი აქვს: 1) „აკოლითია ხელთუქმნელისა და საკვირველისა ხატისა“. (S—516. გვ. 1—36), აგრეთვე 2) „ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოთა შინა აღწერითა ზნეობათა და ჩვეულებათა მსახლებელთა მის ქვეყნისა“ (S—2564, S—3667)[1]. 3) „ებისტოლენი სარწმუნო მეგობრისადმი“, რომელიც ა-ს შეუდგენია „ჟამთა მყოფობისა საქართველოსა შინა“, და წარმოდგენს

[1] ეს შრომა ხელნაწერ S-3667-ის მიხედვით გამოსცა ს. კაკაბაძემ, 1914 წ. მოკლე წინასიტყვაობით.

ტრაქტატს „რომლითა საქმითა იქმნების კაცი ბედნიერ“ (S—1113) და რომლის თარგმანი რუსულად ეგორ ჭილაშვილისა უნდა იყოს. 4) «Обозрение истории грузинского народа» დაიბეჭდა პეტერბურგს 1814 წ. იოანესოვის სტამბაში და წარმოადგენს «ისტორიებრ აღწერის» რუსულ თარგმანს.—ამასვე აღნიშნავს ს. დოდაშვილი გორაევთან კამათისას (იხ.„ სალიტერატ. ნაწილნი ტფ. უწყებათა“, № 3) 5) მასვე მიაწერს ცნობილი ბიბლიოგრაფოსი მ. მიანსაროვი (Bibliographica Caucasica et transcaucasica» გვ. 563. აღწერილობა 3771) «История Грузии»-ის, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა 1796 წ. და დღეს აღარ ჩანს.

ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე (1853—1921). პროვიზორი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი. დაიბადა ქიზიყის სოფ. ზიარში: მამამისი იყო ყმა გენერალ სიმონ შალიკაშვილისა (დაღესტნის სამხედრო უფროსის), რომელმაც შემდეგში იკისრა ილია ალხაზიშვილის აღზრდა. პირველად ანბანი ისწავლა გურჯაანში ოჰანესა დალაქის ცოლთან, რომელსაც წერის სასწავლო ნივთებად შემოღებული ჰქონდა ქვაბის მური და ხარის ბეჭი. შალიკაშვილის სიკვდილის შემდეგ ა. დამოუკიდებლივ იკაფავს გზას სწავლისაკენ: ჯერ იყო ვეჯინში, მღვდლის ოჯახში, მერე გურჯაანის სამრევლო სკოლაში, შემდეგ მას ვხედავთ გორში, გერმანელი შეფის აფთიაქში მოწაფედ, აქ ყოფნისას ა-ლი უკვე საბოლოოდ ყალიბდება როგორც პიროვნება და მომავალი ცხოვრების მიზნად ისახავს აფთიაქარად გახდომას, მის განსახორციელებლად იგი იჩენს საოცარ შრომისმოყვარეობას და შეუდრეკელ ენერგიას. ხელმოკლეობის გამო მას არ შეეძლო სამაზრო სასწავლებლის გათავების მოწმობა წარედგინა ოფიციალურად აფთიაქის მოწაფის წოდების მოსაპოვებლად, იგი ჩამოდის თბილისში, სწავლობს ფერშლობას (ექიმის თანაშემწეობას), ორი წლის მეცადინეობის შემდეგ აბარებს სათანადო გამოცდებს და 1872 წ. ინიშნება ფერშლად ჯამაგირით ქ. ახალქალაქში, რომელსაც იგი ამიერიდან მჭიდროდ და განუყრელად უკავშირდება. 30 წლის ა-ლი ძლივს ახერხებს თავის პატარაობიდანვე სანუკვარი ოცნების განხორციელებას: 1883 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდგომ მან მოიპოვა აფთიაქის მოწაფის წოდება და მეგობართა დახმარებით ახალქალაქშივე შეიძინა პატარა აფთიაქი. 1889—91 წლებში ა-ლს ვხედავთ ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად; 1891 წ. მან მოიპო-

ვა პროვიზორის დიპლომი (განსაკუთრებული ქებით) და უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი კვლავ უბრუნდება ახალქალაქს, ოფითიაქს, სადაც დაჰყო სიკვდილამდე.

ახალგაზრდობიდანვე შეთვისებული ჯავახეთთან ა. უახლოვდება მოსახლეობას, აგროვებს მასალას არა მარტო თავის სპეციალობით, არამედ იმასაც, რაც მის საქმიანობასთან უშუალოდ არაა დაკავშირებული, მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეროვნული კულტურის თვალსაზრისით და ცალკე წერილების სახით აწვდის მკითხველ საზოგადოებას თავის შინაარსიან კორესპონდენციებში. 1870-იანი წლებიდანვე ა. არკვევს მივიწყებული ჯავახეთის ცხოვრება-მდგომარეობას, ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის არსებობის საფრთხის გამო და ამასთან ერთად სიყვარულით აღწერს იქაურ ზნე-ჩვეულებებს, აგრეთვე არქეოლოგიური ნაშთების აღწერილობას. მისურიცხვ ნაწერთა შორის დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

„ბუნება და ცხოვრება“ (ტფ, 1897); „ბუნება სურათებში“ (ტფ. 1899), „დიფტერიტი, ყალათმა, ხუნაგი“ (ტფ. 1912), „ჯავახეთი. ახალქალაქის მაზრა გეოგრაფიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“ („ივერია“, 1893. №№ 205, 206, 215, 219, 222, 227, 228, 231), „ვარძია ინგრევა“! („ივერია“, 1897. № 46). „როგორ იმარხება ჯავახეთში მიცვალებული“ („ივერია“, 1894. № 187), „როგორ გაჩნდა ღვინო (ლეგენდა)“ („მოგზაური“, 1901. № 1), „ჰიგიენა. ჰაერი“ (ჟურნ. „განათლება“, 1912. № 1, 2, 4, 5, 6), „ფარმაცევტული ტერმინები ქართულ ენაზედ“ („ივერია“, 1894. № 14—14), „სუმახ ქართულად თუთუბოა თუ თრიმლი?“ („კვალი“, 1899. № 41). და სხვ. მისი წერილები მიმობნეულია „დროებაში“, „ივერიაში“ „ჯეჯილში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, სადაც იგი ათეული წლების მანძილზე ითვლებოდა მუდმივ და საყვარელ თანამშრომლად.

უშუალოდ თავის სპეციალობაში ა-ს შეგროვილი და ანბანზე განლაგებული აქვს ორი ათასზე მეტი ტერმინი (ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები წამლებისა) ქართული ფარმაცევტული საზოგადოებისადმი ნაანდერძევი.

ამბროსი ნეკრესელი (1728—1815). მიტროპოლიტი, ცნობილი მქადაგებელი, მისიონერი და მოღვაწე. გვარად მიქაძე. გადმოცემით მისი წინაპარი ამბროსი მიქაძე XIII ს-ში დადიანს უჩუქებია ქართლის მეფისთვის, დედოფალს ის სამღვდელოდ აღუზრდია და უკურ-

თხებია სიონის დეკანოზად. გადმოცემის შემცველი საბუთი დაბეჭდილია (აქტები, II, 507). ამ პირის ჩამომავლად თვლის თავს ამბროსი ნეკრესელი.

სიონის დეკანოზის შვილი ამბროსი 14 წლისა 1742 წელს გადასწერს კონდაკს (H — 367). მაშასადამე, დაბადებულია 1728 წელს. ამბროსის მამა, იოსებ მღვდელი, სიონის დეკანოზი იყო. სიონის მამამთავარი იყო იოსების მამაც, ასევე ამბროსი (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. 1962. გვ. 327; იესე ოსეს ძის თავგადასავალი, ს. კაკაბაძის გამოც. გვ. 120). 1771 წელს ამბროსი, ამბროსი ნეკრესელის პაპა, უკვე მკვდარია, მას დარჩენია ქვრივი მარიამი და ობოლი იოსები (ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V. გვ. 81).

ა-მ მიიღო საკმაო ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო განათლება, ერთხანად იყო მღვდლად, ხოლო დაქვრივების მერე შეიმოსა ბერად. იყო იკორთის წინამძღვრად, არქიმანდრიტად, შემდეგ წილკნის მღვდელმთავრად. „წილკნელობა ებოძა იკორთის არხიმანდრიტს ამვროსის ქრონიკონს უჲ3, წელსა 1778, აპრილს თ“ (საქ. ც. ა. ხელნაწერი № 169. აღწ. I, გვ. 166), 1778—1789 წ. (A 813). მანგლელის კათედრაზეა, აქედან კი გადავიდა ნეკრესის მღვდელმთავრად 1794 წ. 2 დეკემბრიდან[2]. რეზიდენცია ჰქონდა გაღმა მხარეს, სოფ. შილდაში, სადაც მოღვაწეობდა 1794—1815 წწ. ერთხანს მიტროპოლიტის ხარისხით. ხშირად ქადაგებდა. სადაც მისვლას ვერ მოახერხებდა, თვითონვე წერდა თავის ქადაგებებს რამდენიმე ცალად და სამწყსოს ურიგებდა ეკლესიებში წასაკითხავად. ამავე დროს მუშაობდა განათლების ხაზითაც. ზრუნავდა და იღვწოდა მისი წინამოადგილის — დოსითეოს ჩერქეზიშვილის — მიერ გახსნილ სასწავლებელში, რომლის შესანახად რუსეთის მთავრობა 1800 წლიდან ხარჯავდა წელიწადში 200 მანეთს (აქტები, III, 165). 1801 წ., როცა საქართველოში მეფობა გაუქმდა და ამან გამოიწვია კახეთის თავად-აზნაურთა შორის ამბოხება, ა-ც ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მოითხოვა ერეკლე მეფის ანდერძის დამტკიცება და ამ ანდერძის თანახმად მეფობის დატოვება (ე. ი. იულონ ბატონიშვილის გამეფება), სათანადო პეტიციასაც ხელი მოაწერა (აქტები, I, 387). ამით განრისხებულმა საქართველოს რეგენტმა — დავით ბატონიშვილმა კათალიკოსს მოსთხოვა ამბროსის ეპარქიის მმართველობიდან გადაყენება, სანამ ის თავს არ გაიმარ-

---

[2] სხვა ცნობით 1793 წ. ოქტომბრიდან, Q-845. (აღწ. II. გვ. 256. მინაწ. 1)

თლებდა. თავიდანვე რუსეთის ორიენტაციის მომხრე, რაც მეტად ნათლად ჩანს მისი არაერთი ქადაგებიდან, ა. ასეთივე ერთგული დარჩა ახალი მმართველობისა სამეფოს გაუქმების შემდეგაც: 1804 წ. მთიულეთის აჯანყების დროს რუსეთის მთავრობამ იგი საგანგებოდ დაიბარა და, როგორც მთიულეთში (წილკნელად) ნამყოფი და იმათში მიღებულ-პატივცემული პირი, გაგზავნა დაინტერესებულ მემამულე რევაზ ერისთავთან ერთად მეამბოხეთა შორის თუნდაც დროებით მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. — ეს იმ მომენტში რუსეთისათვის მეტად საჭირო იყო და ა-მაც დაკისრებული მისია შეასრულა (აქტები, II, 324, 326).

ა. ერთხანად დაეთხოვა ნეკრესლობას, მაგრამ 1812 წ. კახეთის აჯანყების ლიკვიდაციის მერე, როცა მეფის ჯარმა კახეთი აიკლო, კერძოდ კი ნეკრესლის რეზიდენცია — შილდა — გადაწვა და დააქცია, ის მეორედ იქნა მოწოდებული თავის ნაამაგდარ კათედრაზე და, მიუხედავად ქვეყნის აოხრებით გამოწვეული მწუხარებისა, სნეულებისა და მოხუცებულობისა, კვლავინდებური ენერგიით შეუდგა მის განახლება-მოწყობას. ა. გარდაიცვალა 1815 წ. 11 მარტს (Hd, 11.200). დასაფლავებულია სიონის ტაძარში.

ამბროსის ქალი თინათინი მეუღლედ ჰყავდა თბილისის სიონის დეკანოზს თავად იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილს (გარდ. I. III. 831), რომელიც იშვილა ამბროსის ძმამ სიონის დეკანოზმა ნიკოლოზ მიქაძემ და ამის ძალით იოსებ ფალავანდიშვილი ატარებდა ორ გვარს: მიქაძე-ფალავანდიშვილი. მათი შვილები იყვნენ: მიხეილ (სასულიერო უწყების თარჯიმანი), ნიკოლოზ (1830-იან წლებში თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი), ზებედე (ტყვეობაში დაკარგული) და იესე (1832 წ. შენთქმულების გამომძღავნებელი).

ნიკოლოზ ფალავანდიშვილი და მისი მამის მამობილი იხსენიებიან „კალმასობაში“ (გვ. 288).

ამბროსის ქადაგებანი, მარტივი ენით ნაწერ-თქმულნი, თავისი შინაარსით ორგვარი იყო: საკუთრივ რელიგიურ-დოგმატიკური და ისტორიულ-პუბლიცისტური. უკანასკნელი შინაარსის ქადაგებებში ა. ებრძვის იმდროინდელი ქართველობის ცრუმორწმუნეობას (მკითხავი, ბეჭი, სიზმარი, ჯადოქრები, დეკანოზები) და აგრეთვე საკმაოდ გვაცნობს იმ დროის ქართველის პოლიტიკურ სულისკვეთებას, თვითმპყრობელური რუსეთის მიმართ ოპტიმიზმით შეფერადებულს. იმპერატორ ალექსანდრე I-ის სადიდებლად

თქმული მესამე სიტყვაში ა. ამბობს: „ერთა საქართველოსათა ნუგეშინისცემენ ინსპექტორ და კავალენცკი და ივანე ივანიჩ, გვახარებენ ვითარცა შვილთა თვისთა... ნუ სტირთ, ნუ მწუხარე ხართ, რამეთუ აღდგინებულ არს საქართველო და დაცემულ არს ყიზილბაშნი და ნუ გეშინისთლა განიხარეთ! განიხარეთ! რადუიტეს! რადუიტეს!“.

მეორე მხრივ, სოციალურ საკითხებში ა-ის იდეოლოგია სავსებით გაბატონებული კლასის ინტერესთა გამომხატველია: „მებატონეთა ორგულება და სამღვდელოთა მიუჩნევლობა ღმერთთანაც საძულველი არისო“ (ქადაგებანი, გვ. 61), „მებატონის მორჩილება უნდა გქონდესო“, ხოლო თუ მუშას ფასი დაეჭირა“ (ე. ი. ხელფასი არ მიეცა), ნუგეშად და სანაცვლოდ „ღვთის რისხვას“ უსახელებს (გვ. 91).

ა-ის ქადაგებათა ნაწილი, რიცხვით 41, გამოიცა 1881 წ. სათაურით: „სიტყუანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსის მიერ“, დიმიტრი ჯანაშვილის წინასიტყვაობით და ალექსანდრე ეპისკოპოსის საფასით. აქ არაა შესული ამაზე ადრე დაბეჭდილი ამბროსისავე „სწავლა მღვდელთმთავრისაგან ახლად დადგინებულთა მღვდელთა მიმართ...“ (ჟურნ. „საქართველოს სასულიერო მახარებელი“, 1864. ივლისი) და „წიგნი აღსარებისა“ (იქვე, 1865, მარტი).

ამილახვარი ბარძიმ დავითის ძე. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაში დაკითხული ბარძიმ ამილახვარი უჩვენებს: „ცოლად მყავს გიორგი ფალავანდოვის ქალი მაია. მყავს შვილები: გივი — 21 წლისა, იოსები — 18 წლისა, დავითი — 10 წლისა და შვილიშვილები — გივის შვილები: ივანე — 4 წლისა, ნიკოლოზი— 2 წლისა, მიხეილ — 1 წლისა (საგამომძიებლო საქმეები, VII, 1175).

ამ ბარძიმ ამილახვარს იხსენიებს თავის მოგონებებში დიმიტრი ყიფიანი (მემუარები, 1930, გვ. 130—132).

ბარძიმ ამილახვარი ერეკლესა და გიორგის სარდალი იყო.

ამილახვარი ბეჟან. ბეჟან რუსეთს იყო 3 წელიწადს დეიდასთან; ასპინძის ომის მონაწილეა. 40 წლისამ შეირთო ცოლი. იყო მიმბაში, 3 წელიწადს მესურსათედ. მისმა ძმამ ომანმა ქალანთარის ქალი ითხოვა. ბეჟან იყო იმერეთის მეფესთან, დადიანსა და გურიელთან. „სულ იმერეთი დავიარე. რუსული ფეშქაშები დავარიგე“ (Ad

1236. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ-ოს ეკონომიური ისტორი-ისათვის. წ. I. თბ., 1938. გვ. 79—86).

ბეჟან ამილახვარზე იხ. „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიისათვის“, II, №№ 165, 266, 289, 271.

1793 წ. მინბაში ბეჟან მოურავია (იქვე, № 271). მოურავობა მიულია 1792 წ. 5 I-ს (შ. მესხია, მასალები. № 154). 1803 წ. 14 სექტემბერს ბეჟანი სთხოვს სახელოს ციციანოვს (იქვე, № 153): „ახლა კაპიტან პრავნიკად ოსებში გახლდათ“.

მონაწილეობს 1804 წ. აჯანყებაში. აჯანყებულთა სიაში № 40-ია.

ამილახვარი ბეჟან. პოდპორუჩიკი, თეიმურაზ ამილახვრის ძმა. თეიმურაზ ამილახვარი პუპლიას მეგობარი იყო (გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება, გვ. 200. 202).

ბეჟანმა 1833 წ. ცოლად შეირთო მირმანოზ ერისთავის ქალი ქეთევანი (მანანა ორბელიანის და). — (H — 958. ხელნაწერთა აღწერილობა H II. 325).

1834 წ. ეყოლა ვაჟი გივი. (H — 958).

ამილახვარი გივი ბარძიმის ძე. ბარძიმ ამილახვრის ჩვენების მიხედვით გივი დაბადებულა 1811 წ. მას ცოლად ჰყავს ბიძინა რევაზის ძის ერისთავის ბიძაშვილი ტასია (გზლ 261).

1829 წ. 6 იანვარს ჭალაში დაიბადა გივის უფროსი ვაჟი ივანე (გენერალი შემდეგში).

ამილახვარი ეკატერინე დავითის ასული. გიორგი ამილახვრის მეუღლე. სარდალ ივანე დავითის ძე ორბელიანის და. 1801 წ. 1 აპრილს იყო 19 წლისა (აქტები I, 199—200).

ეკატერინე და ივანე ორბელიანების დედა თამარი იყო ერეკლე II-ის ასული მეორე ცოლისაგან — ანნა ზაალ აბაშიძის ასულისაგან.

როდესაც იულონ ბატონიშვილი ებრძოდა გიორგი ამილახვარს, როგორც რუსების მომხრეს, „სარდალ ორბელიანის და ამილახვრის მეუღლე გამოიყვანეს თავის სახლიდან და დაამწყვდიეს იულონ ბატონიშვილის კუთვნილ სოფელ ბელოთში“ (აქტები, I, 239).

ხელნაწერ S — 1612-ს, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ხელით ნაწერი ლექსების კრებულს და რომლის ჭვირნიშანი 1809 წელია, 20r—21v-ზე მოთავსებულია ლექსი: „იამბიკოდ თქმულნი

მიცვალებასა ზედან ეკატერინა სარდლის ასულისასა“ (ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა, III, S. თბ. 1963, გვ. 71).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამილახვარი თეიმურაზ ივანეს ძე (1805—1839). 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. პრაპორჩიკი.

„წელსა ჩყლბ (1832) დეკემბრის იზ (17) დამიჭირეს და განვთავისუფლდი შეწევნითა მღთისათა აგვისტოს კი (30) დღესა ოთხშაბათსა, წელსა ჩყლგ (1833). რომელიცა ამ ცხრა თვეში მზეც არ მინახავს, რომელსაც კლიტები გვედო კარებზეთ“ (H —958. 143).

„თავადი თეიმურაზ ამილახვარი გარდაიცვალა ..... წელსა ჩყლთ (1839), ივლისის ე, ოთხშაბათს, შუადღისას“ (H —958. 143)

თეიმურაზს გაუჩნდა ქალი ეკატერინე 28. IV. 1833 (H—958. 149) (პატიმრობისას).

საგამომძიებლო კომისიას უჩვენა: ვარ 28 წლისა, ცოლად მყავს ფავლენიანთ ქალი, მყავს ორი უცოლო ძმა და ორი შვილი, ვაჟი და ქალი (VII. 1167).

მისი ძმებია:

1. ბეჟან (რომელმაც 1833 წ. 3 ნოემბერს ცოლად შეირთო მირმანოზ ერისთავის ქალი ქეთევანი, მანანა ორბელიანის და).

2. ამირინდო.

ამილახვარი ივანე გივის ძე (1829—1905). მეფის ერთგული გენერალი და ქართულ სიძველეთა რესტავრატორი. ზოგადი განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში, სადაც დაამთავრა 6 კლასი, ხოლო სამხედრო განათლება შეიძინა სამსახურში, რაც დაიწყო 1850 წ. პრინც ვირტენბერგელის ნიჟეგოროდის (ნიჟნინოვგოროდის) პოლკში. ა. განუწყვეტლივ იღებდა მონაწილეობას იმ ომებში, რომელთაც მეფის რუსეთი აწარმოებდა კავკასიაში, განსაკუთრებით მთიელთა წინააღმდეგ. 1852 წ. მიიღო პრაპორშჩიკის ჩინი; პირველად თავი ისახელა და საერთო ყურადღება მიიქცია თავისი გულადობით და ამხანაგებისათვის თავდადებით 1853 წ. 31 აგვისტოს ჩამჩიკის კოშკთან, როცა ზაქარია ჭავჭავაძის მეთაურობით 30—40 დრაგუნს 400 შეიარაღებული მთიელის წინააღმდეგ მოუხდა მოქმედება: ა. ხელათვე ეკვეთა იქითკენ, სადაც დაჭრილი იუნკერი ჭავჭავაძე მტერმა გაიმარტოხელა და ხიფათში იყო. ა-მა ერთი შეტევით იხსნა ჭავჭავაძე სიკვდილისაგან, თუმცა თვითონ მტრის ტყვიამ კისერში დასჭრა. უფრო სახელოვა-

ნი იყო ა.-ის მონაწილეობა ბაინდურისა (იმავე წლის 2. IX) და ბაშკადიკლარის (19. IX) ბრძოლებში: უკანასკნელ ბრძოლაში ა-ს ფეხქვეშ ცხენი მოუკლეს, მან მტრის წრე ხმლით გაარღვია და გზა გაიკაფა თავის ესკადრონისაკენ. ასეთი მამაცობისათვის მიიღო პირდაპირ პოლკოვნიკის ჩინი.

1854 წ. მონაწილეობდა აჭარაში მოქმედ ანდრონიკაშვილის რაზმში და განსაკუთრებით თავი ისახელა ჩოლოქთან, სადაც სელიმ-ფაშას ჯარები მთლად იქნა განადგურებული. მან მოაწყო და გაწვრთნა ქართველ ცხენოსან მოხალისეთა რაზმი (Грузинская конная дружина охотников), რომელმაც სულ მთლიანად ამოჟლიტა ოსმალთა ბატალიონი. ასეთი და მსგავსი ერთგული სამსახურისათვის ა. ჯილდოს ჯილდოზე იღებდა მეფის მთავრობისაგან.

1871 წ. რუსეთის იმპერატორმა ა. გაგზავნა გერმანიაში ვირტემბერგის მეფისათვის ნიკეგოროდის პოლკის შეფობის 25 წლის შესრულების მისალოცად. აქ ყოფნისას ა-მა ინახულა პარიზის ამღები გერმანიის ჯარი და თავისი ახოვანებით გერმანიის იმპერატორის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.

კავკასიაში დაბრუნების შემდეგ ა. რუსეთის იმპერატორმა აირჩია თავის ფლიგელ-ადიუტანტად პოლკის 200 წლისთავზე. განსაკუთრებულ ჯილდოთა გარდა აღუდგინეს მისი გვარის ძველი სახელწოდება-ამილახორი.

1886 წ. როცა მეფის მთავრობამ განიზრახა საჩაჩნოში კომლობრივი აღწერა და ამ ნიადაგზე ხალხში მოხდა მღელვარება, ა-მა თავისი ტაქტით ხალხი დაამშვიდა და აღწერაც შეუფერხებლივ ჩაატარა. ამიტომაც 1904—05 წ. რევოლუციის დროს ცარიზმმა ა.-ს, როგორც ტახტის ერთგულებაში არაერთგზის ნაცადს, მიანდო ბაქოს გენერალ-გუბერნატორობა, მერე კი დაავალა გორისა და დუშეთის მაზრების შემოვლა და აგრარულ ნიადაგზე მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებული გლეხობის დაშოშმინება-დამშვიდება. ამ მისიის შესრულების დროს ა. გაცივდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა ქ. გორში 1905 წ. 27 აგვისტოს. დასაფლავებულია თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში.

როგორც შეძლებულმა და მსხვილმა მემამულემ ა-მა მეზობელ სოფლებში გაიყვანა გზები, გახსნა სკოლა სასოფლო-სამეურნეო განხრით, რომელსაც დაუთმო გაწყობილი მამული ბაღ-ვენახით, მოაწყო თავის სახლში აფთიაქი და პატარა ამბულატორია, მოიწვია გამოცდილი ფერშალი, რაც იმდროინდელ სოფელში იშვიათი იყო. ა. უფრო ცნობილია როგორც რესტავრატორი: განაახ-

ლა და გაამშვენიერა სამთავისის ტაძარი, სოფ. ჭალაში მიძინებ-ბის ეკლესია, ძველი გორისჯვრის ციხე და ეკლესია, მხურვალე მონაწილეობას იღებდა გორის ხიდის აგებაში, ხოლო თბილისში თავმჯდომარეობდა და ნივთიერად ეწეოდა იმ საამშენებლო კომისიას, რომელიც აგებდა თბილისში სამთავისის ტაძრის გეგმაზე ქაშვეთის ეკლესიას.

ა-ს ეკუთვნის შენიშვნები და დღიური, რომელიც მას სისტემატურად უწარმოებია რუსეთ-ოსმალეთის 1877—1878 წწ. ომის მანძილზე ქართულ ენაზე. შემდეგში ეს შენიშვნები და დღიური მისი მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით რუსულად ითარგმნა, ხოლო ლიტერატურულად გააფორმა, ნაწილობრივ მისივე კარნახით, დიდმპყრობლური კონცეფციის სამხედრო ისტორიკოსმა გენერალმა ვ. ა. პოტომ. ნაშრომი დაიბეჭდა«Кавказский сборник»-ის 26-ე, 27-ე, 28-ე ტომებში სათაურით «Из записок князя Амилахвари» უკვე ა.-ის გარდაცვალების შემდეგ. ეს შრომა მეტად ვრცელია და შეიცავს ა-ს ბიოგრაფიისათვის უაღრესად ძვირფას ცნობებს და ეპოქისა და მისი კლასობრივი წრისათვის დამახასიათებელ დეტალებს.

ანა, დედოფალი კახეთისა (1730—1749). ზაალ აბაშიძის ქალი. ერეკლე II-ის მეორე მეუღლე. 1744 წ. ერეკლეს გარდაეცვალა პირველი მეუღლე ქეთევანი. ამის შემდეგ „აბაშიძის ზაალის ქალი ...გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონიშვილი, ვითაც მეფის ირაკლის დედიდა იყო, და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ“ (პაპუნა ორბელიანი, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 102—103). ერეკლემ იქორწინა ქვიშხეთს 1745 წელს.

ანა დედოფალს 1746 წ. 9 ოქტომბერს ეყოლა ვაჟი გიორგი (შემდეგში მეფე გიორგი XII). ორი წლის შემდეგ მას ეყოლა ქალი თამარი, რომელიც შემდეგში მიათხოვეს დავით რევაზის ძე ორბელიანს (1739—1796). თამარსა და დავით ორბელიანს რვა შვილი ჰყავდათ.

ანა დედოფალი გარდაიცვალა 1749 წ. 19 წლისა, დასაფლავებულია მცხეთას. „დედოფალი კახეთისა ანნა დაიმარხა ქალაქს, დეკემბერს 8-ს, ქორონიკონს ულზ. მოიღეს მცხეთას“ (პაპუნა, გვ. 167).

ხელნაწერ H — 983-ის 44 გვერდზე მოთავსებულია ანა დედოფლის ეპიტაფია.

ანასტასია ბატონიშვილი (1763—1838). ერეკლე მეორის ასული. 1798 წ. გათხოვდა რევაზ ქსნის ერისთავზე, გიორგი ყულა-

რაღასის შვილზე. ჰყავდა ოთხი ვაჟი: 1. შალვა რევაზის ძე ერისთავი, რომელიც შემდეგში ცოლად შეირთავს ეკატერინე ორბელიანს. 2. ბიძინა. 3. იასე (1811 წ. უკვე გარდაცვლილია). 4. გიორგი (ატამანი) (იხ.) და ერთი ქალი თამარი, გათხოვილი შერმაზან (იგივე სიმონ) აფხაზზე.

ანასტასია 1814 წ. დაქვრივდა. 1817 წ. აღძრა საქმე მისთვის მიუცემელი მზითვის ნაცვლად ერთდროული ფულადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. 1818 წ. ალექსანდრე I-ის ბრძანებით მას მისცეს 4250 მანეთი. 1825 წ. მიემგზავრება პეტერბურგს, თან მიჰყავს უმცროსი ვაჟი გიორგი სასწავლებლად.

ანასტასია ცხოვრობს პეტერბურგში, აქედან ის 1837 წლის 19 იანვარს სწერს თავის დას თეკლეს: „ერთი თვეა რომ ავათა ვარ სიცხით, მჭვლით და პირიდამ ნახველის სისხლის დინებით. თქვენ რძალს მარიამს[3] ვერ მოვწერე ფიქრში თქვენ დასთან არ წამოსცდეს მეთქი. ნურავისთან ბრძანებთ ბარბარეს[4] მეტთანა. ჩემმა თამარმა[5] არ შეიტყოს. დაწვრილებით შემდგომში მოგახსენებთ". (ხელნაწ. ინსტ. ფონდი Sd № 2196. ფ. S—1631).

S—1631-ში დაცულია მისი წერილები, მოწერილი პეტერბურბურგიდან დასთან (თეკლესთან).

გარდაიცვალა 1838 წ. დასაფლავებულია პეტერბურგის ალექსანდრეს ლავრის ეკლესიაში. საფლავს აქვს წარწერა: დაიბადა 3 ნოემბერს 1763 წ. გარდაიცვალა 17 მაისს 1838 წ.

ანა, იმერეთის დედოფალი, იმერეთის დედოფალი ანა მათე (მამუკა) ორბელიანის ასული, მეუღლე იმერეთის მეფე დავით გიორგის ძისა (მეფობდა იმერეთში 1784 წლიდან. ტახტიდან ჩამოაგდეს 1790 წელს. გაიქცა ახალციხეში და იქვე გარდაიცვალა 1795 წ.).

1792 წ. დასაწყისში ჩავიდა პეტერბურგს, შემდეგ დაბრუნდა თბილისში, 1809 წ. კვლავ გაძახებულ იქნა პეტერბურგს. გარდაიცვალა მოსკოვში 1832 წ. 18 ივლისს (აქტები II, 96). ჰყავდა შვილი კონსტანტინე.

ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809—1872). კავკასიის მეფისნაცვლის მ. ს. ვორონცოვის პირადი ექიმი. დაიბადა 1809 წ. 15 აპრილს, იყო აზნაურთა წოდებიდან, დაამთავრა ბერლინში საექიმო ფაკულტეტი, 1832 წ. ხარკოვის უნივერსიტეტში მოიპოვა მე-

[3] მარიამი—მისი ძმის ვახტანგის (ალმასხანის) ქვრივი.

[4] ბარბარე — ქეთევან ბატონიშვილის ქალი, თორნიკე ერისთავის ცოლი.

[5] თამარი—ანასტასიას ქალი, შერმაზან აფხაზის ქვრივი.

დიცინის დოქტორის ხარისხი. 1833 წ. მსახურობდა ექიმად ქ. ოდესაში, სადაც იგი გაიცნო მაშინ ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორმა მ. ს. ვორონცოვმა, რომელმაც იგი დაიახლოვდა და ჯერ ექიმად გაიხადა, ხოლო კავკასიაში მეფის ნაცვლად დანიშვნისთანავე ა. წამოიყვანა კავკასიაში და დანიშნა თავისთან საგანგებო დავალებათა მოხელის თანამდებობაზე. ა. ყოველთვის თან ახლდა ვორონცოვს ლაშქრობებში. 1847 წ. იგი დაინიშნა კავკასიაში სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის დროებით მმართველად; ვორონცოვის მეფისნაცვლობიდან დათხოვნის მერე ა-მ მიატოვა კავკასია და 1854 წ. დაინიშნა სამედიცინო საბჭოს წევრად პეტერბურგში. მერე გადადგა სამსახურიდან და დასახლდა ოდესაში, სადაც გარდაიცვალა 1872 წ. 21 მარტს. მისი თანამედროვე რუს დიდმოხელეთა სიტყვით ა-მ თბილისში კარგი სახელი ვერ მოიხვეჭა. რაკი, როგორც ექიმი, იგი ყოველთვის საჭირო იყო ვორონცოვისათვის, ხშირად ერეოდა პირადი გამორჩენის მიზნით სამოქალაქო და სამხედრო საქმეებში. თუ არა მისი ანგარებითი დახმარებით, შეუძლებელი იყო კავკასიის ჯარებისათვის დიდ-დიდი იჯარების („ფოდრათების“) აღება. დონდუკოვ-კორსაკოვის (შემდეგში კავკასიის მთავარმართებლის) სიტყვით, „ა. ნივთიერადაც და ზნეობრივადაც ვაჭრობდა თავის გავლენით ვორონცოვზე. მრავალ უსამართლო საქმის ჩამდენი იყო. ვორონცოვს ის ისე ხშირად და ისე ბევრ რამეში უტეხდა სახელს, რომ მრავალი მიკერძებითი და არასაკადრისი განკარგულება მეფისნაცვლისა ა-ს ფარული მოქმედების შედეგი იყო“. ასეთი თვისებების წყალობით მან დიდძალი მამული შეიძინა საქართველოში.

ცოლად ჰყავდა ქართველი ქალი ბარბარე თუმანიშვილი, მარიამ თამაზ ორბელიანის ასულისა და გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის, პოპულარული პოეტის (გარდაიცვ. 1837 წ.) შვილი. ბარბარე თუმანიშვილს ტკბილად იგონებს აკაკი წერეთელი თავის „თავგადასავალში“ (ტ. I. გვ. 61—66). იყო გ. ერისთავის „გაყრის პირველი წარმოდგენის მონაწილე. იგი დასაფლავებულია მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაში. აქვს ასეთი ეპიტაფია: „ვარვარა გიორგისას. ანდრეევსკაია. დაიბადა 1 ნოემბერს 1819 წ. გარდაიცვალა 28 დეკემბერს 1893 წელს“ (რუსულად).

ანდრეევსკის ქალი იყო ნინო ანდრეევსკაია, დაბადებული 1848 წ. 14 ივლისს, რომლის მტკვარში დახრჩობამ, 1876 წ. 22 ივლისს, დიდი ხმაური გამოიწვია თბილისის საზოგადოებაში. ამ ამბავმა იმსხვერპლა ჟურნალისტი დავით ჩხოტუა, იგი ციმბირში გადაასახლეს

(ამის შესახებ იხ. Обвинительный акт по делу об убийстве Нины Ерастовны Андреевской. Тифлис, 1878).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ანდრეევსკაიაც დამარხულია მთაწმინდაზე.

მეორე ქალი ანდრეევსკისა ელენე იყო მეუღლე მთავარ გიორგი მიხეილის ძე შერვაშიძისა. დასაფლავებულია მოქვის ტაძარში.

ე. ანდრეევსკის მოგონებანი გამოცემულია ოდესაში ს. ავალიანის რედაქციით.

ანდრეევსკი ნახსენებია სხვადასხვა მოგონებებში:

Харитонов, Воспоминания (Русская старина, 1894. II), А. Фадеев. Воспоминания. Одесса, 1897. ч. II; Н. Зиссерман, 25 лет на Кавказе. СПб. 1879, ч. I; Н. Полторацкий, Воспоминания. Исторический вестник. 1893. II.

ანდრონიკაშვილი აბელ თამაზის ძე. აბელ მინბაშის სახელით ცნობილი. 1832 წ. შეთქმულების მონაწილეობაზე ეჭვმიტანილი. საგამომძიებლო კომისიამ შეიყვანა მეათე „რაზრიადში". ამ განყოფილებაში შევიდნენ „ისეთი პირნი, რომელნიც არავითარ ეჭვს არ იმსახურებენ". სულ 47 პირი. აბელ ანდრონიკაშვილი ამ სიაში შეტანილია მეხუთე ნომრით და აღნიშნულია კაპიტნად, რომელიც არ მსახურობს.

მონაწილეობდა კახეთის 1812 წლის აჯანყებაში. ამ აჯანყების ჩახშობისას იგი .დააპატიმრეს (ფრონელი, კახეთის აჯანყება, გვ. 215—216) და გადაასახლეს ტობოლსკში.

პუპლია ორბელიანის დახასიათებით აბელ ანდრონიკაშვილი „ჩემის ბიძის (ალექსანდრე ბატონიშვილის) ერთგულებისათვის იყო გაგზავნილი ციმბირშიო" (გზლ. 482).

ანდრონიკაშვილმა არაერთხელ უჩვენა რუსეთის მთავრობას ერთგულება. ავარიის სულთან ახმეტ-ხანის წინააღმდეგ მოქმედებისას ის და ლუარსაბ ორბელიანი თავისი ნებით მძევლად წავიდნენ ხანთან და ამით რუსის ჯარს სისხლის დათხევა თავიდან აარიდეს. მადლიერმა გუდოვიჩმა აბელს ამისათვის კაპიტნის ჩინი (აქტები, III, 367) მიაღებინა. (აქტები, III, 368). 1812 წ. კახეთის აჯანყების დაწყებისას ქოდალოს ციხეში 80 ჯარისკაცს შეაძლებინა მეამბოხეთა ალყის გამკლავება (ფონდი OBD საქმე 61, ფურც. 141, 152). მიუხედავად ასეთი დამსახურებისა, რტიშჩევმა იგი მაინც გააციმბირა და ბრალად დასდო შემდეგი. „უკანასკნელი არეულობის დროს ის იმყოფებოდა ბატონიშვილთან (იგულისხმება ალექსანდრე) და

თუმცა თავს იმართლებს იმით, რომ ამას თითქოს იმიტომ აკეთებდა, რათა თავისი სახლ-კარი განადგურებისაგან ეხსნა, მაგრამ ეს მას არ ამართლებს. — მას დახმარება უნდა ეთხოვა მთავრობისათვის და არა აჯანყებულებისათვის, რომელთა შორის ის, როგორც ირკვევა, ერთერთი მთავარია".

ანდრონიკაშვილი ადამ (1774—1854). მილახვარი მეფე გიორგი XII-სა. 1803 წ. მარტში თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად გაიქცა სპარსეთში, ალექსანდრე ბატონიშვილთან (აქტები, II, 156).

როდესაც რუსებმა 1804 წ. 30 აპრილს დაამარცხეს სპარსეთის ჯარი აბას-მირზას სარდლობით, ადამ ანდრონიკაშვილი ციციანოვს ეახლა და პატიება ითხოვა (აქტები, II, 166).

ერთხანს იყო პეტერბურგში. აქედან აპირებდა ისევ წასვლას ალექსანდრე ბატონიშვილთან, მითომ მის მოსაყვანად (აქტები, V, 43).

ადამი მოკვდა ვეჯინში 80 წლისა.

ადამი იყო ქიზიყის მოურავის რევაზ ანდრონიკაშვილის ძმისწული და მასთან მამულით არ იყო გაყრილი (აქტები, II, 155—6).

ადამის შვილები იყვნენ: იასე, გიორგი და ზურაბ („ივერია", 1892. № 97. სამგლოვიარო განცხადება იასეს ძმისწულებისა).

იესე ადამის ძე ანდრონიკაშვილის ნეკროლოგი დაბეჭდილია „ივერიაში", 1892 წ. № 98.

ანდრონიკაშვილი ალექსანდრე. მთიულეთის 1804 წ. აჯანყების მონაწილე. მსახურობდა მე-17 ეგერთა პოლკში, შემდეგ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში (ფონდ. 16, საქმე 9805).

აქტების II წიგნში, 136 გვერდზე იხსენიება „მე-17 ეგერთა პოლკის გადამდგარი პორუჩიკი თავადი ალექსანდრე ანდრონიკოვი".

ეს ალექსანდრე დიმიტრი ანდრონიკაშვილის შვილია. დიმიტრის ორი შვილი იოსებ და ალექსანდრე ითვლებიან „в бегах". (ფ. 16/156, საქ. 1478. 8. I. 1814).

ანდრონიკაშვილი ზაალ ზურაბის ძე, მარტყოფის მოურავი. იხსენიება „კალმასობაში" (ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 107—108) „იოანე: 120 ომში დასწრებიხართ თითქმის და ას მტერზე მეტი მოგიკლავთ. და ეგ დაჭრილობაც აბდულაბეგის ომში შეგემთხვათ. და ესდენს ნამსახურს ქვეყნის კაცს გვმართებს, რომ ვაქებდეთ.

ზაალ ზურაბიშვილს, მოურავს, არ უყვარდა თავისი ქება და უთხრა: წავიდეთ რუსთველთან...".

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრწანისის ომის შემდეგ „... იხილეს რა ლეკთა უძლურება ქართველთა, შეკრბენ უმეტეს 1500-სა, მივიდნენ ნორიოს. გარნა იძლივნენ ფრიად მოურავისაგან მათისა ზაალ ანდრონიკაშვილისაგან, რომელიცა იყო სიმხნითა აღმოჩენილ ყოველსა საქართველოსა შინა".

„შემდეგი კახეთის ცხოვრებისა". ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 297. შდრ. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია. გვ. 24.

„თ᾽ი ზაალ ანდრონიკაშვილი (კუზიანი), თ᾽ი ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი), თ᾽ი ზაალ მაჩაბელი (ბოროტი) და თ᾽ი ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი) ხლებიან ირაკლის და ლევან ბატონიშვილს.... ირაკლი იტყოდა თურმე: ოთხი ზაალ ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერს არ დაველიდებოდიო" (პუპლია ორბელიანი, დაღისტნიდგან ლეკების გამოსვლა, ს. კაკაბაძის გამოც., ტფ., 1914. გვ. 21). პუპლია ამას წერს 1864 და 1865 წწ.

ანდრონიკაშვილი ზაზა ზაალის ძე (?—1814?) სახლთუხუცესი მეფის ძის იოანესი (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 78). შვილია მარტყოფის მოურავის ზაალისა. ზაალ ანდრონიკაშვილი განთქმული მეომარი იყო. მისი სახელი ცნობილი იყო მომდევნო თაობის ხსოვნაშიც. გრიგოლ ორბელიანი თავის „სადღეგრძელოში" მას ასეთი სიტყვებით ასხამს ქებას: „და მეფის ძალნი, ოთხნი ზაალნი თითო ერთ ჯარად დაფასებულნი!" — და სქოლიოში შენიშნავს: „ესენი იყვნენ ერთ დროს, გვარად: ორბელიანი, ბარათაშვილი, ანდრონიკაშვილი-კუზიანი და ბორტისშვილი მაჩაბელი. მეფე ირაკლი იტყოდა: თითო ზაალ ღირს თითო ჯარად"[6]. ზაალ ანდრონიკაშვილი მარტყოფისა და ლილოელი ოსების მოურავად ჩანს დავით ბატონიშვილის რეგენტობის დროსაც (აქტები, 1, № 157). მაგრამ 1805 წ. ზაალ იხსენიება „სანატრელის" ეპითეტით, ე. ი. ამ დროს ის გარდაცვლილია (A — 1380; ხელნაწერთა აღწერილობა A IV, გვ. 475).

ზაალის შვილი ზაზა (ზოგ რუსულ წყაროში ზაქარიად წოდებული) ისტორიაში პირველად გვხვდება 1800 წლის 7 ნოემბერს, ნიახურას ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ქართველთა ჯარს სარდლობდნენ გიორგი XII-ის შვილები იოანე და ბაგრატ; ზაზა ანდრონიკა-

---

[6] გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ლექსები, თბ., 1826.

შვილი, როგორც იოანე ბატონიშვილის სახლთუხუცესი, ამ ბრძოლაში ცხოველ მონაწილეობას იღებდა და თავიც ისახელა (აქტები, I, 194).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1801 წ. 9 მარტს იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები გაემგზავრნენ პეტერბურგს; ამათგან იოანე ბატონიშვილს სხვა მხლებლებთან ერთად ახლდა ზაზა ანდრონიკაშვილი. ესენი პეტერბურგს 15 მაისს ჩავიდნენ. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დააჯილდოვა ამალის წევრნი, მათ შორის ზაზაც, რომელსაც უბოძა ბრილიანტითა და აფალით შემკული ბეჭედი.

ზაზა ანდრონიკაშვილმა პეტერბურგში 11 წელი დაჰყო. იგი მომხრე იყო დავით ბატონიშვილისა.

1806 წელს სწერს პეტერბურგიდან ძმას ივანე ანდრონიკაშვილს: „კარგა რიგიანად მოიქეც, როგორც იქცევი ისე. უბრალოდ არავინ აგიყოლიოს. ეცადე, რომ რუსებთან თანაშაკრულობა გქონდეს. სხვებმა რა იშოვეს მაგათის წინააღმდეგობით. როგორც ერთგულად ყოფილხარ, უფრო მეტად ეცადე. ამათგან სიმშილი სჯობს სხვისგან სიმაძღრეს“ (Ad 1560).

პეტერბურგში ყოფნისას ზაზა ხშირად ხვდებოდა საფრანგეთის ელჩს რუსეთის იმპერატორის კარზე კოლენკურს[7] და მთელ ღამეებს ატარებდა მასთან საუბარში (УЦГАЛ, фонд кабинета министров. Журнал кабинета министров, март 1812 № 25. ფურც. 234-297)

პაულუჩის ცნობით ზაზა მცოდნეა ფრანგულისა და „თავისუფალ იდეათა მქონი“.

1811 წ. ივლისში ზაზა ანდრონიკაშვილი დაბრუნდა საქართველოში (Hd—3568). რტიშჩევის 1813 წ. 4 იანვრის რაპორტში იმპერატორისადმი ნათქვამია, რომ თითქოს პეტერბურგში მყოფმა საქართველოს მეფის ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ ქართლ-კახეთის მეფედ დაედგინათ დავით ბატონიშვილი, იმერეთისად კი იოანე ბატონიშვილი. ამ განზრახვის განსახორციელებლად იოანე ბატონიშვილმა ფული მისცა და ისე გამოგზავნა საქართველოში ზაზა ანდრონიკაშვილი (ЦГВИА. ВХА. საქმე № 4271; ფ. 1—6).

საქართველოში ჩამოსული ზაზა, პაულუჩის ცნობით, მაშინვე გაემგზავრა კახეთს და დარჩა იქ იქამდე, სანამ აჯანყება იფეთქებდა.

1812 წ. კახეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ პაულუჩიმ აღუ-

---

[7] არმან-ოგიუსტ-ლუი დე კოლენკური (1733-1827) ნაპოლეონის ელჩად იყო რუსეთის იმპერატორის კარზე 1807 წლიდან 1811 წლის თებერვლამდე.

თქვა ზ. ანდრონიკაშვილს გარკვეული გასამრჯელო და მიგზავნა გრიგოლ ბატონიშვილთან, რათა იგი დაეყაბულებინა დანებებას. შემდეგში გრიგოლ ბატონიშვილი წერს ლექსს, რომელშიაც დაწვრილებით აღწერს, თუ რა ღონეს მიმართა ზაზამ მის წამოსაყვანად. ლექსს სათაურადა აქვს „თქმული საქართველოს მეფის ძის გრიგოლისაგან თავის ტუსაღობის 80 ჟამსა, ოდეს შვეთის კერძო დაჰყარეს პეტრეზაოდ წოდებულსა ქალაქსა შინა, როცა რომ ზაზა ენდრონიკოვმა მოტყუებით მოიყვანა ლეკთაგან“ (H — 2130. 45—48). ამ ლექსში ზაზა ასეა შემკული: „კამბეჩოვანსა აღზრდილმან, ზაქმან ზაზამან წყეულმან, პატრონის ორგულობაზე სანიადაგოდ ჩვეულმან“. ზაზას ორგულობაზედ გრიგოლი წერს მეორე ლექსშიაც (H — 2130. 29 რექტო).

ზ. ანდრონიკაშვილი 1812 წლის შემდეგ კვლავ პეტერბურგშია როგორც «Уполномоченный грузинских дворян в Петербурге».

ზ. ანდრონიკაშვილის პეტერბურგში მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს პეტრე ლარაძე თავის „მუხამბაზში“ (H —2130. 42—43).

პ. იოსელიანის ცნობით, „1818 წელს ესე ზაზა და დოსითეოს ეპისკოპოსი ფიცხელაური წარვიდნენ ნევის მდინარის შესართავსა ფინის ზღვის პირსა და აქა ბანაობდნენ ცურვითა. მსწრაფლ აღელდა ზღვის პირი. დოსითეოს ცურვითა გამოვიდა წყლის პირსა და ზაზა, მოტაცებული ღელვისგან, დაირჩო. ვერცა იპოვეს ვერცა გვამი მისი“ (ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა... ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფ., 1895. გვ. 329).

მაგრამ ეს ფაქტი — ზაზას დახრჩობა — უნდა მომხდარიყო 1818 წელზე ადრე, რადგან დოსითეოს ფიცხელაური ეპისკოპოსად აკურთხეს პეტერბურგს 1812 წ. 30 იანვარს (Sd 5398), ხოლო 1815 წლის 24 იანვარს პეტერბურგიდან წამოსულია, უკვე მოსკოვსაა, თბილისს კი ჩამოვიდა 1815 წ. 28 მარტს. ე. ი. მას ფინეთის ზღვის ყურეში შეეძლო ებანავა მანამდე, 1814 წ. ზაფხულში. 1815 წ. „კაზენნი ექსპედიცია“ ისტუმრებს უკვე ზაზა ანდრონიკაშვილის ვალებს (Hd 3568. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. 1. 1938. გვ. 356).

ამას გარდა ტობოლსკის (?) სამოქალაქო გუბერნატორი 1815 წლის 17 აპრილს იტყობინება, „ივანე ანდრონიკოვმა, რომელიც სხვა ქართველებთან ერთად არის აქ დაკავებული, მთხოვა შემდეგი: გარდაიცვალა მისი ვაჟი ზურაბ ანდრონიკოვი და აგრეთვე მისი

ძმა ზაზა ანდრონიკოვი. იციან თუ არა ამის შესახებ მისმა შინაურებმა, არ იცის და ამიტომ სთხოვეს შეუთვალონ მათ ამაური სიკვდილი“ (ფ. 2/8. საქმე 272. ფურც. 34).

„ზაზა ანდრონიკოვი დანიშნული ყოფილა მარიამ ბატონიშვილის ქალზე ანასტასიაზე (ციციშვილი). ანასტასიას როცა გაუმჟღავნეს ზაზას დალრჩობა, „მოწყენილი იყო. ამ დროს მოიყვანეს ალავერდა საზანდარი. ამ სიმღერაში ეს საზანდარი შეუყვარდა. იმან მოიტაცა და წაიყვანა თავის სახლში აბანოსთან. კათალიკოსმა წარმოაყვანინა ქალი და დაუწყეს დევნა. მაშინ ის თათარი შევიდა გოგილოს აბანოსთან გამოქვაბულში. მთელი ქალაქი მოდიოდა მისი აზანის საყურებლად. ანასტასია რომ მოკვდა, იმან სალამური გასტეხა და თარი აიღო. მერე აღარც ცოლი შეურთავს“ („ლიტ. მატიანე“, 1940. № 1—2. გვ. 391—392).

ზ. ანდრონიკაშვილს უნდა ჰყოლოდა ცოლ-შვილი. 1827 წ. 9 აპრილის მზითვის სიაში ნათქვამი: „მივეცით მათის ბრწყინვალების თავადის ზაალ ანდრონიკოვის ძე დონიკეს მაიორმან თავადმან იოსებ ორბელიანოვმან უსატრფიალესი ასული ჩუენი ნინა“ (მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის, წ. III, № 318, გვ. 484).

ანდრონიკაშვილი ზაქარია თამაზის ძე, ქიზიყის მოურავი (? — 1802). დავით ბატონიშვილის „მასალების“ მიხედვით (მ. ჯანაშვილის გამოც., გვ. 55), დარეჯან დედოფლის მცდელობით მეფემ ქიზიყის მოურავობა ჩამოართვა რევაზ პაპუას ძეს და მისცა თავის სიძეს ანდრონიკაშვილს ზაქარიას.

ზაქარიას ცოლად ჰყავდა ერეკლესა და დარეჯანის ასული ელენე. ამ ელენეს ზაქარია ადრევე უყვარდა, მაგრამ უარი უთხრეს და მიათხოვეს იმერეთის ბატონიშვილს არჩილს. არჩილისაგან ელენეს ეყოლა ვაჟი დავით (შემდეგში იმერეთის მეფე სოლომონ II) და ქალები მაია-მარიამ (შემდეგში მალზახ ანდრონიკაშვილის მეუღლე) და ბარბარე (შემდეგში დავით წერეთლის მეუღლე) (ხელნაწ. ინსტ. ფ. Q № 757). არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქვრივი ელენე მისთხოვდა ზაქარიას. ზაქარიას და ელენეს ეყოლათ ქალი ხორეშან, შემდეგში ზურაბ ორბელიანის მეუღლე და დედა გრიგოლ ორბელიანისა. ელენე დაბადებულა 1753 წ., ამ წლის ქვეშ პაპუნა ორბელიანი წერს: «კახთ დედოფალი დაწვა, იშვა ასული ელენე» (გვ. 208). ელენე გარდაიცვალა 1786 წელს (ბ. იოსელიანი, Закавказский Вестник. 1845. გვ. 287).

ელენეს გარდაცვალების შემდეგ ზაქარიამ შეირთო მეორე ცოლი მარიამ ციციშვილი, რომლისგანაც ჰყავდა ქალი ნინო (საქ. ცენტრ. ა. ფ. 2/8, საქმე 302-ის 281 ფურცელზე იხსენიება ზაქარია ანდრონიკოვის ქვრივი მარიამი.). ზაქარია ანდრონიკოვი ცოცხალია 1802 წ. 10 იანვარს. ამ დღისით ის თავის შვილს ხორეშანს დაუწერს მზითვის წიგნს, მაგრამ 1803 წ. 14 მარტს შედგენილ საბუთში ის იხსენიება სანატრელად. „50 თუმანი ...სანატრელის მოურავის ზაქარიასაგან არის შეწირული“ დავით გარეჯისადმი (თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები, გვ. 178).

„ზაქარია ანდრონიკოვი სიკვდილის წინ ვუანდერძებ ჩემს მამულსა და გლეხებს ჩემს მეუღლე მარიამს და ასულს ნინოს. ანდერძი დაიწერა 18 თებერვალს, 1801 წ. მღვდელმონაზონ ფილიპეს ხელით“ (საქ. ცენტრ. ა. ფ. 2/8, საქმე 434, ფურც. 16).

ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793—1868). გენერალი, ტფილისის სამხედრო გუბერნატორი, სამოქალაქო ნაწილის მმართველი.

დედით ანდრონიკაშვილი ეკუთვნის სამეფო გვარს: მისი დიდედა ელენე ერეკლე II-ის ქალი იყო. დედა კი მარიამ (მაია) არჩილ ბატონიშვილის ქალი, იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ძმისწული. ივანე ანდრონიკაშვილის მამა, მალხაზი რუსეთის მტერთა ბანაკში იმყოფებოდა და ამიტომაც მას ცოლშვილით სოლომონ ლიონიძესთან ერთად ვხედავთ ახალციხეში, როგორც ემიგრირებულს. ივანე დედით საქართველოში დაბრუნდა და შემდეგ ორივენი 1810 წლის დეკემბერში გადაასახლეს ვორონეჟს (ხელნაწ. ინსტ. ფ. A 158). 1817 წ. შევიდა იუნკრად სანკტპეტერბურგის ლეიბგვარდიის ცხენოსან ლეგიონში, სადაც აღზევდა შტაბსროტმისტრამდე და საიდანაც მისი თხოვნისამებრ 1824 წ. 23 ოქტომბერს გადაიყვანეს საქართველოში, მაიორად ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. 1830 წ. ავადმყოფობის გამო თავისუფლდება ნიჟეგოროდის პოლკის უფროსობიდან.

იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში. ალ. ორბელიანის ჩვენებით „1832 წლის ზაფხულს ...აქ იყო ივანე ანდრონიკოვი პოლკოვნიკი და სოლომონ დოდაევთან იდგა ახვერდოვის სახელებში“ (გზლ. 327). დაკითხულთა ჩვენებით, სოვეტნიკი ორბელიანი და სოლომონ დოდაევი დაუშვებელ საუბარს ეწეოდნენ პოლკოვნიკ ანდრონიკოვის თანდასწრებით, თუმცა მისთვის არ უცნობებიათ საქართველოში შეთქმულების მზადების

შესახებ. თვით ანდრონიკოვი კი საერთოდ უარყოფდა რაიმე საუბრის მოსმენას, სხვები კი ერთხმად აღიარებენ, რომ პოლკოვნიკი არ ეთანხმებოდა შეთქმულების მოწყობას. ანდრონიკოვი არ ჩათვალეს გამოძიების ქვეშ სამყოფად და ნება მისცეს თბილისიდან გამგზავრებულიყო თავის მამულში (როზენის წერილი ჩერნიშევისადმი, 1833 წ. 27 VII. № 106. ფონდი OBD საქმე 163. ფურც. 468).

ივ. ანდრონიკაშვილმა თავი ისახელა ომებში მრავალჯერ, 1830 წ. მონაწილეობს სამხედრო ოპერაციებში დაღესტანსა და ოსეთში, 1841 წელს სოფ. კიშენაუხი უკანასკნელ სახლამდე გადასწვა. 1841 წელს გენერალ-მაიორია. 1849 წელს დაინიშნა თბილისის სამხედრო გუბერნატორად, ითვლებოდა სამოქალაქო ნაწილის მმართველადაც. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ყირიმის კამპანიაში, ახალციხესთან 18-ათასიანი ოსმალო ჯარის სასტიკი დამარცხებით 1853 წ. 14 ნოემბერს. ახალციხესთან ოსმალთ ამ დამარცხებამ იხსნა ახალციხის მხარე და ქუთაისის გუბერნია. 10 დეკემბერს, თბილისში დაბრუნებული დიდი ტრიუმფით მიიღეს, რაც საგანგებოდ აღწერილია «Сборник известий» -ს დამატებაში (საქ. მუზეუმის ბიბლიოთეკა, IV, C. 343 სურათით). ბიოგრაფიული ცნობები ამ დამატებაში მოტანილია „კავკაზიდან", 1853 წ. №№ 92, 94.

გუბერნატორობისას შეაკეთა გზები, გაიყვანა ახალი გზები, გასჭრა არხები ურწყავ ადგილებში (მეტადრე გორის მაზრაში); ლეკების შემოსევის ასალაგმავად აპირებდა ქართველებისა და რუსების დასახლებას დაცარიელებულ გაღმა მხარეში — ბელაქანსა და ბეჟანიანის შუა. მოასწრო მხოლოდ ძველი გავაზის დასახლება.

1850 წ. აქრობს ჯავისა და როკის ოსების ამბოხებას — იჩენს დიდ სიმკაცრეს. სოფ. ჯამაგი მოსპო, ხოლო სოფ. ერმალი, რომელმაც მორჩილება არ გამოუცხადა, გადასწვა. ამისათვის მიიღო გენერალ-ლეიტენანტობა 1850 წ.

1856 წ. გაათავისუფლეს სამხედრო გუბერნატორის თანამდებობიდან. 1868 წ. 14 ივნისს ოფიცრობის 50 წლის შესრულების დღეს მიიღო კავალერიის გენერლობა.

ივ. ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა სიღნაღის მაზრის სოფ. ქოდალოში 1868 წ. ცოლად ჰყავდა დავით ბატონიშვილის შვილობილი ნინო დავითის ასული, რომლისგანაც ეყოლა ვაჟი არჩილი (გარდაიც. 1864 წ.) და ქალები ელენე (ილია ჩოლაყაშვილის მეუღლე) და ბარბარე (ალექსანდრე თუმანიშვილის მეუღლე).

ანდრონიკაშვილი იესე ადამის ძე (1814—1892). თბილისის გიმნაზია დაამთავრა 1836 წ. 1837 წ. მსახურობდა თბილისის საადმინისტრაციო სამმართველოში. 1846 წ-დან იყო მოსამართლედ განჯას, გორსა და თბილისში. 1854—68 წლებში ტფილისის კომერციულ სასამართლოში ჯერ უფროს წევრად, მერე თავმჯდომარედ. სასამართლო რეფორმის ჩატარებამდე 1866 წ. ა. დაინიშნა იმ კომისიის წევრად, რომელსაც უნდა შეედგინა დებულება 1864წ. 20 ნოემბრის სასამართლოს წესების ამიერკავკასიისთვის შესაფარდებლად. როცა ამ კომისიამ დაამთავრა მუშაობა ა. შევიდა მეორე კომისიის წევრად, რომელიც მუშაობდა სასამართლოს რეფორმის ძალაში შესასვლელად. 1868 წ. ა. დაინიშნა თბილისის სასამართლოს პალატის წევრად, ხოლო 1878 წ. პალატის მეორე დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1887 წ. 23 თებერვალს გადაუხადეს იუბილე «Новое обозрение» 1887. №№ 1096, 1097, № 1098 და 1100. გამოსული ცალკე ბროშურად: Юбилей князя Андроникова 23 февраля 1837—1887. Тифлис, 1887).

გარდაიცვალა 1892 წ. 8 მაისს, დაასაფლავეს ვერაზე, იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიაში („ივერია", 1892, № 98).

ანდრონიკაშვილი იოსტოს (? — 1823) ბერი სოფ. ვეჯინში.

მონაწილეობდა 1804 წ. მთიულეთის აჯანყებაში. დაკავებული იქნა ფარნაოზ ბატონიშვილთან ერთად 1804 წ. 29 ოქტომბერს (ფ. 2/8, ს. 105. ფურც. 104). თავდებით გაათავისუფლეს 1806 წ. აგვისტოში. თუმცა აპირებდნენ მის პერმში გადასახლებას, მაგრამ პატიება მიიღო. ის ითვლებოდა ისეთ პირად, რომელსაც შეეძლო უარყოფითად ემოქმედა მოსახლეობაზე და ამიტომ 1813 წ. 12 იანვარს რტიშჩევი სთხოვდა ვარლამ ეგზარქოსს გაესახლებინა იოსტოსი რუსეთის რომელიმე შორეულ მონასტერში (საქ. ც. ა. ფ. 2/8. საქმე 302. ფურც. 13).

ყაზბეგის ჩვენებით, კვერექსებზე იხსენიებდა ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილებს, უმაღლესი სახლეულობის მოსახსენებელი კი იატაკზე დაუგდია (ფ. 2/8. საქმე 302, ფურც. 650).

გადაწერილი აქვს ხელნაწერი წიგნები:

1. A — 1336. „თეოფილაქტე ბულღარელის მარკოზის თარგმანები აღვსწერე უღირსმან მღვდელმონაზონმან იოსტოს, წელსა 1806". მანვე უძღვნა ეს წიგნი დავითგარეჯის მონასტერს 1822 წ. (ხელნაწ. აღწ. A IV. გვ. 411).

2. A — 1338. გრიგოლ ღვთისმეტყველი, გადაწერა და იმავე მონასტერს უძღვნა იერომონახმან იოსტოს 1822. (აღწ. IV. გვ. 417).

3. A — 1396. ანტონ პირველის გრამატიკა გადაწერილი 1787 წელს იოსტოსის ხელით (აღწ. A IV. გვ. 491).

4. A — 181. ითიკა. წიგნის ბოლოს, გვ. 532-ზე გაკეთებული მინაწერით ჩანს, რომ ეს წიგნი გადაუწერია არქიმანდრიტ იოსტოს 1816 წელს.

პირველი ორი მინაწერით ჩანს, რომ იოსტოსი ცოცხალი ყოფილა 1822 წ. პ. კარბელაშვილის სიტყვით იგი გარდაცვლილა დაახლოებით 1823 წ. (Духовный вестник Грузинского Экзархата 1897. № 11. გვ. 9) პლ. იოსელიანის სიტყვით კი იოსტოს გარდაცვლილა 1815 წ. ახლოს (Описание древностей г. Тифлиса, გვ. 195).

იოსტოსის ძმისწული იყო დავით ანდრონიკაშვილი, მარიამის — ვახტანგ-ალმასხანის მეუღლის — მამა (პ. კარბელაშვილი, ანჩისხატი, გვ. 36).

ანდრონიკაშვილი მაია, მარიამ არჩილის ასული (1775—1854). ერეკლე II-ის შვილიშვილი. დედა მისი იყო ერეკლე II-ის ქალი ელენე, მამა — იმერეთის ბატონიშვილი არჩილი. იგი იყო მეუღლე იულონ ბატონიშვილის და სოლომონ II-ის ეშიკაღასბაშის მალხაზ ანდრონიკაშვილისა (იხ.), დედა გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილისა (იხ.), მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმერეთის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. 1810 წ. თავისი 11 წლის ვაჟი ივანეთი გაჰყვა ქმარს ახალციხეში, შემდეგ კი ნებაყოფლობით დაბრუნდა საქართველოში და უმაღლესი ბრძანებით 1810 წ. დეკემბერში გადაასახლეს ვორონეჟში (A — 1580. აღწ. A V. გვ. 111), სადაც დაჰყო 1817 წლამდე. ამ დროიდან მიეცა ნება ქმართან ჩამოსვლისა საქართველოში (მისი მეუღლე მალხაზ ანდრონიკაშვილი საქართველოში დაბრუნდა 1815 წ.), 1830 წლიდან ცხოვრობდა გურჯაანის ახლოს, კახთუბნის მონასტერში, 1840 წ. გადმოსახლდა თბილისში და ცხოვრობდა ანჩისხატის ტაძრის ეზოში. გარდაიცვალა 1854 წ. 10 სექტემბერს, დასაფლავებულია ანჩისხატის ტაძარში.

„კავკაზ"-ის 1854 წ. № 73-ში დაბეჭდილია მიხ. თუმანიშვილის ვრცელი სტატია მარიამ არჩილის ასულზე.

ანდრონიკაშვილი მალხაზ მელქისედეკის ძე. მეფის კარზე აღზრდილი და იულონ ბატონიშვილის ეშიკაღასბაში. მამაცი კაცი იყო. სახელი გაითქვა იმ ბრძოლაში, როცა იულონ ბატონიშვილმა ლეკები დაამარცხა ყარაალაჯში. მადლობის ნიშნად ერეკლე II-მ მიათხოვა თავისი ქალის ელენეს შვილი მაია-მარიამ არჩილის ასული, სოლომონ I-ის ძმისწული, სოლომონ II-ის ღვიძლი და, ერეკლეს კარზე რომ იზრდებოდა. როცა სოლომონ I-ის სიკვდილის შემდეგ დავით გიორგის ძემ ისარგებლა ტახტის კანონიერი მემკვიდრის მცირეწლოვნებით და ოსმალთა და ლეკების დახმარებით ტახტი მიიტაცა, ერეკლემ კანონიერი მემკვიდრის დავით არჩილის ძის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა მალხაზ ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ამან დავით გიორგის ძე დაამარცხა მათხოჯთან (აქ მიიღო მან ექვსი მძიმე ჭრილობა) და ამით მეფობისაკენ გზა გაუწალდა თავის ცოლისძმას. ნიშნად მადლობისა სოლომონ II-მ მალხაზი ოჯახიდან იმერეთში მიიწვია საცხოვრებლად და იქ უბოძა სვირის მიდამოები 800 კომლი გლეხით, ჩამორთმეული ქსნის ერისთავ ელიზბარისათვის — სოლომონ დიდის სიძისათვის. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ა.-ს მიწერ-მოწერა და ცოცხალი კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილთან. სოლომონ II-მ ის გაგზავნა ჯერ ახალციხეს, შემდეგ სპარსეთში მოსალაპარაკებლად („აქტები", IV. 303). მარჯვედ ებრძოდა რუსებს, რომელნიც აიძულა კორტოხსა და ბნელათხევზე უკან დაეხიათ (იქვე, IV, 303).

1810 წ., როცა სოლომონი მიენდო რუსებს და გაუქმდა იმერეთის სამეფო, მ. ანდრონიკაშვილი ცოლ-შვილით ს. ლიონიძესთან ერთად გაიქცა ახალციხეს. ხოლო როცა აქვე ჩამოვიდა თბილისის საპატიო ტყვეობიდან 1810 წ. 10 მაისს გამოქცეული სოლომონ II, ის ეახლა თავის ცოლისძმას და ასრულებდა მის დავალებებს: იყო სტამბოლში ხონთქართან მფარველობისა და დახმარების სათხოვნელად, 1811 წ. ბოლოს კი — სპარსეთში იმავე საქმის გამო. მ. ანდრონიკაშვილი არ მოშორებია სოლომონს სიკვდილამდე (1815 წ. 7 II.). მეფის სიკვდილის შემდეგ სერასკირმა ბაბაფაშამ ა. დიდი პატივით მიიღო და შემდეგ თან წაიყვანა ლაშქრობებში. იმავე 1815 წელს ა. ჩავიდა ერევანში, ეჩმიაძინის მონასტერში და სთხოვა სომეხთა კათალიკოსს ეშუამდგომლა საქართველოს მთავარმართებელთან პატიებისა და საქართველოში დაბრუნების ნებართვისათვის. ნებართვის მიღებისთანავე ანდრონიკაშვილი ჩამოვიდა საქართველოში (1815 წ. 27 აგვისტოს ივანე გარსევანოვი სწერს დავით თარხნიშვილს თბილისიდან: „აქაური ანბავი

მოხსენებული გექნებათ, მალხაზ მოურავისშვილი გეახლათ, მთავარმართებელმა კარგად მიიღო". მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გვ. 212) სვირის მამული, ჩამორთმეული ახალციხეში გაქცევის შემდეგ, მ. ანდრონიკაშვილს აღარ დაბრუნებია, მას დაუბრუნეს მხოლოდ სოფ. ლაჯაბადინი (ბორჩალოში) და კახეთის მამული, რომელიც მანამდეც გაუყოფელი იყო ძმებთან და ბიძებთან და ამ მიზეზით მთავრობამ ვერ ჩამოართვა თავის დროზე.

მისი ოჯახი (ცოლი მაია და შვილი ივანე) უფრო ადრე დაბრუნდა საქართველოში. 1810 წლის დეკემბერში ისინი რუსეთს, ვორონეჟს გადაასახლეს. მაია საქართველოში დაბრუნდა 1817 წ.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ა. ცხოვრობდა ს. ვეჯინში, სადაც გარდაიცვალა 1822 წ. დასაფლავებულია ვეჯინის ღვთაების ეკლესიაში (ბ. ვეჯინელი, ღვთაების ეკლესია და თამარციხის ნანგრევები ს. ვეჯინში. „დროება", 1884, № 269). აქვს ასეთი ეპიტაფია:

„მე ვიყავ სიყრმიდგანვე ბედნიერებითა გარემოზღუდული. მე ვყვაოდდი სიყვარულისა წალკოტსა შინა. მე ვიზრდებოდი უმაღლესისა მეფისა პალატსა, ძეთა მეფისათა და განსაკუთრებით თანზრდილობითა და პატივითა ეშიკაღაბაშისა მეფის ძის იულონისა. მე ღირს ვიქმენ სიძეთ ორთა მეფეთა საქართველოისა და იმერეთისა. მყვანდა მეუღლედ უძვირფასესსა საუნჯედ ჩემდა იმერეთის მეფის ძის არჩილის ასული და დაი მეფის სოლომონისა, ასული მეფის ირაკლის ასულისა ელენესი მარიამ და ვიყავ გვირგვინობით კეთილთა შთამოსიარებითა თავადი ანდრონიკოვი ქიზიყის სარდალ-მოურავის პაპუას ძის ძე მელქისედეკ და მკვირცხლობასა სახელწოდებულ მალხაზად..." (ქვევით წარწერა აღარა ჩანს). ბ. ვეჯინელი, „დროება", 1884. № 269.

დავით ბატონიშვილის სიტყვით („მასალები"... გვ. 92), მალხაზს ჰქონდა მეორე სახელი მელქისედეკ (პ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა, გვ. 327).

ანდრონიკაშვილი რევაზ. „ვახტანგ ორბელიანისაგან გავიგონე პუპლიასა და გ. ერისთავის თანდასწრებით, რომ ანდრონიკოვს უთქვამს: თუნდა მე ვერ შევიძლო რუსებისათვის რაიმე ზიანის მიყენება, შვილებს მაინც ვუანდერძებ, რომ მათ მაინც აზიანონ რამეო". იასეს ჩვენება (გზლ. 388).

რევაზ ძმაა ნინიასი (ივანესი) და ზაზასი. ესენი კი ზაალ ან-

დრონიკაშვილის შვილები არიან. ე. ი. ფრონელი სცდება, მზეჭაბუკის ძედ რომ აცხადებს (გვ. 215).

ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე (1818—1877. XII). იზრდებოდა I კადეტთა კორპუსში. 1854 წ. გენერალ-მაიორია. 1859 წ. ჯარების მეთაურია. 1860 წ. კავკასიის არმიის მთავარსარდლის მოხელეა (?).

გარდაიცვალა გენერალ-ლეიტენანტის ჩინით და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღვრის თანამდებობით 1877 წ. განცხადება მისი სიკვდილის შესახებ დაბეჭდილია გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკ"-ის 1877 წ. № 282-ში (23 დეკემბრის ნომერში).

ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო, მდივანბეგი. ქიზიყის მოურავის შვილი.

მდივანბეგად იწოდება 1766 წ. 21. VI-ის საბუთში (დოკ. საქ. სოც. ისტ. II, № 94) და 1768 წ. 22 V-ის საბუთში (იქვე, № 132).

მდივანბეგი ქაიხოსრო ენდრონიკოვი (იხ. შ. მესხია, მასალები, სამოხელეო წყობის ისტორიისათვის. № 71— გვ. 55).

1771 წ. დეკემბრის საბუთს ამოწმებს „მოწმე ენდრონიკაშვილი მდივანბეგი ქაიხოსრო" (Hd 1635).

1765 წ. 18 მარტის საბუთში კი კახთ მდივანბეგად არის ენდრონიკაშვილი რამაზ (Hd 1028).

ქაიხოსრო, ქიზიყის მოურავის შვილი ნახსენებია ბეჟან ამილახვრის 1785 წ. საბუთში Ad 1236 (ნ. ბერძენიშვილი, მას. საქ. ეკ. ისტ. წ. I. გვ. 81—82).

ანტონ I (1720—1788). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. მაჰმადიანი მეფე იესეს შვილი. ერთნაირი ენერგიით იღვწოდა საეკლესიო, სახელმწიფო და ლიტერატურულ ასპარეზზე. ერობაში მისი სახელი იყო თეიმურაზ. ბერად აღიკვეცა ყრმობაშივე. 20 წლისა უკვე ქუთაისის მიტროპოლიტია, 1747 წ.-დან — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ამავე ხანიდან იწყება მისი ინტენსიური სახელმწიფოებრივი და საეკლესიო მოღვაწეობა. ა. ცდილობდა გაეძლიერებინა მეფის ხელისუფლება და აემაღლებინა მისი ავტორიტეტი, რათა მისი დახმარებით საეკლესიო სფეროში გაეტარებინა თავისი წამოწყებანი. მაგრამ მის საქმიანობას მალე დაედო ზღვარი. საქართველოში სასკოლო საქმის მოგვარების მიზნით ა. დაუახლოვ-

და კათოლიკე მისიონერებს თბილისში და კათოლიკობამ გაიტაცა. ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა — როგორც კონსერვატორებმა, ისე პროგრესულმა ელემენტებმა. პირველთ არ მოსწონდათ მისი დაახლოება დასავლეთ ევროპის საეკლესიო წრეებთან, მეორენი კი ვერ ურიგდებოდნენ იმას, რომ ანტონი მეთაურობდა კლერიკალურ რეაქციას, რომელიც ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა ახლად ჩასახული განმანათლებლური მოძრაობა. ოპოზიციამ — გაერთიანებული ძალებით მოახერხა ანტონის კათალიკოსობიდან დამხობა 1756 წ. და მისი გაძევება რუსეთში, სადაც ანტონმა დაჰყო 1762 წლამდე. ერეკლე II-ის გამეფებისთანავე ქართლ-კახეთის გაერთიანებულ ტახტზე 1762 წ. ანტონი ბრუნდება საქართველოში კათალიკოსად. აქ ის ყოველმხრივ იყენებს თავის მრავალმხრივ ცოდნას, რაც რუსეთში კიდევ უფრო გაიღრმავა, და დიპლომატიურ სარბიელზე იწყებს მოღვაწეობას: 1772 წ. ის მიემგზავრება რუსეთს სპეციალური დავალებით, რითაც მან მოამზადა 1783 წ. ცნობილი ტრაქტატის დადება ეკატერინე II-სთან.

ანტონი ასახიერებდა საეკლესიო, პოლიტიკურ და მეცნიერ-ლიტერატორ მოღვაწეს. მისი კალამი და მაღალი განათლება ერთნაირი ნაყოფიერებით თხზავენ სხვადასხვა ნაწარმოებებს თეოლოგიური, ისტორიულ-ლიტერატურული და ფილოსოფიური ხასიათისას. თეოლოგიურ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია „ღვთისმეტყველება“ და განსაკუთრებით „მზამეტყველება“, რომლითაც ის აღვიძებს მაშინ მიძინებულ ღვთისმეტყველურ აზრს. საინტერესოა ანტონის მუშაობა ფილოსოფიის დარგში, მისი წყალობით გაცხოველდა ინტერესი ძველი ფილოსოფიისადმი — იწერენ ძველ ფილოსოფიურ ტრაქტატებს. მისი რჩევით თარგმნიან ახლებს—სომხურიდან და სხვა ენებიდან. თვით ანტონი არა მარტო თარგმნის ბაუმაისტერის ლოგიკას, მეტაფიზიკას, ეთიკას, არამედ წერს დამოუკიდებელ ფილოსოფიურ ნაშრომს „სპეკალი“ სამ ნაწილად. ანტონი ითვლება ქართული ენის პირველ სერიოზულ მკვლევრად. მან დასტოვა ორი გრამატიკა: ერთი — გადმოკეთებული 1753 წ. მხითარ ვარდაპეტის სომხურის გრამატიკიდან, და მეორე — საკმაოდ ვრცელი, 1767 წ. შედგენილი გრამატიკა (დაიბეჭდა თბილისში 1885 წ.) — მის კონცეფციაში ჩანს იმდროინდელი გრამატიკული აზროვნების გავლენა — ერთი მხრით მხითარისა, მეორე მხრით ბაუმაისტერისა.

ანტონ I გარდაიცვალა 1788 წ. ერეკლე II სწერს იოანე

აბაშიძეს 1788 წ. 1 მარტს: „ახლა ამის მოწერის გონება ... გვქონდა. ამისთანა განსაცდელი მოხდა: მისი უწმინდესობა, ჩვენი ძმა, კათალიკოსი გუშინ საღამოზე ამიერ სოფლით მიიცვალა („ივერია", 1890. 21. XI. № 248. პ. კარბელაშვილის „მასალები...").

ხელნაწერ A-276-ის გადამწერი ანტონის გარდაცვალებას 1 მარტს უჩვენებს: „სრულ იქმნა მარტს ბ ქ^ას უოვ. კზ^ი ანტონიც ამ რიცხვში მარტის ა მიიცვალა. სოლომონ" (Ф. Жордания. Описание рукописей, I, გვ. 282) ტარასი არქიმანდრიტიც ანტონის გარდაცვალების თარიღად 1 მარტს უჩვენებს: A—1448 (ქართ ხელნაწ. ალწერა A IV. გვ. 550. 98-5).

ანტონი დასაფლავებულია მცხეთას, მისი ეპიტაფია:

„...კათალიკოზი ანტონი ...მიიცვალა ... წელსა ჩ ღ პ Ჩ თვესა მარტსა ა-სა".

ანტონ II (1764—1827). საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი. ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი. ერისკაცობაში თეიმურაზად წოდებული, თავისი პაპის — მეფის თეიმურაზ II-ის სახსოვრად, რომელიც მის დაბადების დღეს (8 იანვარს) გარდაიცვალა და დასაფლავებული იქნა ასტრახანში. 1783 წ. რუსეთსა და საქართველოს შორის ქ. ნოვო-გიორგიევსკში დადებულ ტრაქტატის გამო ეკატერინე. II-სთან საქართველოდან გაგზავნილ იქნა გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით განსაკუთრებული დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ ერეკლე მეორის ორი ვაჟიც — ბატონიშვილი მირიან (შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი) და ახალგაზრდა ბერი ანტონი იეროდიაკონის ხარისხით. მომდევნო 1784 წ. ერეკლე მეფის თხოვნით ა. ხელდასმულ იქნა ნინოწმინდის კათედრის მღვდელთმთავრად იმპერატრიცასა და მისი კარის თანდასწრებით ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში. იმავე წელს ჯერ ისევ რუსეთში მყოფი ანტონი დაუსწრებლივ აყვანილ იქნა ალავერდელი მიტროპოლიტის კათედრაზე, ხოლო ანტონ I-ის გარდაცვალების შემდეგ 1788 წ. 29 ოქტომბერს ანტონი აყვანილ იქნა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე. საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობის შემდეგ რუსეთის ტახტის ერთგულებაზე ხალხის დაფიცებისათვის ა-მა მიიღო თეთრი ბარტყულა სერაბიმებით და ბრილიანტის ჯვრით შემკული, ალექსანდრე ნეველის ორდენი.

მიუხედავად კათალიკოს-პატრიარქის სრული ლოიალობისა, საქართველოში ახალი პოლიტიკური წესწყობილების დამყარების

შემდეგ ანტონ II და ავტოკეფალური ეკლესიის დამოუკიდებელი მმართველობა რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი იყო. ამიტომაც მთავარმართებლები (კნორინგი, ციციანოვი, ტორმოსოვი) ძალიან ხშირად ერეოდნენ საეკლესიო საქმეებში მით უფრო, რომ ანტონი, — საუკუნეთა მანძილზე თავისუფალი ეკლესიის მმართველი, თავისი პირადი თვისებებით, უფრო კი დინასტიური ჩამომავლობის წყალობით დიდად გავლენიანი, — ნაკლებად ეგუებოდა რუსეთის მთავრობის ცენტრალისტურ დირექტივებს ეკლესიის მმართველობის რუსულ წესებზე გარდაქმნისათვის. ტფილელი მიტროპოლიტის არსენის უტაქტო და პირადული ინტერესებით ნაკარნახევმა საქციელმა — იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი წერილობითმა აპელაციამ რუსეთის მთავრობას საბაბი მისცა ა. რუსეთში გაეწვია და მის არყოფნაში ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსობა მოესპო. მართლაც, იმპერატორის დაჟინებითი „მიპატიჟებით“ ა. 1810 წ. 3 ნოემბერს სვეტიცხოველში წირვისა და პარაკლისის გადახდის შემდეგ ცრემლმორეული სამუდამოდ გამოეთხოვა მშობელ ქვეყანას. საქართველოში ავტოკეფალური ეკლესიის ნაცვლად შეიქმნა საეგზარქოსო, რომლის გამგებლობა ჩაბარდა ქსნის ერისთავის დავითის შვილს ვარლამს, როგორც ეკლესიის მმართველობაში ახალი წესწყობილების შემოღებისათვის უფრო შესაფერსა და აღმასრულებელ პიროვნებას.

დაკარგული თავისუფლების საკომპენსაციოდ ა-ს ებოძა მწვანე ხავერდის მანტია, ანდრიას ორდენი, ყოველწლიური პენსია 54 ათასის (ასიგნაციებით) რაოდენობით და ექვსცხენიანი ოქროში ცურვებული სარკმლიანი კარეტა, ადრე იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის ნაქონი. ანტონმა, რადგან პეტერბურგში ცხოვრება ძვირად უჯდებოდა, სამუდამო ბინად აირჩია ნიჟნინოვგოროდი, რომლის ახლო (ს. ლისკოვოში და სხვაგან) ბინადრობდნენ ვახტანგ VI-ის და ბაქარ ბატონიშვილის ჩამომავალნი, კერძოდ კი გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკი, 20 წლის განმავლობაში ადგილობრივი თავადაზნაურობის გუბერნიის მარშალი, ანტონის დიდი ხელისშემწყობი და პატივისმცემელი.

ანტონი გარდაიცვალა 1827 წ. 21 დეკემბერს და დასაფლავებულ იქნა ნიჟნი-ნოვგოროდშივე დიდი პატივით.

ანტონის ერისკაცობის სახელი თეიმურაზის გარდა ისმიხანიც ყოფილა (A ფონდის აღწ. IV. გვ. 23).

„მაშენებელნი სახლისა პ-დ შეამზადებენ ხვასტაგსა, შემდგომ მატერიალთა ე. ი. ნივთიერებათა და ეგრეთ იწყებენ სახლისა შე-

ნებასა და არა ეგ სახედ, ვ´ა ჰყო უნეტარესმან ანტონი კათალიკოს-მან მანდარე პირისპირ აჩნდის ბატისა რ´ნ დასდვა ფუძე და ვერ შეუძლო აღსრულება, გინა ღირსისა [ხირსისა] გალავანი ზემომქი-სიყისა მახლობელ ტიბაანისა". ითნა ხელაშვილი სვიმონ ერიაშვილს. H — 222 ბ. 392 რექტო.

ანტონი, არქიმანდრიტი. დავით გარეჯის უდაბნოს არქიმანდრი-ტი, საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორის წევრი და ეგზარ-ქოსის სახლის ხაზინადარი (ფონდი 488/139. საქმე № 3209. ფურც. 19, 12. XI. 1833).

ეგზარქოსმა მოსემ, ბარონ როზენთან შეთანხმებით, შესთავაზა ანტონის გამგზავრებულიყო გენ-მაიორ რეუტთან ერთად თელავსა და შუამთის მონასტერში და იქ გაჩხრეკის შემდეგ დაეპატიმრები-ნათ მღვდელმონაზონი ფილადელფოსი.

თუ შევადარებთ ანტონის მიერ 1833 წ. დაწერილ დოკუ-მენტს (საქმე 3209. ფ. 6) 1821 წ. ოქტომბერში შედგენილ „დეკა-ნოზ ალექსანდრეს მოხსენებას" (ფ. 488/139. ს. 579) ადვილად დავრწმუნდებით, რომ ორივე საბუთი ერთი ხელითაა ნაწერი. რო-გორც ჩანს დეკანოზი ალექსანდრე შემდეგში ბერად აღკვეცილა სახელით ანტონი და არქიმანდრიტად კურთხეულა. პ. კარბელაშვი-ლის სიტყვით, ფედოროვი ყოფილა მისი გვარი: „ფედოროვი ალექ-სანდრე დეკანოზი, მერე არქიმანდრიტი ანტონი, თბილისის სემი-ნარიის პირველი რექტორი და დავითგარეჯის წინამძღვარი" („ივე-რია", 1893. № 118). მაგრამ სემინარიის პირველი რექტორი იყო ვიტალი, ხოლო ანტონი არც ყოფილა რექტორად. 1833 წელს ფი-ლადელფოსის გაჩხრეკა-დაპატიმრებისას რექტორად იყო არქიმან-დრიტი სერგი.

არქიმანდრიტი ევგენი, ავტორი წიგნისა «Иерархия Грузин-ской церкви» (М, 1826) ჩამოთვლის ოსეთის სასულიერო კომისიის წევრებს და მათ შორის ასახელებს «ალექსანდრე ფედოროვს, დავით გარეჯის უდაბნოს არხიმანდრიტ ანტონის» (გვ. 25).

არქიმანდრიტი ანტონი იყო საქართველო-იმერეთის სინოდა-ლური კანტორის წევრი 1827—1834 წწ.

არდაზიანი პეტრე (1781—1868). მღვდელმონაზონი. გარდაი-ცვალა 1868 წ. 8 დეკემბერს 88 წლისა. 60 წლის მანძილზე მღვდე-ლი იყო, ამ 60 წლის ბოლო 43 წელი მღვდელ-მონაზონი.

ჯერ მსახურობდა ანჩისხატის ტაძარში, შემდეგ ქაშვეთის ეკლესიაში. წმ. სამების ეკლესია თბილისში აგებულია მისი ხელით. 1868 წელს მისი ვაჟი (ნიკოლოზი) იყო ამ ეკლესიის მღვდელი (ფ. 4709. საქმე № 115/191).

არზანოვები იაკობ და დავით, ნიკიტას ძენი. ძმებმა არზანოვებმა შეადგინეს სომხური გრამატიკა, დაბეჭდილია 1839—1840 წ. თბილისელი მოქალაქის გაბრიელ შადინოვის მიერ.

1838 წ. ძმები არზანოვები საკუთარი სტამბის მფლობელები არიან თბილისში.

იაკობ არზანოვი — კანდიდატია.

დავით არზანოვი — კანდიდატი, თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი.

1832 წლამდე ჰქონდათ ვაჟთა პანსიონი ყიზლარში.

იაკობ არზანოვს, კანდიდატს, 1849 წ. ჰქონდა პანსიონი თბილისში და იყო მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებული სტამბის ზედამხედველი.

დავით არზანოვი თბილისის გიმნაზიის უფროსი მასწავლებელი იყო 1849 წელს, თავის ძმასთან ერთად ფლობდა პანსიონს თბილისში.

„კავკასიის კალენდარის“ (1850 წ.) გვ. 102-ზე იხსენიება „არზანოვების კერძო პანსიონი ველიამინოვის ქუჩაზე, კურცოვის სახლში“.

კალენდრის ამავე ნომერში იხსენიებიან: საცენზურო კომიტეტის ცენზორი „ნადვორნი სოვეტნიკი“ იაკობ ნიკიტას ძე არზანოვი (გვ. 39) და ისტორიის უფროსი მასწავლებელი „ნადვორნი სოვეტნიკი“ დავით ნიკიტას ძე არზანოვი (გვ. 40).

არსენი, ტფილელი მიტროპოლიტი (1757—1813). ბაგრატიონი, უფრო ცნობილი ნაიბიძის გვარით, იყო იესე მეფის უკანონოდ ცნობილი უფროსი შვილის აბდულაბეგის (არჩილის) შვილი, სახელად იესე (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII. გვ. 318). თეიმურაზისა და ირაკლის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ოჯახის შვილი დაუნათესავდა ასეთსავე ოპოზიციურ ოჯახს — ცოლად შეირთო 1765 წ. შეთქმულებაში მონაწილის ელიზბარ თაქთაქიშვილის ქალი. ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული ბერად შეიმოსა და იყო იმერეთში კაცხის მონასტრის წინამძღვრად, შემდეგში კი აღზევებულ იქნა ნიქოზის მღვდელმთავრის კათედრაზე. პლ.

იოსელიანის ცნობით, ერეკლე II-მ არსენი 1795 წ. აღამაჰმადხანის შემოსევის შემდეგ, ანტონ მეორის შუამდგომლობით დანიშნა ტფილელ მიტროპოლიტად. არსებობს საბუთი 1794 წ. 22 ივნისისა, რომელსაც ამოწმებს „მიტროპოლიტი ტფილისისა არსენ“ (იხ. მასალები საქ. ეკონ. ისტ. წ. II. თბ. 1953. გვ. 111). არსენიმ ტფილელის კათედრაზე დაჰყო რუსთა ბატონობის დამყარების შემდგომაც, სანამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოისპობოდა და ამასთან დაკავშირებით გაუქმდებოდა თბილელ-ბოლნელის კათედრაც. სამეფოს მოსპობის შემდეგ რუსთა მთავრობა, რომელსაც ა. ყოველთვის თავის ერთგულებას ეფიცებოდა, არსენის ძალიან სწყალობდა, საფიქრებელია უფრო ანტონ მეორის პარალიზაციის მიზნით, მით უფრო, რომ ისიც სამეფო საგვარეულოს წევრი იყო. მთავარმართებელმა ციციანოვმა მოუტანა პირველი კლასის ანას ორდენი ვარსკვლავით, ხოლო გუდოვიჩმა 1807 წ. თეთრი ბარტყული ბრილიანტის ჯვრით შემკული. ასეთი გარეგანი ნიშნების წყალობით მეისტორიეთ (დავით ბატონიშვილს და სხვ.) ა. კათალიკოსის მეტოქად ჰყავდათ წარმოდგენილი. მართლაც ა. კაცი „თავხედი, ამპარტავანი და გულფიცხი“ (დავით ბატონიშვილი) კათალიკოსის იურისდიქციას აღარ ემორჩილებოდა და უშუალოდ რუსეთის ეკლესიის მმართველს — უწმიდეს სინოდს მიმართავდა ხოლმე, რითაც ძალიან შეუწყო ხელი საქართველოს საეკლესიო საქმეებში რუსეთის საერო მთავრობის ჩარევას. 1809 წ. როცა ანტონ II-მ ახალი მთავრობის სურვილისამებრ შეადგინა პროექტი სასულიერო დიკასტერიის დაარსებისა, რომლის მიხედვით უქმდებოდა თბილისის ეპარქია, ხოლო მისი საკათედრო ტაძარი — სიონი თბილისის საკეთილშობილო სასწავლებლის დირექტორს დეკანოზ ალექსი პეტრიაშვილს (შემდეგში არქიმანდრიტ ათანასეს) ეხელქვეითებოდა, როგორც მის განზრახულ წინამძღვარს, პირადი ინტერესით აღძრულმა არსენი ტფილელმა ვრცელი საჩივარი გაუგზავნა იმპერატორ ალექსანდრე I-ს კათალიკოსსა და მის მართვა-გამგებლობაზე. ამ საჩივარში ჩამოსთვლიდა კათალიკოსის მიერ ჩადენილ უწესრიგობათ და მოუწოდებდა მთავრობას საეკლესიო საქმეები გამოეძიებინა. იმავე 1809 წ. 12 დეკემბერს, იმპერატორის დაბადების დღეს, სიონის ტაძარში დღესასწაულებრივი წირვის დროს არსენიმ, კათალიკოს ანტონის, მთავარმართებელ ტორმოსოვისა და მაღალი საზოგადოების დაურიდებლივ, საკურთხეველში საჯარო შეურაცხყოფა მიაყენა დეკანოზ ალექსი პეტ-

რიაშვილსა და არქიეპისკოპოს ვარლამს (შემდეგში საქ-ოს პირველ ეგზარქოსს). ამას დაერთო ა.-ს მართვა-გამგეობაში დამყებულ სხვა ბოროტმოქმედებათა და სიონის ქონების გაფლანგვაში მხილება-ბრალდებანი, რასაც შედეგად მოჰყვა სასულიერო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალით ა-ს მიუსაჯეს: ტფილელის კათედრიდან გადაყენება, 6 თვით მღვდელმთავრობის აკრძალვა და იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში საცხოვრებლად გაგზავნა. მაგრამ ა. ამ განაჩენს არ დაემორჩილა, თუმცა საერო მთავრობაც კი მისი ახირებული და უტაქტო მოქმედებით მოთმინებიდან იყო გამოყვანილი და მოითხოვდა (მაგ., მთავარმართებელი რტიშჩევი) რუსეთის ერთ-ერთ მონასტერში მის გადასახლებას — 1200 მან. რაოდენობის პენსიით. 1813 წ. ა-ს იმპერატორმა ნება მისცა პეტერბურგში ჩასვლისა და სინოდში ადგილობრივ თავისი საქმის გამორკვევისა. ა. ასეთ განკარგულებას ეჭვის თვალით შეხვდა და იქნებ არც დამორჩილებოდა, რომ მძიმე ავადმყოფობას ბოლო არ მოელო მისთვის: 1813 წ. 30 ნოემბერს იგი გარდაიცვალა და დაასაფლავეს სიონში მიტროპოლიტის შესაფერისი პატივით. მის შემდეგ დარჩენილ 90 წლის მოხუც დედას რუსეთის მთავრობამ დაუნიშნა პენსიად 25 ვერცხლის მანეთი თვეში.

არღუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარიას ძე (1797—1855). რუსეთის მეფის ერთგული გენერალი, ქართველ თავადთაგანი. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, საიდანაც 19 წლისა, მაშინდელი მთავარმართებელი ა. პ. ერმოლოვის რჩევით, მამამ გაგზავნა პეტერბურგში; აქ იგი თავის ბიძასთან ცხოვრობდა და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა სამხედრო მეცნიერებათა მიმართ. 1817 წ. 17 აპრილს იწყებს სამხედრო სამსახურს — შედის იუნკრად ლეიბ-გვარდიის ცხენოსან ლეგიონში (პოლკში). სადაც ორი თვის შემდეგ ესტანდარტ-იუნკრობას იღებს, ხოლო წლის თავზე უკვე კორნეტის ჩინითაა. 1827 წ. 23 მარტს შტაბს-როტმისტრი ა.-დ. გადმოდის საქართველოში გრენადერთა ქართულ პოლკში მაიორის ჩინით, რის შემდეგ სიკვდილამდე უწყვეტლივ მსახურობს ამიერკავკასიაში. იგი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის რუსეთის მიერ აქ წარმოებულ ომებში და, როგორც მისი ერთგული, დაუნდობლად ახშობდა ადგილობრივი ერების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წყურვილს. რუსეთიდან ჩამოსვლის უმალ იბრძვის ირანის წინააღმდეგ (ერევანთან, აბას-აბადთან, სარდარ-

ბადთან და ერევნის აღების შემდეგ მონაწილეობს თავრიზისაკენ
რუსეთის ლაშქრობაში, საიდანაც უკან ბრუნდება 1828 წ. ივნის-
ში. მთავარმართებლის სურვილის თანახმად ის რჩება აზერბაი-
ჯანში (ირანში) და ხელს უწყობს იქაური ქრისტიანების, მეტადრე
სომხების გადმოსახლებას ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი
მაშინ ახლად შექმნილ სომხეთის ოლქში. 1829 წ. იბრძვის ოსმალ-
თა წინააღმდეგ, ხოლო 1830 წ. ბოლოს უკვე როგორც ბატალიო-
ნის უფროსი მოქმედებს მთიელების წინააღმდეგ. 1832 წ. ა.-დ.
თბილისის ქვეითა პოლკშია მისი უფროსის უფლებით. ჯერ იგზავ-
ნება წებელდის დასაპყრობლად, ხოლო 1838 წ. ზაფხულში ამარ-
ცხებს ლეკებს ხაჩმაზის ხეობაში. 1841 წ. ის უფროსია იმ რაზმისა,
რომელმაც სასტიკად ჩააქრო გურიის გლეხთა აჯანყება (10. VIII—
15. XII). ა.-დ. ინიშნება ახლად მოწყობილი სამურის რაზმის უფრო-
სად. 1842 წ., როცა ყაზი-ყუმუხის სახანო შამილის მხარეს გადავიდა,
მოსახლეობა აჯანყდა რუსი მთავრობის წინააღმდეგ და სამურის
ოლქის უფროსი სნაქსარიოვი და ახალგაზრდა ოფიცერი ილია ორ-
ბელიანი შამილმა ტყვედ წაიყვანა, მეფის მთავრობამ ერთგულება-
ში ნაცადი ა.-დ. ახლა ყაზი-ყუმუხის აჯანყების შესამუსრად გაგზავ-
ნა და მართლაც ზამთარში კიუღიულისთან სასტიკად დამარ-
ცხა მთიელები. ასეთი ერთგულებისათვის მთავრობამ იგი
დააჯილდოვა გენერალის ჩინით და მე-3 კლასის გიორგის
ორდენით. ამასთანავე მას დაუმორჩილეს სამურის ოლქი,
კიურინის სამფლობელო და ყაზი-ყუმუხის სახანო, ხოლო
1844 წ. დაავალეს სამხრეთ და ჩრდილო დაღესტანში მყოფი რუსი
ჯარების სარდლობა. 1847 წ. 1 იანვარს ა.-დ. დაინიშნა დარუბანდის
სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად,
ამავე დროს დატოვებულ იქნა სამხრეთ დაღესტნის ჯარის სარდლის
თანამდებობაზე; ხოლო იმავე წლის 8 ნოემბერს კასპიის ზღვის-
პირა მხარის ჯარების სარდლად და სამოქალაქო ნაწილის მმართვე-
ლად. ამ დროს ის გაშმაგებით ებრძვის ჰაჯი-მურატის მეთაურობით
მებრძოლ მთიელებს, მხურვალე მონაწილეობას იღებს გერგებილისა
და სალთის აღებაში და მიწასთან ასწორებს მთიელთა სახლ-კარს.
მომდევნო 1848 წ. 7 ივლისს ხელმორედ აიღო გერგებილი, მთე-
ლი ეს აული საძირკვლიანად მიანგრ-მოანგრია, სრულიად გადა-
ჰკაფა მისი ბაღები, ხოლო მოსახლეობა, ვინც კი გაქცევით თავს
ვერ უშველა, მთლიანად ამოწყვიტა. ასეთი ერთგული „სამსახური-
სათვის“ მას ებოძა გენერალ-ადიუტანტობა და ალექსანდრე ნევე-
ლის ორდენი. 1853 წ. ზამთარში ა.-დ. სწრაფად გადალახა კავკა-

სიონის ქედი და ჭარბელაქნის ოლქში, ლეკის საკორდონო სახის ფარგლებში შეჭრილ შამილს ზურგიდან მოუარა და იძულებული გახადა ბრძოლის ველი დაეტოვებინა. ამის მერე ა.-დ. მალე ავად შეიქნა, ორჯერ დამბლა დაეცა და 1855 წ. 20 თებერვალს გარდაიცვალა. დასაფლავებულია სანაინის მონასტრის საგვარეულო აკლდამაში. პირდაპირი მემკვიდრეობა არ დარჩენია. მადლიერმა მეფის მთავრობამ 1877 წ. თავის ერთგულ გენერალს დაღესტნის შუაგულში — თემირხანშურაში ძეგლი დაუდგა.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი რომან (? — 1851). „გუბერნსკი სეკრეტარი". გარდაიცვალა თბილისში 1851 წ. 23 ოქტომბერს დასაფლავებულია თბილისის ვანქის ეკლესიის გალავანში.

არწრუნის სახლი. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში დაკითხულნი ასახელებენ არწრუნის სახლს.

„ეს სიტყვები სენატორმა ერისთავმა თქვა არწრუნის სახლში, რომელშიაც ეხლა ბინადრობს გენერალ-ლეიტენანტი ბაგრატიონი" (რვ. XII, 2379), — უჩვენებს ერთ-ერთი შეთქმული.

1828 წ. თბილისის გეგმის ექსპლიკაციებით არწრუნის სახლი უნდა ვიგულისხმოთ ახლანდელი გრიბოედოვის სახ. თეატრის გვერდით, სადაც მოთავსებული იყო ქართული თეატრი და წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება. აქ რევოლუციამდე იყო ქართული სათავადაზნაურო ბანკი, შემდეგ ეს შენობა არწრუნმა შეიძინა. ამ ქუჩას რევოლუციამდე ერქვა სასახლის ქუჩა, შემდეგ კომინტერნის ქუჩა, ახლა კი აქედან იწყება რუსთაველის პროსპექტი. 1828 წ. გეგმის ექსპლიკაციებში ამ ქუჩას ეწოდება. „არწრუნის ქუჩა, რომელიც მთავარმართებლის მოედნიდან გადის კეთილშობილთა სასწავლებლის და არწრუნის სახლებს შორის და უერთდება ერევნის მოედანს".

აქ ნახსენები მთავარმართებლის მოედანი, იგივე ნიკოლოზის მოედანი ,იყო იქ, სადაც ახლა მუზეუმის შენობა და კინოთეატრი „რუსთაველი" დგას. „კეთილშობილთა სასწავლებლის სახლი" იყო იქ, სადაც დღეს ცეკავშირის საცხოვრებელი სახლია (ლენინის მოედნიდან მარჯვენა მხარეს).

ქუჩას არწრუნის (ექსპლიკაციებში № 73) სახელი ერქვა ალბათ იმიტომ, რომ აქ მდებარეობდა არწრუნის სახლი.

ასათიანი მიხეილ ოსების ძე (? — 1879). ქუთაისის სასული-

ერო სასწავლებლის ზედამხედველი. სასწავლებლის ზედამხედველად არჩეულ იქნა 1874 წ. ოქტომბერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ასათიანი 1879 წ. 16 დეკემბერს მოკლა ღვინიაშვილმა.

მ. ასათიანს ეკუთვნის: „კანონები მღვდელთათვის საცოდნელად საჭირონი გამოკრებულნი ქუთ. სას. სასწ. ზედამხედველის მ. ასათიანისაგან". ქუთაისი, 1876 (კარიჭაშვილი, კატალოგი, გვ. 286. № 11).

წერდა კორესპონდენციებს გაზეთებში x-ის ფსევდონიმით. „დროების" 1876 წ. № 17-სა და № 84-ში დაბეჭდილია ასათიანის წერილი „ბურსაკების" ცუდი კვების შესახებ.

მ. ასათიანს ეკუთვნის რამდენიმე პოემა და ლექსი, გამოქვეყნებული მისი სიკვდილის შემდეგ ჟურნალ „იმედის" 1881 წლის I, II, III—IV და V ნომრებში:

1. „შიკრიკი" (პოემა) — „იმედი", 1881. 1. დაწერის თარიღი: 1879. 26. II;

2. „მტკვრის ბაასი რიონთან" (პოემა) — იქვე, დაწერის თარიღი 7. XII. 1879;

3. „ოსეფას ანდერძი" (ლექსი) — იქვე;

4. „შიკრიკი" — „იმედი", 1881. II. 48—58. თარიღი: 1879. 5. III;

5. „ახალ მოდის ეჭიმი (რუსულიდან ლექსად)" „იმედი", 1881. III—IV. 126—129. დაწერის თარიღი: 10. X. 1879;

6. მე და ონისიმე (მოთხრობა) — „იმედი", 1881. V. 3—28;

7. „გაზაფხული" (ლექსი). — „იმედი", 1881. V. 50—52.

ამ ნაწარმოებთა გამომცემელი ი. იმედაშვილი წერს:

„განსვ. მიხ. იოს. ასათიანს, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ჟურნალის დაარსების აზრი, შემდეგ იმის მოკვლისა, დარჩა ბევრი ხელთნაწერი თხზულებები თუ ლექსათ თუ ისე. ეს იმისი თხზულებები იმისმა მეუღლემ ქვრივმა ეკატერინე ასათიანმა გადმოგვცა ჩვენ და იბეჭდებიან ჩვენ ჟურნალში. ამ I-ს წიგნში იბეჭდება შიკრიკი პოემა და ოსეფას ანდერძი".

„ობზორი" წერს — მალე ქართულად გამოვაო ახლად მოკლულის მიხ. ასათიანის პოემა „მტკვარი და რიონი" (დროება, 1880. 8. 2).

ასათიანის მოკვლის თაობაზე პრესაში გამოქვეყნდა წერილები.

„ობზორ"-ის №№ 381, 388, 390, 393, 395, 396, 405, 407, 418, 425, 429, 430-ში მოთავსებულია სხვადასხვა პირთა წერილები ამ საკითხზე. „დროების" 1880 წ. № 14-ში დაბეჭდილია წერილი „ასათიანის მოკვლაზედ".

აფხაზი ანტონ ნიკოლოზის ძე (1806—1837). პოდპორუჩიკი. 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. ძმა გენერალ ივანე აფხაზისა (იხ.) და შტაბსკაპიტან გიორგი, ეგორ (იგივე შანშე) აფხაზისა.

დაიბადა 1806 წ. (1833 წლის თებერვალში მან უჩვენა შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას, რომ იგი 27 წლისაა). მამა მისი ნიკოლოზი ერეკლეს დროის ცნობილი მხატვარია, დედა — სოფიო ნიკოლოზ გურამიშვილის ასული იყო მეფე გიორგი XII-ის ნათლული.

1832 წ. შეთქმულების გამომჟღავნებამდე ანტონი მსახურობს პოდპორუჩიკად. იგი ახლო ნაცნობია სოლომონ დოდაშვილისა. „ანტონ აფხაზზე ახლო ნაცნობი მე არა მყოლია“ — უჩვენებს დოდაშვილი (რვ. II. 159). ანტონი იყო სოლომონის ერთ-ერთი მეჯვარე.

ანტონ აფხაზი არ ყოფილა შეთქმულების მაინცდამაინც აქტიური მონაწილე. როგორც შეთქმულების საგამომძიებლო მასალებიდან ჩანს, ანტონი ყაზარმელთა წრეში ოთხჯერ თუ მოხვდა.

როგორც ცნობილია, იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულები დაასმინა ვოლხოვსკისთან. მთავარმართებელი როზენი როდესაც გაეცნო ვოლხოვსკის ინფორმაციას, უნდობლად შეხვდა ამ ამბავს. იასეს დანასმენის შესამოწმებლად როზენმა გამოსაკითხად დაიბარა ანტონ აფხაზი. ანტონმა პირველივე გამოკითხვისას (1832 წ. 10 იანვარს) უჩვენა: ერთხელ ვახშამზე სოლომონ დოდაშვილის ბინაზე ალექსანდრე ორბელიანმა მოითხოვაო დამსწრეთაგან ფიცის დადება. ეს დადასტურება იყო იესეს დანასმენისა და ანტონის ჩვენებას მოჰყვა სხვათა დაპატიმრება. თვით ანტონი დააპატიმრეს 11 იანვარს.

საგამომძიებლო კომისიამ ის მიაკუთვნა დამნაშავეთა მეექვსე კატეგორიას. ამ კატეგორიაში შედიოდნენ ის „პირნი, რომელთაც იცოდნენ შეთქმულების ამბავი და შეიძლება ეჭვმიტანილ იქნან იმაში, რომ ისინი ეთანხმებიან შეთქმულებას“.

ანტონ აფხაზი პატიმრობიდან გაათავისუფლეს 1833 წლის 7 სექტემბერს და გაგზავნეს სამსახურში კავკასიის ხაზზე. აქ ის მსახურობს ქვეითა პოლკში პოდპორუჩიკად. 1836 წ. 4 სექტემბერს გაათავისუფლეს სამსახურიდან ავადმყოფობის გამო. ამის შემდეგ ის დასახლდა თბილისში. მასზე დაწესებული იყო ფარული მეთვალყურეობა. გარდაიცვალა 1837 წელს.

აფხაზი დავით ივანეს ძე. შტაბსკაპიტანი. ისპოლნიტელნი ექსპედიციის სოვეტნიკი. 1833 წ. 23 ნოემბერი (H 2172).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით აფხაზი სტეფანე ლორისმელიქოვსა და მოქალაქეების მიხეილ სარაჯევსა და სოლომონ აბამელიქოვთან ერთად გაგზავნეს ნიკოლოზ I-თან 1841 წ. ამიერკავკასიაში სამოქალაქო მმართველობის შემოღებისათვის მადლობის მოსახსენებლად (აქტები).

როზენის მთავარმართებლობაში თბილისს ჩამოვიდა სვანეთის თავადის — დადეშქელიანის ცოლი გიგი-ხანუმ თავისი ქალით — დარეჯანით. როზენმა ურჩია მას მიეთხოვებინა დარეჯანი დავით აფხაზისათვის. ეს ქორწინება მართლაც მოხდა (აქტები, VIII, 464). დავითის დაცოლშვილაინებაზე იხ. ი. მეუნარგიას „საქართველო დავით დადიანის დროს", გვ. 14—15.

დავითის ქალი ნინო 1861 წ. ოქტომბერში ცოლად შეირთო ალექსანდრე ზაქარიას ძე ვახვახოვმა (საქ. ხელნაწ. ინსტ. ფონდი S 24. ფ. 3).

აფხაზი ეგორ (გიორგი) იგივე შანშე ნიკოლოზის ძე (? — 1826). ნიკოლოზ მხატვრის (იხ.) შვილი და შეთქმული ანტონ აფხაზისა და გენერალ ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის (იხ.) ძმა. შტაბსკაპიტანი ქართველ გრენადერთა პოლკისა. მოკლეს 1826 წ. 6 ნოემბერს ლეკებთან ბრძოლაში ზალენჩოს მთის ძირას, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ალმალოსთან ახლოს.

დაასაფლავეს კახეთში წმ. სტეფანეს სახ. მონასტერში (ხირსის მონასტერში).

1827 წ. დედამ — სოფიო გურამიშვილის ასულმა — ითხოვა ნება გადმოესვენებინათ ე. ნ. აფხაზის ნეშტი თბილისში, ქაშვეთის ეკლესიაში. მაგრამ საქართველოს ეგზარქოსმა უარი უთხრა.

აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე (1784—1831) გენერალი. სამსახური დაიწყო 1800 წ. მე-17 ეგერთა პოლკში; 1803 წ. მიიღო პოდპორუჩიკის ჩინი; 1810 წ. გადაყვანილ იქმნა კავკასიის გრენადერთა პოლკში. 1821 წ. ლენქორანის გარემოცვის დროს, როცა ყიზილბაშები იმარჯვებდნენ რუსებზე და თვით მთავარსარდალი კოტლიაროვსკი ზედიზედ სამჯერ დაიჭრა, აფხაზი (მაშინ მაიორის ჩინით) გაუძღვა მეორე ბატალიონს, ავიდა თავისი რაზმით ციხის კედელზე, ხელთ იგდო მოწინააღმდეგის ბატარეია, შეაბრუნა ზარბაზნები და მეციხოვნეთ დაუშინა, რის შემდეგ გამარჯვება უკვე რუსის ჯარს დარჩა. 1820 წ. პოდპოლკოვნიკი აფხაზი დაინიშნა 44-ე

ეგერთა პოლკის სარდლად, შემოქმედთან მოკლულ პუზირევსკის მაგიერ. 1821 წ. აფხაზეთში დიმიტრი შარვაშიძის გამოვლენის დროს დაამარცხა უკანასკნელის მეტოქე არსლან-ბეი, აიკლო ამის მომხრე სოფლები, ხოლო მოსახლეობა აიძულა მთებში გახიზნულიყო. 1827 წ-ს იგი გენ. პანკრატიევის კორპუსის შტაბის უფროსია, ხოლო 1829 წ. გენერალ-მაიორის ჩინით ინიშნება მაჰმადიანური პროვინციების (ყარაბახის, ნუხის და შირვანის) მმართველად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მისი ხელქვეითი ადმინისტრაცია ძალიან თავგასული იყო და ბოროტმოქმედება-თვითნებობას მრავლად ჩადიოდა, რაც გამოარკვია თბილისიდან საგანგებოდ მივლენილმა მოხელემ. ალბათ ამის გამო პასკევიჩი იძულებული იყო იგი აქედან წამოეყვანა 1830 წ. ამავე წელს არის ვლადიკავკაზის კომენდანტის თანამდებობაზე. 1830 წ. ზაფხულში დაიმორჩილა საქართველოს სამხედრო გზის ახლოს, კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მცხოვრები ქისტები და ოსები. 1831 წელს პოლონეთის აჯანყების დროს ა. გრაფ პასკევიჩის გაწვევით გაემგზავრა მომქმედ არმიაში და იმავე წელს შემოდგომაზე გარდაიცვალა ქოლერისაგან ქ. ბრესტ-ლიტოვსკში.

ი. ნ. აფხაზი იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ მიღებული და გავლენიანი ყოფილა, რაც ჩანს იქიდან, რომ 1832 წ. შეთქმულებს იგი მხედარმთავრად ჰყავდათ ნაგულისხმევი (მაგ. იხ. ალექსანდრე ორბელიანის ჩვენება). იმ დიალოგში, რომელიც ახალგაზრდობისას თავის დღიურში შეუტანია გრიგოლ ორბელიანს 1831წ. 3 აგვისტოს თარიღით, პოლონეთისკენ სალაშქროდ მიმავალი ა. მოჩანს ერეკლე მეფის რუსოფილური პოლიტიკის მომხრედ და თანაც საქართველოს განთავისუფლების პრინციპულ მოსურნედ, ოღონდ ასეთი დამოუკიდებლობა მას შესაძლებლად მიაჩნია ასი წლის მერე, როცა საქართველოს ეყოლება „რეღული“ ე. ი. მუდმივი ჯარი და „მრავალი მსწავლულნი კაცნი და ყოველი კეთილი, ახალი სასარგებლო დაწესებულება ადვილად აღსრულდების“. შენახულია და მოძალევსკის მიერ გამოქვეყნებულია ა-ს ექვსი წერილი ბორის გაბრიელის ძე ჭილაშვილთან, უმთავრესად კავკავში ყოფნისას («Русский Архив» 1904 წ. იანვარი, გვ. 119—126), ეს წერილები საუკეთესოდ გვიხატავენ ა-ს კლასობრივ ფიზიონომიას და რუსეთის ტახტისადმი ერთგულებას, განსაკუთრებით მისი შემდეგი სიტყვები: „დღეს თერგი გადავლახე. ყველას ვამარცხებ, ყველაფერს ვბუგავ და დედაბუდიანად ვანგრევ: დანდობა მარტო მორჩილებს“.

გრ. ორბელიანი თავის წერილში „მგზავრობა ჩემი ტფილი-

სიდამ პეტერბურღამდის“ წერს 1831 წ. 19 ივნისის თარიღით: „19-სა შევისვენეთ ვლადიკავკაზს.. კნიაზ აფხაზმან, რომელიც ეხლა არის მუნ კომენდანტად, ძალიან შეაძრწუნა მთის ხალხნი“.

მეორედ შეხვედრია გრ. ორბელიანი მას უკვე 3 აგვისტოს სტავროპოლში და სწორედ იქ ჰქონიათ ღირსსახსოვარი „უბნობა“.

გრიგოლ ორბელიანის დღიურით, აფხაზი სტავროპოლიდან მიემგზავრება 4 აგვისტოს (დღიურის ტექსტი გამოაქვეყნა პავლე ინგოროყვამ. „მნათობი“, 1940, № 2. გვ. 69—84).

ივანე აფხაზმა „პირველად გაამგზავრა რუსეთად სწავლისათვის“ პლატონ იოსელიანი 1831 წ. (იხ. მისი „ცხოვრება გიორგი XIII-სა“. ტფ., 1895. გვ. 100).

ივანე აფხაზის ორი ძმა შანშე (იაგორ) და ტარასი უშვილოდ ამოწყდა.

ივანე აფხაზმა 1828 წ. დანიშნა იმერეთის სარდლის ქაიხოსრო წერეთლის ქალი სალომე. „ივანე ნიკოლაიჩმა აფხაზოვმა დანიშნა ქაიხოსრო წერეთლის მეორე ქალი შვიდ მაისს საღამოზედ და მოვალე იყო ბეჭდისა, შუამდგომლობითა თომა ბაინდუროვისათა და იაკობ ზუბალოვისათა. დიდი ყოფა აქვთ, ვიშოვეთ ჩვენ სიძე, მაღლა ჰყივიან“ — სწერს ქუთაისიდან გრიგოლ წერეთელი დავით თარხნიშვილს 1826 წ. 10 მაისს (ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქ. ეკონომ. ისტორიისათვის, წ. II. 1953. გვ. 271. № 373).. ივ. აფხაზმა იმავე 1823 წ. ცოლად შეირთო ეს ქალი (იხ. აფხაზოვი სალომე), რომელიც დაქვრივების შემდეგ მისთხოვდა იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილს.

აფხაზის ცოლი სალომე მდიდარი იყო და აფხაზმა მისი ფულით შეიძინა მამულები.

აფხაზი ივანე შერმაზანის ძე (? — 1847). კარდანახელი მემამულე რუსოფილი. პლ. იოსელიანის სიტყვით, მეფე გიორგი XIII-ს ჰყავდა მიღებული და ხშირად, როგორც კარგ დეკლამატორს, ათქმევინებდა ხოლმე ლექსებს.

1803 წ. იყო გენერალ გულიაკოვის რაზმში და ლეკებთან ბელაქანში 9 მარტის ბრძოლის დროს თავი ისახელა. 1812 წ. კახეთის აჯანყების დროს აჯანყებულებმა რაკი ვერ მიიმხრეს, გადაუწვეს და აუწიოკეს სახლ-კარი, გადაუკაფეს ვენახები და საქონელიც წაუსხეს. ა. რუსის ჯართან დარჩა და ძალიან უწყობდა ხელს აჯანყების ჩაქრობას. ნიშნად მადლობისა მეფის მთავრობამ მას პირდაპირ კაპიტნობა უბოძა, ხოლო მის ორ მოსწრებულ ვაჟს დავითსა და შერმა-

ზანს პრაპორშჩიკობა. 7 წელი იყო ა. თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავად, მერე 6 წელი ითვლებოდა სიღნაღის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად. 1826 წ. 7 მარტს ივანე აფხაზი თავისი სამი შვილით (მესამე ვაჟი იყო დიმიტრი[8]) თავადის წოდებაში ღაამტკიცეს, 1832 წ. ებოძა მაიორობა. გარდაიცვალა 1847 წ. 16 ივლისს (Архив канцелярии наместника, связка 2590, საქმე № 7)

ივანე აფხაზის მამას შერმაზან აფხაზს ბრალად დასდეს ლევან ბატონიშვილის მოწამვლა (პუპლია ორბელიანი. — წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის. წ. I. 1914. გვ. 19). საისტორიო მოამბე, 1925. I, გვ. 251—255.

შერმაზან აფხაზი მოუკლავთ ante 1782 წ. 22 ივნისისა. ივანე აფხაზისა და მისი შვილის დიმიტრის ნაქონი „ქილილა და დამანა" გადაწერილი 1810 წ., წილად ერგო დიმიტრის 1848 წ. შემდეგ იგი ი. ჭავჭავაძემ შესწირა წერა-კითხვის საზ-ბას № 32 (Е. Такайшвили, Описание рукописей т. I, вып. 2, გვ. 288).

ივანეს შვილი დიმიტრი 1851 წ. 27 თებერვალს აირჩიეს «КОСХ»-ოს ნამდვილ წევრად («Кавказ» 1851. № 18). ივანეს უფროს ვაჟს შერმაზანს ცოლად ჰყავდა ანასტასია ერეკლეს ასულისა და რევაზ ერისთავის ქალი თამარი. შერმაზან გარდაიცვალა 1830 წ. 18 დეკემბერს. დარჩა ორი ვაჟი—ალექსანდრე და ნიკოლოზი.

ნიკოლოზ შერმაზანის ძეს ცოლად ჰყავდა ილია ჭავჭავაძის და ნინო გრიგოლის ასული ჭავჭავაძე (S — 62. 93v—94r).

აფხაზი ნიკოლოზ. მხატვარი: მამა გენერალ ივანესი (იხ.), შტაბსკაპიტან შანშესა (იგივე ეგორ, რომელიც მოკლეს 1826 წ. ლეკებთან ბრძოლაში) და შეთქმულის — ანტონისა (იხ.).

პლ. იოსელიანის ცნობით, გიორგი XIII-ის ცოლს მარიამს მწიგნობარმა ისაკ კანდელაკმა 1783 წელს მიართვა დაუჯდომელი, რომელშიაც იყო „მხატვრობები მშვენივრად ნახატნი ოქროსა და ვერცხლის ვარაყითა", წიგნის ბოლოს კი ეწერა: „დედაო ღვთისა, მადიდე სულითა მ ხ ა ტ ვ ა რ ი სახეთა შენთა ნ ი კ ო ლ ო ზ". ამ მხატვრის შესახებ პლ. იოსელიანი წერს: „გამოვიძიე ვინაობა მხატვრისა ამის და ვჰსცან, რომელ იყო იგი თ ნიკოლოზ აფხაზი, რუსეთსაც მეფისაგან სხვათა თანა დესპანთა წარგზავნილი, მამა ღენმაიორის ივან ნიკოლაიჩისა" (ცხოვრება გიორგი XIII-სა. 1895, გვ. 99—100).

---

[8] დიმიტრი შემდეგში ივ. კერესელიძემ თავის „ცისკარში" შეაქო როგორც გამრჯე მემამულე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეჯან დედოფლის დავალებით ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესიის კანკელი, განაახლა ანანურის ეკლესიის კედელზე ძველად დახატული 13 ასურელ მამათა ხატნი (იქვე, გვ. 321).

ნიკოლოზ აფხაზის რუსეთში ნამყოფობა მტკიცდება 1784 წ. 29 სექტემბრის ერეკლე II-ის ერთი განჩინებითაც. ეს საბუთი იძლევა მასალას ნიკოლოზ აფხაზის პიროვნების შესახებაც:

„როჭიკაშვილს გლახას და ბეციას თავის განაყოფის როჭიკაშვილის ედიშერ ნაზირის სასახლის წყალობა რომ უყავით აქ, ქალაქში, ეს სასახლე როჭიკაშვილის ედიშერის შვილებს აფხაზის ნიკოლოზ მხატვრისათვის მიეყიდნათ რუსეთში. ჩვენ რუსეთიდამ ქართლში მამულს არავის გავასყიდვინებთ და არც სამართლით გაისყიდება. მაგრამ რადგანაც ეს აფხაზი ნიკოლოზ ჩვენგან დაბარებული იყო რუსეთიდამ და ჩვენ მოვიყვანეთ, ამისათვის რომ ქვეყნისთვისაც და ეკლესიებისთვისაც შასამატი იყო, ამისის მიზეზით ეს ნასყიდობა აღარ მოუშალეთ და რომელიც სახლები გლახა როჭიკაშვილს ჩვენგან მიცემული ჰქონდა წყალობით, ის სახლები ისევ ჩამოვართვით და აფხაზს მხატვარს ნიკოლოზს მივეცით, რადგანაც ნასყიდიც ჰქონდა და სამხატვრო ადგილიც იყო“ (საქ. ც. ა. ფ. 1450, დავით. 12, № 37).

ერეკლე II-ს ნიკოლოზ აფხაზი რუსეთიდან დაუბარებია, რადგან „ეკლესიებისთვისაც შასამატი იყო“. ჩანს, ერეკლე აპირებდა მის მხატვრად გამოყენებას.

1800 წ. 23 მაისს გიორგი XII-მ „ჩვენს მრავალრიგად ნამსახურს კნიაზს აფხაზს მხატვარს ნიკოლოზს“ და მის შვილებს „იოანეს და შანშეს“ უბოძა ანჩისხატის ქუჩაზე „კურთხეულის ბატონის მეფის მამის ჩვენის სახაბაზო“ (საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. 12. საბ. № 22).

იგივე ნიკოლოზ აფხაზი უნდა იყოს ისიც, რომელზედაც გრ. ორბელიანი წერს თავის დღიურში: „გავიარეთ ანანური, სადაარს ციხესა შინა აღშენებული მშვენიერი საყდარი... და კანკელი არს შეწირული არაგვის ერისთავის ჯიმშერისა მიერ... მეფობასა ქართლსა შინა თეიმურაზისასა და კახეთს ირაკლის მხატვარი ყოფილა ვიღაც ნიკოლოზ, რომელსაცა კარგად დაუხატავს კანკელი ჩლნგ“ (1753) — (გრ. ორბელიანი, „მგზავრობა ჩემი ტფილისიდამ პეტერბურღამდის“. „მნათობი“, 1940, № 2, გვ. 71).

ალ. ხახანოვის მიერ მიტანილი 1788 წლის ერთი საბუთის შინაარ-

სით ირკვევა, რომ ნიკოლოზ აფხაზს მამა რომ მოკვდომია რუსეთში წასულა (А. Хаханов, Грузинские дворянские акты и родословные росписи. М., 1893, გვ. 20—22)

ნიკოლოზ აფხაზი ცოცხალია 1803 წლის იანვარში. ის ხელს აწერს საბუთს „კნიაზი ნიკოლოზ აფხაზი“ (საქართველოს სიძველენი, I, 474. № 405).

აფხაზი სალომე ქაიხოსროს ასული (1810—1889). ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის (იხ.) მეუღლე, ქაიხოსრო პაპუნას ძე წერეთლის — იმერეთის სარდლის — ქალი. ივ. აფხაზს მისთხოვდა 1826 წელს (ნ. ბერძენიშვილი. მასალები საქ. ეკონ. ისტ. წ. II. № 373).

ქაიხოსრო წერეთელი, პოლკოვნიკი, გარდაიცვალა 1828 წ. 28 ივლისს, ქუთაისს, დაასაფლავეს ჯრუჭს (Q—259. აღწ. I. 265).

„სალომე, კნეინა ღენერალ-მაიორი და კავალერის კნიაზის აფხაზოვისა, რომელიც დაქვრივდა მყოფი ოცდამეორისა წელსა ასაკისა მისისა 1831 წელსა, აგვისტოს 31-სა დღესა“ (S—1213. „ხელნაწ. აღწ“. S II. გვ. 102). ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზის (1831 წ.) გარდაცვალების შემდეგ სალომე მისთხოვდა იესე იოსების ძე ანდრონიკაშვილს. 1844 წლის საქმეში სალომე იხსენიება უკვე ანდრონიკოვად. „ყიზიყუმუხის ექსპედიციიდან რომ დავბრუნდი, გენ-მაიორ აფხაზის ქვრივი შევირთე.“ («Одиссея» Иесея Иосифовича Андронникова. ლიტერატურული მუზეუმი, დიმ. ჯორჯაძის არქივი, № 878/5, გვ. 42).

ყიზიყუმუხის კამპანია კი იყო 1842 წ. მაის-ივლისში, ე. ი. სალომე გათხოვილა 1842 ივლისის შემდეგ.

სალომე ანდრონიკოვისა იხსენიება ხელნაწ. S—1145. გვ. 271.

მაგრამ 1863 წ. 27 მაისს სიღნაღის მაზრის მემამულეთა შორის ხელს აწერს სალომე აფხაზოვისა.

სალომეს უფროსი და მარიამი ცოლად ჰყავდა გრიგოლ ივანეს ძე მუხრან-ბატონს.

სალომეს მეორე ქმარი ი. ი. ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 1863 წ. 10 ოქტომბერს, 62 წლისა (ვ. კარბელაშვილი, ანჩისხატის ტაძარი, გვ. 50. № 10).

სალომე აფხაზი გარდაიცვალა 1889 წ. 28 დეკემბერს, დასაფლავებულია ანჩისხატში.

აფხაზი სიმონ ნიკოლოზის ძე (? — 1877). ივანე შერმაზანის ძე აფხაზის შვილიშვილი. მამა მისი იყო ნიკოლოზ აფხაზი, დედა — ილია ჭავჭავაძის და ნინო გრიგოლის ასული.

სწავლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. სწავლა დაამთავრა 1876 წ. ჩაირიცხა ერევნის პოლკში. მიღებული ჰქონდა ჯარისკაცის წმ. გიორგის ჯვარი 27 სექტემბრისათვის.

1877 წ. 3 ოქტომბერს მოკლეს — თავში დაიჭრა. დასაფლავებულია წმ. სტეფანეს მონასტერში, კახეთში.

აფხაზი სოფიო, ნიკოლოზ გურამიშვილის ასული. დედა ივანე, ანტონ და გიორგი (იგივე შანშე) აფხაზებისა.

სოფიო ნიკოლოზის ასული გურამიშვილი, ნიკოლოზ აფხაზის მეუღლე იყო გიორგი XII-ის ნათლული. გიორგი XII-მ მისი თხოვნით ნიკოლოზ აფხაზს უწყალობა სახაბაზო ანჩისხატის ახლოს.

სოფიო უიმედოდ იყო ავად ,სჯეროდა, რომ მოარჩენდა წმ. სამების ხატი, მაგრამ 1795 წ. აღა-მაჰმადხანის შემოსევისას ეს ხატი დაიკარგა. მაშინ სოფიომ გამოიწერა რუსეთიდან სხვა ხატი და შეამკო ვერცხლით. „წმ. სამების მადლმა სოფიო მოარჩინა". ამის სამადლობლოდ 1808 წ. სოფიომ ჩხიკვთის წმ. სამებას შესწირა ანჩისხატის ახლოს მდებარე სახაბაზო დუქნით. 1816 წ. ეს დუქანი, როგორც ძველი, დაანგრიეს და 1830 წელს სოფიო აფხაზმა გადაწყვიტა ამ დაცარიელებულ ადგილზე აეშენებინა თავისთვის სახლი. საქმეში ჩაერია ეგზარქოსი, რომელმაც დაადგინა, რომ მიწა ანჩისხატსავე დარჩება, სოფიო ააშენებს აქ სახლს და გადაუხდის ანჩისხატს 1831 წლიდან ყოველწლიურად 5 მან.

1837 წლისთვის მას სამივე შვილი უკვე მკვდარი ჰყავს.

აფხაზი შერმაზან ივანეს ძე (?—1830). ივანე შერმაზანის ძე აფხაზის (გარდაიცვ. 1847 წ.) შვილი. 1812 წ. მამასთან ერთად მონაწილეობდა კახეთის აჯანყების ჩაქრობაში, რისთვისაც მას პროპორშჩიკობა მისცეს.

ცოლად ჰყავდა რევაზ ერისთავისა და ანასტასია ერეკლეს ასულის ქალი თამარი. ჰყავდა ორი ვაჟი ალექსანდრე და ნიკოლოზი.

შერმაზანის მეორე სახელი ყოფილა სიმონი. ეს ჩანს თ. ბარნაველის მიერ გამოქვეყნებულ „კახეთის ისტ. ძეგლების წარწერებიდან" „ქ. ძეო ღთისაო... განუსვენე მონასა შენსა თავადს სი-

მევონ აფხაზს, რომლისა საოხად შევამკვე ხატი ესე შენი და მე, მხევალმან შენმან და მეუღლემან მისმან თამარ ქსნის ერისთავის, რევაზის ასულმან წელსა 1831. აპრილის 9-ს". (გვ. 39. № 57).

შერმაზანი გარდაიცვალა 1830 წ. 18 დეკემბერს.

მისი ქვრივი თამარი ორი ვაჟით ცხოვრობდა თავის მამამთილთან, ივანე აფხაზთან. (ფ. 16 (152) საქმე 4392).

თამარის დედა ანასტასია, პეტერბურგში გადასახლებული, სთხოვს როზენს, რომ მის შვილს დაუნიშნონ პენსია (იქვე, ფ. 14). 1837 წ. 10 მაისს როზენი წერს, რომ შერმაზან აფხაზის ქვრივს დაენიშნა პენსია (იქვე, ფ. 16).

ახვერდოვი ალექსანდრე ისაის ძე (1762—1810). პოლკოვნიკი, ყიზლარის კომენდანტი და ყიზლარის გარნიზონის პოლკის შეფი. 1804 წ. 42 წლისაა, აქვს სახლი ყიზლარში.

ფორმულარის მიხედვით, წერს და კითხულობს რუსულად და ქართულად. ფლობს ენებს: ქართულს ,თათრულს, სომხურს და თურქულს.

1774 წ. იყო ყიზლარის საველე ბატალიონის ჯარისკაცი, 1779 წ. — პრაპორშჩიკი, 1794 წ. — სეკუნდ-მაიორი, 1801 წ. — ყიზლარის კომენდანტი, 1802 წ. — ბატალიონის შეფი, 1803 წ. — მაიორი, მსახურობდა ბაქოში, 1796 წ. — აწარმოებდა მოლაპარაკებს ალამაჰმადხანთან დერბენდის დატოვებაზე. 1810 წ. — პოლკოვნიკი, ქალმუხი ხალხის მთავარი პრისტავი, 1794 წ. 26 მარტს ალ. ახვერდოვი გენ. გუდოვიჩმა მიავლინა გარსევან ჭავჭავაძესთან გეორგიევსკში ალ. ახვერდოვი გარსევან ჭავჭავაძესთან იყო პრისტავად.

ნ. ნ. მურავიოვი ხშირად ახსენებს თავის მოგონებებში „სონიუშკას ბიძაშვილს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ახვერდოვს".

სოფიო თევდორეს ასული ახვერდოვა—იყო მურავიოვის პირველი ცოლი. თევდორე ახვერდოვი ალექსანდრე ახვერდოვის ძმა იყო. ნ. ა. ახვერდოვი კი მისი ვაჟი.

ალექსანდრე ახვერდოვი თან წაყვა გარსევან ჭავჭავაძეს პეტერბურგში 1794 წელს. დასაწყისში ახვერდოვი გ. ჭავჭავაძესთან ერთად ერთ სახლში ცხოვრობდა, მაგრამ როცა გარსევანი გადაიყვანეს ცალკე ბინაზე, ახვერდოვმაც თავისთვის იქირავა ბინა, რის ქირასაც გ. ჭავჭავაძე იხდიდა, სამი თვის გასავლის შემდეგ გარსევანმა ქირის ძლევა შეუწყვიტა და ახვერდოვმაც საგარეო საქმეთა კოლეგიაში ითხოვა გადაეხადათ მისი ბინის ქირა.

1795 წ. იანვარში ახვერდოვი გაიგზავნა პეტერბურგიდან გენ. გუდოვიჩთან გეორგიევსკში. 1810 წლის შემდეგ საბუთებში ალარ ჩანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახვერდოვი თევდორე ისაის ძე (იგივე პაპულაშვილი) 1774—1820). ცხინვალელი სომეხი. როგორც სეკუნდმაიორის შვილი 1788 წ. მიიღეს საარტილერიო კადეტთა კორპუსში, 1791 წ. ის შტიკ-იუნკერია, ხოლო 1793 წ. აუდიტორის წოდებით ამთავრებს სასწავლებელს. იმავე წელს გარდაქმეულ იქმნა ფლიგელადიუტანტად და ჩაირიცხა გენერალ-ფელდცეხმეისტერის თ. ზუბოვის შტაბში. 1796 წ. კაპიტანის ჩინით ა. მონაწილეობს ზუბოვის მიერ მოწყობილ ირანის ლაშქრობაში; 1798 წ. პოდპოლკოვნიკის ჩინით მივლინებულია ციმბირის გუბერნიებში გვარჯილის საძიებლად. 1799 წ.—პოლკოვნიკია, 1800 წ.—აწყნარებს ყაბარდოელთა აჯანყებას. 1803 წ. ინიშნება საქართველოში მე-9 საარტილერიო ბატალიონის სარდლად. 1804 წ. მონაწილეობს განჯის იერიშსა და აღებაში. 1807 წ. 18 ივნისს, როცა ის მეთაურობდა მე-9 საარტილერიო ბრიგადას, ხელი შეუწყო მდ. არპაჩაიზე სკრასკირ იუსუფ-ფაშას დამარცხებას. 1807 წ. ინიშნება საქართველოს მმართველად. 1808 წ. იღებს გენ-მაიორის ჩინს, რუსეთ-ირანის ომის დროს 1812 წ. მოლაპარაკებას აწარმოებდა დაზავების შესახებ აბას-მირზასთან. მეორედ ის გაგზავნეს სპარსეთის ვეზირთან მოსალაპარაკებლად არაქს იქით. ორივე ჯერზე მას თან ახლდა საელჩოს მდივანი ფალავანდოვი. 1811 წელს გაათავისუფლეს საქართველოს მმართველის თანამდებობიდან. „1812 წ. კავკასიაში გამწესებულმა რტიშჩევმა თან წაიყვანა გენ-მაიორი ახვერდოვი, საქ-ოს ყოფილი მმართველი, ცხინვალელი სომეხი, გვარად პუპულაშვილი». (Brosset, Histoire de la Géorgie, ტ. II. ნაწ. II, გვ. 302; მასალები დავით ბატონიშვილისა... გვ. 106). 1816 წ. ქართული კორპუსის არტილერიის უფროსია.

გარდაიცვალა 1820 წ. 25 აპრილს. დასაფლავებულია სიონის ტაძრის სამხრეთში.

ა-მ ორჯერ იქორწინა — პირველად ნატალია გრიგოლის ასულ ჯუსტინიანზე, ხოლო მეორედ — გენერალ-მაიორ არსენიევის ქალზე — პრასკოვია ნიკოლოზის ასულზე.

ახვერდოვა ნატალია გრიგოლის ასული (1783—1811). გენ-მაიორის თ .ი. ახვერდოვის (იხ.) პირველი მეუღლე. მისი გვარია ჯუსტინიანი. გარდაიცვალა 1811 წ. 25 მაისს 28 წლისა. დარჩა ქმარი, დედა, ორი ქალი და ვაჟი.

დასაფლავებულია სიონში (Brosset, Voyage II, rapp. V, 40).

ნ. ახვერდოვასა და თ. ი. ახვერდოვის ერთ-ერთი ქალიშვილი — შემდეგში ნ. ნ. მურავიოვის მეუღლე; მეორე ქალი ნინა იყო ცოლი ანდრეი ბორისის ძე გოლიცინისა (გარდ. 1828 წ.).

ვაჟი ეგორი ხშირადაა ნახსენები ნ. ნ. მურავიოვის მოგონებებში „ცოლისძმა ჩემი ეგორ ახვერდოვი". ეს ეგორი, პოდპორუჩიკი, 1833 წ. თებერვალში იყო მიმრქმელი სოლომონ დოდაშვილის ვაჟის კონსტანტინესი. ალ. ორბელიანის ჩვენებით, შეთქმულნი აპირებდნენ ეგორის დაყენებას ყარაულად ციხეში აჯანყების შემთხვევაში.

ახვერდოვა პრასკოვია ნიკოლოზის ასული (? — 1851). მეორე ცოლი გენ.-მაიორ თ. ი. ახვერდოვისა, (იხ.) თვით იყო გენ.-მაიორ არსენიევის ქალი. თ. ახვერდოვისაგან ჰყავდა ერთი ქალი დარია თეოდორეს ასული, გათხოვილი ხარლამოვზე, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას აღმზრდელი.

დარია თეოდორეს ასული ხარლამოვასაგან მიიღო პ. ბარტენევმა უფლება გამოექვეყნებინა ა. ს. გრიბოედოვის წერილები, მიწერილი მის დედასთან—პრასკოვია ახვერდოვასთან. წერილები დაბეჭდილია «Русский Архив», 1881 II, 77.

ბაგრატ ბატონიშვილი. იხ. გვ. 186.

ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე (1746—1826). შვილიშვილი იესე მეფისა. იესემ თავისი დედის (თინათინ გიორგის ასული ავალიშვილის) ბიძას 90 წლის ქაიხოსრო ამირეჯიბს წაართვა ცოლი — მარიამ ერასტის ასული ორბელიანი, რომელიც იესე მეფის ბებიის (როდამ ყაფლანის ასულის) ძმის (ვახტანგის) შვილიშვილი იყო. (ვახუშტი).

იესესაგან მარიამს ეყოლა ვაჟი გიორგი (საქ. სიძვ. II, 342), 1715 წ. იესემ მიატოვა მარიამი და ცოლად შეირთო ერეკლე ნაზარალიხანის ასული ელენე. გიორგი დედასთან ერთად დასახლდა ქვემო ქართლს, სოფ. სამტრედოს, რომელიც ერასტი ორბელიანმა მზითვად გაატანა თავის ქალს მარიამს. 1736 წელს მარიამი და ბატონიშვილი გიორგი ყიდიან სოფ. სამტრედოს (საქ. სიძვ. II, № 342). გიორგიმ ცოლად შეირთო თამარ ციციშვილი, რომლისგანაც 1746 წელს ეყოლა დიმიტრი ბაგრატიონი.

გიორგი ბატონიშვილი შემდეგ ისტორიაში აღარ ჩანს.

დიმიტრი იმყოფება თავის ბებია მარიამთან. მასთან ერთად უნდა რუსეთს გადასახლება 1766 წელს.

მოსკოვის ობერ-კომენდანტი ათანასე ბატონიშვილი საგარეო საქმეთა კოლეგიის გამგეს პანინს წერილობით ატყობინებს, რომ მდივანბეგ ერასტი ყაფლანიშვილის ასული მარიამ მეორე კანონიერი ცოლი იყო იესესი და აღიარებდა კათოლიკეთა სარწმუნოებას. მისი შვილიშვილია დიმიტრი იაგორის ძე, რომელიც ბებიასთან ერთად იმყოფებოდა ყიზლარში 1766 წელს. ასტრახანის გუბერნატორმა დიმიტრი გაუშვა მოსკოვს ნათესავებთან, მარიამი კი ასტრახანში დარჩა. მოსკოვს ჩასულმა დიმიტრიმ ითხოვა: ბებიასაც მიეცით ნება აქ ჩამოსვლისაო. 1767 წ. 16 ივლისს ბებიამ მიიღო დიმიტრისთან ჩასვლის უფლება, შვილიშვილმა კი — ჯარში შესვლისა: სათანადო ჩინით.

საგარეო საქმეთა კოლეგიის მოხელეს აბაზაძეს ადრევე ჰქონდა მინდობილი მარიამის თხოვნის გამო დასკვნის მიცემა. აბაზაძის სიტყვით მარიამი არ ყოფილა იესეს კანონიერი ცოლი. ასეთი იყო ერეკლე I-ის ასული და თეიმურაზის და ბეგუმი, რომელსაც იესესაგან ეყოლა ანტონ I. იესეს სიკვდილის შემდეგ ბეგუმი შედგა მონაზვნად, წავიდა რუსეთს და ბაქარის სახლში ცხოვრობდა, იქვე გარდაიცვალაო. მარიამს კი დედოფლად არავინ სცნობდაო. ამის შემდეგ საქმეში ჩაერია ათანასე ბატონიშვილი (იას. ლორთქიფანიძე, მასალები საქ. ისტორიისათვის, „მასალები", 1940. ნაკვ. II. გვ. 20).

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში" (II, გვ. 158) ბერი ეუბნება დიმიტრი ბაგრატიონს: „პაპაშენი თათარი იყო და მამათქვენი ხარჭთან შვა. ქართველი მეფეების ბუში რომ მეფის ძედ არა გვწამს, თათრის ბუშს ვინ იწამებდა? და აქ იმის შვილს ვინ გადმოჰყვებოდა? „თქვენც მაშინ გამოგაბრძანესთ", როცა პაატა სიკვდილით დასაჯესო. მართლაც პაატას შეთქმულება გამომჟღავნდა 1765 წელს, დიმიტრიც თავის დედა მარიამით ყიზლარს არის 1766 წელს.

იოანე ბატონიშვილი ასე ახასიათებს დიმიტრი ბაგრატიონს: „დიმიტრი ბაგრატიონი, შვილიშვილ იესე მეფისა მხევლისაგან, ორგულობისათვის გაძევებული, მოვიდა მოსკოვს, ისწავლა რუსული, არს კარგი მთარგმნელი, რომელმანცა თარგმნა რამოდენიმე წიგნი და არის კარგი მესტიხე, რომელმაც აღწერა შაირად წმინდის დედოფლის ქეთევანის ცხოვრება" („კალმასობა").

დიმიტრი ბაგრატიონს თავის მამიდის, მეფის ქაიხოსროს ასულის, ანნას თხოვნით უთარგმნია ქართულად ოქროს აღნაქვსი სამოელ რაბინ იუდიანისა (H — 2224).

დიმიტრიმ 1791 წ. ცოლად შეირთო დიმიტრი ციციშვილის ქალი მარიამი, რომლისგანაც ეყოლა ორი ასული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი გარდაიცვალა 1826 წ. დასაფლავებულია ვსესვიატსკოეში.

1819 წ. ოვანესიანის სტამბაში დაიბეჭდა მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“. მისი ლექსები თავმოყრილია H ფონდის № 1127 ხელნაწერში.

ბაგრატიონი თეიმურაზ დავითის ძე, სოლომონ I-ის ძმის ბაგრატის შვილის დავითის ძე. დავით ბაგრატის ძე მოკლეს იმერეთის აჯანყების დროს 1820 წ. „დაესხნენ თავს და მოჰკლეს დავით ბაგრატოვანი, დიდის მეფე სოლომონის ძმისწული, ბაგრატის შვილი“ (ნ. დადიანი, ცხოვრება ქართველთა; Е. Такайшвили, Опис. т. I, в. I. стр. 50).

თეიმურაზი იყო დისწული იმერეთის დედოფალ მარიამისა (ორბელიანისა).

1841 წ. ის პორუჩიკია; არ სარგებლობს არც თავადის უფლებებით და არც ბაგრატიონის გვარს ატარებს (ფ. 16, საქმე 6526. ფურცელი 7).

1841 წ. აგვისტოში მას დაუბრუნეს თავადის ტიტული და ბაგრატიონის გვარი (საქ. ც. ა. ფ. 16. საქმე № 6526).

ბაგრატიონი რევაზ//რომან ივანეს ძე (? — 2.III.1834). გენერალ-ლეიტენანტი.

პეტრე ბაგრატიონის (ბოროდინოს გმირის) ძმა. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაზე უჩვენებენ, რომ „სენატორმა ერისთავმა ეს სიტყვები თქვა არწრუნის სახლში, სადაც დღეს დგას გენ-ლეიტენანტი ბაგრატიონი“ (რვ. XII. 2379). ეს ის სახლია, სადაც წინათ ქართული თეატრი იყო, ახლა კი გრიბოედოვის თეატრია. ამ სახლში, ბაგრატიონის ბინაზე, 1832 წ. 21 იანვარს დადგეს მოყვარულთა სპექტაკლი ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ (ამ სპექტაკლის აღწერილობა იხ. „ტიფლისკი ვედომოსტი“, 1832 № 3).

ს. ა. ტუჩკოვის მოგონებით 1805 წ. როდესაც პეტრე ბაგრატიონი უკვე სახელგანთქმული გენერალი იყო, მისი ძმა მასთან მსახურობდა პოლკში კაპიტნად. კაპიტანი ბაგრატიონი ცოლიანი იყო და არ ესწრაფოდა მაღალ ხარისხებს, თუმც იყო საკმარისად მამაცი და კარგი ყოფაქცევისა. სამსახურიდან გადადგა მაიორის ჩინით და მალე დანიშნეს ქ. სტავროპოლის უფროსად (Русский Вестник, 1906. июль. стр. 345—46).

ბაგრატიონი როსტომ. იმერეთის 1820 წლის აჯანყების დროს, როსტომ ბაგრატიონი იმყოფებოდა დავით ბატონიშვილთან, იმალებოდა სხვადასხვა ადგილებში და გაურბოდა დაჭერას. ბოლოს თვითონ გამოცხადდა, ჩაიცხეს რიგით ჯარისკაცად სუმის გუსართა პოლკში, საიდანაც განთავისუფლდა 1829 წელს, მაგრამ ეკრძალებოდა საქართველოში დაბრუნება. (ფონდი 16. № 6524).

მარიამ კაციას ასული (სოლომონ II-ის ქვრივი) სიკვდილის წინ სთხოვდა იმპერატორს, მიეცა ნება სამშობლოში დაბრუნებისა იმერელ როსტომ ბაგრატიონისათვის, რომელიც მასთან ცხოვრობდა. იმპერატორმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა (ფ. 16. № 6524).

ბაგრატიონ-იმერეტინსკები. სახელმწიფო საბჭოს 1804 წ. 12. IX-ისა და მინისტრთა კომიტეტის 1812 წ. 26 მარტის დადგენილებით „ბატონიშვილები — ქართველ მეფეთა ვაჟიშვილები — თვით ინარჩუნებენ ბატონიშვილის (ცარევიჩის) ტიტულს, მათი შვილები კი უნდა იწოდებოდნენ თავად გრუზინსკებად. იმერეთის ბატონიშვილთა შვილები კი თავად იმერეტინსკებად“.

მაგრამ ბატონიშვილების ზოგი შვილი მაინც უწოდებდა თავს ბატონიშვილს, ამიტომ მინისტრთა კომიტეტმა 1833 წ. 1 აპრილს ხელახლა დაადგინა, რომ „ბატონიშვილების შვილები არ იწოდებოდნენ იმ ტიტულით, რომელიც მათ არ ეკუთვნით“.

ნიკოლოზ I-მა გამონაკლისი დაუშვა სოლომონ I-ის შვილიშვილებისათვის — ალექსანდრესა და დიმიტრისათვის და ნება დართო, რომ მათ ეტარებინათ გვარი ბაგრატიონი იმერეტინსკის მიმატებით.

კონსტანტინე დავითის ძის ჩამომავლობა კი იწოდებოდა თავად იმერეტინსკად, მათ ჰქონდათ ტიტული „უგანათლებულესი თავადისა“ (Светлейший князь Имеретинский).[9]

სოლომონ I-ის ვაჟს ალექსანდრეს ჰყავდა უკანონო შვილი გიორგი ბუში (1765—1807), რომელიც სოლომონ I-მა იშვილა (აქტები, III, 129), (გიორგის ავტობიოგრაფია იხ. „მოამბე“, 1900. № 5). გიორგის ცოლად ჰყავდა დარეჯან, როსტომ ერისთავის (ბერეჟეულელის) ასული. დარეჯანი შვილებით ალექსანდრე და დიმიტრით 1811 წ. რუსეთს გაასახლეს. დარეჯანი იწოდებოდა

---

[9] ეს შტო იმერეტინსკებისა შეწყდა 1900 წ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკის (ვარშავის კომენდატის) სიკვდილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედოფლად („ცარევნა“). გარდაიცვალა 1816 წ. დასაფლავებულია პეტერბურგს.

მათი უფროსი ვაჟი ალექსანდრე (შემდეგში ბაგრატიონ-იმერეტინსკი) დაიბადა 1796 წ. 1811 წ. გაამწესეს ლეიბგვარდიის ულანთა პოლკში, გარდაიცვალა 1862 წ. კავალერიის გენერალ-ადიუტანტის ჩინით, უცოლშვილო. დასაფლავებულია ლაზარევის სასაფლაოზე.

ალექსანდრე გიორგის ძე **ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ** თავისი ქონება (82. 738 მან. კაპიტალი) ანდერძით ძმისწულებსა და სხვა ნათესავებს დაუტოვა; ქონების ნაწილიდან კი 1308 მან. დაუტოვა იერუსალიმის მაცხოვრის საფლავის ტაძარს თავისიანების მოსახსენიებლად (სოლომონ I-ის, მისი ცოლის გულქანის, ვაჟის ალექსანდრეს, შვილიშვილის გიორგის და გიორგის შვილების). 300 მან. მოწამეთას — დავით და კონსტანტინეს — მონასტერს. 1750 მან. ქუთაისის ციხეში ვალებისათვის დაპატიმრებულთა გამოსასყიდად.

ალექსანდრეს უმცროსი ძმა **დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი** დაიბადა 1799 წ. 1811 წ. მიაბარეს პაჟთა კორპუსში. იყო ლეიბ-გვარდიის გროდნოს ულანთა პოლკის უფროსი, ჰქონდა გენ.-მაიორის ჩინი. 1842 წ. ცოლად შეირთო გრაფ ვალერიან სტროინოვსკის ქალი ოლგა, რომელსაც მზითვად მოჰყვა დიდი მამული ვოლინის გუბერნიაში. მისგან დიმიტრის 1843 წ. ეყოლა უფროსი ვაჟი ალექსანდრე, 1846 წ. სიკვდილის შემდეგ გაჩნდა დიმიტრი (ეს დიმიტრი ახალგაზრდობაში გარდაიცვალა უცოლო). თვით დიმიტრი გარდაიცვალა 1845 წ.

ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1843—1880). იზრდებოდა კადეტთა კორპუსში, 1861 წ. დანიშნეს კორნეტად ნარვის გუსართა პოლკში. 1879 წ. პოდპოლკოვნიკია. მსახურობს ორენბურგის სამხედრო ოლქის ჯარებში. შერყეული ჯანმრთელობის გამო სამსახურს ანებებს თავს 1879 წ. დეკემბერში და მიემგზავრება შვეიცარიაში, სადაც გარდაიცვალა 1880 წელს.

ცოლად ჰყავდა ლიდია ალექსის ასული როზონოვა, ქ. უფის ქალთა გიმნაზიის გამგე. ჰყავდა ქალ-ვაჟი—ოლგა (დაბად. 1876 წ.) და ალექსანდრე (დაბად. 1879 წ). ლიტერატურა: Н. Юдин. Судьба князей Багратионов-Имеретинских в России (Русский Архив 1897. 10. с. 299—311).

ბაგრატიონი (ბაგრატიონ-დავითაშვილი) სოლომონ შანშეს ძე. ამათი ოჯახი ცხოვრობდა ს. ხელთუბანს. 1804 წ. მეფის მთავრობამ 30 ქართველი შეიპყრო და ჩასვა ნარიყალას ციხეში, ამათ შორის იყო „სოლომონ, შანშე მილახვრის ძე, დავითის შვილი, თავადი". ამან ლურსმნით გამოთხარა კედელი და პატიმრები გამოაპარა (ბაგრატ ბატონიშვილი, § 58, გვ. 88).

სოლომონ ბაგრატიონ-დავითაშვილი საქართველოდან გაიქცა თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად (1803 წლის თებერვლის უწინარეს); შემდეგ მიაღწია ალექსანდრე ბატონიშვილთან; ბაბახანის მოთხოვნით გაგზავნეს თეირანს. აქედან ბატონიშვილმა ალექსანდრემ გაგზავნა ის იულონ ბატონიშვილსა და მეფე სოლომონთან; მაგრამ თრიალეთზე ლეკებმა შეიპყრეს, აქედან ის გაემგზავრა იმერეთს (საქ. ც. ა. ფ. 2/8, საქმე 105 ფურც. 642—647), სადაც ხელთ იგდო სახლთუხუცესმა წერეთელმა. სოლომონ მეფის კაცების თანხლებით იგი ვახანის ციხეში მოიყვანეს, ხოლო 1804 წლის ივლისში სურამში გადმოიყვანეს (აქტები, II, № 781).

სოლომონს (ზოგჯერ ის შანშიევად არის მოხსენიებული) მოჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები სოლომონ მეფესა და ბატონიშვილებთან და შაჰის ფირმანი — ქართლის თავადებისადმი, რომელშიაც ალექსანდრე ითხოვდა მათგან დახმარებას, როცა სპარსეთიდან ჯარით გამოჩნდებოდა (აქტები, II, № 217).

სოლომონი 1806 წ. თავდებით გაათავისუფლეს (ფ. 2/8. საქმე 105. ფ. 642).

ბაგრატიონ-მუხრანსკი ერმი სიმონის ძე. 1804 წ. ციციანოვის ერევანზე ლაშქრობისას სპარსელებს ჩაუვარდათ ტყვედ. იქიდან სწერს წერილს დედას — ბეგუმს.

1832 წ. 16 მარტს „კაპიტანი თ. ერმი ბაგრატიონი" ხელს აწერს (№ 7-ეთ) მოწმობას, რომ დავით ერისთავი გარდაიცვალა 1830 წლის 12 აგვისტოს.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ვახტანგ დავითის ძე. 1892 წ. 25/VIII-ს № 180 „ივერიაში" ესტატე ბაგრატიონ-მუხრანსკი იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი ძმა ვახტანგ დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, ნამდვილი „სტატსკი სოვეტნიკის" ჩინით.

ვახტანგი შვილიშვილია ქეთევან ბატონიშვილისა (ირაკლი II-ის ასულისა). მამა მისი დავით ივანეს ძე 1835 წ. იყო დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

ამ ხანებში ვახტანგი და მისი მომდევნო ძმა ნიკოლოზი სწავლობენ ხარკოვში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა ვახტანგისა იყო სოლომონ არღუთაშვილის ასული სოფიო, რომელიც გარდაიცვალა 1834 წ. 30 ოქტომბერს. ა. ნატროშვილს ეს სოფიო შეცდომით მოხსენიებული ჰყავს ივანეს მეუღლედ (Мцхета и его собор Светицховели... გვ. 332), ივანეს ცოლი კი იყო ნინო, ლევან დადიანის ასული.

ვახტანგს ჰყავდა კიდევ ძმა დიმიტრი, რომელიც 1865 წ. კავკასიის კალენდარში იხსენიება როგორც თბილისის გუბერნიის საამშენებლო კომისიის ინჟინერ-პოდპოლკოვნიკი, სამუშაოთა უფროსი.

დიმიტრი და ნიკოლოზი ვახტანგის სიკვდილის ჟამს, 1892 წ., როგორც შეიძლება ვიფიქროთ სამგლოვიარო განცხადებიდან, აღარ ყოფილან ცოცხალნი.

ბაზლაძე იოანე რომანის ძე. ყიზლარელი. 1809 წ. გუბერნსკი სეკრეტარი პეტერბურგში (H — 2203). 1816 წ. თარგმნა სომეხთა ლიტურლიის წესი (H — 2103); 1817 წ. პეტერბურგშია ტიტულარნი სოვეტნიკი (H — 2213); 1823 წ. „ინასტრანი კოლეღიის პერეოდჩიკი„ ს-პბურგს (H 2105); 1824 წ. „პერეოდჩიკი“ (H 2221).

ბაიკოვი ივანე ივანეს ძე. გენ-მაიორი. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარე. ჩვენებებს ართმევდა 1833 წ. 29 მაისს ვახტანგ ორბელიანს (საგამომძიებლო საქმე, რვ. XVII. ფ. 3188).

ი. ი. ბაიკოვი, აზნაური, სამსახური დაიწყო 1797 წლიდან პოდპორუჩიკად. 1808 წ. არტილერიის ბრიგადირია. 1812 წ. პოდპოლკოვნიკი. 1818 წ. გენ-მაიორი. 1829წ. — Начальник счетного комитета. 1831 წ.—Начальник грузинских линейных батальонов. 1834 წ.—გენ.-ლეიტენანტი კავკასიის კორპუსისა. 1837 წ. სამსახურიდან გადადგა.

ბანცურიშვილი იოსებ ანდუყაფარის ძე. აზნაური; რუსულ საბუთებში მანსუროვი. ამისი მამა ანდუყაფარი იყო გიორგი მეფის ფარეშთუხუცესი და მარიამ დედოფლის სუფრაჯი (საქ. ც. ა. 2226, № 1009).

1801 წლის 9 მარტს რუსეთში გაემგზავრა ბატონიშვილი მიხეილი (H — 2810; S — 5082). მას თან ახლავს იოსებ ანდუყაფარის ძე.

1803 წ. 22 ივნისს მარიამ დედოფალი ბელგოროდიდან პეტერბურგში ბატონიშვილ მიხეილს უგზავნის წერილს, რომელშიაც დაშიფრულად წერს „ოსე ანდუყაფარის შვილს გამოვატანეთ არზი ჭელმწიფეს, ჭელმწიფის დედას, სინოდებს და ქუჩიბოვს“ (კოჩუბეის). აქედან ირკვევა, რომ ოსე ბანცურიშვილი 1801 წელს წასული რუსეთს, დაბრუნებულა საქართველოში და 1803 წელს ხელახლა წასულა — ახლა როგორც მარიამის მხლებელი.

1803 წ. VI—VII-ში შედგენილ მარიამ დედოფლის ამალის სიაში მე-12 ნომრად წერია იოსებ მანსუროვი (აქტები, II, № 125).

ბარათაშვილი ბარამ გერმანოზის ძე. ფარნაოზ ბატონიშვილის თანშეზრდილი, გადაჰყვა მას და იულონს იმერეთში 1801 (?) წელს.

1805 წ. 11 იანვარს დააპატიმრეს ციციანოვის განკარგულებით, 1806 წ. 4 აგვისტოს ისევ ციხეში იმყოფებოდა (ფ. 16. საქმე 293. ფ. 19).

1813 წ. ახლავს ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში (საქ. სიძვ. III გვ. 122).

მისი ძმისწულის ბარამ იოსების ძე ბარათაშვილის 1848 წ. თხოვნაში ნათქვამია: „ბარამ ბარათოვი არის სპარსეთში გარდაცვალებულისა ბარამ ბარათოვის ძმისწული“. „როცა მთავარმართებელმა ტორმასოვმა ბარამ სპარსეთში გაგზავნა, ინებეთ იმ დროის საქმიდამ და ღუბერნატორის საქმიდამ შეიტყეთ თავად ბარათოვის გვარის გამოცხადებით გაიგზავნა ბილეთით და ბაშფორთით თუ არა“ (საქ. ც. ა. ფ. 213. საქმე 693. გვ. 288).

გურამ ბარძიმის ძე ბარათაშვილის ჩვენებით 1814 წ., როდესაც ალექსანდრე ბატონიშვილი შატილში იმყოფებოდა, მასთან ერთ-ერთი მეთაურია ბარამ ბარათოვი.

იყო პოეტი. მის ლექსს „შენდა შეყრამდის ვით გასძლებს გული“ (დაბეჭდილი „ცისკარში“, 1852. № 9) ნიკოლოზ ბერძენოვის სიტყვით ქართველი მომღერლები ახლაც ასრულებენ სხვა სუფრის სიმღერებთან ერთადო (Кавказский календарь, 1869, с. 60).

არის ავტორი ლექსებისა: „ჰოი ვარდო, მოდი ნუ ინაზები“, „აფროდიტო ამობრწყინდი“, „ნუ მწვამ, მიჯნურო“, „ჰსცუალებენ ტაროსნი ჟამთა და დართა“ (S — 1512. გვ. 160—163). ლექსი „ეჰა მთიები მთენია“ (S — 1512, გვ. 310) — გამოქვეყნებულია (ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლიტ. ისტორიიდან. 1954, გვ. 227—228).

მას ეკუთვნის „ბჭობა გონებისა“, რომლის წინასიტყვაობაშიც ის განსაზღვრავს ამ წიგნის შინაარსს — „სწავლანი საზოგადოობა-

სა და კეთილაღრჩევითისა მოქალაქობისა"; წიგნს მიუძღვნის „უგანათლებულეს მეფის ძეს" (ფარნაოზს?) (S. 3732).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარათაშვილი დავით ზაქარიას ძე (ზაალის ძე) (1842—1901). დაიბადა 1842 წ. 28 იანვარს. დედამისი ანასტასია იყო ასული გრიგოლ ჩოლოყაშვილისა. მამა ზაალი (ზაქარია) — ცნობილი მემამულე. განათლება მიიღო გორიგორეცკის ინსტიტუტში, მაგრამ 1863 წ. პოლონეთის აჯანყების გამო აქ სწავლას თავი მიანება და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა.

„იყო მოყვარე თავის ქვეყნისა და ქველმოქმედი. ბეთანიას შესწირა 70 დესეტინა მიწა, 20 თუმანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ძეგლის ასაგებად. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოტანაც განჯიდან მისივე მეცადინეობით მოხდა. 300 თუმანი შესწირა ხონის საქალაბო სასწავლებელს" („ივერია", 1901. № 6. გვ. 2).

დავით ბარათაშვილი იყო პუპლია ორბელიანის ცოლის — კატინას ძმისწული. ელისაბედ ელიზბარ ერისთავის ასულის (გარდ. 1949 წ.) სიტყვით დიდი პატრიოტი და ილია ჭავჭავაძის მეგობარი. მისი მეუღლე იყო ციციშვილის ქალი, ძალიან ლამაზი; ჰყავდა ხუთი ქალი და ერთი ვაჟი ზალიკო.

დავით ბარათაშვილი ნარდს ეთამაშებოდა ხოლმე ხშირად ილია ჭავჭავაძეს (იაკობ მანსვეტაშვილი, მოგონებანი. 1936. გვ. 143—4).

ამას ეკუთვნოდა „ქართლის ცხოვრების" ე. წ. „ბარათაშვილისეული" ნუსხა. 1893 წ. გადასცა წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკას თავისი საგვარეულო საბუთები (უმრავლესობა დაიბეჭდა, საქართველოს სიძველენის" I ტომში, 1899) და „ქართლის ცხოვრების" ნუსხა (ე. თაყაიშვილი, Описание рукописей.. ტ. I. გვ. 204—5).

ბარათაშვილი (გოსტაშაბაშვილი) დავით ერასტის ძე (? — 1839) ახალგაზრდობაში ახლდა დავით ბატონიშვილს („მოამბე" 1895. VIII. 163).

იყო თბილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი იმ დროს, როდესაც სოლომონ II თბილისიდან გაიქცა. ამისათვის ის დამნაშავედ აღიარეს და სამხედრო კომისიის 1810 წ. 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით გადაასახლეს ომსკში, თავადობის ჩამორთმევით (A — 1580. ფ. 100). „მასალებში" და „ახალ მოთხრობაში" ეს დავით იხსენიება გოსტაშაბაშვილად და პერმში

გაგზავნილად („მასალები“, გვ. 89; „ახალი მოთხრობა“, გვ. 105—106).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რტიშჩევის წარდგინებით, იმპერატორის 1813 წ. 28 მაისის ბრძანებით მას ეპატია დანაშაული და გაათავისუფლეს იმ პირობით, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში (ფონდი 2/8. საქმე 302. ფურც. 297).

ცოლად ჰყავდა ბარბარე — დავით ბარათაშვილის ასული. ამათი ქალი კატინა იყო ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის მეუღლე. პუპლია ორბელიანი წერს 1813 წ.: „ჩემი სიმამრი ციმბირიდგან დაბრუნდა. დედას სამძიმარი უთხრა“ (S — 1659 ა., გვ. 8). სამძიმარი უთხრა პუპლიას დედას — თეკლეს მისი ქმრის ვახტანგ ორბელიანის მოკვლის გამო 1812 წ. კახეთის აჯანყებისას.

ბარათაშვილი ზაალ დავითის ძე (1781—1812). ჰქონდა მორდალის თანამდებობა. როგორც მორდალი, 1804 წ. „ტიტულარნი სოვეტნიკის“ რანგში აიყვანეს (აქტები, II, № 62).

ახპატის მემამულე. პირველ ცოლად ჰყავდა ანნა, ალექსანდრე მაყაშვილის ასული, მეორე ცოლად — გივი ამილახორის ასული ანა.

ახპატის ძელი ჭეშმარიტის მონასტრისათვის ამკობს ხატს და უკეთებს ასეთ წარწერას:

1807 წ. ოქტომბრის 10-ს „მივეც შესამკობლად... საქონებლად სახლსა შინა ჩემსა, დასაცველად სიჭაბუკისა ჩემისა და მეოხად, გამოხსნისათვის სულისა გარდაცვალებულისა მეუღლისა ჩემისა მაყაშვილი ალექსანდრეს ასულისა ანნასი და შემწყალებელად ცოცხლისა ფერცხლისა ჩემისა ამილახორის შვილის გივის ასულის ანნასი..“ „ზაალ დავითის ძე ზურაბიშვილი ტომოვნობით ბარათოვი, 26-სა წლისა, მ ე მ კ ვ ი დ რ ე დ ა მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ა ხ პ ა ტ ი ს წ მ ი დ ი ს ძ ე ლ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი ს მონასტრისა და გარემოთა მამულთა მისთა და სხვათა ადგილთა“ (Е. Такайшвили, Арх. экскурсии, вып. II, 1905. გვ. 3).

ზაალ მორდალი იღებს ალექსანდრე ბატონიშვილის 1804 წლის 11 აგვისტოს წერილს (აქტები, II, № 307).

მოჰკლეს ყმებმა ცოლ-შვილით 1812 წ. 13 აპრილს სოფ. ახპატში (საქმე ზაალ დავითის ძე ბარათოვის და მისი ცოლის გლეხებისაგან მოკვლის შესახებ. საქ. ცენ. ა. ფ. 16 (152), საქმე 1414 1416). ბარათოვის მოსამსახურე დიმიტრი შიოშვილმა და მოახლე მართამ უჩვენეს, რომ ისინი დაითათბირეს ბარათოვის ახპატელმა გლეხებმა აღალომ, ამისმა ძმისწულმა არუთინამ,ნაზყიდაშვილმა (?)

არუთინამ, გრიქორამ და ალავერდამ. ამათ გაუღეს კარები სახლისა, სადაც ეძინათ ბარათოვებს, შემოცვივდნენ ხანჯლებით, მოკლეს ჯერ ზაალი, მერე მისი ცოლი.

ეს დიმიტრი და მართა 3 დღე დარჩენილან სახლში არავისთვის არაფერი უთქვამთ, მერე კი შეშინებიათ და გაქცეულან ერევანს.

„მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის" — I წიგნში დაბეჭდილია 1813 წ. საბუთი — ხარჯის ნუსხა სათაურით „რაც უბედური ზაალისა და მეუღლის მისის ანას მიცვალებულთა ზედა რაც დახარჯულა, ამას ქვევით დაიბეჭდება" (გვ. 329).

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ახპატში მოკლული ზაალის გვამი ჩამოუსვენებიათ ახტალას.

ზაალს მოკვლის შემდეგ დარჩა დედა მარიამი, რომელმაც თავის მემკვიდრედ დანიშნა თავისი ქალის ბარბარეს — დავით დიმიტრის ძე გოშტაბაშვილის მეუღლის — ვაჟი ზაქარია. (ბარბარე იყო პუპლია ორბელიანისი სიდედრი — მისი ქალი კატინა პუპლიას მეუღლეა).

ეს ჩანს ბეთანიის ხატის წარწერიდან (1816. 8. XI): „შენ, ყოვლად წმიდისა დედისა მღვთისა ხატსა ბეთანიისასა, გკადრე მცირე ესე შემკობა გვირგვინისა დიმიტრის ძემ თავადმა დავით ბარათოვმა, მეუღლემან ჩემმან ზურაბისშვილის ასულმან ბარბარემ და ყრმამან ძემან ჩემმან ზაქარიამ, ბებიისა თვისისა — განსვენებულის ზაალის დედის მარიამის — მემკვიდრემან, საოხად ძეთა და ასულთა ჩემთათვის. ჩყივ. წ. გიორგობისთვის ᲩᲐ" (ბროსე, Voyage, V rapp. გვ. 9).

ზაქარია ბეთანიის ხატის სხვა წარწერაში წოდებულია „ალპატის მემკვიდრე ზაქარიად" — ამან დაიმკვიდრა ზაალ ბარათაშვილის მამული.

ბარათაშვილი ზაზა იესეს ძე. იესე ოსეს ძის მეორე ვაჟი. Советник Уголовной экспедиции Верховного Грузинского Правительства (АКАК, II, № 201. 120. 121). მისი უმცროსი ძმის დავითის განცხადებით იყო სახაზინო ექსპედიციის „სოვეტნიკი" (ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ. II. გვ. 8).

ზაზა ბარათაშვილს ცოლი მოუკვდა და ციციანოვის ნებართვით დამარხეს სიონში. ამას აცნობებს თბილისის კომენდანტი დავით დიმიტრის ძე საკაძე ოქტომბრის 1-ს (წელიწადის გარეშე) ზაზას (ს. კაკაბაძე, საისტ. კრებ. II, გვ. 86—87). ს. კაკაბაძე ამ წერილს ათარი-

ლებს 1803—1805 წ., უნდა დათარიღდეს კი 1803—1804 წ., რადგან 1805 წ. 1 ოქტომბერს ააკაძე დავითი—საბუთის დამწერი—ცოცხალი აღარ არის. იგი გარდაიცვალა 1805 წ. მარტის დამდეგს.

ბარათაშვილი ივანე ზაალის ძე. იგივე ნინია საამის შვილი, ზაალ მდივანბეგის (საამიშვილის) შვილი, დიმიტრი თარხნიშვილის დიდი მეგობარი.

1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით პატიმრობაში იყო. სოლომონ დოდაშვილი მის შესახებ უჩვენებს: „არასდროს არავისგან არაფერი არ გამიგონია ივანე ზაალის ძე ბარათოვის ჩვენს შეთქმაში მონაწილეობის შესახებ“ (რვ. X. 1751).

იასე ფალავანდიშვილმა უჩვენა, რომ მან არაფერი იცოდა ივანე ზაალის ძე ბარათოვის შესახებ (რვ. XIV, 2278).

1833 წ. 4 ივლისს როზენი წერს: „მე ვუბრძანე გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან მემამულე ივანე ბარათოვი“ (OBD, საქმე 163, ფურც. 442).

ბარათაშვილი ივანე იყო სიძე გოგია ნაზირის ქავთაროვისა და კნეინა ნინოსი (საქ. არქივი, წ. II, 1927. გვ. 11—12).

ბარათაშვილი ივანე (ვანო) ზაალის ძე (1830—1871). „ამ თვის 18, დილის 10 საათზე, თბილისში უეცარის სიკვდილით გარდაიცვალა თ. ივანე ზაალის ძე ბარათაშვილი. მიცვალებული იყო განსაკუთრებული ნიჭისა და ცოდნის პატრონი. თ. ვლად. აბაშიძემ სთქვა სიტყვა. განსაკუთრებით მეცადინეობა ამისი იყო მიქცეული ქართული ლიტერატურისათვის“ („დროება“, 1871. 21 იანვარი, № 3, გვ. 4).

ვანო ბარათაშვილს ეკუთვნის „ეპიტაფია თ ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ნათქვამი“ (დაბეჭდილია „ცისკარში“, 1863, № 7). ამ ლექსში საყურადღებოა ცნობა პოემის „ბედი ქართლისა“ პოპულარობისა და მის გარშემო არსებული სჯა-კამათისა მაშინდელ ლიტერატურულ წრეებში და ნ. ბარათაშვილის აღიარება პოლიტიკური თავისუფლების აპოლოგეტად (გ. ლეონიძე, ნიკ. ბარათაშვილის გარშემო. ლიტერატურის მატიანე, წ. 1—2, 1940. გვ. 419—20).

ვანო ბარათაშვილი იყო ავტორი შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოებებისა: 1. ეპიტაფია („ცისკარი“, 1863, № 7), 2. „სიზმარი“, ლექსი („ცისკარი“, 1863. № 8). 3. „რევაზი და ნინო“, პოემა-დრამა („ცისკარი“, 1864, № 5). 4. „პოეტი და მე“, ლექსი („ცისკარი“, 1866, № 5). 5. „რომანსი“, ლექსი („ცისკარი“, 1868. № 1).

6. „ქართული ნანიდამ“, ლექსი („ცისკარი“. 1867 № 7—8). 7. „სხვა რიგი სიყვარული“, ვოდევილი („ცისკარი“, 1870. № 5). 8. „სიმართლე თავისას გაიტანდა“, კომედია („მნათობი, 1871, № 7) მოხსენებულია სარჩევში; დაბეჭდილი არაა. ამ კომედიის შესახებ „მნათობის“ 1870 წ. № 4-ის გარეკანის მე-2 გვ. ნათქვამია: „თ. ვ. ბარათაშვილმა აღგვითქვა თანამშრომლობა და გადმოგვცა დასაბეჭდათ კომედია „სიმართლე თავისას გაიტანდა“.

ბარათაშვილი ლეონიდე (ლევან) გერმანოზის ძე (1825—1873). ისტორიკოსის სულხან ბარათაშვილის ძმა. 1832 წლის შეთქმულებისას 7 წლისა იყო, ე. ი. დაიბადა 1825 წ.

დედა მისი იყო თადეოზ ნაცვლიშვილის ასული ნატალია. ცოლად ჰყავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ნინა.

1865 წ. კავკასიის კალენდრით არის ქალაქ გორის გოროდნიჩი.

სთარგმნა რუსულიდან ნ. დუბროვინის „უკანასკნელი მეფე გიორგი“ („მოამბე“, 1896. VII), „ათასერთი ღამე“ (დავით კარიჭაშვილის კატალოგი, გვ. 92. № 8).

გარდაიცვალა 1873 წ. 20 იანვარს.

ბარაშკინი თევდორე. სახაზინო ექსპედიციის სამსახურს გარეშე მყოფი ინჟინერ-კაპიტანი. სოლომონ დოდაშვილის სიმამრი, მამობილი სოლომონის მეუღლე ელენე თედორეს ასულისა. ელენე, სოლომონის სიტყვით, იყო „ნათესავი ქართველ კეთილშობილთაგანი კობიევისა და შვილობილი ღუბერნიის არქიტექტორისა, რომელსაცა აღუზრდია უკეთილესად ორსავე ენასა, ე. ი. რუსულად და ქართულად წლისა ათოთხმეტისა“. „კვირიაკეს დილით ღუბერნატორმან მიბრძანა და საღამოზედ ღამით ჯვარისწერა იქმნა ჩემი“, — სწერს სოლომონი იონას 1828 წ. 4 აგვისტოს (H — 2226, გვ. 535).

საქართველოს გუბერნიის არქიტექტორი ბარაშკინი მსახურობდა სიპიაგინის დროს, რომელიც დანიშნულ იქნა თბილისის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად 1827 წ. მარტში. ზომაზე მეტად იყო გატაცებული მშენებლობით, არ იძლეოდა ნებას რომ ოდნავ მაინც გადაეხვიათ მის მიერ დამტკიცებული გეგმიდან. ავეტიქ ხარაზოვს დაუმტკიცეს სახლის გეგმა იონიური სვეტებით, მან კი თვითნებურად შეცვალა იონიური სვეტები დორიულით, სვეტისთავი კი იონიური დატოვა. ბარაშკინი გეგმის ზუსტ შესრულებას მოითხოვდა და აიძულა ხარაზოვი მიეხსნა დორიული სვეტები

(Вейденбаум, Архитектурные преступления. Иллюстр. прибавление к Тифлисскому листку, 1900, г. № 14).

ბარაშკინი უნდა გარდაცვლილიყოს 1831 წლამდე, როგორც ეფრემ ალექსი-მესხიშვილი უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას, 1832 წელს სექტემბერ-ოქტომბერში „დოდაევის სიდედრი ანა ხშირად მოდიოდა ჩემთან, მაწუხებდა და მეხვეწებოდა, ნება დამრთონ ჩემმა ქალმა და სიძემაო; ქმრის შერთვას აპირებდა. დოდაევმა ნება დამრთო ჯვარი დასწერეთო“ (გზლ. გვ. 294-295). ეს იყო 1832 წლის 8-12 ნოემბერში. ანა მართლა გათხოვილა ვიღაც რუს მოხელეზე, რადგან 1839 წ. 17 ნოემბერს ობოლი შვილიშვილის—ივანეს სახელით შეტანილ თხოვნაში თავის თავს უწოდებს Колежская секретарша Анна Кузовникова-ს (ფ. 489. საქმე 4420. ფურც. 33).

ბარტოლომეი თედორე თედორეს ძე, პოლკოვნიკი. 1826 წ. 5 თებერვალს გამოემგზავრა ციმბირიდან სპარსეთში. 1826წ. აპრილში უკვე თბილისში იყო. აქედან უგზავნის თ. მენშიკოვს მოხსენებებს აქაური მდგომარეობის შესახებ. აქვს საინტერესო დაკვირვებანი აქაური ვაჭრობის მდგომარეობაზე, პოლიტიკურ სიტუაციაზე, აქ მომხდარ აჯანყებათა მიზეზებზე. დაბეჭდილია «Русская Старина», 1910, № 15.

ბებურიშვილი იოსებ მღვდელი. ნახსენებია „კალმასობაში“ (ჭიჭინაძის გამოც., გვ. 325—26). ჰქონდა მეორე გვარად ნაბიჭვრიშვილი

გარდაიცვალა 1813 წლის სექტემბრამდე რადგან ამ თარიღით შედგენილ საქმეში მოხსენებულია დეკანოზ იოსებ ნაბიჭვრიშვილის ქვრივი, რომელიც წელიწადში იღებს პენსიას 300 მანეთს. (საქ. ც. ა. ფ. 2/8, საქმე 302. ფ. 357).

ბებურიშვილი სიმონ პაპას ძე. კახეთის აჯანყების მონაწილე.

სიმონ ბებურიშვილი მოკლეს 1812 წ. კახეთის აჯანყებისას. (დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, 43).

სიმონ პაპას ძე ბებურიშვილი მოკლეს ყარალაჯის ციხის გარემოცვისას (ა. ფრონელი, კახეთის აჯანყება, 113); ჰყავდა უკანონო შვილი-იეროდიაკონი გერონტი ვაჩნაძე-ბებურიშვილი (პ. კარბელაშვილი, ქართული კილოები, გვ. 81).

სიმონ ბებურიშვილი იხსენიება „აქტებში“. II, 154, 163, 166, 336.

ბეჟაევი ანდრია სიმონის ძე. 1875 წ. დაამთავრა მეორე ხარის-ხით თბილისის სასულიერო სემინარია. 1875 წ. 14 სექტემბრიდან გალობის და სუფთა წერის მასწავლებელია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში. 1876 წლიდან საღვთო სჯულს, გალობას და სუფთა წერას ასწავლიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. 1878 წლიდან ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობს — ასწავლის ქართულ ენას მოსამზადებელ კლასებში. 1896 წლიდან ქართული და სლავური გალობის მასწავლებელია იმერეთის ეპარქიის ქალთა სასწავლებელში. იყო „ნადვორნი სოვეტნიკი".

ბეზირგანოვი. 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალებში ხშირად იხსენიება ბეზირგანოვის ტრაქტირი. ბეზირგანოვი — ყავახანის პატრონი. ბეზირგანოვები — თბილისელი მოქალაქეები XVIII ს-ში.

ბეზირგანოვის ყავახანა ყოფილა ავლაბარში, ციხის გვერდზე.

„წავედით და ციხეს გვერთ რომ ყავახანა არის, იქ შაგვიყვანა (იასე ფალავანდიშვილმა)". ალ. ორბელიანის ჩვენება (გზლ. 214). „იასემ დაგვპატიჟა ყავახანაში მეტეხის ციხის მახლობლად. იყვნენ: ანტონ აფხაზი, ალ. ორბელიანი, ზაქ. ჩოლოყაშვილი, სოლ. დოდაევი და მე, ელიზბარ ერისთავი". გზლ. 184).

„ჩემი სოფელში ყოფნის დროს გავიგე, რომ რაღაც შეკრება ყოფილა ბეზირგანოვის ყავახანაში". გიორგი რევაზის ძე ერისთვის ჩვენება (გზლ. 165).

„ბეზირგანოვთან ვივახშმე მე ნოემბრის პირველ რიცხვებში". ზაქ. ჩოლოყაშვილის ჩვენება (რვ. VIII, 3480).

„გავემგზავრეთ თ. კორხმაზ მელიქოვის სახლისაკენ. იქ მივიდნენ: ი. ფალავანდოვი, დიმიტრი ერისთავი, მასწავლებელი დოდაევი და ელიზბარ ერისთავი. და გამეცნენ მე (ზაქარია ჩოლოყაშვილს) დამიწყეს ლაპარაკი... ამ დროს შემოვიდა ვიღაც მოხელე და მოითხოვა ვახშამი. თ. ფალავანდოვმა დაცინვითა თქვა: „ეს ბატონები ყველგან ხელს გვიშლიან" და თათბირისათვის ამოირჩია მეორე ტრაქტირი ავლაბარში, ციხის მახლობლად, ნავთლუღის გზაზე, ხელმარჯვნივ და იქ წავედით" — ზაქ. ჩოლოყაშვილის ჩვენება (გზლ. 145).

„ოქტომბრის 26-ს ...წავედით ბეზირგანოვის საყავეში" — იასე ფალავანდიშვილის ჩვენება (გზლ. 133).

როგორც ჩანს, ბეზირგანოვის ყავახანაში შეკრებილა 6 კაცი:

ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, ზაქარია ჩოლაყაშვილი და იასე ფალავანდიშვილი — მასპინძელი.

ზ. ჩოლაყაშვილის სიტყვით ეს იყო ნოემბრის დამდეგს. მაგრამ მაშინ ალექსანდრე ორბელიანს ფეხი სტკიოდა და იწვა. ჩანს, უფრო ადრე ყოფილან. ამრიგად, იასეს თარიღი (26 X) სწორი ჩანს.

ბენკენდორფი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე (ძმა ალ. ბენკენდორფისა). გენერალ-ადიუტანტი. 1827 წ. მარტში დაინიშნა მეთაურად იმ ჯარების ავანგარდისა, რომლებიც მოქმედებდნენ აბას-აბადის, სარდარ-აბადის და ერევნის აღებაში. გარდაიცვალა 1828 წ. აგვისტოში.

«Северная пчела»—ში 1827-28 წ. იბეჭდებოდა მისი Письма из Персии, писанные во время компании». კ. ბენკენდორფის შესახებ იხ. «В память сослуживца» (Военный журнал, 1830, № 1); Записки Н. Н. Муравьева (Русск. Арх. 1889, кн. II), К. Бороздин, Опыт исторического родословия дворян и графов Бенкендорфов. СПб., 1841.

ბერძენოვი ნიკოლოზ, იგივე ბერძნიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (1829—1874), ცნობილი ლიტერატორი, კრიტიკოსი, ეთნოგრაფი და არქეოგრაფი. დაიბადა დუშეთის დეკანოზის გიორგი ნიკოლოზის ძე ბერძენოვის (შემდეგში ხირსის არქიმანდრიტის გრიგოლის) ოჯახში. სწავლა მიიღო კავკასიის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც საუკეთესოდ დაამთავრა 1849 წელს. ერთხანად მსახურობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში, ხოლო 1850 წლიდან „ზაკავკასკი ვესტნიკ"-ის რედაქტორის თანაშემწედ, შემდეგში „კავკაზ"-ის რედაქტორის უფროს თანაშემწედ და რედაქტორად (1856 წ.) კავკასიის საარქეოგრაფიო კომისიის დაარსებისთანავე 1864 წლის მარტში ის მიწვეულ იქნა მუდმივი წევრის თანამდებობაზე, რომელსაც შერჩა სიკვდილამდე (1874 წ. 4. IX).

სალიტერატურო მოღვაწეობა, როგორც რუსულის საუკეთესო მცოდნემ, დაიწყო 1850 წ. მაშინდელ ერთადერთ გაზეთ «კავკაზ»-ში. აქ მოთავსებულმა მისმა საეთნოგრაფიო წერილმა ოსეთის ზნეჩვეულებათა შესახებ, თავისი მსუბუქი და პოეტური ენის წყალობით, მაშინვე მიიქცია ყურადღება და მალე მიიწვიეს მუდმივ თანამშრომლად

«კავკაზ»-ში, რომელსაც დიდი ამაგი დასდო გაზეთის ფორმატის გადიდებით და ადგილობრივი ცხოვრების განყოფილების გაფართოებით. უამრავი საისტორიო, საეთნოგრაფიო, სტატისტიკური და ეკონომიკური წერილები საქართველოსა და საერთოდ კავკასიის ცხოვრებიდან, რომელნიც გაზეთში მისი მეცადინეობით იწერებოდა და თავსდებოდა, ამ ოფიციალურ გაზეთს დღესაც თვალსაჩინო საისტორიო წყაროს მნიშვნელობას ანიჭებენ. ნ.ბერძენოვი საეთნოგრაფიო წერილებს წერდა ცოცხალი, ხატოვანი ენით. მისი კალამი ცალკე ეთნოგრაფიულ დეტალებს მწყობრ, მთლიან და ხშირად პოეზიულ ნაწარმოებად აყალიბებდა. ასეთი იყო მისი „ივანე" (რომელიც თავისი ფორმით ერთგვარად წაგავს ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობს"), «Очерки деревенских нравов Грузии», «Тифлис в этнографическом отношении». «Осетинская Сафо».

ბიდარა. ოსი. ერეკლე II-მ დაასახლა მაღალ მთაზე კაიშაურის ხეობაში, ჯვრის უღელტეხილის სიახლოვეს. მისი მოვალეობა იყო გზა ეჩვენებინა მგზავრებისათვის, მიეცა თავშესაფარი ცუდ ამინდში; იგი ატყობინებდა მგზავრებს სად იყო ზვავი ჩაწოლილი და საიდან შეიძლებოდა უხიფათოდ მგზავრობა. ამ საქმეში ბიდარას ჯამაგირი ჰქონდა დანიშნული.

1800 წელს მან გადაარჩინა ეგერთა პოლკი (Записки ген. М. С. Тучкова, составленные в конце 1805 г. с. 74).

ერეკლე II-ის ბრძანებით ბიდარა იღებს 1/9-ს აკრებილი გადასახადებიდან (?) (აქტები, I), ამას გარდა იგი, გიორგი XII-ის მოწმობით, იღებდა კიდევ 25 მანეთს წელიწადში (აქტები, 1,526).

ციციანოვმა შეუწყვიტა ბიდარას ჯამაგირი და იგი იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა კაიშაურის ხეობა (Записки Тучкова).

ბირშერტი (დოდაშვილი) მინადორა იესეს ას. (? — 1900) სოლომონ დოდაშვილის ძმის — იესეს ერთ-ერთი შვილი, გათხოვილი ბირშერტზე, ცხოვრობდა კავკავში.

„სწერენ კავკავიდან: „27 II-ს აქ გარდაიცვალა მინადორა ბირშერტი, დოდაშვილის ასული. განსვენებულს კავკავის ქართველობა კარგად იცნობდა. იგი უკანასკნელი 15 წელიწადი აქა ცხოვრობდა. მ. ზ. ყიფიანთან ერთად განსვენებულმა მხურვალე მონაწილეობა მიიღო კავკასიის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების დაარსების საქმეში. საზ-ბას ამჟამად ადგილობრივ ქართველთა შორის მრავალი წევრი ჰყავს. საზოგადოებას აქვს სკოლა და

საკუთარი ეკლესია. უკანასკნელ დროს საზოგადოებამ შეიძინა ქალაქის სასაფლაოზედ ერთი ნაჭერი მიწა თავის მიცვალებულების დასასაფლავებლად — ამ სასაფლაოზედ დაასაფლავეს განსვენებული მ. ი. ბირშერტი".

„ივერია", 1900 წ. № 63. ახალი ამბები.

ბიჭიაშვილი ნიკოლოზ, დეკანოზი. ნიკოლოზი დეკანოზი მცხეთისა მონაწილეობდა ერეკლე მეფის დასაფლავებაში (იხ. დავით რექტორის „ცერემონიალი". S-105, გვ. 31, 34).

„ნიკოლოზ დეკანოზის ნამდვილი გვარი ბიჭიაშვილი ყოფილა და მეფე ირაკლის ერთგულებისათვის ამოწყვეტილი აზნაურის ამირეჯიბაშვილის. გვარი მიუცია და იმისი ყმა და მამული ანაგაში. ეს დეკანოზი მგონია რუსეთშიაც ყოფილიყოს და დიმიტრი ორბელიანი იქ გაეცნოს. მეფე ირაკლიმ თავისი შვილი ანტონ რუსეთში რომ გაგზავნა, ეს ნიკოლოზ დეკანოზიც იმისთვის გაეტანებინა" (პუპლია ორბელიანი, S — 1646 ა, გვ. 33).

„მექვეყნესა ჩვენსა ბიჭიაშვილს ნიკოლაოზს, მცხეთისა და კარის საყდრის დეკანოსსა უთქვამს ქადაგებასა შინა თვისსა წინარე მეფეთა: „ქარნი ქართანი ქრიან და წყალნი სდიან, ხოლო ბუნებას სძინავსო" (ითნა ხელაშვილი სოლომონ დოდაშვილს. H 2226 309—310).

სწავლობდა შუამთის სამონასტრო სკოლაში. განსწავლული იყო რიტორიკაში. მისი სურათი, ზეთის საღებავებით შესრულებული, ნარიშკინის კოლექციაში ინახებოდა.

სომხურიდან უთარგმნია დიალექტიკა. „დიალექტიკა, სომხურიდან ნათარგმნი კარის დეკანოზის ნიკოლოზ ბიჭიაშვილისაგან სამცნობოდ, მარტივ მიღებად, თხზვად და სილოგიზმად" (Цагарели, Сведения, III, გვ. 262).

ნიკოლოზ დეკანოზის ქალი რიფსიმე ცოლად ჰყავდა პეტრე ფილიპეს ძე არჯევანიძეს, ქაშუეთის დეკანოზს. რიფსიმესა და პეტრე არჯევანიძის ვაჟია ივანე არჯევანიძე მაკაროვი (გარდ. 1870 წ.). მას მეორე ცოლად ჰყავდა რუისის დეკანოზის ზაქარია მამაცაშვილის (1782—1830) ქალი ევდოკია (კონსტანტინე მამაცაშვილის მამიდა). ივანე არჯევანიძის ერთ-ერთი შვილი ნიკოლოზი იყო გენერალი (გარდაიცვ. 1938 წ.).

ბოროვიკოვსკი ვლადიმერ ლუკას ძე (1757—1825). რუსი მხატვარი. ტრეტიაკოვის გალერეისთვის შეძენილ ნ. დ. ბიკოვის კო-

ლექციაში აღმოჩნდა სურათი ანტონ კათალიკოსისა, შესრულებული ვ. ლ. ბოროვიკოვსკის მიერ.

ეს პორტრეტი დახატულია 1811 წ. (Горленко. Влад. Лук. Боровиковский, Русск. Архив, 1891. 6. გვ. 257—291).

ბოროვიკოვსკი იყო ცაცია, ხატავდა და წერდა მარცხენა ხელით. ანტონ კათალიკოსის პორტრეტი გაკეთებულია ესტამპიდან, რომელიც გამოართვეს თბილისის კარის ეკლესიის მღვდელს გიორგი მელითაურს, (ა. ბერჟეს წინასიტყვაობა „აქტების“ III ტომისათვის, გვ. VI).

ბრონევსკი სიმონ მიხეილის ძე (1763 — 1830). იყო თეოდოსიის გრადონაჩალნიკი. ციციანოვის დროს იყო საქართველოში კანცელარიის მმართველად. არის ავტორი წიგნისა «Новейшие географические и исторические известия о Кавказе».

იყო კიდევ მეორე ბრონევსკი — სიმონ მიხეილის ძე (1786 — 1858), სენატორი, კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში კავკასიაში. აქ მან 1804 წ. მონაწილეობა მიიღო ყაბარდოს ლაშქრობაში.

ამ ორ სიმონ ბრონევსკის მარკოვა ერთმანეთში ურევს.

ბუტკოვი პეტრე გრიგოლის ძე (1775—1857). დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, სენატორი, აკადემიის ნამდვილი წევრი.

1801—1803 წ., საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანაში, იყო მთავარსარდალი, კნორინგის კანცელარიის მმართველი. აქ მუშაობისას შეკრიბა მასალა «Бумаги о присоединении Грузии к России при императорах Павла I и Александре I». 1803 წ. ბუტკოვი სამსახურიდან გადადგა და გაემგზავრა პეტერბურგს. აქ აგრძელებდა მუშაობას საქართველოს ისტორიაზე. შეადგინა «Некоторые сведения о командовании кн. Цицианова и других на Кавказе. Тут же бумаги о поступках кн. Цицианова с членами Царского Грузинского дома».

1805 წ. ბუტკოვმა ისევ დაიწყო სამსახური გენერალდიკის დეპარტამენტში.

მისმა ქვრივმა მთელი მისი ქაღალდები გადასცა მეცნიერებათა აკადემიას. ამისი შვილია ვლადიმერ პეტრეს ძე ბუტკოვი, რომელიც 1860—1865 წწ. Кавказский Комитет-ში მუშაობდა.

ბაგრატ ბატონიშვილი, გიორგის ძე. კამერგერი. სენატორი. გიორგი XII-ის მესამე ვაჟი ქეთევან ანდრონიკაშვილისაგან. დაი-

ბადა 1776 წ. მონაწილეობდა ლეკებთან ბრძოლაში იორზე 1800 წ. 7 ნოემბერს. 1801 წლის მარტში იოანე და მიხეილ ბატონიშვილებთან ერთად გაემგზავრა რუსეთს, 1802 წ. ივლისში უკან მობრუნდა. 1803 წ. 19 მაისს გადაასახლეს რუსეთს, გაემგზავრა თბილისიდან მარიამთან ერთად. ოჯახით ცხოვრობდა პეტერბურგში.

ცოლად ჰყავდა ეკატერინე დურმიშხანის ასული ჩოლოყაშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1831 წ. 30 ივნისს პეტერბურგში ქოლერით. ბ. 1861 წ. 2 ნოემბერს, ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას, სთხოვს რუსეთის მთავრობას მამულის ნაკლებობის გამო მისცენ „ქალაქის პირში ორი სახასო სოფელი მარტყოფები", „და თუ ამას არ ინებებს, პენსიის მოწყალება მოიღოს" (ЦГИАЛ, ф. Непремен. Императорского Совета, 1801. საქმე, № 266. ფურც. 87).

1821 წ. 14 დეკემბერს უგზავნის თხოვნას ს. ლ. ლაშქაროვს, რათა მან მოახსენოს იმპერატორს, რომ „მოწყალებით მომხედოს დამითხოოს საქართველოში, მივიდე და იქ ვიცხოვრო, რომ იქაური ჰაერი მე სიცოცხლეს მომიმატებს... ვფიცავ... საქართველოში არა საქმეში არ გავერიო და არც ჩემი თავი მივსცე წინააღმდეგობის საქმესა" (ЦГИАЛ. ф. Непрем. Имп. Совета. 1801. საქ. 266. ფ. 96)

ბაგრატს ჰყავდა შვილები, დაბადებული რუსეთში. 1. ნიკოლოზი (1816.19.VIII—1833.II.X; 2. კონსტანტინე, 3. დავითი (1819—1888), დასაფლავებულია პოკროვსკის მონასტ. მოსკოვში (Московский некрополь, т. I. 336); 4. ალექსანდრე (?—1865). 5. ქალი, ბარბარე, გათხოვილი დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანზე (მინაწერი ნაბეჭდ სახარებაზე. Q—706. აღწ. II. 174). ბარბარე გარდაიცვალა 1870 წ.

ჰყავდა კიდევ ერთი შვილი სპირიდონი, რომელიც 1 წლისა თბილისში მოუკვდა. ეს ამბავი დავით ბატონიშვილმა აცნობა წერილით პეტერბურგში ონიკოვს 1801 წ. 5 ივლისს („აქტები", I, გვ. 306).

ბაგრატს ჰყოლია კიდევ ერთი ვაჟი გიორგი: „დიდი ვერცხლის ხატი წმ. გიორგისა, ოქროთი დაფერილი, რომელიც ბატონიშვილს ბაგრატს გაუკეთებინებია თავის შვილის გიორგის სახელისათვის. (ეს გიორგი ბაგრატის ძე დამარხულია ანჩისხატში)" (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა და შენიშვნები, წ. 1. ტფ. 1907. გვ. 208).

ბაგრატ ბატონიშვილის შვილი—გრუზინსკი ალექსანდრე იყო კავ-

კასიის არმიის პოლკოვნიკი. ცოლად ჰყავდა ელენე—ზაზა თარხნიშვილის ასული. ჰყავდათ შვილები ეკატერინე, ბაგრატ, პეტრე, გიორგი და მიხეილი. ალექსანდრე გარდაიცვალა 1865 წელს, დასაფლავებულია მცხეთაში (А. Натроев, Мцхет, 324). სიტყვა უთხრა დასაფლავებისას ეგზარქოსმა ევსეიმ. მისი სიტყვა ქართულად თარგმნა ივანე გიორგის ძე ამილახვარმა, დაბეჭდილია Духовный вестник-ში 1806. წ. თებერვალი, გვ. 237-49. ცოლი მისი გარდაიცვალა ს. ახალქალაქს 1903 წელს, ისიც დაკრძალულია სვეტიცხოველში. თვით ბაგრატ არის ავტორი საისტორიო შრომებისა «ახალი მოთხრობა». «რუსეთ-სპარსეთის ომი».

1814 წ. პეტერბურგში გადაწერა ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. რომელსაც მიაწერს: „თუმცა ღა არა ჯერ იყო ჩემ მიერ წიგნისა ამის აღწერა, გარნა ვინაითგან ვიყავ მწირ მამულით ჩემით დიდსა როსიასა შინა, ამად აღარ მივეც თავი ჩემი უქმობისა მწუხარებასა და მითი განვატივ დრო რაოდენიმე...“.

ბაგრატი გარდაიცვალა პეტერბურგში 1841 წ. 8 მაისს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში (Петербургский Некрополь. М., 183).

გაგარინა ანასტასია. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინის (დადეშქელიანმა რომ მოკლა 1857 წელს) ქვრივი.

იყო დავით იოანეს ძე ორბელიანისა და მანანა მირმანოზ ერისთავის ასულის ქალი. ფრეილინა.

შვილი არ ჰყავდა. გაზარდა შვილად ელენე იაკობის ასული ერისთავი, რომელიც შემდეგში გათხოვდა გიგო თარხნიშვილზე.

ანასტასია რომ გარდაიცვალა, თბილისიდან ყირიმში, ქუჩუკლამბათში წაასვენეს და გაგარინის მამულში დამარხეს. ელენეც იქ გადასახლდა, ააშენა ანასტასიას საფლავზე პატარა ეკლესია და უვლიდა საფლავს (ექვთ. თაყაიშვილის მონაყოლი).

გაიანე ბატონიშვილი, გიორგი XII-ის და მისი I მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ასული.

ეპიტაფიის მიხედვით გარდაიცვალა 1820 წ. 22 ივლისს 35 წლისა (Brosset, Voyage ... VI rapport, გვ. 70).— მაშასადამე დაბადებულა 1785 წელს. ეს კი სწორი არ არის, რადგან დედა მისი პაპუა ანდრონიკაშვილის ასული ქეთევან გარდაიცვალა 1782 წ. წლის 2 ივნისს (თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთები... გვ. 143)

თეიმურაზზე მოლოგინების შემდეგ (თეიმურაზი კი დაიბადა 1782 წლის 23 აპრილს), ამიტომ უფრო სწორი ჩანს ოფიციალური ცნობა 1801 წლის 1 აპრილისა, რომლის თანახმად გაიანე 20 წლისად არის ნაჩვენები («აქტები», I, გვ. 199—200. სამეფო გვარეულობის სია). ამის მიხედვით ის დაბადებულა 1780 წ.

1806 წლის სექტემბერში გენ.-მაიორმა ნესვეტაევმა მიიღო გუდოვიჩის მიწერილობა—ბატონიშვილები რიფსიმე და გაიანე გაეგზავნა თელავიდან მოსკოვს (Архивное дело Тифлисского Губ. Правления).

1808 წ. თებერვალში ბატონიშვილები რიფსიმე და გაიანე მოსკოვში არიან, ითხოვენ პენსიის მომატებას და მოსკოვიდან პეტერბურგში დასახლებას.

გაიანე ბატონიშვილი იღებდა 900 მანეთს პენსიას წელიწადში. მისთვის როგორც გაუთხოვრისთვის ჩათვალეს, რომ ეს პენსია საკმარისია (Архив Гос. Совета т. III ч. II. СПб., 1878. გვ. 1242—3).

1808 წ. 15 ივნისს გაიანე ბატონიშვილს, რომელიც თხოვდებოდა პოლკოვნიკ გიორგი ერისთავზე, სახელმწიფო საბჭომ დაუნიშნა მზითევი—12000 მანეთი, იმ ოდენობისა, როგორიც ეძლეოდათ ფრეილინებს გათხოვებისას (Архив Гос. Совета, т. III, ч. II, გვ. 1244—45).

გაიანე ბატონიშვილი 1808 წ. გახდა მეუღლე გიორგი იესეს ძე ერისთავისა (სენატორისა) (1772—1863).

გაიანე გარდაიცვალა 1820 წ. 22 ივლისს, დასაფლავებულია იკორთის მონასტერში.

დარჩა ვაჟი ზაქარია და ქალები ქეთევან და მარიამი. ქეთევანი გათხოვდა მამუკა ორბელიანზე, მარიამი გრიგოლ ერისთავზე. მისი ვაჟი ზაქარია ერისთავი, პოლკოვნიკი, მოკლეს ლეკებმა 1850 წ. 4 აგვისტოს ზაქათალიდან მუღანლოს გზაზე.

გამაზოვი (ყამაზოვი) მათე აბელის ძე. ამისი მამა, ყამაზოვი, ტერ-არაქელაშვილი აბელ გაკოტრდა და 1 მლნ. 260 ათასი მანეთის საქონელი აუწერეს. იხ. გლახა ჭილაძის წერილი (Sd 5493,5495).

მ. ა. გამაზოვს ეკუთვნის Описание событий в Грузии и Черкесии 1775—1784 гг. (Перевод из «Истории Турции» Джевдет-паши). (Русск. Архив, 1888, март., გვ. 369—392).

გამაზოვი ავთანდილოვის სიძეა ((დ. ყიფიანის მემუარები, გვ. 138).

მ. ა. გამაზოვი თავის პროზაულ და პოეტურ ნამუშევრებს ხელს აწერდა ასოებით М. Г. ან ფსევდონიმით «საარუნი» (И. Ю. Кранковский, Очерки по истории русск. арабистики, 1950. გვ. 8, 112, 113).

განგებლოვი ეგორ კონსტანტინეს ძე მსახურობდა ქართ. გრენადერთა პოლკში. მოკლეს 1772 წ. მაიორის ჩინით. მისი ქვრივი გადასახლდა პეტერბურგს და იქ მოკვდა 1814 წ. ჰყავდა შვილი სიმონი, დაბადებული 1751 წ.მ ოსკოვში. სიმონს ცოლად ჰყავდა ეკატერინე სპირიდონის ასული მანველოვა (გარდაიც. 1853 წ.). «Воспоминания Александра Семеновича Гангеблова» (Русск, Архив, VI, 936.).

გეტინგ ოსიპ||იოსეფ იაკობის ძე. გერმანელი. საქართველოში ჩამოვიდა პეტერბურგიდან 1789 წ. ერეკლე II-ის შვილიშვილების აღმზრდელად. ერეკლე II-მ მას ჩააბარა აგრეთვე არტილერიის საქმე. აღამაჰმადხანის შემოსევისას ის მონაწილეობდა ქ. თბილისის დაცვაში, დაიჭრა და ტყვედ ჩაუვარდა სპარსელებს, მაგრამ მოახერხა ტყვეობიდან გამოქცევა. ერეკლე II-მ იგი დანიშნა არტილერიის (თოფხანის) უფროსად.

1797 წ. დავით ბატონიშვილი რუსეთს რომ გაემგზავრა, მას თან ახლდა გეტინგი, როგორც მდივანი და თარჯიმანი. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დავით ბატონიშვილმა უწყალობა გეტინგს ბაღი თბილისში, 4 დუქანი თათრის მოედანზე და 5 კომლი გლეხი ბორჩალოში. გიორგი XII-მაც უბოძა მას თბილისში ბაღი და სტეფანე მანდენოვის სახლი. 1803 წ. ამ სახლს გეტინგს სტეფანე მანდენოვის ქალი ედავებოდა, მაგრამ რუსულმა სასამართლომ სახლი საბოლოოდ გეტინგს არგუნა 1807 წ.

გეტინგს იჯარით ჰქონდა აღებული ერთ-ერთი წისქვილი მტკვარზე. ის მესაათეობასაც ეწეოდა. 1813 წელს დავით ბატონიშვილმა რუსეთში გაიწვია ის. გეტინგი გადასახლდა პეტერბურგს, დავით ბატონიშვილმა დაუნიშნა მას ჯამაგირი 2000 მან. წელიწადში.

გეტინგი გარდაიცვალა 1830 თუ 31 წელს ლაიპციგში. ცოლი და ქალი მისი დარჩნენ პეტერბურგში. 1854 წ. მათ დაენიშნათ პენსია 350 მან.

გეტინგი იყო მრავალ დარგში განსწავლული. ეხერხებოდა ხატვაც. მას ტილოზე დაუხატავს გიორგი XII-ის პორტრეტი, შემდეგში ეს პორტრეტი ექიმ ივანე ყარაევის ხელში აღმოჩენილა, რომელმაც იგი 1858 წ. გადასცა ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟს დავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრუზინსკის .ამ პორტრეტის ლითოგრაფიული სურათი დაბეჭდილია „აქტების“ მეორე ტომში. ეს ცნობები და სურათი ბერეს მიაწოდა პლ. იოსელიანმა (აქტები, II, გვ. VI).

გეტინგის სახელი საბუთებში სხვადასხვანაირად გვხვდება:

1803 წლის თბილისის აღწერაში № 112-ით აღნიშნულია ოსიპ იაკოვლევი. ლუთერანი. აქვს 3 ოთახი და ჰყავს 2 სული 1 მამრ. სქესისა და 1 მდედრ. სქესისა (საისტ. მოამბე, 1925, II, გვ. 60).

ოსიპ იაკოლიჩი, მოხსენიებული „აქტებში“ დაბეჭდილ „ბატონიშვილ დავითისაგან გაცემულ მამულთა სიაში“, არის იოსებ იაკობის ძე გეტინგი.

გოტ იოსიფ იაკოვლევ — იხსენიება შ. მესხიას მიერ დაბეჭდილ „მასალებში ქალაქის მოხელეების შესახებ“ (გვ. 31).

ოსეფ იაკოვლევიჩის ხელა ნახსენებია იოანა ხელაშვილისადმი ს. დოდაშვილის წერილში (H — 2226,388v).

«Тифлисский Листок»-ის ილუსტრირებულ დამატებაში 1900 წლის № 20-ში მოთავსებულია Тифлисский старожил—ის წერილი «Осип Яковлевич Геттинг». ამ ფსევდონიმით წერდა ვეიდენბაუმი.

ვეიდენბაუმის ცნობები გადაღებული აქვს ალ. ხახანაშვილს (Очерки ... III вып. გვ. 336).

პრუსიელ მეცნიერ იოსებ იაკოვლევიჩს ახსენებს დ. ბაქრაძე „კალმასობის“ წინასიტყვაობაში (ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. IX)— ეს უნდა იყოს გეტინგი.

გიორგი ალექსანდრეს ძე იმერეთის მემკვიდრე (1765—1807). სოლომონ I-ის ვაჟის ალექსანდრეს უკანონო შვილი, ცნობილი სახელით „გიორგი ბუში“. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ სოლომონ I-მა გიორგი ბუში იშვილა.

ცოლად ჰყავდა როსტომ გურიის ერისთავის (ბერეულელის) ქალი დარეჯან, რომელთანაც ეყოლა ორი ვაჟი ალექსანდრე და დიმიტრი.

სოლომონ II-ის (დავით არჩილის ძის) გამეფების შემდეგ გიორგი დაკავებული ყავთ ციხეში. 1807 წ. 9 წლის ციხეში ჯდომის შემდეგ გაათავისუფლეს და გაგზავნეს პეტერბურგს. იქ ის იმპერატორს წარუდგინეს, მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა ყვავილით („აქტები“, XII, 97).

მისი ცოლი დარეჯან და შვილები 1811 წ. რუსეთს გადაასა-

ხლეს. მათ ნიკოლოზ I-ის ნებართვით გვარად დაირქვეს ბაგრატიონ-იმერეტინსკი.

გიორგი ბუშის თავგადასავალი დაბეჭდილია „მოამბეში“, № 5, 1900 წ.

გოლიცინი პეტრე ალექსის ძე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი (გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ზაქარია ჩოლაყაშვილი, ვახტანგ ორბელიანი) თავიანთ ჩვენებებში ასახელებენ პ. გოლიცინის ცხოვრებაში მომხდარ ეპიზოდს:

„გოლიცინი თავის ამხანაგებით პეტერბურგში შესულა რესტორანში. შამპანურის სმა დაეწყოთ. ამასობაში გოლიცინს შეუნიშნავს რა ფანჯარაზე იმპერატორის ბიუსტი, წამოუკრავს თითი ცხვირზე... და უთქვამს: „ა, ნიკოლაშკა, ნიკოლაშკა“.

„გალიცინი პეტერბურგში მინებს ამტვრევდა და მანვე, თუ მისმა ამხანაგმა, ტრაქტირში გადააქცია ხელმწიფის ქანდაკება. ყველა ამ ცელქობისათვის აქეთ გადმოიყვანეს“ (გზლ. გვ. 451). (ზაქ. ჩოლოყაშვილის და ვახტ. ორბელიანის ჩვენება).

თუკი რუსის თავადაზნაურობა გრძნობს მთავრობის უსამართლობას, ჩვენ უფრო მეტად უნდა ვგრძნობდეთ მას და უფრო მეტად უნდა გვძულდეს მთავრობაო, — უთქვამს ზ. ჩოლაყაშვილს (გზლ. 452) .გოლიცინის ამ თავგადასავალს შეთქმულნი ყვებოდნენ, რათა მსმენელი აენთოთ.

გმირი ამ ისტორიისა პ. გოლიცინი (მასთან ერთად მოქმედებდნენ ბუტურლინი და სერგი რომანოვი), საგარეო საქმეთა კოლეგიაში მოსამსახურე, ამ საქციელისათვის პასუხისგებაში მისცეს. ერთი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ გადმოიყვანეს თბილისში მუსულმანური პროვინციების მომწყობ კომიტეტში 1831 წ. 26 იანვარს, ხოლო 1833 წ. 7 მარტს ის უკვე გაემგზავრა ორენბურგში, სადაც გადაიყვანეს დედის თხოვნისამებრ (ფ. 16 (152) საქმე 4384).

გოლიცინის ამ საქციელს ვრცლად აღწერს მ. ბუტურლინი (Русский Архив, 1897. № 6, გვ. 353—7). თბილისში სამსახურისას გოლიცინი განაგრძობდა „საძრახისს ჩივილს“ და არც სამსახურის მიმართ იჩენდა ერთგულებას. — ასე ახასიათებდნენ მას (ფ. 16 (152) საქმე 4384. ფურც. 4).

როდესაც გოლიცინი თბილისში იყო „გუბერნსკი სეკრეტრად“, მისი მამა ალექსი სერგის ძე გოლიცინი ცხოვრობდა ნიჟნინოვგოროდის გუბერნიაში, სერგაჩის მაზრაში, სოფ. იურევოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლიცინის სამსახურიდან გადაყენების შესახებ იხ. „აქტები“, VIII, № 920.

გრიგოლ ბატონიშვილი, იოანე ბატონიშვილის შვილი, კახეთის აჯანყებისას 1812 წ. საქართველოს მეფედ გამოცხადებული. აჯანყების დამარცხებისას დანებდა რუსეთის მთავრობას.

დაიბადა 1789 წ. თბილისში, გარდაიცვალა 1830 წ. 27 სექტემბერს პეტერბურგში, ასტრახანის კაზაკთა პოლკის პოდპოლკოვნიკის ჩინით (ბროსე, Rapports, 50. № 105).

კახეთის აჯანყებისას მიუგზავნეს ზაზა ანდრონიკაშვილი, რომ დაეყაბულებინა რუსეთის მთავრობას დანებებოდა. ზაზას მეცადინეობით გრიგოლი დანებდა რუსეთის მთავრობას.

გადაასახლეს ქ. ოლონეცში. თბილისიდან მგზავრობაში თან ახლდნენ მელიტონ ბარათაშვილი (პოეტის მამა) და ბებუთაშვილი. მელიტონ ბარათაშვილს სურდა დარჩენა მეფის ძესთან გადასახლებაში, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრმა უარი უთხრა, რადგან «ბატონიშვილს თავისთან ყავს ორი მსახური, რომელთაც, ისევე როგორც თვით ბატონიშვილს, რუსული ენა ესმით. ამასთან უსამართლობა იქნებოდა უდანაშაულო ბარათოვი ისეთსავე პირობებში ჩაგვეყენებინა, როგორშიაც არის ის, ვინც ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს» (Журнал заседания Кабинета Министров 28 мая 1812 г; Журнал Комитета Министров, т. III, 1891, გვ. 459 — 460).

გრიგოლ ბატონიშვილი ოლონეციდან გადაიყვანეს საგუბერნიო ქალაქ პეტროზავოდსკში. აქ მას ნება დართეს დღეში ერთხელ ქალაქში გასეირნებისა (პოლიციის მეთვალყურეობით) და გუბერნატორის სუფრაზე დაწვევისა (იქვე, გვ. 536).

1824 წ. იანვარში გრიგოლ ბატონიშვილი თბილისშია, ის აქ ჩაიბარებს თავის ბიძისაგან გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლისაგან დედის — მეფის რძალ ქეთევანის — გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ნივთებს (მასალები საქ. ეკონომიური ისტორიისათვის, წ. III, გვ. 479, 480, 481).

ცოლად ჰყავდა ვარვარა თევდორეს ასული ბუკრინსკაია. შვილი თევდორე ბუკრინსკისა, რომელიც თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მსახურობდა 1826 წ. 1 თებერვლამდე. ამ ბუკრინსკის შესახებ ციციანოვი წერს 1804 წ. 31 მაისს: „ჩამოვიდა სტუდენტი ბუკრინსკი“ (აქტები, II, №374). ვარვარა დაბადებულა თბი-

ლისს 1810 წ. (?); გარდაიცვალა პეტერბურგში 1876 წ. 29 ნოემბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ბატონიშვილი არის ავტორი ეპიკური ნაწარმოებისა „საქართველოს ცხოვრება“ (Р. Орбели, Собрание грузинских рукописей ИВ. Ученые записки ИВ, т. IX, გვ. 56.—ბროსეს კოლექციაში E 81).

გრიგოლ ბატონიშვილის კრებულში („ანთოლოგია“) — (საქ. ხ. ი. H — 2130) მოთავსებულია მისი მრავალი ლექსი.

გრიგოლ ხარჭაშნელი (სეფაშვილი) (1735—1830 წ. შემდეგ), ერეკლე II-ის აგენტი მოსკოვს (ბესიკ გაბაშვილის 1790 წ. მოხსენებით), დაიბადა 1735 წ. 30 სექტემბერს, 1750 წ. 24 დეკემბერს ბერად შედგა. 1759 წ. აკურთხა მღვდლად რაჭას ნიკოლოზ ალავერდელმა. ნიკოლოზ ალავერდელს წაჰყვა რუსეთში — 1759 წ. აგვისტოში გამოვიდნენ ონიდან, 23 სექტემბერს ყიზლარს მოვიდნენ, 3 ნოემბერს — ასტრახანს. 1760 წლის ივლისში მოსკოვს ჩავიდნენ. 1783 წ. ასტრახანშია, 29 ივლისს საქართველოში წამოვიდა. „დეკემბრის 4 ტფილისს მოვედით კალასკით“. 1783 წ. ოქტომბერს აკურთხეს მღვდელმთავრად. 1784 წ. 17 მარტს ერეკლე II-ის ბრძანებით გაიგზავნა მოსკოვს. 1785 წ. 30 მარტს ჯვარის მონასტერში დგას. 1786 წ. ყ^დ სამღვდელო პლატონმა დააყენა ჩუდოვის მონასტერში.

ასტრახანში ცხოვრობს 1803 წელსაც. უთარგმნია მამათა ცხოვრება „რუსულისაგან ქართულად თარგმნილი გრიგოლის მიერ ხარჭაშნელისა ეპისკოპოზისაგან, კახის სოფლით მელაანთით, სეფოშვილისაგან, ასტრახანს, წელსა 1803-ს“ (H 2107).

ბესიკ გაბაშვილი მის შესახებ 1790 წ. ამბობს: „მეზობელმან ჩუენმან დააფუძნა სხუა და სხუა სახის დაფარებითა შემოყუანად რუსეთს შინა მეთუალენი ერთგულნი ყმანი თჳსნი და ნება დართო მათ განწესებად სამსახურსა შინა რუსეთისასა. რომელთაგანი არის არქიერი ხარჭაშნელი, რომელიცა შემოვიდა კანკლის გაკეთების მიზეზით და შემდგომად გაწესდა ვიკარიად მოსკოვსა შინა“ („იმერეთის სამეფოს პოლიტ. საბუთები“. გამოსცა შ. ბურჯანაძემ, წ, I. გვ. 17).

1791 წ. დარეჯან დედოფალი აპირებს წიგნი მისწეროს ხარჭაშნელს მოსკოვში (საქ. სიძვ. III, № 253).

გრიგორიევი ვასილ ნიკიფორეს ძე, კოლექტიური შრომის «Обозрение»-ს თანაავტორი. მას აქ ეკუთვნის «Статистическое описание

нахичеванской провинции», რომელიც 1833 წ. ცალკე გამოცემად გამოვიდა. ხელმოწერილია ინიციალებით — ვ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგორიევი გარდაიცვალა 1876 წ.

გრუბერი ევარესტ ანდრიას ძე (? — 1859). თბილისის გიმნაზიის დირექტორი.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში იხსენიება. ს. დოდაშვილი ახსენებს მას „მინდოდა ფული შემეკრიბა ბიბლიოთეკისათვის. ამის შესახებ ველაპარაკე ჩემს დირექტორს. გრუბერს“ (გზლ. 164).

1833 წლიდან ვილნოს ოლქის მზრუნველია.

1840 წ. არის ბელორუსიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ წოდებით. ЖМНП 1840. XI. გვ. 128). გ. ბოლოს იყო ყაზანის სასწავლო ოლქის მზრუნველი და ამ თანამდებობაზე გარდაიცვალა 1859 წ. 22 აპრილს (Казанские губернские ведомости, 1859, № 20; Булич, Из первых лет казанского университета). მის თბილისში მუშაობისას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი მოთავსებული იყო სასახლის ქუჩის ბოლოში. სახაზინო ვიწრო შენობაში, რომელიც აშენებული იყო ერმოლოვის დროს. გრუბერმა წარუდგინა პასკევიჩს პროექტი სასწავლებლის ახალი შენობის მშენებლობისა. ამ პროექტით 1833 წ. აშენდა I გიმნაზიის შენობა, რომელიც 1839 წ. გააფართოვეს და რადიკალურად გადააკეთეს 1871 წ.

გიმნაზიის გახსნისას სიტყვა წარმოსთქვა დირექტორმა — კოლეგიის მრჩეველმა გრუბერმა. სიტყვა დაიბეჭდა „ტიფლისკი ვედომოსტი“-ს 1830 წლის №№ 52 და 53-ში.

გრუბერის დირექტორობაში ჩაეყარა საფუძველი გიმნაზიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის შექმნას; საფრანგეთის მაშინდელი კონსულის გამბას ბიბლიოთეკის 250 მანეთად შეძენით (Отчет о состоянии Тифл. I гимназии к 10 IX. 1900 г. გვ. 8). „ფელდმარშალი ძალიან კარგად იყო განწყობილი გრუბერისადმი და ამიტომ აქებდა მას პრინცის (ხოსრო-მირზას) წინაშე». (Кавказ, 1876. № 41). გ-მა 1829 წ. აგვისტოში მონათლა სოლომონ დოდაშვილის ვაჟი ივანე. (თბილისის კვირაცხოვლის ეკლესიის ნათლობის წიგნები. ფ. 489. საქმე 4420. ფ. 10). გრუბერმა 1836 წ. 27 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მიერ შედგენილ კითხვებს უპასუხა (ამ დროს გრუბერი ბელორუსიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილეა ქ. ვილნოში):

„არ მახსოვს სახელი ყოფილი ჩემი ხელქვეითის სოლ. დოდაშვილის ცოლისა.

„არ მახსოვს სახელი ჩემი ნათლულისა. ჩემთან ერთად ბავშვის აღმქმელი იყო კნეინა ვარვარა ორბელიანი. დოდაშვილის ვაჟის ნათლობისას მასთან სახლში მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა, მაგრამ სახელდობრ ვინ — ეხლა არ მახსოვს. რამდენადაც მაგონდება, წვეულთა შორის იყო ოქროპირ ბატონიშვილი და ზოგი მასწავლებელი გიმნაზიისა“ (ფ. 489 (138), საქმე 4420. ფურც. 14).

გრუზინსკაია ოლგა ილიას ასული (1846—1913). ილია ბატონიშვილის (გიორგი XII-ის ძის) ქალი.

იმპერატორ ალექსანდრეს დროს ებოძა დედოფლის ფრეილინობა (1865 წ.) ამ წოდებაში დაჰყო სიკვდილამდე.

ბავშვობაში ზრდიდა მამის გამზრდელი მოხუცი აბრამი, რომელიც მას უამბობდა საქართველოს შესახებ. შემდეგში აბრამის ნაამბობის საფუძველზე ოლგა გრუზინსკაიამ შექმნა მთელი რიგი ქართული ლეგენდებისა, რომელნიც ჯერ „მოსკოვსკი ვედომოსტებში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოვიდა. ფსევდონიმად ჰქონდა „გულბათ“ (Исторический Вестник, 1913, № 8, გვ. 774).

„გულბათის“ ლეგენდები ქართულად თარგმნა ალექსანდრე მამუკას ასულმა მელიქოვისამ (ლევან მელიქოვის ცოლმა). აკაკი წერეთელმა დაწერა რეცენზია ამ ლეგენდებზე. (აკაკის კრებული, 1899. № 2).

ნეკროლოგი ო. გრუზინსკაიაზე დაბეჭდილია „მოსკოვსკიე ვედომოსტი“-ს 1913 წ. № 139-სა და „ისტორიჩესკი ვესტნიკ“-ის 1913 წ. № 8-ში.

გრუზინსკი იოანე გრიგოლის ძე. გრიგოლ ბატონიშვილის (იოანე ბატონიშვილის შვილის) შვილი.

სწავლა დაამთავრა პაჟთა კორპუსში 1847 წ. გრაფ. პ. ა. შუვალოვთან და ტიმაშევთან ერთად.

ინგლისური კლუბის წევრი, მხიარული და გართობის მოყვარული.

1859 წ. შამილის დატყვევებისა და კავკასიის დაპყრობის შემდეგ პეტერბურგში ჩამოვიდა ბარიატინსკი, რომელსაც დიდის ამბით შეხვდნენ. ინგლისურმა კლუბმა სადილი გაუმართა. «ამ სადილზე

სხვათა შორის იყო თავადი ივანე გრუზინსკი, სინამდვილეში ქართველი ბატონიშვილი, ჩამომავალი კავკასიის მფლობელებისა, მთელი პეტერბურგისათვის ცნობილი ბონ-ვივანი, მეტსახელად «ცარ-ივან»-ს ეძახდნენ. სადილზე ბევრი სადღეგრძელო ითქვა. ბოლოს სიტყვით მიმართა ბარიატინსკის ცნობილმა ნ. ი. გრეჩმა. მისი სიტყვა გრძელი და მოსაწყენი იყო. გრუზინსკიმ მას შეაწყვეტინა და ბარიატინსკის შესახებ სხვათა შორის თქვა, რომ მან გაიმარჯვა არა რუსული იარაღის ძალით, არამედ პირადი მომხიბვლელობით, ჭკუით, დიდსულოვნებით და სიმართლით. გრეჩმა თავის მხრივ შეაწყვეტინა გრუზინსკის: «ნება მომეცით, დავამთავრო!» მაგრამ ცარ-ივანე მას აჩერებს ხელის მბრძანებლური ჟესტით და მთელ დარბაზზე ხმამაღლა აცხადებს: „როცა არწივები ლაპარაკობენ, ფუტკრები არ უნდა ბზუოდნენ“. (Наброски из воспоминаний Д.Д. Оболенского. VI. Русский Архив. 1895. № 2. გვ. 241).

ივანე გრუზინსკის ცოლად ჰყავდა გრაფინია ეკატერინე პავლეს ასული პალენი და ქვისლად მოუდიოდა გიორგი გრიგოლის ძე დადიან-მეგრელსკის, რომელსაც ცოლად ჰყავდა ეკატერინეს და ელისაბედი, და არკადი ადრიანისძე ბოლდირევს (მას ცოლად ჰყავდა ეკატერინეს მესამე და — ელენე).

გ. გარდაიცვალა 1880 წ. 15 სექტემბერს პეტერბურგში. „ივანე გრუზინსკის პანაშვიდს პეტერბურგს დაესწრო და მისი — ქეთევან სუმბათაშვილი ,მოხუცი სვიმონ ტაბიძე“. (კორესპონდენცია პეტერბურგიდან 26 ოქტომბერს „დროებით პეტერბურგელისა“. „დროება“, 1880 წ. 7. XI. № 235. გვ. 2—3).

პლატონ იოსელიანი — „რამდენიმე სიტყვა მეფის გიორგი XIII-ს ძის იოანეს ძის ძის, იოანე გრიგოლის ძის გრუზინსკისადმი“. „ცისკარი“, 1868. № 12.

ი. გრუზინსკის ჰქონია თეიმურაზ ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიის“ მეორე (დაუსტამბავი) ნაწილი. „რუსკი კურიერიდან“. „დროება“. 1880. № 219.

გრუზინსკი პავლე ოქროპირის ძე, უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილი. Тифлисский Вестник-ის 1875 წ. 27 თებერვლის № 23-ში არის განცხადება: «11-დან 12 თებერვლის ღამით, მოსკოვში, პრესნაზე საკუთარ სახლში გარდაიცვალა ოქროპირ ბატონიშვილის ვაჟი პავლე ოქროპირის ძე გრუზინსკი. განსვენებულს დარჩა ქვრივი და 4 შვილი».

პლატონ იოსელიანი სწერს დავით ბაგრატის ძეს დუშეთიდან მოსკოვს 1875 წ. 3 მარტს: «Грущу о потере рановременной князя Павла Окропировича».

პ. გრუზინსკის გარდაცვალებაზე „დროება“ წერს: „თებერვლის 13-ს მოსკოვში გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის შვილიშვილი თ. პავლე ოქროპირის ძე გრუზინსკი. მიცვალებულს დარჩა ქვრივი და 4 შვილი“ (1875. 2. VII. № 26).

გურამოვი ზაქარია ზაალის ძე (? — 1838). მარიამ დედოფლის (ციციშვილის) დედის ძმისწული. ზაქარიას მამა ზაალი მარიამ დედოფლის დედის — ელენეს ძმაა. დედა ზაქარიასი იყო ზაზა ანდრონიკაშვილის და ნინო (მასალები საქ. ეკ. ისტორიისათვის. I. გვ. 353, 354). მარიამ დედოფლის ამალის 1803 წ. ივნის-ივლისში შედგენილ სიაში იხსენიება ზაქარია გურამოვიც (აქტები, II, 77—78), რომელიც 1809 წ. 19 ივნისს ცხოვრობს ბელგოროდს მარიამ დედოფალთან (ნ. ბერძენიშვილი, დოკუმენტები სოც. ისტ. II, 1953. ფ. 289). 1812 წ. I ივნისს მიეცა საშვი „მოსკოვიდან თბილისამდე ზაქარია გურამოვს, რომელიც მარიამ დედოფლის ამალაში იმყოფებოდა“ (ფ. 2/8 საქმე № 313. ფ. 5). 1812 წლის დეკემბერში ზაქარია სმოლენსკშია, აქ მას ორთუმანნახევარს მისცემს თბილისში მომავალი მისი ბიძა ზაზა ანდრონიკოვი (მასალები საქ. ეკ. ისტ. I, გვ. 353).

მოზდოკის პლაც-მაიორის წიკლაუროვის 1813 წ. 26 აგვისტოს მოხსენებაში წერია: „თ. დიმიტრი ჩოლოყაევი, თ. ზაქარია გურამოვი და აზნაური პავლიასშვილი, რომლებიც იმყოფებოდნენ ნაურში (პოლკოვნიკ ერისთავთან), გამოვიწვიე აქ, მივეცი მათ ღია ფურცელი და ამ თვის 23-ში გამოვაგზავნე საიმედო საფარქვეშ“ (საქ. ც. ი. ა. ფ. 2/8, საქმე 313. ფურც. 4).

„კოლეგიის ასესორი“ ზაქარია გურამოვი 1818 წ. 12 ოქტომბერს სხვებთან ერთად აწერს ხელს თავადაზნაურობის ადრესს ერმოლოვისადმი, რომელშიაც მადლობას უცხადებენ მას კახეთის აჯანყების მონაწილე ციმბირში გადასახლებულ ქართველი თავად-აზნაურების განთავისუფლების გამო, 1818 წ. 16 აგვისტოს ბრძანებით (Записки Ермолова, т. II. გვ. 85).

1820 წ. 3 ივლისს ალექსანდრე ჭავჭავაძე დარჩია ბებუთოვის ბაღში სადილს უწყობს თავის ბიძას გიორგი ავალიშვილს, ერუ-

სალიმში მიმავალს: ამ სადილიდან გ. ავალიშვილს ვერის ბაღამდე მიაცილებს ზაქარია გურამოვი (S — 450).

1827 წ. 2 იანვარს: „თავადი გრიგოლ იოვანეს ძე ბაგრატოვანი, მოსული პეტერბურხით, მეწვია სადილათ. ერთად თავადისა ზახარია ზაალის ძის გურამოვითურთ“, — წერს გ. ავალიშვილი (S—303 გვ. 61. აღწ. I, გვ. 348. V შენ).

1832 წ. შეთქმულების გამოძიების მასალებში იხსენიება ზაქარია — ოქროპირ ბატონიშვილთან იყო სტუმრად. ოქროპირი თბილისში წამოსვლისას გააცილაო.

1838 წ. 24 აგვისტოს ზ. ითხოვს სენატისაგან — ნება მომეცით წიწამურის 2 გლეხი, დავით გურამიშვილმა რომ მიჰყიდა სტატსკი სოვეტნიკს თუმანოვს, გამოვისყიდოო. სენატმა ნება მისცა, მაგრამ ამ ხანებში იგი გარდაიცვალა და მის მაგიერ ამის უფლებას ითხოვს მისი ძმა თადეოზი („ლიტერატურის მატიანე“ 1—2 წიგნი, თბ., 1940, გვ. 471—81). თადეოზი არის მამა ილია ჭავჭავაძის მეულლე ოლღასი.

ზაქარია გურამიშვილი გარდაიცვალა მოსკოვს 1838 წ. ივნისში. დასაფლავებულია პოკროვის მონასტერში (ბროსე, Inscriptions.., p. 12. № 12),

გურგენიძე ბეჟან ბარამის ძე, ბეჟან გურგენიძის მამა იყო ბარამ ნაზირი. „აბდულა ბეგის შვილს დავითს მოჰკვეთა თავი ნაზირმან ბარამ კახთ მორდლის შვილმან“ ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის (დავით ბატონიშვილი, მასალები, გვ. 14).

ბეჟანს ცოლად ჰყავდა ეკატერინე და გიორგი ჩოლაყაშვილების ქალი ახუა (ანა) — (პუპლია. S — 1652/ბ. გვ. 4), რომელსაც 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობა ედებოდა ბრალად. იგი დაპატიმრებული იყო. ბარამ გურგენიძე 1813 წლის 19 იანვარს სთხოვს სიმონოვიჩს გაათავისუფლოს მისი რძალი პატიმრობიდან (ფ. 2/8 საქმე, 302, ფურც. 86).

სასამართლომ 1813 წ. 13 თებერვალს ანა არა სცნო დამნაშავედ, გაათავისუფლა და ქმართან — ბეჟან გურგენიძესთან ცხოვრების ნება მისცა (იქვე, ფ. 86).

გურგენიძე ივანე. 1813 წ. 28 მაისს გაქცეული იყო შილდას, 22 მაისს დაბრუნდა და მიუვიდა სიმონოვიჩს ახმეტაში მონანიებით. დაიფიცა იმპერატორის ერთგულებაზე. როგორც გაქცეულს,

ჩამორთმეული ჰქონდა მამულები. ახლა ეს მამულები დაუბრუნეს, მაგრამ აეკრძალა მოურავობა (ფ. 2/8. ს. 302. ფურც. 225).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურგენიძე მიხეილ სიმონის ძე (1822—1868), დეკანოზი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა პირველ მოწაფედ. 1843 წ. ეკურთხა მღვდლად თბილისში, მალე დაინიშნა მთავარხუცესის (ბლაღოჩინის) თანაშემწედ. ორი წლის შემდეგ დაქვრივდა, დარჩა ქალი. როდესაც აღიძრა საკითხი მოსკოვში ქართულ საღვთო და საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების ბეჭდვისა, გურგენიძეს, როგორც ქართულის კარგად მცოდნეს, დაევალა მათი კორექტორობა და ამ მიზნით გაგზავნილ იქნა მოსკოვში. მოსკოვში ის მსახურობდა 1864 წლამდე. იყო მიღებული ქართველი ბატონიშვილების მიერ, დაუახლოვდა საქართველოს უკანასკნელ დედოფალს მარიამს, რომელმაც ჩარიცხა კიდეც იგი თავის ამალაში 1848 წ. 1850 წ. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ დაენიშნა 400 მან. პენსია. იყო ქართული ენის მასწავლებლად მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში და აგრეთვე მოსკოვის კონსტანტინეს სამეჯნაო (межевой) ინსტიტუტში. თან ახლდა ქართველ ბატონიშვილებს საზღვარგარეთ მოგზაურობისას, მათთან ერთად მოიარა ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და სხვა ქვეყნები. იყო ქველმოქმედი, თავმდაბალი, მოყვარული სამშობლოსი და მამობრივ ზრუნველი რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტებისა. გარდაიცვალა მოსკოვში 1868 წ. 18 ივლისს.

გურგენიძე მიხეილის მამა — მღვდელი სვიმონ გურგენიძე იხსენიება ეფრემ ალექსი-მესხიშვილის ჩვენებებში 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიისადმი (გზლ. 297).

გურიელი ქაიხოსრო გიორგის ძე. გიორგი IV გურიელის მესამე შვილი. სიმონ გურიელი, მისი ძმა რომ გარდაიცვალა, დარჩა სამი წლისა.

იყო განათლებული. დედანშივე კითხულობდა ბერძენ და ლათინ ავტორებს. იზრდებოდა გენათელთან და სასულიერო პირად იყო გამზადებული, მაგრამ სანამ ბერად აღკვეცავდნენ, უარი თქვა ბერობაზე და ცოლი შეირთო (Д. Бакрадзе, Арх. путешествие по Гурии и Аджаре, გვ. 322). ცოლად ჰყავდა ქაიხოსრო ერისთავის ასული ელისაბედი, რომელთანაც შეეძინა სამი შვილი: დიმიტრი, დესპინე, პელაგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიაში როცა ვახტანგ და ლევანი გურიელობდნენ, ქაიხოსრო მიემხრო მამიას.

1821 წ. გურიაში მეამბოხეთა შესაპყრობად ჩასული პუზირევსკი ივ. აბაშიძემ და სხვ. დაიჭირეს და თავი მოჰკვეთეს. ამ საქმეში მონაწილეობდა ქაიხოსრო გურიელიც. ამის შემდეგ ის ოჯახიანად თურქეთში გაიქცა.

თურქეთში თავისი არასრულწლოვანი ქალი დესპინე ცოლად შერთო იქ მყოფ ტარიელ ბაგრატიონს, რომელზედაც გურიელთა ოჯახი დიდ იმედებს ამყარებდა. ტარიელი გარდაიცვალა თურქეთში.

ქაიხოსრო გარდაიცვალა თურქეთში 1829 წელს. დასაფლავებულია სამსუნის ალმ-ით 40 ვერსის სიშორეზე მდებარე სოფელ ჩარჩამბას ბერძნების ფერიაცვალების (მეტაფორაკოს) ეკლესიასთან. ეკლესიას სამხრეთ, გარეთა კედელზე აქვს წარწერა: „ჩყკთ სეკტემბრის კე-სა 1829 წ. საფლავსა ამასა შინა მდებარე ნეტარხსენებული გურიელი გიორგის ძე ქაიხოსრო. ალმომკითხველო, შენდობა უბძანეთ“. — ოზურგეთელი ჩხეიძის ინფორმაცია, „კვალი“, 1890. № 15. გვ. 249.

ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ მის ოჯახს ნება მისცეს საქართველოში დაბრუნებისა. 1841 წ. ქაიხოსროს ქვრივმა ელისაბედმა რუსეთის მთავრობის მიმართ გამოიჩინა განსაკუთრებული ერთგულება, რაც მთავრობამ დაუფასა იმით, რომ 1842 წელს მის უმცროს ქალს პელაგიას (შემდეგში ნესტორ წერეთლის მეუღლეს) ფრეილინობა მისცეს, ელისაბედის გარდაცვალების შემდეგ (1844 წ.) მის ორსავე ქალს დესპინესა და პელაგიას 1845 წ. დაენიშნათ პენსია 500 მან. წელიწადში თითოეულს („აქტები“, XI, 691—692).

დიმიტრი ყიფიანის არქივში არის ქაიხოსრო გურიელის ძის დიმიტრის რვა წერილი დიმიტრი ყიფიანისადმი (დ. ყიფიანის არქივი, 402. გვ. 141).

დავით ბაგრატ ბატონიშვილის ძე (1819—1888), გიორგი XII-ის შვილიშვილი. „ამავე წელსა (1819) იშვა აპრილის 30-ს ძმისწული მისი [დავით მემკვიდრის], ძე ბაგრატისი და უწოდეს სახელი ბიძისა თვისისა დავითივე“ („მასალები“, გვ. 140). ბაგრატ ბატონიშვილისა და ეკატერინე დურმიშხან ჩოლოყაშვილის ასულის შვილი.

ბავშვობაში მისი მასწავლებელია სოლომონ დოდაშვილი, რომელმაც 1827 წელს თავის მოწაფეს დაუწერა „მილოცვა“ (ამ „მი-

ლოცვაში“ ს. დოდაშვილი სხვათა შორის უსურვებს დავითს, რომ „ძველად მომდინარებული მეფობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ“).

დავით სამხედრო სამსახურში იყო ყირიმის ომის დროს. შემდეგ სამსახურიდან გამოვიდა და მოსკოვში ცხოვრობდა, აგროვებდა ძველ ქართულ ხელნაწერებს და სხვადასხვა ძველებურ ნივთებს. გარდაიცვალა 1888 წელს, დასაფლავებულია მოსკოვის პოკროვის მონასტერში.

ცოლად ჰყავდა მაზურინა (Российская Родословная книга Петра Долгорукого, ч. III, СПб, 1856, с. 21).

1888 წ. ალ. ხახანაშვილი იწერება მოსკოვიდან დავით ბაგრატის ძის ძვირფასი ძველებური ნივთებისა და წიგნთსაცავის შესახებ («ივერია», 1888. 22 დეკემბერი, № 270). დავით ბაგრატის ძის ბიბლიოთეკა შეიძინა საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარმა არქივმა (А. Цагарели. Сведения..., III, с. 248).

1832 წლის შეთქმულების გამოძიებისას მომხობილ იქნა ს. დოდაშვილის მიერ პეტერბურგში 1827 წელს დაწერილი „მილოცვა“. მან (ალიარა, რომ ეს „მილოცვა“ მიუძღვნა დავით ბაგრატის ძეს მისი სახელწოდების დღეს.

«Щукинский сборник»-ის IV წიგნში (გვ. 302—305) მოთავსებულია პლ. იოსელიანის წერილები დავით ბაგრატის ძისადმი (1871—1875 წ.წ.).

ბ. ესაძის წიგნში «Летопись Грузии» გვ. 208-ის შემდეგ მოთავსებულ პორტრეტზე გამოსახულია დავით ბაგრატის ძე გრუზინსკი.

დავით ბაგრატის ძე, იმერეთის ბატონიშვილი (1781—1820). სოლომონ I-ის ძმის ბაგრატ ალექსანდრეს ძის (გონებასუსტის) შვილი. 1790 წ. მის შესახებ ნათქვამია, რომ იგი ცხრა წლისაა, ე. ი. დაბადებულა 1781 წ.

„დაშთა თვინიერ დიდისა მეფისა სოლომანის ძმის ბაგრატისძე დავით, რომელი იყო მშვიდი და არა მეძებელი მეფობისა და კმაყოფილი მამულით თვისით. და ეპყრა კერძო რუსთა და ერთგულებდა, გარნა უქმ იქნა ერთგულება მისი, რომელიცა მოიკლა მათ მიერ შეჩენილისა ჭაჭაშვილის მოურავის ძის მიერ, რომელიცა იყო საყვარელი ყმა მისი“. „აღწერა იმერთა“. (მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში. პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, V. 1948. გვ. 105).

„მოჰკლეს დავით ბაგრატოვანი, დიდის მეფის სოლომონის ძმისწული, ბაგრატის შვილი“ 1820 წელს—წერს ნიკო დადიანი (Е. Такайшвили, Описание, II, გვ. 50).

ამ დავითის შვილი ივანე ახალციხეშია, მასთან გაიქცა თეიმურაზ ლორთქიფანიძე (გზლ. 73), რომლის შეგულიანებითაც ივანე სამშობლოში დაბრუნდა. 1831 წ. ივანე ბაგრატიონი და თეიმურაზ ლორთქიფანიძე გადავიდნენ იმერეთს.

ამ ივანეს შვილი უნდა იყოს ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონი, რომელიც გარდაიცვალა თბილისს 1895 წ. და გაასვენეს ღვანკითს („კვალი“, 1895, № 6).

დავით ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე (1767—1819). გიორგი XII-ისა და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის უფროსი შვილი. გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, საქართველოს მმართებელი.

ხელნაწერ H — 2357-ის პირველ გვერდზე დავით ბატონიშვილის ხელით მიწერილია: „მე დავიბადე ქრისტეს აქეთ 1767 ივნისის 1-ს“.

1787—1789 წ. რუსეთშია, სწავლის მისაღებად.

1789 წ. მონაწილეობს ათასი კაცით ყარსთან ბრძოლაში.

1795 წ. მონაწილეობს აღა-მაჰმად ხანის საწინააღმდეგო ბრძოლებში. იმავე წლის გვიან შემოდგომიდან რუსეთშია. ამ წლის დეკემბრში ის სწერს მანუჩარ თუმანიშვილს პეტერბურგიდან: „პრეობრეჟენის პოლკში, რომელშიაც ხელმწიფე პოლკოვნიკია... ნოემბრის იე (15)-ს. პოლკოვნიკათ მიმიღეს და ის როტაა ჩემი სამმართებელი, რომელსაც თვით იმისის დიდებულის სახელი ჰქვიან... ნოემბრის კთ (29)-ს ღენერალ-მაიორობა მიბოძეს იმავ ადგილას“ (H — 3254, № 21).

1796 წ. ივნისში დავით ბატონიშვილი საქართველოშია. 1797 წ. გაზაფხულზე კვლავ მიემგზავრება პეტერბურგს. 1798 წ. ოქტომბერში განჯაშია. 21 ნოემბერს თბილისს შემოდის (საქ. ცს. ა. ფ. 226, № 2461).

1798 წ. 11 ოქტომბერს გიორგი XII სთხოვს იმპერატორ პავლეს დაამტკიცოს დავითი მემკვიდრედ (А. Цагарели, Грамоты. ტ. II, ნაკვ. II, № 163). 1799 წ. 18 აპრილს პავლე ამტკიცებს დავითს მემკვიდრედ (იქვე, № 182). 1799 წ. 13 ივნისს ებოძა წმ. ანნას I ხარისხის ორდენი. 1801 წ. იანვრიდან ივნისამდე საქართველოს მმარ-

თებელია. 1803 წ. 18 თებერვალს გაასახლეს რუსეთს, დასახლდა პეტერბურგში სამუდამოდ. იმავე წლის 24 აპრილს ალექსანდრე I-მა თავისი ხელით გადასცა ალექსანდრე ნეველის ორდენი. დანიშნეს სენატორად. გარდაიცვალა 1819 წ. დასაფლავებულია ალ. ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

პლ. იოსელიანის ცნობით, დავით ბატონიშვილს უნდოდა ცოლად რუსეთში გაცნობილი ტატიშჩევის ქალი, ამავე დროს გიორგი მეფეს სურს დანიშნოს ის ოთარ ამილახვრის ქალ ელენეზე. დავითმა კი ცოლად შეირთო სიმეონ აბი-მელიქის ქალი ხამფერავან (ხანუმა) 1800 წლის 9 იანვარს დაიწერა ჯვარი .ხამფერავანი მართლმადიდებლად მონათლეს და უწოდეს ელენე (Sd 2170, აქტები, № 338). ამ ქალს დიდი მზითევი მოყვა. მაგრამ დავითმა მოინდომა მასთან განქორწინება. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მან აღძრა საქმე. განქორწინებაზე კათალიკოსმა ანტონ II-მ 1805 წელს საბოლოო უარი უთხრა („აქტები", II, გვ. 179). რუსეთში გადასახლებისას დავითმა თან არ წაიყვანა ელენე. ელენე პეტერბურგში ჩადის 1810 წ. ცხოვრობს ქმრისაგან განცალკევებით. გარდაიცვალა 1836 წ.

დავით ბატონიშვილი ეწევა სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობას რუსეთს გადასახლებამდე და რუსეთშიაც. მას ეკუთვნის მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები. მის მიერ თარგმნილია ვოლტერის „შობისათვის", მონტესკიეს „კანონთა არსის შესახებ", ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანი", „სამკურნალო რეცეპტები" (S—238). მისი ნაშრომებია „ნარკვევი" (დაიბეჭდა თბილისს 1800 წ) «კატილორია შემოკლებული» (S—58), 1812 წ. დაწერა პროექტი «О лучшем устройстве Грузии», 1813 წელს «Обозрение Грузии по части прав и законоведения". 1814 წ. დაწერა საქართველოს ისტორია 1744—1812 წლებისა «ახალი ისტორია» (დაბეჭდა ჯერ მ. ჯანაშვილმა, შემდეგ თ. ლომოურმა).

წერდა ლექსებსაც. მისი ლექსები დაცულია ხელნაწერებში H — 2130, S — 1534, S — 2385, S — 1512. მის ერთ-ერთ ლექსს „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" მღეროდნენ. დაბეჭდილია 1901 წ. № 2 „მოგზაურში" (ლექსი დაწერილია 1812 წ. 27 მარტს).

დავით ბატონიშვილის ლექსებზე იხ. ტრ. რუხაძე „დავით ბატონიშვილი და მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა" (ლიტერ. ძიებანი, I, 1943).

დარეჯან დედოფალი, ერეკლე II-ის მესამე მეუღლე (1738—1807). დარეჯანი, ეპიტაფიის ცნობით, დაიბადა 1738 წლის 20 ივლისს. დარეჯანი ბიძაშვილია კაცია დადიანისა (ნ. დადიანი, ქართველთა ცხოვრება, შ. ბურჯანაძის გამოც., გვ. 138). კაცია დადიანი იყო ოტიას ძე (იქვე, გვ. 151). ამავე დროს ვიცით, რომ დარეჯან იყო გიორგი დადიანის ასული. დარეჯანის მამა იხსენიება გიორგი კაცოს ძედ და კაციას ბიძაშვილად (იქვე, გვ. 184). იხსენიებიან კიდევ ოტია დადიანი და მისი ძმა კაცო (იქვე, გვ. 175). კაცო, ძმა დადიანისა, მოკლეს 1734 წ. (იქვე, გვ. 179). ამ კაცოს ძეა დარეჯანის მამა გიორგი.

1750 წ. „წარავლინეს იმერეთად ხორაშან ბატონიშვილი და თან აახლეს ნინოწმიდელი საბა ეპისკოპოსი და ითხოვეს ქალი დადიანისა დარეჯან მეფის ერეკლესათვის“ (პაპუნა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 181). (ხორაშან ბატონიშვილი იყო ერეკლე II-ის მამიდა, გარსევან ჩოლაყაშვილის მეუღლე).

ერეკლემ დარეჯანი მოიწონა სურამს, 1750 წელს (იქვე, გვ. 181) და მალევე დაიწერა ჯვარი.

1753 წ. დარეჯანს ეყოლა პირველი შვილი ელენე (პაპუნა, გვ. 208). 1756 წლის თებერვალში დაიბადა ლევანი (პაპუნა, გვ. 232), რომელიც აღსაზრდელად მისცეს ანახანუმ დედოფალს.

ერეკლესა და დარეჯანის ვაჟები:

ლევანი (1756—1781), იულონი (1760—1816), ვახტანგი (ალმასხანი) (1762—1814), თეიმურაზი (ანტონ II) (1764—1827), მირიანი (1767—1834), ალექსანდრე (1771—1844), ლუარსაბი (1772), ფარნაოზი (1777—1852), არჩილი (1780).

ერეკლესა და დარეჯანის ქალები: ელენე (1753—1784), მარიამი (1758—1828), ეკატერინე (1773—1818), ქეთევანი (1765—1840), ხორეშანი (?), ანასტასია (1763—1838), თეკლე (1778—1846).

დარეჯანი მეფის ოჯახის სხვა წევრებთან ერთად რუსეთს გადაასახლეს. რუსეთს ის გაემგზავრა 1803 წ. 25 ოქტომბერს მუხრანიდან. მუხრანს ის ცხოვრობდა თავის შვილიშვილ მუხრანბატონთან („აქტები“, II, გვ. 102—103). დასახლდა პეტერბურგში და იქვე გარდაიცვალა 1807 წლის 8 იანვარს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის ხარების ეკლესიაში.

დელპოცო ივანე პეტრეს ძე (1744—1820). სარდინიელი აზნაური. მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა. 1775 წ. პრაპორშჩიკად დაიწყო სამსახური შლისელბურგის ციხეში. 1795 წ. პოლკოვნიკობა

მისცეს და დანიშნეს სარდლად ყაზანის მუშკეტერთა პოლკისა, რომელიც კავკასიის „ლინიაზე“ იყო განლაგებული. პავლე I-ის დროს სამსახურიდან დაითხოვეს. დასახლდა თავის პატარა მამულში მდ. თერგთან ს. შელკოზავოდსკოეში. 1802 წ. მას დაესხნენ ჩეჩენი ყაჩაღები, მიაყენეს რამდენიმე ჭრილობა და ტყვედ წაიყვანეს დიდი ყაბარდოს შუაგულში, გერმენჩიკის (გრებენჩუკ) აულში. ის აქ წელიწადზე მეტი ყავდათ დატყვევებული, ბორკილებდადებული და ჯაჭვით დაბმული. ჩეჩენ ყაჩაღებს მასში დიდი გამოსასყიდის მიღება სურდათ, ამიტომ ტყვეს ძალიან მკაცრად ექცეოდნენ რათა ის მეტად შეწუხებულიყო და გამწარებულს ეთხოვა მთავრობისათვის გამოსასყიდი თანხა. დელპოცო გამოისყიდეს 10 ათას მანეთად; 1804 წ. გენერალ-მაიორობა მიიღო და კავკასიაში დაიწყო სამსახური ყაბარდოს პოლკის საქმეთა მწარმოებლად. ციციანოვის წარდგინებით იმპერატორმა 1804 წ. დანიშნა ორივე ყაბარდოს (დიდი და მცირე) საქმეთა მმართველად. (აქტები, II, 954).

1804 წ. შემოდგომაზე დ. სამეგრელოშია, სუჯუნიდან მოდის ციციანოვთან თბილისს (აქტები, II, 482). 1805 წ. ციციანოვი აძლევს მას ინსტრუქციას ყაბარდოში სამსახურის შესახებ (აქტები, II, 958—960).

1810 წ. დ. დანიშნეს ვლადიკავკაზის ციხის უფროსად და იქაური გარნიზონის პოლკის შეფად. 1814 წ. კავკასიის „ლინიაზე“ განლაგებული მე-19 ქვეითი დივიზიის უფროსი და ჯარების მთავარსარდალია, ხოლო 1818 წ. — ასტრახანის კომენდანტი. გარდაიცვალა 1820 წ.

დ-მ თავისი ქონება ანდერძით დაუტოვა ცოლის დას, მაიორის ქვრივს ელენე ფონ-რადინგს, რომელიც 1825 წ. იმყოფებოდა თბილისში. «Архив Воронцова»-ს. 36-ე წიგნში დელპოცო იხსენიება მხოლოდ სახელით—ივან პეტროვიჩ. საძიებელში ეს ადგილები შეტანილი არ არის.

დიასამიძე ანტონ. ჯვარის მამა, იერუსალიმის არქიმანდრიტი. ორჯერ იყო იერუსალიმში — 1764 და 1778 წწ. ორივე მისვლაზე მინაწერს უკეთებს იერუსალიმის „კლემაქსს“.

«რომელნიც მიემთხვივნეთ სულთა განმანათლებელისა წიგნს, ამას, ცოდვილსა ჯვარის მამას ანტონიოსს დიასამიძის შენდობით მოიხსენებდეთ. ჩღდ (1764) ოქტომბრის დ(4). მეორედ ღირს ვიქმენ თაყვა-

ნისცემად წ~თა ამათ ადგილთა ჩ~ლ~ბ, ოკდონბრის კვ (1778. 26. X). ულირსი ანტონი (А. Цагарели, Сведения... т. I вып. 3 с. 49).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთერთი წასვლისას იერუსალიმში თან წაულია დავით გარეჯის უდაბნოდან «სადღესასწაულო», რაც კიდევაც მიაწერა ამ ხელნაწერს: «ნათლისმცემლისა არის. მე, ანტონი არქიმანდრიტმა ნათხოვი წავიღე, ოდეს წარვედ მეორედ იერუსალიმად. ეს სადღესასწაულო ისევ გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოს მოუვიდეს. ვინც არ მისცემს ამ მონასტერს, ნათლისმცემელი რისხავს და იმ მონასტრის მამათ მადლი გაუწყრეს. ამინ. დეკემბრის იბ (12) კვირეს ჩ~ლ~ბ (1768) გამოვედ ქალაქით. ვიწყე სვლა» (А—104 ფ. 3). (Ф. Жордания, Описание рукописей, с. 121).

1787 წ. ერეკლე მეფე რეკომენდაციას უკეთებს თ-დ პოტიომკინის წინაშე ქართველ არქიმანდრიტს ანტონის, რომელიც გამოუგზავნია იერუსალიმის პატრიარქს რუსეთის გზით უშიშროებისათვის ღალის ასაღებად.

ანტონ დიასამიძე იყო თეიმურაზ ბატონიშვილის (1782 წ. დაბადებულის) ნათლია. თეიმურაზ ბატონიშვილმა „წელსა 1810 სექდენბრის 14 აღმოიღო უბით ძელი ჭეშმარიტი, რომელიცა აქვნდა თანმიცემული ნათლისაგან თვისისა ანტონი ჯვარის მამის მიერ დიასამიძისაგან, რომელიცა იყო ესე არქიმანდრიტი იერუსალიმისა და ქართველნი უხმობდნენ ჯვარის მამად და მრავალგზის მოელოცნა წმიდანი ადგილნი იერუსალიმისანი“ (ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 108).

არქიმანდრიტ ანტონის და მელიტონ ბერძენის ინიციატივით სტამბოლიდან იქნა ჩამოყვანილი „ბეჭდის მოძღვარი“ პოლოს ოჰანესიანი, რომელმაც თბილისში 1782 წ. გამართა ქართული სტამბა (А. Цагарели, Сведения... том. I. вып I, СПб. 1886).

ანტონ არქიმანდრიტის ძმისწულია იესე მორდალი (H —2130. ფ. 140v; 1786 წ. 2. XI-ს დოკუმენტი — დოკუმენტები საქ. სოც. ისტ. II, № 215).

1798 წ. ანტონმა წირვა გადუხადა ერეკლე II-ს, რისთვისაც, მიუღია 48 მინალთუნი (მასალები საქ. ეკ. ისტ. III, 125).

ანტონ კათალიკოსის წერილებში (H — 2510) არის ერთი წერილი ანტონ არქიმანდრიტისადმი მიწერილი. („ჯვარის მამის ანტონისთან მიწერილი. ანტონი სრულიად საქართველოსა კათალიკოსი მაღალ ღირსსა არხიმანდრიტსა, უფალს ანტონის უფლისა მიერ გახარებ.“ ხელნაწ. აღწ. H. VI. გვ. 5).

დიმიტრი იულონის ძე (1803—1845). იულონ ბატონიშვილის მეორე ვაჟი. დაიბადა 1803 წ. ცხოვრობდა პეტერბურგში. მის თანამედროვეთა მოგონებით იყო ნიჭიერი, განათლებული, სასიამოვნო მოლაპარაკე, მაგრამ გულჩათხრობილი.

1832 წლის შეთქმულების მონაწილე ავთანდილოვის ჩვენებით დიმიტრი ბატონიშვილმა მოინდომა სამსახურის დაწყება და საგარეო საქმეთა კოლეგიაში შევიდა. მას მიაკუთვნეს მე-14 კლასი, დიმიტრიმ ეს იწყინა და მაშინვე გაანება თავი სამსახურს (რვ. I, 45).

იოსებ მამაცაშვილის ჩვენებით, შეთქმულებს მეფედ უნდოდათ ალექსანდრე ბატონიშვილი, დიმიტრი კი, როგორც ერთობ ჭკვიანი, მინისტრად (რვ. X, 993).

საგამომძიებლო კომისიამ დიმიტრი ჩათვალა პირველი კატეგორიის დამნაშავედ ანუ ისეთ პირად, რომელმაც შთააგონა შეთქმულების მოწყობა დანარჩენებს. თუმცა მან არ აღიარა წაყენებული ბრალდება, იგი პირველდამნაშავედ ცნეს და მხოლოდ იმპერატორის შეწყალების შედეგად მიუსაჯეს სამი წლით გასახლება სმოლენსკში.

დიმიტრი გარდაიცვალა პეტერბურგს 1845 წ. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

დიმიტრის განათლებულებაზე იხ. გრ. ორბელიანის „დღიური", 1959 წ. გამოც. გვ. 263—264.

დოდაშვილი ივანე სოლომონის ძე. სოლომონ დოდაშვილის ვაჟი. დაიბადა 1829 წ. 29 ოქტომბერს. მონათლა მღვდელმა ეფრემ ალექსიევმა. ნათლიებად იყვნენ გიმნაზიის დირექტორი ე. გრუბერი და ბარბარე ორბელიანი (ბაგრატ ბატონიშვილის ასული) (საქ. ც. ი. ა. ფ. 489/138. საქმე 4420. ფურც. 9).

„გარდვიხადე ნათლობა. ...ნათლიად იყვნენ: დირექტორი სასწავლებლისა და ბარბარა ბატონიშვილის მეფის ძის ბაგრატის ასული". — სწერს სოლომონ დოდაშვილი იონა ხელაშვილს 1829 წ. 7 ნოემბერს (S — 388. გვ. 58—61).

„ივანემ შეასრულა კურსი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში. იყო თანამშრომელი გაზეთ „კავკაზ"-ისა, აგრეთვე არის ცალკე წიგნად დაბეჭდილი ამისი ლექსები რუსულ ენაზედ, რომლისთვისაც მიიღო თ. ვორონცოვისაგან ოქროს საათი საჩუქრად" (სამარლადონ დოდაევი, კიდევ სოლომონ დოდაევზე, „დროება", 1875. I. VI.

№ 6). (ეს სამარღადონ დოდაევი სოლომონის ძმის იასე მღვდლის შვილია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე დოდაშვილი მსახურობდა საგუბერნიო სამმართველოში. 1849 წელს გამოსცა თავისი რუსული ლექსები. თბილისის სამხედრო გუბერნატორის ივ. ანდრონიკოვის ხელისშეწყობით: Стихотворения Ивана Додаева-Магарского. В типографии П. Патканова, 1850г. ამ გამოცემაზე «კავკაზ»-ის 1850 წ. № 72-ში (გვ. 289-90) დაიბეჭდა ი. სლივიცკის რეცენზია.

„ცისკრის“ 1861 წლის № 11-ში გვ. 341-ზე დაიბეჭდა ანტონ ფურცელაძის თარგმანი ივ. დოდაშვილის ლექსისა: „დოდაევ — მაღარსკით ჭმუნვა“.

1863 წელს ივ. დოდაშვილი კავკასიის კალენდრის ცნობით არის თბილისის კომერციული სასამართლოს მდივანი და აქვს კოლეგიის მდივნის ჩინი. მომდევნო წლების კავკასიის კალენდრებში ივ. დოდაშვილი აღარ იხსენიება.

ცოლად ჰყავდა მამის ამხანაგის — დეკანოზ გრიგოლ ჭრელაშვილის ქალი სოფიო[10], რომელმაც „ივერიის“ ცნობით (1887 წ. № 156), წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა „საქართველოს გაზეთის“ 1819 წ. 8 მარტის პირველი ნომერი.

ივანეს დარჩა ვაჟი კონსტანტინე, საეკლესიო-ეკლესიერო წერილების ავტორი. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე 1920 წ. 16 იანვარს «ფეხზე ადგომით პატივი სცეს განყოფილების ნამდვილი წევრის, ლინგვისტის, 1919 წლის დეკემბერში გარდაცვლილის—კ. ი. დოდაევის ხსოვნას» (Известия Кавк. отдела Московского Археолог. общества. Вып. VI. Тифл. 1921, с. 54).

თვით ივანე დოდაშვილს უთარგმნია რუსულად დავით ბატონიშვილის თხზულება «ერეკლე II-ის ცხოვრება». თარგმანი დაიბეჭდა გაზ. «კავკაზ»-ში, 1851 წ. №№ 83, 84, 85; «კავკაზ»-ის 1851 წლის № 20, 21, 26, 81, 82, 85, 86, 107, 108-ში დაბეჭდილია «Летопись о царе Ираклие II» რუსულად თარგმნილი ივ. სოლომონის ძე დოდაევ-მაგარსკისაგან.

---

[10] სოფიოს დედა ეკატერინე ივანეს ასული გარდაიცვალა 1892 წ. დასაფლავებულია ქაშუეთის ეკლესიის გალავანში. ამ ეკლესიაში ჯერ წინამძღვრობდა მისი მამა დეკ. გრიგოლ ჭრელაშვილი, შემდეგ ძმა-დეკანოზი დავით (გარდ. 1897 წ. იხ. სამგლოვიარო განცხადება „ივერია“, 1892, № 41.

დოდაშვილი იასე ივანეს ძე (1820—187...?) სოლომონ დოდაშვილის ძმა. სემინარიის ატესტატში მოიხსენიება 1820 წ. დაბადებულად (სემინარიის საქმეები, ფ. 112, საქმე № 265, ფურც. 297), ამავე დროს არსებობს სოლომონ დოდაშვილის განცხადება 1827 წლისა, რომლითაც ის თავისი ცხრა წლის ძმის იასეს სასულიერო სასწავლებელში მიღებას ითხოვს (იქვე, საქმე II, ფურც. 25). ამ შემთხვევაში ის გამოდის 1818 წ. დაბადებულად.

1837 წ. შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელსაც ამთავრებს 1844 წ. მესამე ხარისხით (ფონდი 112, საქმე 265, ფურც. 297), თუმცა ხელნაწერი S — 22-ის გვ. 321-ზე მისი ხელით გაკეთებულ მინაწერში ვკითხულობთ: „ღვთის შეწევნით გავათავე კურსი მე იასე დოდაევმა წელსა ჩყმგ 1843 ივნისსა“.

1844 წ. დაინიშნა ბოდბის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდლად. 1848 წ. გადმოჰყავთ სოფ. მაღაროს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლად, ამ ადგილზე რჩება ის გარდაცვალებამდე (დაახლ. 1870-იან წლებში).

სემინარიაში სწავლისას მამამ ის 1839 წ. დანიშნა ბეგიაშვილის ქალ მარიამზე, თუმცა იასეს, როგორც მოწაფეს, ამის უფლება არ ჰქონდა. ამ საქმის ირგვლივ წარმოებდა გამოძიება, რაც დამთავრდა იმით, რომ იასეს დაედო „სასულიერო“ ჯარიმა (სინოდის გამგეობის ჟურნალი, 1841 წ. № 11).

დოდაშვილი ივანე იოსების ძე, მღვდელი სოფ. მაღაროს წმ. გიორგის ეკლესიისა. სოლომონ დოდაშვილის მამა. განათლება მიღებული ჰქონდა ჯერ დავითგარეჯის მონასტერში, შემდეგ ბოდბის სამონასტრო სკოლაში. ცოლად ჰყავდა ბარბარე, რომლისგანაც შეეძინა ექვსი ვაჟი და სამი ქალი: სოლომონ (იხ.), სტეფანე (იხ.), მიხეილ, ნიკოლოზ (გარდაიცვალნენ მცირეწლოვანნი), იასე (იხ.), ფრიდონ იგივე სპირიდონ (იხ.), აღათია, მელანია, ნინო (რომელიც გათხოვდა იოსებ ვაჩნაძეზე).

ივ. დოდაშვილი იყო მწიგნობრობის მოყვარული კაცი, ყველა შვილს სწავლა მიაღებინა. მისი პიროვნების დასახასიათებლად საინტერესოა მისი ვაჟის სტეფანეს წერილი, მიწერილი ძმასთან — სოლომონთან 1826 წ. ივნისში პეტერბურგს: „მამამან ჩვენმან რაღაცა პოლიტიკა იცოდა, ისიც დაუტევა, არ ვიცი რის მიზეზითა და პრაქტიკაცა აგრეთვე. მხოლოდ მთხოვა მე, შენ მისწერე, სულერთი არისო, ამბავი კი სწორე აცნობეო. რუსებთან გავლა დიდათა სძულს, სუდში ასის თუმნის საქმე რომ ჰქონდეს, არ წავა და ეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე ფოჩტაშიაც წიგნს ვერა ჰგზავნის“ (განსაკ. მნიშვნელობის საქმეთა ფონდი, საქმე 171, ფ. 235—236).

ივანეს პიროვნება კარგად ჩანს მისი საკუთარი წერილიდან სოლომონისადმი, რომელიც დათარიღებულია 1832 წ. სექტემბრით: „თუ შენის თავის ბედნიერება გინდა, სულ ყოელს საქმეს დაეხსენ და ბოდბელების საქმეზედ ბეჯითი იყავ. ამისთანა შენთვის ბედნიერება არა იქნების და სახელოვანი. რადგან დაჰპირდი და იმედი მოეც, უნდა ათავო, თორემ სირცხვილი არის“. ბოდბელებს ედავებიან მიწას ბოდბისხეველები. ამ წერილით მამა მოუწოდებს შვილს საქვეყნო საქმეზე ბეჯითობას.

1839 წ. ივანე დოდაშვილმა დანიშნა თავისი ვაჟი იასე ბეგიაშვილის ქალზე. ე. ი. ივანე გარდაიცვალა 1839 წ. შემდეგ.

დოდაშვილი სოლომონ ივანეს ძე (1805—1836). დაიბადა 1805 წ. 17 მაისს სოფ. მაღაროს მღვდლის ივანე დოდაშვილის ოჯახში. პირველ დაწყებითი სწავლა მამისაგან მიიღო. 1818—1820 წწ. სწავლობს სიღნაღის სასულიერო სამრევლო სასწავლებელში (საქ. ცსა, ფ. 440, საქმე 4, ფურც. 225). სიღნაღის მაზრის სასწავლებელთა ზედამხედველის ილარიონ დობრომისლოვის რეკომენდაციით 1820 წ. სექტემბერში გაიგზავნა თბილისში, რათა სათანადო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ჩაერიცხათ სემინარიასთან არსებულ სამაზრო-სასულიერო სასწავლებელში. სოლომონმა გამოცდები დაიჭირა და მიღებულ იქნა ამ სასწავლებელში. აქ მან გამოიჩინა ფრიადი წარმატება და მომდევნო 1821 წ. უკვე სემინარიაში, სარიტორიკო კლასში გადაიყვანეს. დოდაშვილი ჯერ ისევ სარიტორიკო კლასში სწავლობდა, როდესაც სემინარიის გამგეობამ ის გაგზავნა სიღნაღის სამრევლო სასულიერო სასწავლებელში განთავისუფლებული მეორე კლასის მასწავლებლის ადგილას.

ს. დოდაშვილი სიღნაღში ცხოვრობს ი. დობრომისლოვის ბინაზე (ი. დობრომისლოვი გარდაიცვალა 1822 წ. ოქტომბერში) (ტფ. სემინარიის საქმეები, საქმე 1822 წლისა, № 37, გვ. 11).

1823 წ. ზაფხულში ს. დოდაშვილი ითხოვს მასწავლებლობიდან და სასულიერო წოდებიდან განთავისუფლებას. 1824 წ. მიემგზავრება რუსეთს. მოსკოვში იგი შეხვდა გიორგი ავალიშვილს, რომელიც ატანს მას სარეკომენდაციო წერილს იონა ხელაშვილთან პეტერბურგში. იონა ხელაშვილი მას ყოველგვარ დახმარებას უწევს, პეტერბურგში სოლომონი ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულ-

ტეტზე. ამავე დროს ის ეწყობა ბაგრატ ბატონიშვილთან მისი სამი მცირეწლოვანი ვაჟის მასწავლებლად. სოლომონს ამ ბავშვებისათვის სხვათა შორის უნდა ესწავლებინა ქართული წერა-კითხვა. ს. დოდაშვილი ცხოვრობს ბაგრატ ბატონიშვილის ბინაზე ვასილის კუნძულზე.

1827 წ. მაისში ს. დოდაშვილი წარმატებით ამთავრებს უნივერსიტეტს და იგზავნება თბილისის საკეთილშობილო სასწავლებელში მასწავლებლად. ამ დროს მას უკვე დაბეჭდილი აქვს „ლოგიკის“ I წიგნი, ი. ხელაშვილის თქმით, 1200 ეგზემპლარი, რომელთაგან 600 თან წაიღო თბილისში. სამშობლოში ჩამოსვლისას თან მოჰყვა მისი შრომის დადებითი შეფასება მაშინდელ პრესაში („მოსკოვსკი ვესტნიკ“, „მოსკოვსკი ტელეგრაფ“, „სევერნაია პჩელა“).

თბილისში სოლომონი ჩადის 1827 წ. 24 ივლისს და მაშინვე აქტიურად ებმება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 26 ივლისს სოლომონი ინიშნება, მეათე კლასის ჩინით, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებლად. ასწავლის გეოგრაფიას, ქართულ ენას, ქართულ სიტყვიერებას (ეს სასწავლებელი 1830 წლიდან გიმნაზიად გადაკეთდა).

1828 წ. 29 ივლისს ს. დოდაშვილმა ჯვარი დაიწერა თევდორე ბარაშკინის შვილობილ ელენეზე. ჯვარი მათ დასწერა მღვდელმა ეფრემ ალექსი-მესხიშვილმა. მოწმე-მეჯვარეები იყვნენ: ანტონ აფხაზი, კოლეგიის სოვეტნიკი შიპულინი, მასწავლებელი ნიკოლოზ დემენტიევი, არქიტექტორი დემიდოვი, თევდორე ბარაშკინი (ფონდი 489, საქმე 4420, ფურც. 10). სოლომონის ცოლი — ელენე იყო კობიაშვილის ქალი, ადრე დაობლებული იშვილა თევდორე ბარაშკინმა, სოლომონზე გათხოვებისას 14 წლისა იყო (H — 2226, ფურც. 246).

სოლომონსა და ელენეს ეყოლათ სამი შვილი: ივანე (იხ.) — 1829 წ. აგვისტოში, ნინო — 1831 წ. (გარდაიცვალა ჩვილობაში) და კონსტანტინე — 1832 წ. დეკემბერში (გარდაიცვალა 1836 წ.).

1828 წ. გამოვიდა გაზეთი „ტფილისის უწყებანი“ ს. დოდაშვილის მონაწილეობით. ეს გაზეთი გამოდიოდა 1828—1830 წწ. როგორც რუსული გაზეთის „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ორეული. მაგრამ ს. დოდაშვილის მოღვაწეობით სხვაობა ამ ორ გაზეთს შორის სულ აშკარა ხდება. 1831 წ. გაზეთი არ გამოსულა, 1832 წ. კვლავ განახლდა მისი გამოსვლა.

1832 წ. გამოვიდა ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფი-

ლისის უწყებათა". გამოვიდა სულ ხუთი ნომერი. ჟურნალში იბეჭდებოდა სოლომონის წერილები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის პირველ და მეორე ნომრებში დაბეჭდილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა".

1831 წ. სოლომონ დოდაშვილმა გამოაქვეყნა „შემოკლებული ქართული გრამატიკა", იგი ბევრს ზრუნავს სტამბის გახსნისათვის, ბიბლიოთეკის მოწყობისათვის და სხვ.

ს. დოდაშვილი დააპატიმრეს 1832 წ. 11 დეკემბერს. საგამომძიებლო კომისიამ იგი მეორე კატეგორიის დამნაშავედ სცნო, ანუ ისეთ პირად, ვინც „შეთქმულების წამომწყები იყო და სხვებსაც უბიძგებდა შეთქმულებისა და თვით აჯანყებისაკენ". მიუსაჯეს საქართველოდან სამუდამო გასახლება, იგი უნდა გადაესახლებინათ ჩრდილო გუბერნიაში, სადაც პირველი ათი წელი შეეძლო ემსახურა როგორც დაბალ მოხელეს, საკლასო ჩინი მას ჩამოერთვა.

სოლომონი თბილისიდან გადასახლების გზას გაუდგა 1834 წ. 24 ივნისს. მან ადრევე ითხოვა, რომ მისი ოჯახი (ცოლი და ორი შვილი), რომელსაც არავინ ახლობელი არა ჰყავს, თან გაჰყოლოდა მას. დოდაშვილთან ერთად რუსეთის გზას გაუყენეს სოლომონ რაზმაძე. გადასახლებულნი 17 ივლისს პენზაში ჩავიდნენ, აქ დატოვეს ს. რაზმაძე, დოდაშვილი კი ოჯახითურთ აგრძელებს გზას. 1834 წ. 31 ივლისს ვიატკაში ჩავიდნენ. ვიატკაში ს. დოდაშვილი დანიშნეს გადამწერად საგუბერნიო სამმართველოში. შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში სათემო გადასახადების საქმეთა მაგიდის უფროსად.

1835 წ. ივლისში იგი შერყეული ჯანმრთელობის გამო თხოულობს სამხრეთ გუბერნიებში გადაყვანას. ამ თხოვნაზე მას უარი ეთქვა. 1836 წ. 20 აგვისტოს იგი გარდაიცვალა. დასაფლავებულია ვიატკაში.

მის ქვრივსა და შვილებს ნება მიეცათ საქართველოში დაბრუნებისა.

1836 წ. ბოლოს სოლომონის მეორე ვაჟი კონსტანტინე გარდაცვალებული ჩანს (სცსა, ფონდი 489, საქმე 4420, ფურც. 31), სოლომონის მეუღლე ელენე კი საქართველოში დაბრუნების შემდეგ იმავე 1836 წელს გათხოვილა ალექსანდრე ლვოვზე (იქვე). (ალექსანდრე ლვოვი 1842 წ. ივნისიდან ინიშნება თბილისის მესამე „ჩასტის" პრისტავად. შ. ჩხეტია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გვ. 31). ელენე მალე, 1838 წ. გარდაცვლილა, ამის შემდეგ მზრუნველობას სოლომონის ობლად დარჩენილ შვილ ივანეზე თავს იდებს

მისი ბებია, ელენეს დედა ანა კობიაშვილი, რომელიც ამ დროისათვის გათხოვილა კოლეგიის სეკრეტარ კუზოვნიკოვზე[11] (საქ. ფ. 489, საქმე 4420, ფურც. 33).

დოდაშვილი სპირიდონ (იგივე ფრიდონ) ივანეს ძე (1825—1875 წ-ის შემდეგ). სოლომონ დოდაშვილის უმცროსი ძმა. დაიბადა 1825 წ. სოფ. მაღაროს მღვდლის ივანე დოდაშვილის ოჯახში. 1839 წ. შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლისას 1848 წ. დააყენეს სემინარიის იმ მოწაფეების „უფროსად", რომლებიც საკუთარ ოჯახებში ცხოვრობდნენ (სემინარიის საქმეები, ფონდი 112, საქმე 240, ფურც. 274). სემინარია დაამთავრა 1845 წ. იმავე წელს გაიგზავნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აკადემიის სტუდენტია 1845—1848 წწ., 1848 წ. ივნისში ავადმყოფობის გამო თავს ანებებს აკადემიას, ბრუნდება თბილისში და აქ სემინარიის მაღალ განყოფილებაში იწყებს მასწავლებლობას (ასწავლის გეოგრაფიას, კატეხიზმოს, საღვთო ისტორიას).

1849 წ. 3 აგვისტოს განცხადება შეაქვს სემინარიის გამგეობაში და ავადმყოფობის გამო მასწავლებლობიდან და სასულიერო უწყებიდან გათავისუფლებას ითხოვს (ფონდი 112, საქმე 381. ფურც. 78). 13 აგვისტოს ეგზარქოსმა ისიდორემ სპირიდონი გაათავისუფლა მასწავლებლის თანამდებობიდან (იქვე, ფურც. 66).

1849 წ. 12 ივლისს სპირიდონი ცოლად ირთავს სომხის ქალს 17 წლის ანა ლილიფაროვისას (იქვე, საქმე 366, ფურც. 252).

სასულიერო უწყებიდან წასვლის შემდეგ მსახურობს კავკასიის კორპუსის საინტენდანტოში.

„კავკასიის კალენდრის" ცნობით, 1875 წ. ის არის კოლეგიის მრჩევლის ჩინით ხაზინის რწმუნებული კავკასიის მხარის გამიჯვნისას.

1869 წ. „კავკასიის კალენდარში" არის ცნობა, რომ „კ. ტომსონის ლითოგრაფია და ხრომოლითოგრაფია მოთავსებულია კრუზენშტერნისა და არსენალის ქუჩათა კუთხეში, დოდაევ-მაღარსკის

---

[11] ეფრემ ალექსი-მესხიშვილი უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას: „დოდაევის სიდედრი ქმრის შერთვას აპირებდა. და თვით ქალი მისი ცოლი დოდაევისა, და ეგ დოდაევი ნებას არ აძლევდნენ... მიველ კიდეკ ნების დასართავად სიდედრის მისი გათხოვებისათვის, სადაც ბალკონზე გამოვიდა უფალი დოდაევი, რომელმაც ნება დამრთო ჯვარი დასწერეო" (გზლ. 294-295). ეს ხდება 1832 წ. ნოემბერში.

სახლში“. ეს დოდაევ-მაღარსკი არის სპირიდონ დოდაშვილი. მისი სახლი მდგარა კრუზენშტერნის (აწ. გრიბოედოვის) და არსენალის (აწ. სასამართლოს) ქუჩათა კუთხეში.

დოდაშვილი სტეფანე ივანეს ძე (1809—1845). სოლომონ დოდაშვილის მომდევნო ძმა. 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო მასალებით 1833 წ. მარტში 24 წლისაა, რვ. XX, 3932), ე. ი. დაბადებულა 1809 წ. მამა მისი იყო სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მღვდელი ივანე (იხ.).

1819 წ-დან სწავლობდა სიღნაღის სამაზრო-სამრევლო სასწავლებელში. 1823 წ. 1 სექტემბერს შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც სწავლობდა 1827 წლამდე. 1827 წ. ითხოვს სემინარიიდან მოხსნას, რათა სამხედრო სამსახურში შევიდეს. სიღნაღის მიტროპოლიტის იოანეს მოწმობით, სტეფანეს მამა მღვდელი ივანე იყო სახაზინო გლეხი და არ ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. ამ მიზეზით სტეფანეს უარი ეთქვა სამხედრო სამსახურში მიღებაზე. სტეფანე დოდაშვილი მისი თხოვნისამებრ გაირიცხა სემინარიის მეშვიდე განყოფილებიდან და მიეცა ატესტატი (თბილისის სემინარიის საქმეები. 1827 წ. საქმე № 27).

შემდეგ ის მიემგზავრება რუსეთს, მსახურობს კანცელარისტად პეტერბურგში სენატის მე-5 დეპარტამენტში (აქტები, VIII, გვ. 394).

1831 წ. პეტერბურგიდან თბილისს გზავნის წერილს სოლ. დოდაშვილის ჟურნალში. ამ ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილი ანონიმური წერილი „მოწერილი ს. პეტერბურგიდან ტფილისს ძმასთან“ არის სტეფანეს ნაკალმარი.

„1831 წ. გაზაფხულზე პეტერბურგში ყოფნისას მოვიდა სტეფანე დოდაევი და გამომიცხადა — ქართველებს ჯანყი სდომებიათ“ — უჩვენებს საგამომძიებლო კომისიას დიმიტრი ერისთავი (გზლ. 191): „პეტერბურგიდან ახლად ჩამოსულმა დიმიტრი ერისთავმა მიამბო... რომ სტეფანე დოდაევმა მას უთხრა, საქართველოში შეთქმულებაა და მისი მეთაური ალექსანდრე ორბელიანიაო“ (ალ. ორბელიანის ჩვენება, გზლ. 217).

საგამომძიებლო კომისიამ სტეფანე დოდაევი, იმ დროს პეტერბურგში მყოფი, მერვე კატეგორიის დამნაშავედ სცნო.

1836 წლიდან სტეფანე საქართველოში ჩანს და როგორც 1832 წ. შეთქმულებაში შემჩნეული პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშაა. 1840 წ. 30 იანვრიდან ყვარლის უბნის „ზასედატელია“.

1844 წ. სტ. დოდაშვილს ედავებიან სახაზინო მიწას, სოფ. მაღაროს კუთვნილს, მდ. ირის ახლოს. სტეფანემ სასამართლოს უჩვენა, რომ ეს მიწა არ იყო სახაზინო და რომ ამ მიწას მისი მამის წინაპრები ფლობდნენ ჯერ კიდევ ქართველი მეფეების დროს. სენატმა საქმე დოდაევის სასარგებლოდ გადაწყვიტა — სახნავი მიწა ვენახითურთ მას მიაკუთვნეს (სცსა, ფ. 16/152, საქმე 8709, ფურც. 2—3).

1845 წ. თებერვალში სტ. დოდაშვილს მისცეს „კოლეგიის სეკრეტრის“ ჩინი.

1845 წ. მარტის დასაწყისში ლეკების დიდი რაზმი (600 კაცის შემადგენლობით) მოულოდნელად ყვარელში შემოიჭრა. ყვარელი იყო მარცხენა ფლანგის სარდლის პოლკოვნიკ მარკოვის ადგილსამყოფელი, აქვე იყო უბნის «ზასედატელის» კანცელარია. ლეკები შემოადგნენ სტეფანე „დოდაშვილის სახლს. მათ შელეწეს სახლის კარები, შეცვივდნენ კანცელარიაში და დახოცეს სტეფანე და მისი რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც ხანჯლებით იცავდნენ თავს. ლეკებმა ხელი მოსჭრეს დოდაშვილის ცოლს, მხოლოდ ის გადაურჩა სიკვდილს (შემდეგ იგი შეიშალა). ლეკების ამ შემოსევისას 20-ზე მეტი კაცი დაიღუპა (А. Л. Зиссерман, 25 лет на Кавказе, ч. I, СПб, 1879, გვ. 63—65).

სტ. დოდაშვილი დასაფლავებულია ს. მაღაროს წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში.

დომენტი, არქიმანდრიტი ნათლისმცემლის უდაბნოსი. შანშე დავითიშვილ-ბაგრატიონის შვილი. გიორგი XII-ის მეფობაში იყო კათალიკოსის არხიდიაკონი. 1804 წლიდან (როცა გარდაიცვალა წინამძღვარი უდაბნოსი ექვთიმე) დომენტი არის იოანე-ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტი.

1812 წ. კახეთის აჯანყებისას, როცა პოლკოვნიკმა ზაგრიაჟსკიმ იერიში მიიტანა ხაშმზე, დავით ბებუთაშვილის სიტყვით, არქიმანდრიტმა დომენტიმ ჯვრითა და სახარებით სთხოვა პოლკოვნიკს დაეზოგა სოფელი და მონასტერი. ზაგრიაჟსკი მას უხეშად შეხვდა და ისეთი უხამსი სიტყვებით მიმართა, რომ დავით ბებუთაშვილმა ველარ გაბედა მათი თარგმნა, მხოლოდ უთხრა არქიმანდრიტს, რომ პოლკოვნიკი ურწმუნოა და არ შეუძლია ჯვრის და სახარების დანახვაო. მაშინ დომენტი თავის მონასტერში მიბრუნდა. მეორე დღეს ხუთ მეამბოხეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ჩა-

მოხრჩობით. პაულუჩიც ამ დროისათვის აქ მოვიდა. დომენტიმ გამოითხოვა სიკვდილმისჯილთა პატიება („ვოენნი სბორნიკ", 1867, № 6.).

დომენტი გარდაიცვალა 1815 წ. 21 მარტს (Hd 11200, ფ. 35, 36).

საქართველოს უმაღლესი მთავრობის პროკურორის პლაფოტინის 1810 წ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ანტონ II-მ დომენტისაგან საჩუქრად მიიღო 150 მანეთი მისი იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს არქიმანდრიტად დანიშვნისათვის, ციციანოვმა კი, შუამავალმა ამ საქმეში — 100 მანეთი („აქტები", IV, № 234).

დოსითეოს არქიეპისკოპოსი (1774—1830). დიმიტრი არჯევანის ძე ფიცხელაური. ქსნის ერისთავის აზნაური. დაიბადა 1774 წ. მამა ამისი აზნაური არჯევან ფიცხელაური „სოფლიდან გასულად", ე. ი. მიცვალებულად იხსენიება 1793 წ. 9 ოქტომბრის საბუთში („საქართველოს სიძველენი", II, გვ. 463). დედა დოსითეოსისა, სახელად მარინე (იქვე, გვ. 461), მაღალაანთ ქალი უნდა იყოს, რადგან დოსითეოსი მოიხსენიება სახლთუხუცესის „პლემიანიკად" (აქტები, II, 264), სახლთუხუცესებათ კი მაღალაშვილები იყვნენ.

ბერად აღიკვეცა ჭაბუკობაშივე, იოანე ნათლისმცემლის უდაბნოში 1791 წ. ოთხი წლის შემდეგ ერეკლე მეფის თანხმობით იგი დადგენილ იქნა ქართლში, ხოფის მონასტრის არქიმანდრიტად. 1801 წ. ქვათახევის მონასტრის წინამძღვარია. 1810 წ., როცა კათალიკოსი ანტონ II რუსეთს იქნა გაწვეული, მან დოსითეოსიც თან გაიყოლა პეტერბურგში. როცა ანტონი საცხოვრებლად ნიჟნი-ნოვგოროდში გადავიდა, დოსითეოსი ალექსანდრე I-ის ნებართვით დატოვეს პეტერბურგში რუსული ენის შესასწავლად, თან დაუნიშნეს პენსია ორი ათასი მანეთის რაოდენობით.

1811 წ. 18 სექტემბერს გლახა ჭილაძე პეტერბურგიდან სწერს სამძიმრის წერილს თავის მძახალს ზაალ ტერიშვილს ცოლის გარდაცვალების გამო (ზაალის ცოლი კი იყო დოსითეოსის და). ამ წერილში გლახა ჭილაძე იტყობინება: „ჯერ დოსითეოსისათვის არ გაგვიმეღავნებია (— იგულისხმება დის გარდაცვალება) საქმეში იყო. პეტერბურლის მიტრაპალიტმა თავისთან მიიღო და ეპისკოპოსად კურთხევას უპირებენ. დიდს ბედნიერებაში შედგა ფეხი" (Sd 5389). მომდევნო 1812 წ. თებერვლის 15-ს იგივე გლახა ჭილაძე სწერს თავის სიძეს, ზაალის შვილს გიორგი ტერიშვილს: „ბიძაშენი

დოსითეოს იანვრის 30-ს არქიერად აკურთხეს და ყოველი კაცი დიდად სწყალობს“.

ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მოისპო, კათალიკოსობა გაუქმდა, რუსული წესები უნდა შემოღოთ საეკლესიო დარგშიაც. ეგზარქოსად გამოგზავნილ იქნა ქსნის ერისთავის დავითის შვილი ვარლამი, ხოლო მისი ნააზნაურალი დოსითეოსი დანიშნეს გორის ქორეპისკოპოსად. ვარლამი ადრევე წამოვიდა საქართველოში, დოსითეოსი კი დატოვეს პეტერბურგში საქართველოს საეკლესიო ახალი მმართველობისათვის წესების შესამუშავებლად.

1814 წ. დაარსდა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა და ამასთან ერთად განახლდა ოსეთის სასულიერო კომისიაც: კანტორა უნდა გასძღოლოდა საეკლესიო საქმეებს, ოსეთის კომისიას კი ოსებსა და საერთოდ მთიელ ხალხებში ქრისტიანობის დანერგვა-გავრცელებისათვის უნდა ეზრუნა. დოსითეოსი დანიშნეს კანტორის წევრად და კომისიის ხელმძღვანელად, თანაც არქიეპისკოპოსობა უბოძეს სახელწოდებით «Грузино-Кавказский и Телавский».

ამ ამბავს გლახა ჭილაძე ატყობინებდა თავის მეორე სიძეს იოანე გლურჯიძე-შერვაშიძეს: „დოსითეოს არქიერი ...ყოვლად მოწყალის ხელმწიფისაგან ისე ნაცნობია, რომ ვინც საქართველოდამ აქ, რუსეთში კაცი მოსულა, ამისი პატივი არავის მიუღია. თუ ეს ცოცხალი გვყავს, ვითომ ბატონიშვილის ვახტანგისაგან[12] ღმერთი არ გაგვწყრომია. ეცადე, რომ შენი შეძლებისამებრ სამსახური დაანახო“ (Sd 5461).

დოსითეოს ფიცხელაურმა საქართველოში ჩამოსვლის უმალ (1815 წ. მარტი), როგორც ოსეთის სასულიერო კომისიის გამგემ, თავისი საქმიანობა გააჩაღა: მოკლე ხანში ათასობით ოსი მოაქცია ქრისტიანად. რასაკვირველია, ასეთი წარმატება არ იყო შედეგი დოსითეოსისა და მისი ხელქვეითი პირების მისიონერობის დიდი ნიჭისა, ან კიდევ ოსების სარწმუნოებრივი შეგნებისა. წარმატების მიზეზი მატერიალური პირობები იყო.

საქმე ისაა, რომ კომისიის დაარსებისთანავე დოსითეოსის ენერგიული შუამდგომლობით ალექსანდრე I-მა 1814 წ. 30 აგვისტოს ჩამოართვა ქსნის ერისთავებს ქსანი და გვერდისძირი. უამისოდ ქრისტიანობა ვერ გავრცელდება მთიელებშიო, — ამტკიცებდა დოსითეოსი. მართალია, იმპერატორის ეს ბრძანება რტიშჩევს სის-

---

[12] ვახტანგ ბატონიშვილი გარდაიცვალა 1814 წელს.

რულეში არ მოუყვანია, დოსითეოსი მაინც ამ ბრძანებაზე დამყარებით მოქმედებდა. ის არწმუნებდა ოსებს, რომ გაქრისტიანებული ოსი უკვე არც ერთ მემამულეს აღარ ეკუთვნის, რომ თუ ქრისტიანობას მიიღებდნენ, გათავისუფლდებოდნენ ერისთავის ვალდებულებებისაგან და მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს გადაიხდიდნენ. რომ ქრისტიანობა მიღებული ოსი უკვე არცერთ მემამულეს აღარ ეკუთვნის, იხი მხოლოდ სახაზინო გლეხია და ქრისტიანი ბერის გარდა მათ უფროსი აღარ ეყოლებათ („აქტები", VI—I, გვ. 363). ფიცხელაურის ასეთი მოქმედების შედეგად ბევრი გაქრისტიანებული ოსი აღარ უშვებდა თავის ხეობაში მთავრობისაგან გაგზავნილ პირებს. ამასთან დოსითეოსი ოსთა მოსანათლავად უხვად იყენებდა საჩუქრებს—მოახსენებდა იმპერატორს ერმოლოვი 1816 წ. 15 ნოემბერს („აქტები", VI—I, გვ. 368). დოსითეოსი ამტკიცებს ერისთავებისათვის მამულის დაბრუნების უკანონობას. მაგრამ იმპერატორის 1817 წ. 12 თებერვლის ბრძანებით ქსანი და გვერდისძირი დაუბრუნდათ ერისთავებს.

დოსითეოსის საქმიანობაზე შეთხზეს სატირა:

> კანტორა რომ უწოდეს, რას ამბობენ, ბილმან,
> დოსითეოს ალექსით[13] წინასწარათ, ბილმან,
> მათი სიტყვა ქადილი ჭეშმარიტად ბილმან,
> ჩითით ნათვლენ ოსებსა, ქრისტიანად ბილმან.."
> (H—2558. 11 რეკტო).

1817 წელს დოსითეოსი გაათავისუფლეს ყველა თანამდებობისაგან და მოსკოვს გაიწვიეს. აქ ის მოათავსეს „ვისოკოპეტრეს" მონასტერში. 12 წელი დაჰყო ამის შემდეგ მოსკოვს ფიცხელაურმა. 1829 წელს ითხოვა საქართველოში სამკურნალოდ დაბრუნების ნება. იმპერატორმა უბოძა ძვირფასი პანაგია და დამატებით დაუნიშნა ათასი მან. ასიგნაციებით და ხუთასი მან. ვერცხლით საქართველოს საეკლესიო შემოსავლიდან.

დოსითეოსმა ადგილსამყოფელად თბილისი აირჩია. აქედან ის ქოლერის დროს გაემგზავრა სოფ. იკოთში და ბორჯომის ხეობაში წყლებით სამკურნალოდ. 1830 წლის 26 ოქტომბერს თბილისს მობრუნდა. „წელსა 1830-სა ნოემბერის 19-ს მიიცვალა ტფილისში

---

[13] „ალექსით"—ალექსისთან ერთად. ესაა ალექსი გაბრიელის ძე პეტრიაშვილი, დეკანოზი და თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის პირველი დირექტორი, რომელიც მერე ბერად აღიკვეცა ათანასეს სახელით და არქიმანდრიტის ხარისხით დაბრუნდა საქართველოში 1815 წელს როგორც ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი და ახლად დაარსებული სინოდალური კანტორის წევრი.

არხიეპისკოპოსი დოსითეოს ფიცხელაური ძე არჯევანისა, ესე დაფლეს ტფილისსა შინა ავლაბრის წმინდის დარიის ეკლესიაშიო“ (H — 2108, ასეთივე მინაწერები A — 1208, H — 607).

გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ 1830 წლის № 96-ში არის ცნობა დოსითეოსის გარდაცვალების შესახებ.

ეგნატაშვილი||იგნატიევი სიმონ იაგორის ძე. ასესორი, მერე პრემიერ-მაიორი. იყო გრიგოლ პოტიომკინის მიერ გარსევან ჭავჭავაძეზე მიჩენილი კონფიდენტი, ამავე დროს გარსევანსაც სანდო კაცად მიაჩნდა.

იხ. ამაზე ი. ცინცაძე, რამდენიმე ცნობა.. (ქუთ. პედ. ინსტ. შრ. ტ. II. 1941. გვ. 91—93); შდრ. ალ. ბარამიძე, ბესიკის ირგვლივ (თსუ შრომები, 1936. ტ. I, 154).

წილი ედო ლიტერატურაშიც. ქართულიდან რუსულად თარგმნა «ბარამ გულანდამიანი», რომელიც 1773 წელს დაიბეჭდა პეტერბურგში სათაურით: «Похождение новомодной красавицы принцессы Гуламданы и храброго принца Барама».

ალექსანდრე ამილახვრის «История Георгианская» ქართულიდან რუსულად თარგმნა სიმონ იგნატიევმა. გამოცემას აწერია «Переведена на Российсской язык И. С.»—ეს უნდა იყოს იგნატიევი სიმონი (იხ. В. Соколов, Опыт рсс. библиографии, №4740). იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, ტფ. 1924. ტ. II, გვ. 256.

ევგენი ეგზარქოსი (1784—1862), ალექსანდრე ფილიპეს ძე ბაევნოვი ანუ ბაკანოვი. სწავლობდა ტულის სემინარიაში, მერე მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში; კურსის დამთავრების შემდეგ იყო ალმზრდელ-მასწავლებლად ჯერ ტულის (1811 წ.) და მერე ყაზანის (1818 წ.) სემინარიაში. აქ 1819 წ. ბერად აღიკვეცა, იყო სედმიოზეროს უდაბნოს იღუმენად, სიბირსკის „პოკროვის“ მონასტრის არქიმანდრიტად, ტობოლსკის სემინარიის რექტორად, შემდეგ კოსტრომის სემინარიის რექტორად. 1829 წელს აკურთხეს ტამბოვის ეპისკოპოსად. აქ თავი გამოიჩინა სიმკაცრით. 1832—34 წლებში მინსკის ეპისკოპოსია. აქაც იმდენად შეაძულა თავი მოსახლეობას ზედმეტი სიმკაცრით, რომ როცა 1834 წლის 1 იანვარს გადაიყვანეს საქართველოს ეგზარქოსად, ამ ამბავს შეხვდნენ როგორც დღესასწაულს. საქართველოში ეგზარქოსად და-

ჰყო 10 წელი. აქ იქცეოდა თვითნებურად, არაფრად აგდებდა ადგილობრივ წესებსა და ჩვეულებებს, დასცინოდა და ეჩხუბებოდა მღვდლებს, ყოველი მისი წირვა ჩხუბით მთავრდებოდა. მასთან არქიტექტორად მსახურობდა ფრანგი რინარი; მან ეგზარქოს ევგენის განკარგულებით გაათეთრებინა მცხეთის სვეტიცხოვლის ფრესკები.

1844 წ. გადაიყვანეს ასტრახანში, ბოლოს იყო პსკოვის ეპისკოპოსი (Сборник Имп. Русск. Историч. Общества. т. 113. кн. I. под. ред. Н. Ф. Дубровина, СПб., 1902. 143—145).

ევლახოვი ივანე სერგის ძე, სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში. გიმნაზია დაამთავრა XIV კლასის ჩინის უფლებით. შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ კურსი არ შეასრულა. 1842 წლიდან „ზაკავკაზსკი ვესტნიკ"-ის რედაქტორის თანაშემწეა. 1843 წ. როცა სტელეცკიმ უარი თქვა რედაქტორობაზე, ევლახოვი დაინიშნა რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად. 1861 წ. კოლეგიის ასესორია და თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის უფროსი საქმეთა მმართველი.

ეკატერინე ერეკლეს ასული (1773—1818). ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის ასული, მეუღლე კახეთის სახლთუხუცეს გიორგი ჩოლოყაშვილისა. მისაგან ჰყავდა სამი ვაჟი: 1) ივანე (მაიორი, გარდაიცვალა 1860 წ. უშვილო), 2) დავითი (გარდაიცვალა 1820 წ.) 3) ლუარსაბი (გადამდგარი პორუჩიკი, გარდაიცვალა 1864 წ.) და ერთი ქალი ნინა.

ეკატერინე გარდაიცვალა გეორგიევსკში 1818 წ. 30 აპრილს. დასაფლავებულია გეორგიევსკშივე (Brosset, Histoire de la Géorgie, 1857. წიგნი II, ნაწ. II. 308).

ელენე, ერეკლე II-ის ასული (1753—1786). ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის პირველი ასული. დაიბადა 1753 წ. (პაპუნა, გვ. 208).

ახალგაზრდობაში უყვარდა ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილი. მაგრამ არ მიათხოვეს. ამ ნიადაგზე ჭკუაზედ შესცდა და „გიჟობასა შინა მყოფი" მიათხოვეს არჩილს, იმერეთის მეფე სოლომონ I-ის ძმას. არჩილისაგან ეყოლა ორი ქალი: ბარბარე (შემდეგში დავით წულუკიძის მეუღლე) და მარიამ (შემდეგში მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე).

არჩილის სიკვდილის შემდეგ ელენე მიათხოვეს ზაქარია თამაზის ძე ანდრონიკაშვილს, რომლისგანაც ეყოლა ასული ხორეშან (შემდეგში ზურაბ ორბელიანის მეუღლე, გრიგოლ ორბელიანის დედა).

ელენე გარდაიცვალა 1788 წ. დასაფლავებულია მცხეთას (ს. კაკაბაძე, საისტ. კრებული, 1929. IV. გვ. 116).

მაგრამ ეს თარიღი მცდარი უნდა იყოს. თ. ჟორდანიას „ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტრების საბუთებში“ დაბეჭდილ ერთ საბუთში (გვ. 262) ნათქვამია: „ელენე ბატონიშვილის ბარათის საწირავი გამოგზავნე, რომ საწირავის ბოძებას აპირებს ბატონი. აგვისტოს ია ქ^ს უოდ“ (1786 წ.). ე. ი. ელენე გარდაიცვალა 1786 წ. აგვისტოზე უწინარეს.

ელევთერ არქიმანდრიტი (1763—1826), გვარად ზუკაკიშვილი (ზურაბიშვილი). გიორგი XII-ის მეფობაში მღვდელი. გიორგი XII-მ გააზნაურა. პლ. იოსელიანის ცნობით „იყო საყვარელი მეფის ირაკლისაცა სიტყვა ნიჭიერებისა გამო“ (ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა, გვ. 78. სქ. შდრ. 317).

1812 წ. კახეთის აჯანყებისას ურჩევდა ხალხს — „რუსის ურჩობას ნუ იქმონენო“ (ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 142). წინ უძღვოდა გენერალ დიმიტრი ორბელიანს, რისთვისაც იგი შეიძაგეს (პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი XIII-სა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 317).

არქიმანდრიტი ელევთერი 1819 წ. 5 ივნისს სთხოვს სადეპუტატო შეკრებას მისი შვილი — თელავის მიძინების ეკლესიის მთავარდიაკონი დაამტკიცონ აზნაურობაში. აზნაურობა უბოძა ელევთერს გიორგი XII-მ 1798 წ. 21 ოქტომბრის სიგლით. ელევთერი წერს: „აზნაურობის სიგელი მეფის ირაკლისაგან ბოძებული, დამეკარგა... ჟამსა კახეთის ერის ამბოხებისა ჩყიბს წელსა, რომელ მოხუცი მამა ჩემი დარჩომილიყო გალავანს გარეთ თჳსსა სახლსა შინა და სახლკარიც დაეწოთ ჩემი და მამა ჩემი გამოეგდოთ და ყოველი ნივთი სახლისა ჩემისა წაეღოთ. მას ჟამსა ვმსახურებდი მე რუსეთის მმართებელად ყოფილსა მარკიზთან (-პაულუჩისთან) კახეთის ალრევასა შინა“. მეორე „თხოვნაში“ იგივე ელევთერი წერს (1819 წ. 21 ივნისს): „ღრამატა აზნაურობისა წარმოვადგინე განსვენებულის მეფის გიორგის ბოძებული გარდაცვალებულის მამის ჩემის დავით პროთოპოპისა და ჩემი“. ირკვევა, რომ ელეფთერის მამა დავითი ყოფილა „პროთოპოპი“, ე. ი. დეკანოზი და ის ცოცხალია

1812 წ. 1819 წ. კი უკვე გარდაცვლილა. ელევთერი, ჩანს, თავს დიდად იწონებდა ორდენით, რადგან ორივე „თხოვაში“ წერს: „მეორის კლასისა წმინდისა ანნას კავალერიისა ალმასებით განმშვენებულისა თხოვა“.

გარდაიცვალა 1826 წ. დასაფლავებულია ალავერდში, სამხრეთ დასავლეთ მხარეს კარიბჭის შესავალთან. აქვს ასეთი წარწერა:

„1826 3/9 აქა ქუჩშე ლოდისა ამის შთაიბნა შესაწყალი მტუერი არხიმანდრიტის ელევთერისი, როგორც დროთა ირაკლი და გიორგი მეფეთასა პატივცემულისა, ეგრეთვე დროთა დიდისა როსსიის მონარხის ალექსანდრე პირველისაგან კეთილმიღებულისა ანნას მეორე ხარისხის ბრილიანტის კავალერიით და საარხიმანდრიტოს ჯვარით განშვენებულისა და საქართველო-იმერეთის, უწმინდესის სინოდის კანტორის ჩლენისა შობითგან თუისით სამეოცდასამსა წელისა მრავალთა პირდაპირადთა მამულისა და ერთა მსახურების განმაცხადისა და საკუთარისა სამშობლოსა სახლის დიდმოღვაწისა და ერთისა ძისა მღუდლისა იოანესადმი მიმანდობელისა. ხოლო თქვენ მგზავრნო თანაწარმავალნო, მაგეთ ოხანი წინაშე ღთისა“.

ელისაბედ-მზეხათუნ, დავით მეფის ასული (1783—1829). იმერეთის მეფის დავითის და დედოფლის ანა მამუკას ასულის ქალი. 1803 წ. სოლომონ II-მ მიათხოვა სიმონ ზურაბის ძე წერეთელს. მზითვად მისცა ჭიათურასა და ჯრუჭულას შორის მდებარე ადგილები და წირქვალი. 1810 წ., როცა სიმონ წერეთელი გაიქცა სოლომონ II-სთან, ტორმასოვის ბრძანებით ელისაბედი უნდა გაეგზავნათ საჩხერიდან თბილისს, რათა აქედან მიწერ-მოწერა არ გაება გაქცეულ ქმართან (მ. ბურჯანაძე, იმერეთის საბუთები, II, № 91).

იმის გამო, რომ სიმონ წერეთელი გაქცეული იყო, მთავრობამ ჩამოართვა მამული. 1814 წ. სიმონი ბრუნდება იმერეთში, 1817 წ. ერმოლოვის წარდგინებით ელისაბედს დაუბრუნეს მზითევი.

„წელსა ჩყკთ-სა (1829-ს) თებერვლის ბ-სა დღესა შაბათს მიიცვალა საჩხერეს მეუღლე სიმონ ზურაბის ძის კაპიტნის წერეთლისა, იმერეთის მეფის დავითის პირველი ასული მზეხათუნ, მასვე ეწოდა ნათლის სახელი ელისაბედ და დაფლეს ჯრუჭის მონასტერშიდ“ (Q — 259; ფურც. 114. აღწ. I, გვ. 265).

ბროსე უჩვენებს, რომ «მზეხათუნ (ელისაბედი), ასული დავითისა, იმერეთის მეფისა, მეუღლე სიმონისა, სალთხუცის ზურაბ წერეთ-

ლის ძისა გარდაიცვალა 46 წლისა 3 თებერვალს 1829 წ.“ (Brosset, Voyage... 12, rapp. 87). მაშასადამე დაბადებულა 1783 წელს.

ელისაბედს დარჩა ორი ვაჟი და ორი ქალი (H — 1661).

ეპიფანე მღვდელ-მონაზონი. აზნაურ იოანე ბუჭყიაშვილის ძე. პეტერბურგში, ალექსანდრეს ლავრაში 1814 წ. 25 ივლისს აღწერს გამოკრებილ სახარებას მეფის ძის ბაგრატისათვის (Q —370).

თეიმურაზ ბატონიშვილისათვის იმავე ალექსანდრე ნეველის ლავრაში 1813 წ. 14 ნოემბერს აღწერს „ქილილა და დამანას“ (H — 2119).

შემდეგში ეპიფანე საქართველოში დაბრუნდა და იყო ხირსის მონასტრის არქიმანდრიტი.

ერიაშვილი სოლომონ (? — 1842) იგივე სვიმონ. ახლდა ანტონ კათალიკოსს ნიჟნი ნოვგოროდში. 1827 წ. აკურთხეს დიაკონად. იმავე წელს აკურთხეს მღვდლად, სოლომონ უწოდეს. 1826 წ. ბრუნდება საქართველოში, ირთავს ცოლს და მერე ისევ ნიჟნი ნოვგოროდში მიემგზავრება ანტონთან.

მიწერ-მოწერა აქვს იონა ხელაშვილთან. 1826 წ. იონა ატყობინებს ერიაშვილს: „დოდაევი, თუმცა ჰსწავლობს, გარნა წინ და უკან ათხუთმეტნი ვერსნი აქვს სასვლელად. აჰა ორნივე (ადამ ლირსოვი და სოლ. დოდაევი) უხვასტაგონი არიან, ე. ი. უქონენი მკდოვანნი“ (საქ. ხ. ი. S — 1532. გვ. 101); იგივე იონა წერს 1827 წ. ივლისში: „უფალი დოდაევი... მაისის 28-ს წარვგზავნე დიდფრიადისა რუდუნებითა ჩემითა ტფილისსა შინა აზნაურთ შკოლასა შინა უფროს მასწავლებლად. ...რომელმან ფილოსოფია, ლოლიკა შეთხზა ორთა ენებთა ზედა, განათლებისა მინისტრმა კომიტეტმან დაუბეჭდეს 1200 წიგნი, 600 აქ გამოითხოვეს და დანაშთონი თან წაიღო“ (Sd № 2226 ფ. 374).

1845 წ. სვიმონ ერიაშვილის ქვრივი, ვაქირში მცხოვრები მარიამი ითხოვს დაუნიშნონ პენსია 1842 წლის 5 აპრილიდან — ე. ი. ქმრის გარდაცვალების დღიდან (ფონდი 16/152/ № 8630).

ერისთავი ბიძინა რევაზის ძე (1800—1876). რევაზ გიორგის ძე ერისთავის უფროსი ვაჟი, რევაზ ერისთავსა და მის ცოლს ანასტასია ბატონიშვილს ჰყავდა ოთხი ვაჟი 1. ბიძინა. 2. შალვა (გარდაიცვალა 1894 წ.). 3. იასე (1811 წელს უკვე გარდაცვალებული). 4.

გიორგი (ატამანი) (იხ.) და ქალი თამარი (გათხოვილი შერმაზან — იგივე სიმონ აფხაზზე).

1826 წ. მონაწილეობდა გენ. დავიდოვის ლაშქრობაში, 1827 წ. პასკევიჩის ლაშქრობებში, რისთვისაც მიიღო პრაპორშჩიკობა.

1832 წ. შეთქმულების მონაწილეა. დაპატიმრებული იყო 8 თვის განმავლობაში. იმის გამო, „რომ მოინანია დანაშაული", გაათავისუფლეს და დაუნიშნეს პოლიციის მეთვალყურეობა.

ცოლად ჰყავდა თამარ იოსების ასული მელიქიშვილი (გარდაიცვალა 1867 წ. დასაფლავებულია იკორთაში), რომლისგანაც შეეძინა 8 შვილი.

ამათგან ცნობილია: 1) მარიამი, 1843 წ. მისთხოვდა ალექსანდრე დავითის ძე თარხანმოურავს (მასალები საქ. ეკ. ისტ. წ. III, № 325); 2) სოფიო (გაუთხოვარი) (1835—1886); 3) მიხეილი, გენერალ-ლეიტენანტი (1828—1894).

ბიძინა ერისთავი გარდაიცვალა 1876 წელს, დასაფლავებულია იკორთაში. აქვს ეპიტაფია, რომელშიაც ის მოიხსენიება შობითგან 76 წლისა (ი. მეგრელიძის პუბლიკაცია, საზ. მეც. განყ. მოამბე, 1963. № 3. გვ. 180).

ერისთავი გიორგი დავითის ძე (გლუხარიჩი) (1813—1864). გიორგი ერისთავი (დრამატურგი), სხვა მისი დროის გიორგი ერისთავებისაგან განსასხვავებლად „გლუხარიჩად" წოდებული, დაიბადა 1813 წ. მამა მისი იყო ქსნის ერისთავი დავითი, რუსეთის ერთგული. დედა — მდივან ივანე ქობულაშვილის ქალი მარიამი. 10 წლისა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, მაგრამ აქ სწავლა არ დაუსრულებია, 1825 წ. მისმა ბიძამ მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა დაიბარა მოსკოვში სწავლის მისაღებად. აქ ის ვარლამმა კერძო პანსიონში მიაბარა. 1828 წ. სამშობლოში დაბრუნდა სწავლის შეუსრულებლივ. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გ. ერისთავი ერთ ხანს უსაქმოა, მერე კი იწყებს სამსახურს თბილისის გუბერნატორ სტრეკალოვთან. მალე იგი ებმება თბილისში დაარსებულ ფარული საზოგადოების საქმიანობაში. 1831 წ. პირადად წაიღო ელიზბარ ერისთავის წერილი დიმიტრი ბატონიშვილთან პეტერბურგში.

1832 წ. 30 დეკემბერს გიორგი ერისთავი დააპატიმრეს (რვ. II, 288). იგი ყაზარმებში იჯდა მთელი წელიწადი. საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა მესამე თანრიგს, ანუ ისეთ პირთ, „რომელნიც ქმედითად მონაწილეობდნენ შეთქმულებაში და აჯანყების მო-

მხრე იყვნენ". მხედველობაში მიიღეს რა გიორგი ერისთავის ახალგაზრდობა და აგრეთვე ისიც, რომ მან აღიარა თავისი დანაშაული, როზენის წარდგინებით იმპერატორმა ბრძანა მისი დანიშვნა რუსეთის პირველ ფეხოსანთა კორპუსის ერთ-ერთ რაზმში. 1834 წ. იანვარში გ. ერისთავი გაიგზავნა ქ. ვილნოს მესამე ქვეით დივიზიაში. აქ მან 4 წელი დაჰყო. 1838 წ. ბრუნდება საქართველოში.

1850 წ. მსახურობს ხიდისთავში, საიდანაც მას გაიწვევენ თბილისს ქართული თეატრის მოსაწყობად. ამ დროისათვის მისი კომედია „გაყრა" ხელნაწერად იყო გავრცელებული.

პირველი ქართული წარმოდგენა გაიმართა 1850 წ. 2 იანვარს თბილისის გიმნაზიის შენობაში. გ. ერისთავის მეცადინეობით დაარსდა ქართული თეატრის დასი. ქართულმა თეატრმა იარსება 1855 წლამდე.

გ. ერისთავის ხელმძღვანელობით არსდება ქართული ჟურნალი „ცისკარი", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წ. იანვარში. „ცისკრის" გამოცემა დასრულდა 1853 წ. დეკემბრის ნომრით.

1855 წელს გ. ერისთავი თავს ანებებს თბილისში საქმიანობას და ბრუნდება ხიდისთავში. მას აქეთ ცხოვრობს სოფლად.

გარდაიცვალა 1864 წ. 9 სექტემბერს ქალაქ გორში, დასაფლავებულია იკორთას. ეპიტაფია დაბეჭდილი აქვს ი. მეგრელიძეს (საზ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1963. № 3, გვ. 172—173).

გიორგი ერისთავს სდომებია ალ. ჭავჭავაძის ქალის ეკატერინეს ცოლად შერთვა. „ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, მესამე და მეოთხეები ვართ. რო წახვალ შენ, აგებ მომიხერხო", — წერს გ. ერისთავი გრ. ორბელიანს 1836 წლის ნოემბერში („თხზულებანი", 1936. გვ. 364). გიორგის ბებია—მარიამ დავითის ასული, როსტომ ერისთავის ცოლი, ალალი პაპიდა იყო კატინკასი.

1844 წ. ცოლად შეირთო იაგორ ალიხანოვის ქალი ელისაბედი, რომელიც 1854 წ. გარდაიცვალა. მისგან ჰყავდა ერთი ვაჟი დავითი („სამშობლოს" ავტორი, 1847—1890). 1856 წ. ირთავს დავით მიმბაშის თარხნიშვილის ქალს მართას, დავით ბარათაშვილის ქვრივს (1824—1908).

გიორგი ერისთავის დაბადების თარიღისათვის იხ. ს. ცაიშვილის წერილი „ლიტერატურა და ხელოვნება", 1947 წ. № 29 და აგრეთვე ამბ. გაჩეჩილაძის წერილი იქვე, 1950, № 32.

ერისთავი გიორგი იესეს ძე (სენატორი) (1760—1863), ცნობილი გენერალი. მეტსახელად ეძახდნენ: „დიდი კნიაზი", „ტავრიჩეს-

კი“, „ჰერი-ჰა“. ჯარისკაცები ეძახდნენ „ბატუშკას“. მისი დროის სხვა გიორგი ერისთავებისაგან გასარჩევად წოდებულია „სენატორად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ერისთავი შვილია ქსნის ერისთავის ყულარაღასი იესეს[14] შვილის იესესი. მისი მამა იესე იესეს ძე ცნობილია კიდევ სახელით აღაბაბათი, ამიტომ გიორგი ერისთავი ზოგჯერ წოდებულია აღაბაბაშვილად. იოანე ბატონიშვილის ცნობით, „ვარლამ ერისთავმა ასწავლა ფილოსოფია გიორგი აღაბაბაშვილს“ (ქალმასობა, II, გვ. 201). გიორგი აღაბაბას (იესეს) შვილი მონაწილეობდა კრწანისის ომში (1795 წ.). ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანის სიტყვით „გიორგი ერისთავი და ელიზბარ ერისთავი მეფის ირაკლის ჯარის გამოყვანას შლიდნენ“ (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, თბ., 1914. გვ. 53 სქოლიო).

გიორგი ერისთავი 1799 წ. არის გიორგი XII-ის მიერ რუსეთს გაგზავნილი დეპუტაციის შემადგენლობაში. მოსკოვში იგი დაესწრო ალექსანდრე I-ის 1801 წ. 20 იანვრის მანიფესტის გამოცხადებას (პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას გამოც., 1936. გვ. 240).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ გ. ერისთავი არის რუსეთის ყველა ომის მონაწილე. მისი სამხედრო კარიერა კარგადაა ცნობილი ლიტერატურაში: 1802 წ. ის ჩაიცხეს ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკში პოდპოლკოვნიკად და მისცეს „ნადვორნი სოვეტნიკის“ ჩინი. 1803 წ. მონაწილეობს გენ. გულიაკოვის ოპერაციებში, ჭარ-ბელაქანში. ბელაქანთან გამართულ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი, რისთვისაც პოლკოვნიკობა მისცეს. მონაწილეობს სპარსეთთან ომში 1808 წ. 1809—1810 წწ. არის პოლკის უფროსი, 1812 წ. გენერალ მაიორობა მისცეს. აქტიურად მონაწილეობდა 1826—1827 წწ. რუსეთ-ირანის ომში. 1827 წ. მთავარსარდალ პასკევიჩთან შეუთანხმებლად, მცირე რაზმით აიღო ქ. თავრიზი[15]. ამ გამარჯვებისთვის დაჯილდოვდა ანდრია პირველწოდებულის ორდენით.

თავრიზის აღების შემდეგ გ. ერისთავს მისცეს სენატორობა საქართველოში ცხოვრების უფლებით (Кавказский сборник, I, 1876. გვ. 36).

---

[14] იესე ყულარაღასს სამი ვაჟი ჰყავდა: დავით, ბეგლარ (იგივე იოანე) და იასე (აღაბაბა).

[15] ამ ფაქტის შესახებ ა. ერმოლოვი სწერდა მ. ვორონცოვს 1846 წელს: პასკევიჩს „ერისთავმა ცხვირწინ ააცალა სპარსეთის მემკვიდრის რეზიდენცია“.

1846 წ. გ. ერისთავს მისცეს უმაღლესი სამხედრო ჩინი ინფანტერიის გენერლობა.

1861 წ. იმპერატორი ალექსანდრე II ეწვია საქართველოს. გ. ერისთავი — 100 წლის მოხუცი — ეახლა მას ქუთაისში.

გ. ერისთავი გარდაიცვალა 1863 წ. დასაფლავებულია ი ერთა-ში (ეპიტაფია იხ. ი. მეგრელიძე, „მოამბე", 1963. № 3 გვ. 1

მისი ბიოგრაფია ლექსად დაწერა დიმიტრი ბერიევმა. და ქდილია «ცისკარში», 1865, № 4. ოფიციალური დოკუმენტები გ ერისთავის სამხედრო მოღვაწეობაზე გამოქვეყნებულია «Кавказский сборник»-ის 28-ე ტომში.

გ. ერისთავი ნახსენებია რუს მოხელეთა მოგონებებში: Записки Н. Н. Муравьева (август 1823 г.) Русский Архив, 1888, кн. III. вып. 9; Василий Андреев, Воспоминания из Кавказской старины. Кавказский сборник, I. 1876. ფიგურირებს ა. პ. ერმოლოვისა და მ. ს. ვორონცოვის მიწერმოწერაში (Архив князя Воронцова, кн. 36-ая, М., 1890, стр. 316—318, 296; Русский Архив, 1890, № 2).

1832 წ. შეთქმულება მისთვის არ გაუნდიათ. ტარასი ალექსიმესხიშვილის ჩვენებით (რვ. VII, 1212), ელიზბარ ერისთავს უთქვამს მის შესახებ: „ბიძაჩემი გიორგი მოხუცებულიც არის, კიდეც შეუძლიან, მაგრამ პირში კი არა დაუდგება რა, მაშინვე წამოროშავსო". ის ფიგურირებს 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო მასალებში. ს. დოდაშვილის ჩვენებით, გ. ერისთავი მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილებას ჯერ კიდევ 1830 წ. გამოსთქვამდა და თითქოს შეთქმულებას თანაუგრძნობდა. კომისიამ საჭიროდ სცნო გაერკვია გ. ერისთავის პოზიცია და ამიტომ სპეციალური კითხვები გაუგზავნა მას სოფელში საპასუხოდ. პასუხებში გ. ერისთავმა საერთოდ უარყო თუ რამე იცოდა შეთქმულების შესახებ. კომისიამ ზედმეტად სცნო მისი საქმის შემდგომი გამოკვლევა (სწერს როზენი ჩერნიშოვს 1833 წ. 17 აგვისტოს. ფონდი OBD საქმე 163, ფურც. 499).

1808 წ. ცოლად შეირთო გიორგი XII-ის ასული გაიანე. რომელსაც ამ შემთხვევის გამო სახელმწიფო საბჭომ დაუნიშნა მზითვად 12 000 მან. (Архив Гос. Совета, т. III. ч. II, СПб., 1878, 1244—1245). გაიანე გარდაიცვალა 1820 წელს. გიორგი ერისთავს და გაიანეს ჰყავდათ სამი შვილი: ვაჟი ზაქარია (შემდეგში პოლკოვნიკი, მოკლეს ლეკებმა 1850 წელს; მას ცოლად ჰყავდა ელენე ლუარსაბის

ასული ორბელიანი) და ორი ქალი ქეთევანი (შემდეგში მამუკა ორ-
ბელიანის მეუღლე) და მარიამი (შემდეგში მეუღლე გრიგოლ ივანეს
ძე ერისთავისა).

გიორგი ერისთავი ყოფილა კარგი ორატორი. ვ. ა. ინსარსკის მო-
გონებით ის ითვლებოდა სახალხო ორატორად და შემთხვევას არ
უშვებდა, რომ სიტყვა არ ეთქვა (Русская старина, 1894. გვ. 50).
პლ. იოსელიანს დაბეჭდილი აქვს რუსული თარგმანი იმ სიტყვისა,
რომელიც გ. ერისთავმა უთხრა 1798 წ. გიორგი XII-ს პავლე I-საგან
სამეფო რეგალიების მიღების გამო (Пл. Иоселиани, Икортский мо-
настырь в Карталинии, Грузинский Духовный Вестник, 1865,
ноябрь, 94—96). ზოგი მისი წერილი, დაწერილი ამაღლებული, ან-
ტონისეული სტილით, მოღწეულია ჩვენამდე: 1821 წ. 4 მაისის წერი-
ლი გამოგზავნილი ქიზიყიდან კეთილშობილთა სასწავლებლის მოძ-
ღვრის ნიკოლოზ ხელაშვილისადმი და 1821 წ. 21 ივლისის წერილი
დავით რექტორისადმი (საქ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H-№
1216; პირველი წერილის პირი დაცულია საქ. ც. არქივში, ძვ. ხელ-
ნაწერთა ფონდი, № 389), ამ წერილებში განქიქებულია ვინმე «მღვდე-
ლწოდებული ეგნატი». აქ ნახსენებ მომენტებს იმეორებს ანონიმუ-
რი წერილი არქიმანდრიტ ელეფთერისადმი (H—2530), რომელსაც
დართული აქვს ლექსი «სიცრუის მღვდელსა ვინ გარდაგაცვა ოლარ-
ფილონი». წერილიცა და ლექსიც გიორგი ერისთავს (სენატორს) უნდა
ეკუთვნოდეს.

გ. ერისთავისაა აგრეთვე სოფიო მაყაშვილის 1868 წ. შედგე-
ნილ ალბომში ჩაწერილი ლექსი — „გიორგი კნიაზისაგან თქმული
თავის შვილ ზაქარიაზედ“, რომელიც იწყება სიტყვებით „დავ-
კარგე ფერითა მდიდრით შემკული, ვტირ, მიმეფარა“ (საქ. ხელ-
ნაწ. ინსტ. ფონდი Q — № 27. ფურც. 16). გ. ერისთავისაა ლექსი
„კავკასიის მთასა“, მიმართული ყაზარმებში მყოფ 1832 წლის შეთ-
ქმულების მონაწილეებისადმი (H 1762 ა და S — 5367), რომელ-
თაც ის ადანაშაულებს იმაში, რომ მიენდნენ „დოდაევს გვარით
სისხლამღვრეულს, უგვარკუდოსა“. ეს ლექსი გამოქვეყნებულია
ნ. ტატიშვილისა და ს. ხუციშვილის მიერ (პუშკინის სახელობის
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, გვ. 170—171).

გ. ერისთავი არის ავტორი აგრეთვე თეოლოგიური ნაშრომისა
„მამისაგან შვილის დარიგება“ („ცისკარი“, 1862. № 10).

გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) თხზულებანში (შ. რადიანი-
სა და ი. ბალახაშვილის რედაქციით, ტფ., ფედერაცია, 1936, გვ.

67—68) დაბეჭდილია ლექსი „კავკაზი და უხანები“. ამ ლექსს გლუხარიჩისად თვლის აგრეთვე დ. გამეზარდაშვილი („გიორგი ერისთავი“, გვ. 138—139). ჩემის ფიქრით კი ეს ლექსი უნდა იყოს გიორგი სენატორისა.

ერისთავი გიორგი რევაზის ძე (ატამანი) (1812—1891) გიორგი რევაზის ძე ერისთავი იყო ქსნის ერისთავის გიორგი ყულარაღასის შვილიშვილი. გიორგი ყულარაღასის ერთ-ერთმა შვილმა რევაზმა 1793 წ. ჯვარი დაიწერა ერეკლე II-ის ქალ ბატონიშვილ ანასტასიაზე (დოკ. საქ. სოც. ისტორიიდან, II, გვ. 193). რევაზისა და ანასტასიას მეოთხე ვაჟი იყო გიორგი. დაიბადა 1812 წ. მამა — რევაზ გიორგის ძე ერისთავი გარდაიცვალა 1814 წ.[16]. პირველდაწყებითი სწავლა გიორგიმ ოჯახში მიიღო. 10 წლისა მიაბარეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, ხოლო 1825 წ. 3 სექტემბერს, როცა მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, დედამ წაიყვანა პეტერბურგში სწავლის გასაგრძელებლად. ანასტასია ბატონიშვილსა და გიორგისთან ერთად პეტერბურგს გაემგზავრნენ სასწავლებლად დავით ჯორჯაძე (მე-4 კლასელი) და ესტატე თარხნიშვილი (მე-5 კლასელი). ამათთან ერთად იმგზავრა ცნობილმა მწიგნობარმა და მოღვაწემ ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილმა, რომელმაც თან წაიყვანა აგრეთვე თავისი ობოლი ძმისწულები — მომავალი პროფესორი დავით იესეს ძე და მისი და პელაგია (ფ. 16/152, საქმე № 3322).

პეტერბურგში გიორგი ერისთავი დედამ მიაბარა ჯერ გადენიუსის პანსიონში, მერე ლორენცისაში, ბოლოს კი სწავლა გააგრძელა იუნკერთა სკოლაში. სკოლაში გიორგი ვახმისტრად იყო. ხოლო როცა პოლონეთის აჯანყება დაიწყო, გაგზავნეს ფრონტზე. მონაწილეობდა ვარშავის ალყის შემორტყმაში. აქ მიიღო მან კორნეტის ჩინი და მედლები; ომიდან დაბრუნებულმა ითხოვა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება, მაგრამ მისცეს მხოლოდ 4 თვის შვებულება და გიორგიმაც სამშობლოსკენ გამოსწია. 1832 წ. ივლისში ის უკვე თბილისშია და მაშინვე ებმება შეთქმულების საქმეებში.

გიორგი ერისთავი უკმაყოფილოა რეჟიმისა იმიტომაც, რომ

---

[16] ეპიტაფია იკორთის მონასტერში. ი. მეგრელიძე, წარწერები... საზ. განყ. მოამბე, 1963. № 3. გვ. 179. რეზიუმეში ამ ეპიტაფიას მიაწერს შეცდომით ანასტასია ერეკლეს ასულს.

მთავრობამ მამული გაუნახევრა. მის ოჯახს ჯერ ჰყავდა 550 კომლი ყმა, მერე კი რტიშჩევმა, მეტადრე კი პასკევიჩმა ეს ქონება 300 კომლამდე დაუყვანა.

შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ის დააპატიმრეს 1832 წლის 9 დეკემბერს. 1833 წ. 17 იანვარს როზენი უკვე მოახსენებდა სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს: „სინამდვილის გაგებაში ყველაზე მეტად დაგვეხმარა კორნეტი გიორგი ერისთავი“ (OBD, 163, ფ. 64). მართლაც, 1832 წ. 23 დეკემბრისათვის გიორგის დასახელებული ჰყავდა კომისიისათვის შეთქმულების მონაწილე ექვსი პირი: იოსებ მამაცაშვილი, თავისი დეიდაშვილი დიმიტრი ორბელიანი, ტარასი მესხიშვილი, თა დია ჩოლოყაშვილი, თავისი ბიძაშვილი ლევან ლუარსაბის ძე ერისთავი და მეორე ბიძაშვილი ივანე ელიზბარის ძე ერისთავი.

ამ გარემოებამ დადებითი გავლენა იქონია გ. ერისთავის შემდგომ ბედზე, ის აღარ გაასამართლეს და ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს არხანგელსკში გარნიზონის ბატალიონში, 1835 წ. გადაიყვანეს ახტირსკის გუსართა პოლკში, 1836 წ. შტაბროტმისტრია, 1840 წ. კაპიტნის ჩინით გადმოიყვანეს სამშობლოში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში.

1852 წ. კავკასიის ხაზის კაზაკთა ჯარის ატამანია. ამიტომ მას მეტსახელად ატამანს ეძახდნენ გასარჩევად მისი დროის სხვა გიორგი ერისთავებისაგან (სენატორი, გლუხარიჩი, რუსეთუმე, მამამზე). 1858—61 წ. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორია. 1881 წ. მიიღო კავალერიის გენერლობა. გარდაიცვალა 1891 წ.

1832 წლის შეთქმულებისა ის უფრო მაყურებელი იყო, ვიდრე მონაწილე. მისი აქტივობა შეთქმულებაში იმით ამოიწურა, რომ ელიზბარ და დიმიტრი ერისთავებთან ერთად ორჯერ ინახულა დარიის მონასტერში ტარასი მესხიშვილი და ელიზბარის კარნახით შეადგინა მმართველობის მოკლე პროექტი, რომელსაც ის предположение-ს უწოდებს.

გიორგი ატამანს ცოლად ჰყავდა ანა ივანეს ასული არღუთაშვილი ძმისწული ცნობილი გენერლის მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკისა. ამათი შვილია ზაქარია, რომელმაც ოძისში მამული, თანახმად მამის სიტყვიერი ანდერძისა, შესწირა სასოფლო-სამეურნეო სკოლის გასახსნელად („კვალი“, 1893 წ. № 21).

გიორგი ერისთავი აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ საქმეებში.

ქუთაისის გენ.-გუბერნატორის სახლში მისი თაოსნობით ემართებოდა ლიტერატურული ჟურფიქსები („ცისკარი", 1862, № 2).

იყო მეთაური თბილისის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოების დაწესებისა („ივერია", 1891, № 238).

ხელს უმართავდა საქართველოს ისტორიის შემსწავლელთ. დიმ. ბაქრაძის დაარსებულ ფონდს შესწირა 100 თუმანი. გ. ერისთავის ხელშეწყობით წავიდა დიმიტრი ბაქრაძე სვანეთში (Зап. КОРГО, V, გვ. 51-52).

ერისთავი დავით როსტომის ძე (1780 (?) —1830). დრამატურგ გიორგი ერისთავის მამა. 1812 წ. მას აბარია პატარა ლიახვის და მეჯუდის ხეობის ოსები. მიმაგრებულია ოსეთის სასულიერო კომისიაზე და ეხმარება ამ კომისიას ოსების გაქრისტიანებაში. რისთვისაც მიიღო „გუბერნიის სეკრეტრის" ჩინი.

მონაწილეობდა თურქების წინააღმდეგ ბრძოლებში ახალციხესთან 1810 წ., აგრეთვე — სპარსეთის წინააღმდეგ ომებში. 1827 წ. 5 ივლისს მონაწილეობა მიიღო არაქსს გაღმა გამართულ ბრძოლებში, აბას-აბადის ალყასა და აღებაში (1827 წ. 7 აგვისტო). სარდარაბადის ალყასა და აღებაში (17 სექტემბერს) და ბოლოს ერევნის აღებაში (I ოქტომბერს). სპარსეთის კამპანიაში გამოჩენილი მამაცობისათვის დააჯილდოვეს წმ. ანას მეოთხე ხარისხის ორდენით და 1828 წ. მისცეს კოლეგიის სეკრეტრის ჩინი (ფ. 16. ს. 9896). იყო სახაზინო კოლეგიის „სოვეტნიკი".

გარდაიცვალა 1830 წ. 12 აგვისტოს ქოლერით. დასაფლავებულია ს. პატარა ოძისის ეკლესიაში.

ცოლად ჰყავდა მარიამი, მდივან ივანე ქობულაშვილის ქალი. ჰყავდა სამი ვაჟი: 1) როსტომი (1811—1847), 2) გიორგი გლუხარიჩი (1813—1864); 3) ივანე, იგივე ოქრო (1818—1858) და ქალი თინათინ.

ერისთავი დიმიტრი შანშეს ძე, არტილერიის პრაპორშჩიკი. შეთქმულების მონაწილე. 1832 წ. აპრილში ჩამოვიდა პეტერბურგიდან თბილისს. 1831 წ. უკვე იცოდა თბილისში შეთქმულების მზადება, ეს ჩანს მისი 1831 წ. 14 აპრილის წერილიდან ელიზბარ ერისთავისადმი.

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ მიაკუთვნა მესამე თანრიგს, ე. ი. იმ „პირთ, რომელნიც ქმედითად მონაწი-

ლეობდნენ შეთქმულებაში და აჯაყების მოწყობის თანახმანი იყვ-
ნენ“.

1836 წ. 8 აპრილს დიმიტრი ორბელიანი სწერს თავის ძმას პუპლიას: „დიმიტრი ერისთავისშვილმა მოგიკითხა. ერთი კვირა არის აქ არის. მიდის ტამბოვს რომ ცხენები იყიდოს სახელმწიფო არტილერიისათვის“ (ლიტერატურის მუზეუმი, ინვ. 610. № 316).

1848 წ. დიმიტრი და ელიზბარი ერისთავები თავის მამულში, გორის მაზრაში აარსებენ შუშის ქარხანას.

ელისაბედ ელიზბარის ასული ერისთავის მოგონებით დიმიტრის ჰყვარებია ელისაბედის დეიდა სოფიო. მაგრამ ევსევი ეგზარქოსმა ნება არ მისცა ორ ძმათ ორი და ჰყოლოდათ ცოლებად (ელიზბარს ჰყავდა ცოლად შალვა რევაზის ძე ერისთავის ასული ქეთევან, სოფიოს და). დიმიტრი მალე მოკვდა. სოფიო შემდეგ მანანას ვაჟზე ივანეზე (ორბელიანზე) გათხოვდა.

ერისთავი ელიზბარ გიორგის ძე (1751—1826). გიორგი ყულარაღასის შვილი. პოდპოლკოვნიკი. ცნობილი იყო სახელით „მელექსე“. ელიზბარ ერისთავს ცოლად ჰყავდა მარიამ ბატონიშვილი, იმერთა მეფის სოლომონ I-ის ასული. ჰყავდა სამი ვაჟი (ივანე, ზურაბ, დიმიტრი) და ორი ქალი ქეთევან (თადია ჩოლოყაშვილის ცოლი), ანასტასია (თომა სვიმონის ძე ანდრონიკაშვილის ცოლი).

გიორგი ერისთავი ფარნაოზ ბატონიშვილის ცოლის ძმაა — ფარნაოზს ცოლად ჰყავს გიორგის და ანა.

მთიულეთის აჯანყების დროს ე. ერისთავს კავშირი ჰქონდა კავკასიის ქედს იქითა ოსებთან, რომ რუსები იქიდან არ გამოეშვათ (აქტები, II, 556). შემდეგში ელიზბარი უკვე რუსების მხარეზეა.

სოლომონ II-მ ელიზბარს ჩამოართვა სვირის მამული და გადასცა ის მალხაზ ანდრონიკაშვილს, თავის სიძეს, მარიამ არჩილის ასულის ქმარს.

ელიზბარი რუსების საშუალებით ცდილობს ამ მამულის დაბრუნებას. 1810 წ. სიმონოვიჩმა მას მიანდო მდივანბეგობა იმერეთში.

1819—1820 წწ., როცა იმერეთის საეკლესიო ყმა-მამული სახაზინოდ აღწერეს, ელიზბარ ერისთავი ერმოლოვს სთხოვს: „რათა ყმანი ჩემნი არ შეირაცხნენ ეკლესიის ყმათ“ (დოკუმენტები საქ. სოც. ისტ., II, 248).

ელიზბარ ერისთავი წერდა ლექსებს. იგი არის ავტორი მუხამბაზისა „ვაჲ, ესე დრონი, საყვედრონი, მომცემს წყენასა“ (S — 1512; 216), რომელიც შინაარსით ანტირეჟიმულია, მასში ნაგულისხმევია გადახვეწილი მეფე სოლომონ II.

ელიზბარ ერისთავი გარდაიცვალა 75 წლისა 1826 წ. 13 აგვისტოს (ი. მეგრელიძის პუბლიკაცია ეპიტაფიისა. „მოამბე“, 1963, № 3. გვ. 176—7). ელიზბარის ქვრივი მარიამ ბატონიშვილი 1828 წ. ადგენს ანდერძს, რომელშიაც ამბობს: „მეუღლე ჩემი ხუთსა წელიწადსა მდებარე იყო“ (საქ. ც. ა. ფ. 1448, № 7305).

დავით ბატონიშვილის დახასიათებით ელიზბარი იყო „კაცი ესე მცბიერი და მეშფოთე“ (მასალები, გვ. 53).

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808—1871). ოფიციალურად ეძახდნენ ელიზბარ პავლოვიჩს.

იზრდებოდა პეტერბურგში, კერძო პანსიონში, შემდეგ საარტილერიო სასწავლებელში. პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა 1830 წ. თებერვალში. არტილერიის პოდპორუჩიკად მსახურობდა 1831 წ. ივლისში კავკასიის გრენადერთა არტილერიის მესამე ასეულში. მამის სიკვდილის გამო სამსახურს თავი გაანება, დაბრუნდა სახლში, ცხოვრობდა გორში.

იყო 1832 წ. შეთქმულების აქტიური მონაწილე. ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი მის შესახებ ამბობს: „ჩვენი ზაგოვორის თავი ელიზბარი იყო, ამისთვის, რომ ცდილობდა და ყოველს ადგილს მიმომსვლელი ის იყო და შუაკაცი“ (გზლ. 339). იგი თავიანთი მოქმედების ყოველ ნაბიჯს წერილობით ატყობინებდა პეტერბურგში მყოფ დიმიტრი ბატონიშვილს. მაგრამ შეთქმულების მონაწილენი მას უარყოფითად აფასებენ. ზაქარია ციციშვილს ელიზბარზე უთქვამს: „მასზე უფრო სულელი არავინ მინახავს“ (საგამომძ. მასალა, რვ. III, 502), ი. მამაცაშვილი მას ახასიათებს „თავმსუბუქ და ქარაფშუტად“ (რვ. III, 504), ტარასი ალექსი-მესხიშვილი „ცრუ და ქარალდინას“ უწოდებს მას პირად წერილში.

საგამომძიებლო კომისიამ ელიზბარ ერისთავი ჩათვალა მეორე ხარისხის დამნაშავედ ანუ ისეთად „ვინც იყვნენ შეთქმულების წამომწყები და სხვებსაც უბიძგებდნენ შეთქმულების და თვით აჯანყებისაკენ“.

ელიზბარ ერისთავს მიესაჯა ფინეთში გადასახლება. ის ჯარისკაცად მსახურობდა ჯერ კრონშტადტში, მერე ჰელსინკფორსში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ 1845 წ. 18 მაისს „ელი-

ზბარ ერისთავმა ჯვარი დაიწერა შალვას უფროს ქალზე", — სწერს გრ. ორბელიანი კონსტანტინე თარხნიშვილს (გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, № 63). შალვას უფროსი ქალი იყო შალვა ერისთავის ასული ქეთევანი. ქეთევანი მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებით, დიდი მეგობარი ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

ელიზბარს და ქეთევანს ჰყავდათ 5 შვილი:

1) ივანე „პოსრედნიკი", დავით ერისთავის („სამშობლოს" ავტორის) მეგობარი. ამას ცოლად ჰყავდა ოლგა ბუსლავსკაია.

2) ზაქარია, მარშალი — მასზე იხ. ალ. ჯაბადარის „მოგონებები". („მნათობი", 1934. № 3. გვ. 151).

3) მარიამ, ზლოტნიცკის ცოლი,

4) ნინო, გენო ქობულაშვილის ცოლი,

5) ელისაბედ (გარდაიცვალა 1949 წ.),

1848 წ. ძმასთან, დიმიტრისთან ერთად აარსებს შუშის ქარხანას ატენის მახლობლად სოფ. ღვარებში. აქ დამზადებული ჭურჭელი იყიდებოდა თბილისში („კავკაზ", 1857. № 95. გვ. 480). 1855 წ. ქარხანა დაიწვა (აქტები, XI, 969). განახლებულ ქარხანას შემდეგ ელიზბარის შვილი ივანე იჯარით აძლევს. („ტიფლისკი ვესტნიკ", 1877. № 272).

1860 წ. გაბრიელ მამაცაშვილთან ერთად იღებს რედაქციისაგან მადლობას „ცისკრის" გავრცელებისათვის („ცისკარი", 1860. № 5, გვ. 53).

1869 წ. გორის მაზრის უფროსია (კავკასიის კალენდარი, 1869 წ. გვ. 58).

გარდაიცვალა 1871 წ. დასაფლავებულია გორის საკრებულო ტაძარში.

გ. გოზალიშვილის „1832 წლის შეთქმულებაში" დაბეჭდილია ელიზბარ ერისთავის ორი პორტრეტი (გვ. გვ. 40, 56 და შემდეგ).

ერისთავი ვარლამ (1763—1830), იასე ყულარაღასის (1745 წ. გარდაცვლილის) შვილის დავითის მეორე ვაჟი. საქართველოს პირველი ეგზარქოსი 1811 წლიდან. 1815 წ. გაიწვიეს რუსეთს.

ეგზარქოსად დანიშვნამდე ცხოვრობდა რუსეთში. 1801 წ. შეიყვანეს სინოდის წევრად (იხ. ევგ. ბოლხოვიტინოვის წერილი ვასილ მაკედონცისადმი 1801 წ. 31 იანვრისა. Русский Архив, 1870, № 5. 790).

1808 წ. გლახა ჭილაძე (იგივე გაბრიელ ჭილაშვილი) პეტერ-

ბურგიდან სწერს თავის მოვალეს მირმანოზ ერისთავს საქართველოში: „ამათი ყოვლად სამღვდელოება (-ვარლამი) მაშინვე ინებებდა თქვენის თამასუქის დახსნას, მავრამ დიდი ხარჯი მოსვლია, სტანბის საქმეშია ბრძანდება“ (Sd 5338).

ვარლამ ერისთავის მიერ სტამბის კეთებას ახსენებს შემდეგში (1837 წ.) თეიმურაზ ბატონიშვილი: «ვარლამ ეგზარქოსი საქართველოისა რომ იყო აქა, იმან გააკეთებინა მატრიცები. ასონიც დამოადინეს და ის უცხო ხელი იყო. მსხვილი იმისი ფორმა მონახონ. ესე იგი მატრიცა» (თეიმურაზის წერილი ბროსესადმი. S—4797 № 14).

ვარლამ ერისთავი ევგენი ბოლხოვიტინოვის ინფორმატორი. იხ. მისი წერილი მაკედონცისადმი (Русский Архив, 1870, № 5. 817).

1817—1825 წ. ვარლამი სინოდის წევრია. 1825 წ. დაინიშნა მოსკოვის დანილოვის მონასტრის წინამძღვრად, სადაც გარდაიცვალა 1830 წ. 18 დეკემბერს. „დაფლეს დანილოვის მონასტერში. იყო 67 წლისა“ (H — 607).

ერისთავი თორნიკე იესეს ძე (?—1860). მაიორი. გიორგი იესეს ძე ერისთავის (სენატორის) ძმა. ცხოვრობდა ლამისყანაში. 1832 წ. აპირებდა გაყრას ძმასა და ძმისწულებთან. ცოლად ჰყავდა ერეკლეს შვილიშვილი — ქეთევან ბატონიშვილის ქალი ბარბარე ივანე მუხრანბატონის ასული.

ჰყავდა ორი ქალი: 1) ელენე — გათხოვილი გენ. მაიორ პოპოვზე; 2) ნინო — გათხოვილი ივანე თამაზის ძე ორბელიანზე[17].

თორნიკე ერისთავი გარდაიცვალა 1860 წ. დასაფლავებულია სამთავისის ტაძარში. დასაფლავებისას სიტყვა უთხრა სამთავისის მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა (H 2743. აღწ. H VI, 159).

ერისთავი იასე შანშეს ძე (1806—1845). იასე (ევსევი) ერისთავი არის შეთქმულებაში მონაწილე ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების ძმა. მსახურობდა დრაგუნთა პოლკში. 1832 წ. შეთქმულებაში იესე ფალავანდიშვილის ჩვენებით ძმამ გიორგი ერისთავმა მოიყვანა — 23 ნოემბერს მას გააცნეს „პირველი ღამის განკარგულება“ (გზლ. 489).

შეთქმულების საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა მეათე

---

[17] ნინო თორნიკეს ასული ერისთავი-ორბელიანი იყო დედამთილი მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანისა.

თანრიგს, რომელშიაც შედიან ის „პირნი, ვინც არავითარ ეჭვს არ იწვევენ“. აქ ის მოხსენებულია 45 ნომრად როგორც „გადამდგარი პოდპორუჩიკი“ (OBD საქმე № 116. გვ. 57).

იასეს ცოლად ჰყავდა ლევან ივანეს ძე მელიქიშვილის და ნინო.

ერისთავი ივანე ელიზბარის ძე (1781—1841), 1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ 1833 წ. 10 თებერვალს ის 51 წლისაა (ე. ი. დაბადებულა 1781—1782 წწ.). აღიზარდა იმერეთს, 1798 წ. „პატარა“ (16—17 წლისა) გადმოიყვანა მამამ იმერეთიდან და მიართვა თელავს ფარნაოზ ბატონიშვილს. ფარნაოზს ცოლად ჰყავდა ივანეს მამიდა. ივანეს მამა გიორგი ყულარაღასის ძე ელიზბარი იყო ცოლისძმა ფარნაოზისა. ივ. ერისთავი ფარნაოზ ბატონიშვილს ახლდა 1798—1801 წლებში; ფარნაოზის იმერეთში გადასვლამდე. 1802 წ. 20 დეკემბერს ფარნაოზი იმერეთიდან სწერს ივანე ერისთავს — რაც აქედან წახვედი, მას აქეთ თქვენი ამბავი არა მოგვსვლია რაო... (აქტები, II, 123). ახლდა ახალციხეს ტორმასოვს (გზლ. 354).

1832 წ. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაში მთლიანად უარჰყო თუ რაიმე იცოდა შეთქმის შესახებ, თუმცა კომისიას ჰქონდა ბიძინა ერისთავის ჩვენება, რომ მან ელიზბარ ერისთავს გააცნო შეთქმულების გეგმა მისსავე სახლში 1832 წ. (საქმე OBD, № 163. ფ. 131).

კომისიამ იგი მიაკუთვნა მე-8 თანრიგს, ანუ ჩათვალა ისეთ პირად, რომელიც «Не могут подозреваться в знании умысла либо в единомыслении с оным». ამ თანრიგში ჩათვლილი ყველა მონაწილე (სულ 9 კაცი) გაათავისუფლეს და პოლიციის ფარული მეთვალყურეობა დაუნიშნეს.

შეთქმულების გამომჟღავნებისას ივ. ერისთავს ჰყავდა ცოლი (პოდპოლკოვნიკ გიორგი ამილახვრის ქალი კონია) და რვა შვილი. ის დასახლდა თავის მამულში, ცხოვრობდა ს. ბელოთსა და ქვეშში. (მამულები ჰქონდა დუშეთს, გორის მაზრაში მას ეკუთვნოდა კერძოდ სოფ. მეჯვრისხევი). ცნობილი იყო სახელებით „სწავლული“, „ფილოსოფოსი“. თავიდანვე დაინტერესებული იყო ფილოსოფიური ლიტერატურით. მის საკუთრებაშია ბაუმეისტერის ფილოსოფია, გადაწერილი დიმ. ოქრუაშვილის მიერ 1811 წ. (H — 206), ანსილონის „ესტეტიკებრი განსჯანი“ (H — 198); იოანე ბატონიშვილის ნათარგმნი ადამ ფერლიუსონის „მოძღვრება ზნეობითი ფილოსოფი-

ისა“ H — 214), რომელსაც თვით იოანე ბატონიშვილის ხელით აწერია: „ბრწყინვალე თავადო, ერისთავო იოანე ელისბარის ძევ. მესმა სურვილი და გულსმოდგინება ბრწყინვალებისა თქვენისა აზნაურებითთა ჯელოვნებისა ჰსწავლათა და ამან მაიძულა ამა ნაშრომისა ჩემისა მორთმად თქვენდა, ვინაიდგან გისწავიესთ თქუენ წერილნი ფილოსოფიურნი...“ (1826 წ. იანვარი). ეს წიგნი ივ. ერისთავმა მიიღო 1830 წ. გორს შანშე ერისთავისაგან, როცა იოანე ბატონიშვილი უკვე გარდაცვლილი იყო.

ივანესადმია მიწერილი სიმონ ვარდანის ძე მაჩაბლის ლექსი დაწერილი „ჟამსა კაზარმაში მყოფობისა 1832 წელსა“ (H—1196, ფ. 317v). ივანე ერისთავს მიუძღვნის ლექსს იოსებ მამაცაშვილი 1847 წ. („ცისკარი“, 1861 წ. № 1. გვ. 139—140).

მწიგნობრობის მოყვარულია ივ. ერისთავის მეუღლე კონია. 1855 წელს მას გადაუწერია მაქსიმე აღმსარებლის წიგნი (H 208); 1826 წ. „ისტორია“ (საქ. ც. ა. ძვ. ხელნაწ. ფონდი, 93). 1855 წ. გადაწერილს წიგნს აწერია, რომ კონია ყოფილა 54 წლისა. ე. ი. დაბადებულა 1801 წ. კონიას ნათლობის სახელი ყოფილა თინათინ, გარდაცვლილა 1873 წ. დასაფლავებულია იკორთაში (ი. მეგრელიძის პუბლიკაცია, საზ. მეც. განყ. მოამბე, 1963. № 3. გვ. 180).

ივანე ერისთავი, რომელზედაც „კალმასობა “ამბობს, რომ მას „ვარლაამ ერისთავმა ასწავლა ფილოსოფია“ („კალმასობა“, II, 201), საფლავის ეპიტაფიაში დახასიათებულია როგორც „მანათობელი კერძოისა ამის ქართველთა მემამულეთა შორის უპირველესი ბრძენი და განმმარტებელი საღმრთოისა წერილისა და ფილოსოფურთა საგანთა“ („მოამბე“. № 3, გვ. 181).

ივ. ერისთავი გარდაიცვალა „შობითგან 70 წლისა... დეკემბერს 15-ს 1841 წელსა“. დასაფლავებულია იკორთაში. ჰყავდა სამი ძე და შვიდი ასული: გრიგოლ (დედამზე), გიორგი (მამამზე), ნიკოლოზ (ალქიმიკოსი), ეკატერინე (პოეტესა), ბარბარე (ესეც მწერალი), ანიკო (ქართულის დიდი მცოდნე), მარიამ (პოეტი, გარდაიცვალა 1859 წ. 25 წლისა; მისი ლექსი დაიბეჭდა „ცისკრის“ 1857 წ. სექტემბრის ნომერში; 1861 წ. „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა მისი „იკორთა“ — ისტორიულ-პატრიორტული ნაწარმოები), დარია (სხვათა სახელები არ გამირკვევია).

ერისთავი ლევან ლუარსაბის ძე (1808—18...?), პრაპორშჩიკი. შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას უჩვენა, რომ არის 25

წლისა, ჰყავს ცოლი — ბაგრატ მუხრანბატონის ქალი — სამი ვაჟი, დედა და ორი უასაკო ძმა[18] (გზლ. 350).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა მისი ლუარსაბი იყო გიორგი ყულარაღასის მესამე შვილილევანის დედა იყო მარიამ ფარნას ასული წულუკიძე.

მონაწილეობდა ყარსის ბრძოლაში პასკევიჩის დროს, რისთვისაც მიეცა პრაპორშჩიკობა.

შეთქმულების ამბავი პირველად გაანდო გიორგი დავითის ძე ერისთავმა, მერე დავით ჯორჯაძემ (ლევანის დის ქმარმა) და ბოლოს ბიძინა ერისთავმა (გზლ. 459—460). დააპატიმრეს 1832 წ. 30 დეკემბერს (რვ. II, 305). ერთი პირობა იჯდა ზაქარია ჩოლაყაშვილსა და ლუარსაბ ორბელიანთან ერთად ერთ საკანში (რვ. XXII, 4432).

საგამომძიებლო კომისიამ იგი მიაკუთვნა მე-5 თანრიგს, ანუ ისეთ პირთ, „რომელნიც თანახმა იყვნენ შეთქმულებისა, მაგრამ სხვა მონაწილეობას მასში არ იღებდნენ“.

მას მიესაჯა 6 თვით პატიმრობა და შემდეგ პოლიციის მეთვალყურეობაში ყოფნა (გზლ. 495—496).

ერისთავი (რაჭისა) დავით, როსტომ რაჭის ერისთავის ძმისწული. ერეკლე მეფის პირველი მეუღლის დისწული. სოლომონ II-ის დროს დაატყვევეს. ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ რუსეთში გაიქცა. 1792 წელს დასახლდა ყიზლარში. ეკატერინე II-მ დაუნიშნა ჯამაგირი წელიწადში 150 თუმანი. შემდეგში ეს შეუმცირეს. 1803 წ. წერს რომ არის ცოლშვილიანი, აქვს ჯამაგირი 24 თუმანი, რაიც არ ჰყოფნის და ითხოვს მომატებას.

(Канцелярия Министерства Внутренних дел по управлении Грузиею. 1802 г. Опис. 471 А. дело № 14).

ერისთავი შანშე იესეს ძე (1788—1831). პოდპოლკოვნიკი. ცხოვრობდა ჯერ კარალეთში, მერე გორში. ცოლად ჰყავდა ელენე, ივანე ორბელიანის ასული, ალექსანდრე ჭავჭავაძის ცოლისდა. ელენე გარდაიცვალა 1815 წ. 30 წლისა, დასაფლავებულია იკორთაში (Brosset, Voyage, VI rapp. 70), დარჩა ხუთი ვაჟი და ერთი ქალი: 1) იასე (იხ.), 2) ელიზბარ (იხ.), 3) დიმიტრი (უცოლო) (იხ.); 4) ალექსანდრე (ცოლად ჰყავდა მართა სოლოლაშვილი; შემდეგში იყო გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღვარი; გარდაიცვალა 1883 წ.), 5)

---

[18] რევაზ და დავით ერისთავები.

გრიგოლ (ცოლად ჰყავდა პოლონელი ოლგა სოკოლოვსკაია), 6) მელანია (ანდრია მელნიკოვის ცოლი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიის მასალაში შანშე ერისთავი ნახსენებია როგორც გარდაცვლილი. ელიზბარ ერისთავი, მისი ვაჟი უჩვენებს: „მამა ჩემი გარდაიცვალა 3 სექტემბერს, 1831 წ.“ (რვ. X, 1814). გრიგოლ ორბელიანი უჩვენებს: „გივი ამილახვრის აღსარება“ წავაკითხე ელიზბარის მამას, ზოგი რამ დამიწუნა, მერე შევაკეთეო (რვ. XX).

ერისთავი მაქსიმე დავითის ძე, გურიის თავადი, 1820 წლის აჯანყების მონაწილე.

1811 წ. დოსითეოს მიტროპოლიტის ნებართვით აღკვეცილ იქმნა ბერად და იეროდიაკონად აკურთხა სამეგრელოს მიტროპოლიტმა ბესარიონმა. 1817 წ. აკურთხეს მღვდელ-მონაზვნად. მისი გავლენიანი მამის მოთხოვნით მიანდეს გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვრობა. ამ ხანებში, როგორც მერე გამოარკვია არქიეპისკოპოსმა სოფრონიოსმა, მაქსიმე ატარებდა ენქერს, რამაც ალბათ მისცა მას საბუთი შემდეგში იმპერატორთან წარგზავნილ თხოვნაში თავი არქიმანდრიტად მოეხსენებინა. 1820 წ. აჯანყების დროს მან ბერობა მიატოვა, გაიხადა ბერის სამოსი და მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სხვა აჯანყებულებთან ერთად წავიდა ოსმალეთში, 1830-იან წლებში დაბრუნდა გურიაში, მაგრამ ხელისუფლებამ იქიდან გამოასახლა და 1833 წ. მეტეხის საპატიმროში გამოამწყვდიეს. იმავე წლის 30 ივლისს მთავარმართებელი როზენის წინადადებით მაქსიმე გაგზავნეს დავით გარეჯის უდაბნოში თავისი საქციელის გამოსასყიდად. ამასთან, როგორც გაჭირვებულს, თვიურ სარგოდ დაუნიშნეს 5 მან. ვერცხლით. გარეჯის უდაბნოში მაქსიმეს გამოსწორება არ დაეტყო: ერისკაცულად ცხოვრობდა, ერისკაცის ტანისამოსს ატარებდა, თავისი ნებით სტოვებდა უდაბნოს და თბილისში მიდიოდა. იყო შფოთიერი, მოურიგებელი და ფიცხი ხასიათისა, როგორც მას ახასიათებს დავითგარეჯის უდაბნოს წინამძღვარი არქიმანდრიტი იოანე (ჯორჯაძე). ერთხელ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიუყენებია მღვდელ-მონაზონ გერასიმესთვის. ამის შემდეგ მაქსიმეს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ წესიერად და თავმდაბლად მოიქცეოდა. 1837 წ. ახლო ხანებში მას შეუტანია იმპერატორის სახელზე განცხადება, რომელშიაც ითხოვდა გურიის ერთ-ერთ მონასტერ-

ში გაგზავნა-გადაყვანას და იქაური საეკლესიო შემოსავლიდან სახარჯოს დანიშვნას. 1837 წ. 30 ნოემბერს სინოდის ობერ-პროკურორმა პროტასოვმა შეკითხვა გამოუგზავნა ევგენი ეგზარქოსს მაქსიმეს ყოფაქცევის შესახებ. აქედან უპასუხეს, რომ მაქსიმე არამცთუ მღვდელმონაზნად, უბრალო ბერადაც კი არ გაიგზავნებაო გურიაში და რაკი მას მონანიება არ ეტყობა, არც დავითგარეჯაშია გასაჩერებელიო. მთავარმართებელმა გოლოვინმა მისი საქართველოში გაჩერებაც შეუძლებლად სცნო და შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმების შემდეგ მაქსიმე გადაასახლეს ეკატერინოსლავში. აქ ჩაიყვანეს ის 1839 წლის 24 ივლისს და როგორც მოხუცსა და უსახსროს დაუტოვეს სარგოდ თვეში 5 მანეთი (აქტები, IX, გვ. 103—104).

1843 წელს ნოვოროსიისკის გუბერნატორის შუამდგომლობით მაქსიმე ერისთავს მიეცა საქართველოში დაბრუნების ნება, იმ პირობით რომ წყნარად იცხოვრებდა (ცსა, ფ. 16, საქმე 6653, ფურც. 6).

1843 წ. დეკემბერში მაქსიმე ერისთავი რედუტ-კალეთი მოვიდა საქართველოში და ცხოვრობდა თავის ძმასთან, გურიის ერისთავ გიორგისთან სოფ. ბარკნალში.

ექვთიმე არქიმანდრიტი (?—1804), იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს წინამძღვარი. მეფე გიორგი XII-ის მოძღვარი. გვარად მჭედლიშვილი. გარსევან ჭავჭავაძის, თუ მისი მამის სულხანის ნაყმევი, წინანდლიდან. ბერად აღიკვეცა ერეკლე II-ის დროს. ხაშმზე მიმავალი ექვთიმე ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა. გარდაიცვალა ღრმა მოხუცებული 1804 წ. (აქტები, II, 269).

„კალმასობაში“ გამოყვანილია ექვთიმე „ხაშმზე მყოფ წინამძღვრის“ სახით („კალმასობა“, გვ. 109, 117—118).

ამ ექვთიმე არქიმანდრიტის შესახებ კოვალენსკი მოახსენებდა კნორინგს 1802 წ. 15 ნოემბერს: „თავადი ჭავჭავაძე და მისი მეუღლე ძმებით ავალოვებით... და განსაკუთრებით არქიმანდრიტი ექვთიმე იყვნენ და არიან ხალხის მერყეობის მიზეზი“ (აქტები, I, 405).

ექვთიმე გენათელი (?—1822) რაჭის ერისთავის როსტომის ძე, გელათის მიტროპოლიტი, რუსეთის მთავრობამ დააპატიმრა დოსითეოს ქუთათელთან ერთად 1820 წ. 4 მარტს, რადგან იმერეთის აჯანყების მოთავედ მიაჩნდა.

მის შესახებ დავით ბატონიშვილი წერს: „გენათელი... მიიყვანეს ნევაგოროდს და მუნით ნებითა ხელმწიფისათა მიუწოდეს პეტერბურგს და ნახა თვით ხელმწიფემან და ჰსცა პატივი შემსგავსებული, დაჰყო მცირე ხანი პეტერბურღსა შინა ვითარცა პატიმარი, რომელ არავის გვაჩვენეს იგი, — მიზეზი მისი მხოლოდ ღმერთმან უწყის! — და წარავლინეს შემდგომად სვირის მონასტერსა შინა“ (მასალები, გვ. 150).

„გენათელი ეფთიმე მიტროპოლიტი იმერეთისა იყო მოყვანილ რუსეთსა, ქ. პეტერბურგს და მასვე ჟამს წარდგენილ იყო იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძესთანა... და მთარგმნელად იყო დანიშნული... ითნა ხელაშვილი, ...ყოველივე მოახსენა ხელმწიფესა, რაც რომა შეჰკითხულიყო ამა მღვდელმთავრისათვის. და შემდგომად ინება ბრძანებად და წარვლინებად მონასტერსა შინა ნოვღოროდის ლუბერნიას, სვირისასა, ...მუნ მიიცვალა ექსორიობასა შინა, დასმენით უსამართლოდ ერმოლოვისათა... (A — 1278, ფ. 3. ხელნაწ. აღწ. A IV, გვ. 354).

ექვთიმეს სიკვდილს სვირის მონასტერში დაესწრო იქ მყოფი ქართველი არქიმანდრიტი გრიგოლი (S — 1532. გვ. 139).

ექვთიმე გენათელი გარდაიცვალა 1822 წ. 21 აპრილს, ოლონეცის მაზრის სვირის სამების მონასტერში, დასაფლავებულია ამ მონასტრის საკურთხევლის ქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ОБЩЕСТВЕННОСТИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

I

ГРУЗИНСКАЯ ОБЩЕСТВЕННОСТЬ В 1833—1844 гг.

Резюме

В общественной жизни Грузии первой половины XIX века наиболее яркое место занимает заговор 1832 года.

9—11 декабря 1832 года—дата раскрытия заговора 1832 г. и последовавшие за ним аресты, оставили тяжелый след в жизни грузинской общественности: окончательно рухнули иллюзорные надежды политического освобождения, надолго замерла идея попытки восстановления независимости Грузии. Передовая часть грузинского общества становится на путь приспособления к царскому режиму.

В то время, когда одна треть из всего числа «заговорщиков» отбывала наказание в разных уголках России, в Грузии, хотя и слабее прежнего, но все же велась общественная деятельность. Отдельные лица, ныне совершенно забытые, берутся за общественный труд: переводят и переписывают рукописи—чем они служат интеллектуальным интересам определенного круга.

С конца 30-ых годов в грузинской общественности определяется несколько групп: одна из них «уходящая», группа бывших «мимбашов» и «назиров»—политические идеалы которой целиком в прошлом, твердо зная о невозможности восстановления прошлого, ограничивается лишь воспоминаниями и разговорами о прошлом.

Вторая группа общества—группа «книжников», в нее входят представители духовенства и «разночинцы», деятельность этой группы ограничивается сочинением, переводом и перепиской книг.

Самой значительной является—группа «молодого поколения» в которую входят вернувшиеся из ссылки бывшие «заговорщики» и воспитанная на идеях заговорщиков молодежь, одна часть которой получила образование в России, другая же приобщилась к русской культуре в Грузии. Давид Мачабели, Николоз Бараташвили, Михаил Туманишвили, Константин Мамацашвили, Лука Исарлишвили, Леван Меликишвили, Ясе Андроникашвили, Дмитрий Джорджадзе, Якинф Алекси-Месхишвили, и с другой стороны, Сулхан Бараташвили, Александр Сулханишвили, Захарий Палавандишвили, Леонид Бараташвили и др., составляют эту группу. Значительна деятельность на общественном поприще представителя этой группы—Платона Иоселиани.

Изучение истории Грузии, изучение и издание древних рукописей, основание журнала—являются основной целью деятельности «молодого поколения».

В 1833—1844 годах деятельность общественных сил характеризуется следующими моментами: возникновение интереса к изучению отечественной истории и литературы, желание подвизаться на общественном поприще, принятие мер к улучшению грузинского печатного шрифта, создание научного очага в Петербурге—печатание продукции этого очага, литературная деятельность молодежи в Тбилиси, преобладание национальных интересов в рукописной продукции, создание культурных ячеек, основание библиотеки, намерение дворянства создать и издать журнал «Синатле»—все это показывает некоторую оживленность сменившую депрессию, царившей в общественной жизни после раскрытия заговора 1832 г.

II

МАТЕРИАЛЫ К БИОГРАФИЧЕСКОМУ СЛОВАРЮ

Второя часть данной книги-материалы к биографическому словарю грузинских деятелей первой половины XIX века. В книгу вошли 183 биографии лиц, принимавших какое-то участие в общественной жизни Грузии первой половины XIX века. В книге, которая является первой частью словаря, собраны биографии на первые 5 букв грузинского алфавита (от Абашидзе Георги—до Ефимия Генатского).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოკლებათა ახსნა

„აქტები“ — Акты Кавказской Археографической Комиссии.

აღწ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა.

A—საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა A ფონდი.

H—საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა H ფონდი.

S—საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა S ფონდი.

Q—საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა Q ფონდი.

გზლ.—გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტომი პირველი, თბ., 1935.

ფ. — საქ. სსრ ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა), ფონდი.

საქ. ც. ი. ა — საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი.

მასალები საქ. ეკ. ის. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

რედაქციისაგან	3
ქართული საზოგადოებრიობა 1833—1844 წლებში	5
1. შესავალი და ზოგადი დახასიათება	5
2. 1832 წლის შეთქმულების რაობა	9
3. შეთქმულების რეზონანსი	13
4. დეპრესია	16
5. საერთაშორისო სიტუაცია და ცარიზმის ტაქტიკა	24
6. ვითარება 1833—1837 წლებში	33
7. ნიკოლოზ I-ის მთავრობის ხაზი კავკასიაში 1833-1837 წლებში	38
8. ქართული საზოგადოებრიობის ფენები. „მიმბაშ-ნაზირთა“ ფენა	42
9. „მწიგნობართა“ ფენა	44
10. „ახალი თაობა“. მისი იდეური კავშირი ყაზარმობასთან, კერძოდ სოლომონ დოდაშვილთან.	46
11. ქართული საქმის ამოძრავება (პროდუქციის ბეჭდვის განახლება თბილისსა და პეტერბურგში. აკადემიური შრიფტი).	54
12. პლატონ იოსელიანი 1838—1844 წლებში	60
13. პეტერბურგის კერა. ბროსე და ქართველობა	62
14. საქმიანობის ფაქტები	69
15. „წრეები“	73
16. „სინათლის“ წრის „გამოცხადება“	75
17. ეპილოგი	85
მასალები ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის	91
აბაშიძე გიორგი	91
აბაშიძე დავით ლუარსაბის ძე	91
აბაშიძე დარეჯან, სოლომონ I-ის ასული	91
აბაშიძე ევგენი (გეგენა)	92
აბაშიძე ელენე ევგენის ასული	92
აბაშიძე ზაალ	93
აბაშიძე იოანე ზაალის ძე	93
აბაშიძე იოანე ქაიხოსროს ძე	94
აბაშიძე ლევან	95
აბაშიძე მაია გეგენას ასული	96
აბაშიძე ნიკოლოზ როსტომის ძე	97
აბაშიძე ქაიხოსრო	97
აბაშიძე ქაიხოსრო ლევანის ძე	98
აბუთურაბ ნასიროვი	98

აგაჯანოვი (ალაჯანოვი) მირზა-აფრასიობი 99
ავალიშვილი ბარსანოფე 99
ავალიშვილი ზაქარია ივანეს ძე — ზირაქ-ევლოგი . . . 99
ავალიშვილი პეტრე 100
ავთანდილოვი გევორქ 100
ავთანდილოვი ზაალ სტეფანეს ძე 101
ავნათალოვი იაკობ ნიკიტას ძე 104
ავნათალოვი მიკირტუმ 104
ათანასე არქიმანდრიტი 104
ათანასე ტფილელი 105
აკიმოვი ივანე 106
აკიმოვი თათულა 107
ალექსანდრე ბატონიშვილი 107
ალექსანდრე ეპისკოპოსი 108
ალექსი-მესხიშვილი არონ 110
ალექსი-მესხიშვილი დავით ალექსის ძე 111
ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი სოლომონის ძე 112
ალექსი-მესხიშვილი ეფრემ იოსების ძე 112
ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე 115
ალექსი-მესხიშვილი ნიკოლოზ იაკინთეს ძე 115
ალექსი-მესხიშვილი სოლომონ ალექსის ძე 117
ალექსი-მესხიშვილი ტარასი სოლომონის ძე 118
ალექსიძე იოელ სოლომონის ძე 121
ალმასხან (ვახტანგ) ბატონიშვილი 122
ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე 124
ამბროსი ნეკრესელი 125
ამილახვარი ბარძიმ დავითის ძე 128
ამილახვარი ბეჟან 128
ამილახვარი ბეჟან (II) 129
ამილახვარი გივი ბარძიმის ძე 129
ამილახვარი ეკატერინე დავითის ასული 129
ამილახვარი თეიმურაზ ივანეს ძე 130
ამილახვარი ივანე გივის ძე 130
ანა, დედოფალი კახეთისა 132
ანასტასია ბატონიშვილი 132
ანა, იმერეთის დედოფალი 133
ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე 133
ანდრონიკაშვილი აბელ თამაზის ძე 135
ანდრონიკაშვილი ადამ 136
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე 136
ანდრონიკაშვილის ზაალ ზურაბის ძე 136
ანდრონიკაშვილი ზაზა ზაალის ძე 137
ანდრონიკაშვილი ზაქარია თამაზის ძე 140
ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე 141
ანდრონიკაშვილი იესე ადამის ძე 143

ანდრონიკაშვილი იოსტოს 143
ანდრონიკაშვილი მაია (მარიამ) არჩილის ასული . . . 144
ანდრონიკაშვილი მალხაზ მელქისედეკის ძე 145
ანდრონიკაშვილი რევაზ 146
ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე 147
ანდრონიკაშვილი ქაიხოსრო 147
ანტონ I 147
ანტონ II 149
ანტონი არქიმანდრიტი 151
არდაზიანი პეტრე 151
არზანოვები იაკობ და დავით 152
არსენი, ტფილელი მიტროპოლიტი 152
არღუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარიას ძე . . . 154
არღუთინსკი-დოლგორუკოვი რომან 156
არწრუნის სახლი 156
ასათიანი მიხეილ იოსების ძე 156
აფხაზი ანტონ ნიკოლოზის ძე 158
აფხაზი დავით ივანეს ძე 159
აფხაზი ეგორ (გიორგი) ნიკოლოზის ძე 159
აფხაზი ივანე ნიკოლოზის ძე 160
აფხაზი ივანე შერმაზანის ძე 161
აფხაზი ნიკოლოზ, მხატვარი 162
აფხაზი სალომე ქაიხოსროს ასული 164
აფხაზი სიმონ ნიკოლოზის ძე 165
აფხაზი სოფიო 165
აფხაზი შერმაზან ივანეს ძე 165
ახვერდოვი ალექსანდრე ისაის ძე 166
ახვერდოვი თევდორე ისაის ძე 167
ახვერდოვა ნატალია გრიგოლის ასული 167
ახვერდოვა პრასკოვია ნიკოლოზის ასული 168
ბაგრატიონი დიმიტრი გიორგის ძე 168
ბაგრატიონი თეიმურაზ დავითის ძე 170
ბაგრატიონი რევაზ (რომან) ივანეს ძე 170
ბაგრატიონი როსტომ 171
ბაგრატიონ-იმერეტინსკები 171
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე დიმიტრის ძე . . . 172
ბაგრატიონი სოლომონ შანშეს ძე 173
ბაგრატიონ-მუხრანსკი ერმი სიმონის ძე 173
ბაგრატიონ-მუხრანსკი ვახტანგ დავითის ძე 173
ბაზლაძე იოანე რომანის ძე 174
ბაიკოვი ივანე ივანეს ძე 174
ბანცურიშვილი იოსებ ანდუყაფარის ძე 174
ბარათაშვილი ბარამ გერმანოზის შვილი 175
ბარათაშვილი დავით ზაქარიას ძე 176
ბარათაშვილი (გოსტაშაბიშვილი) დავით ერასტის ძე . . . 176

ბარათაშვილი ზაალ დავითის ძე 177
ბარათაშვილი ზაზა იესეს ძე 178
ბარათაშვილი ივანე ზაალის ძე 179
ბარათაშვილი ივანე (ვანო) ზაალის ძე 179
ბარათაშვილი ლეონიდე გერმანოზის ძე 180
ბარაშკინი თევდორე 180
ბარტოლომეი თედორე თედორეს ძე 181
ბებურიშვილი იოსებ, მღვდელი 181
ბებურიშვილი სიმონ პაპას ძე 181
ბეჟაევი ანდრია სიმონის ძე 182
ბეზირგანოვი 182
ბენკენდროფი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე 183
ბერძენოვი ნიკოლოზ გიორგის ძე 183
ბიდარა 184
ბირშერტი მინადორა იესეს ასული 184
ბიჭიაშვილი ნიკოლოზ, დეკანოზი 185
ბოროვიკოვსკი ვლადიმერ ლუკას ძე 185
ბრონევსკი სიმონ მიხეილის ძე 186
ბუტკოვი პეტრე გრიგოლის ძე 186
ბაგრატ ბატონიშვილი 186
გაგარინა ანასტასია 188
გაიანე ბატონიშვილი 188
გამაზოვი მათე აბელის ძე 189
განგებლოვი ეგორ კონსტანტინეს ძე 190
გეტინგ იოსებ იაკობის ძე 190
გიორგი ალექსანდრეს ძე 191
გოლიცინი პეტრე ალექსის ძე 192
გრიგოლ ბატონიშვილი 193
გრიგოლ ხარჭაშნელი 194
გრიგორიევი ვასილი ნიკიფორეს ძე 194
გრუბერი ევარესტ ანდრიას ძე 195
გრუზინსკაია ოლგა ილიას ასული 196
გრუზინსკი იოანე გრიგოლის ძე 196
გრუზინსკი პავლე ოქროპირის ძე 197
გურამოვი ზაქარია ზაალის ძე 198
გურგენიძე ბეჟან ბარამის ძე 199
გურგენიძე ივანე 199
გურგენიძე მიხეილ სიმონის ძე 200
გურიელი ქაიხოსრო გიორგის ძე 200
დავით ბაგრატ ბატონიშვილის ძე 201
დავით ბაგრატის ძე, იმერეთის ბატონიშვილი 202
დავით ბატონიშვილი 203
დარეჯან დედოფალი 205
დელპოცო ივანე პეტრეს ძე 205
დიასამიძე ანტონ 206

დიმიტრი იულონის ძე 208
დოდაშვილი ივანე სოლომონის ძე 208
დოდაშვილი იასე ივანეს ძე 210
დოდაშვილი ივანე იოსების ძე 210
დოდაშვილი სოლომონ ივანეს ძე 211
დოდაშვილი სპირიდონ (ფრიდონ) ივანეს ძე 214
დოდაშვილი სტეფანე ივანეს ძე 215
დომენტი არქიმანდრიტი 216
დოსითეოს არქიეპისკოპოსი 217
ეგნატაშვილი (იგნატიევი) სიმონ იაგორის ძე 220
ევგენი აგზარქოსი 220
ევლახოვი ივანე სერგის ძე 221
ეკატერინე, ერეკლე II-ის ასული 221
ელენე, ერეკლე II-ის ასული 221
ელევთერ არქიმანდრიტი 222
ელისაბედ (მზეხათუნ) დავით მეფის ასული 223
ეპიფანე მღვდელ-მონაზონი 224
ერიაშვილი სოლომონ 224
ერისთავი ბიძინა რევაზის ძე 224
ერისთავი გიორგი დავითის ძე (გლუხარიჩი) 225
ერისთავი გიორგი იესეს ძე (სენატორი) 226
ერისთავი გიორგი რევაზის ძე (ატამანი) 230
ერისთავი დავით როსტომის ძე 232
ერისთავი დიმიტრი შანშეს ძე 232
ერისთავი ელიზბარ გიორგის ძე 233
ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე 234
ერისთავი ვარლამ 235
ერისთავი თორნიკე იესეს ძე 236
ერისთავი იასე შანშეს ძე 236
ერისთავი ივანე ელიზბარის ძე 237
ერისთავი ლევან ლუარსაბის ძე 238
ერისთავი (რაჭისა) დავით 239
ერისთავი შანშე იესეს ძე 239
ერისთავი მაქსიმე დავითის ძე 240
ექვთიმე არქიმანდრიტი 241
ექვთიმე გენათელი 241
Материала к истории грузинской общественнсти первой половины XIX века (резюме) 243
შემოკლებათა ახსნა 245

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები —
ე. ორჯონიკიძე, ნ. ნაცვლიშვილი

ИБ 1134

*

რედაქტორი მ ა მ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
მხატვარი ვ. ხ მ ა ლ ა ძ ე
კორექტორი ც. ქ ი ტ ი ა შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 23.1.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.6.1980;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 15.8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.1;

უე 01149; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 244;

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Максим Давидович Бердзнишвили

МАТЕРИАЛЫ К ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ОБЩЕСТВЕННОСТИ ПЕРВОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

(на грузинском языке)